

იზოლდა ქავიაშვილი

კველი ქართველი მწიგნობარი
ქალები



თბილისი
გამოცემლობა „ლომისი“
1994

ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ რამდენიმე სამეცნიერო ხასიათის სტატია გამოვაქვეყნეთ 1968—1974 წწ.

1973 წელს მონოგრაფია „ძველი ქართველი მწიგნობარი ქალები“ მოემზადეთ დასაბეჭდად. სხვადასხვა მიზეზთა გამო ეს ნაშრომი დღემდე ვერ გამოქვეყნდა. უკანასკნელ წლებში ჩვენ შევწყვიტეთ კვლევა-ძიება აი მიმართულებით. ვფიქრობთ, წიგნი ამ სახითაც საინტერესო იქნება ძველი ქართული კულტურის შესწავლის თვალსაზრისით.

ავტორი

რეცენზენტები: პროფ. ი. ლოლაშვილი,
დოც. შ. ონიანი

რედაქტორი პროფ. ლ. მენაბდე

გამომცემლობის რედაქტორი მ. სანაღირაძე

წიგნი გამოიცა ავტორის ხარჯით

ივოლდა ქაფიაშვილი —

„ძველი ქართველი მწიგნობარი ქალები“

ქართულ საარქივო მასალებს (ხელნაწერებს, დოკუმენტებს და სხვა ხასიათის წყაროებს) დაუცავთ მრავალი საყურადღებო ცნობა ძველ ქართველ მწიგნობარ ქალთა სამწერლო, პედაგოგიური და ზოგად-საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ. მათი შესწავლით მრავალი მეცნიერია დაინტერესებული. შეიძლება დავასახელოთ ორ ათეულამდე მკვლევარი, რომელთაც ნარკვევები უძღვნეს ქართველ მწიგნობარ ქალებს. მათ შორის მოსახსენებელია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ი. ქაფიაშვილი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ძველქართულ ხელნაწერებში მიმობნეული მასალები, სისტემაში მოიყვანა ისინი და მათი მეცნიერული ანალიზის შედეგად მოგვცა მივიწყებულ ქართველ ქალთა ლიტერატურული საქმიანობის მიმოხილვა.

ნაშრომი — „ძველი ქართველი მწიგნობარი ქალები“ (257 გვ.) კარგი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის გამოკვლევაა. მასში მოცემულია სამოცდაათზე მეტი მწიგნობარი ქალის პორტრეტული დახასიათება. შესავალ ნაწილში ავტორი გვთავაზობს ისტორიულ ექსკურსს (უკეთ: ქართველ მწიგნობარ ქალთა მოღვაწეობის შესწავლის ისტორიას), რომელსაც მისდევს მონოგრაფიის ძირითადი ნაწილი — ბორენას (XI—XIII სს.), თამარ ბაგრატიონის (XII ს.), თამარ მეფის (XII—XIII სს.), ანა დედოფლის (XV ს.), გულენის, ანა რჩეულაშვილის, თუმიან გოჯიშვილის (XV—XVI სს.), ქეთევან დედოფლის (XVI—XVII სს.), მარიამ-მაკრინე ბაგრატიონის, სალომეს, მანანას, მარიამ ციციშვილის, თეკლე ბაგრატიონის, სოფიოს, ანა თუმანიშვილ-ამილახვრისა (XVIII ს.) და სხვა ქალთა ლიტერატურული საქმიანობის მიმოხილვა. ამის შემდეგ მოცემულია დასკვნები, დამატებანი — მათა შორის ასული გაბაშვილის „ანბანთქება“,

სალომეს „ანბანთქება“ ანუ „სალომიანი“, სოფიოს — „ღვთისმშობლისადმი“, ქეთევან დედოფლისა და ნინო განმანათლებლისადმი მიძღვნილი ლექსები (ტექსტები დადგენილია ხელნაწერების კრიტიკული შესწავლის შედეგად), გამოყენებულია წყაროები და ლიტერატურა, დართულია შემოკლებათა განმარტება და სხვა, ერთი სიტყვით, გაწეულია ფრიად საჭირო სამუშაო სიძველეთა საცავებიდან თუ სათანადო ლიტერატურიდან გამოწვლილულია სახელი 70 მწიგნობარი ქალისა, წარმოდგენილია მათი ცხოვრება-მოღვაწეობის პერიოპტიები. ეს არის პირველი სერიოზული ცდა ძველ ქართველ მწიგნობარ ქალთა ნაღვაწის მონოგრაფიული სისრულით დალაგება-გაანალიზებისა. ზოგიერთი მწიგნობარი ქალის შესახებ ბიოგრაფიულ-ქრონოლოგიური ცნობები მოპოვებულია უშუალოდ ავტორის მიერ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ან სხვა ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებში.

მასალა მოკრებილია, ძირითადად, კლასიკური, დაცემისა და აღორძინების პერიოდებიდან, თუმცა რამდენიმე მწიგნობარი XIX ს. პირველი ნახევრიდანაცაა წარმოდგენილი.

წიგნის ღირსებად, კონკრეტულად, უნდა მივიჩნიოთ შემდეგი მხარეები:

1. ავტორს საფუძვლიანად შეუსწავლია არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, რაც მეცნიერულადაც გაუაზრებია; ბევრი უმუშავია ძველ ქართულ ხელნაწერებზე.

2. ხელნაწერებიდან ამოუკრებია არა მარტო ადრე ცნობილი მასალები, არამედ მრავალი ახალი ცნობაც, რითაც ამა თუ იმ მწიგნობარი ქალის ბიოგრაფია გაუმდიდრებია. ნაშრომში მან პირველად გაგვაცნო რამდენიმე მივიწყებული მწიგნობარი ქალი. ესენი არიან: მანა მახატლის ასული, ვანენი-ყოფილი ნისიმე, სევდაოზ ჭარმაულის ასული, რუთი კოპაძე, ასთანდარი, ზილიხან ბატონიშვილი, მარიამ დაყუდებული, ანახანუმ ერისთავი, მარიამ ციციშვილი და სხვა.

3. პოეტ ქალთა ის თხზულებანი, რომლებიც უწინ იყო გამოქვეყნებული, ავტორს შეუსწავლია ხელნაწერებთან მიმართებაში და გაუსწორებია ზოგი მცდარი წაკითხვა (გვ. 116-და 129-130), ასეთია მაგ. „სალომიანი“.

ამგვარი წაკითხვების გასწორება თხოულობს დიდ დროს, ტექსტები — შეჯერებასა და მახვილ დაკვირვებას, რაც უეჭველად გამოუვლენია ავტორს.

4. ი. ქაფიაშვილმა გაარკვია, რომ „ვედრება-ჰიმნი“, გამოქვეყნებული ქეთევან დედოფლის სახელით, არ არის წყარო თეიმურაზის „ქეთევანიანისა“. არამედ ეს ჰიმნი წარმოადგენს ანტონ ბაგრატიონის თეიმურაზის პოემა — „წამების“ ფრაგმენტს და მისი წყაროა თეიმურაზის პოემა. ნაშრომში ეს ფაქტი უდავოდაა დადგენილი.

5. მოცემულია გამოჩენილ პოეტ ქალთა (გულქანის, ანა რჩეულაშვილის, ქეთევან დედოფლის, მარიამ-მაკრინეს, სალომეს, მანანას, მარიამ ბაგრატიონ-ციციშვილის) პოეტური შემოქმედების ანალიზი. მკვლევარი სარგებლობს ამ პოეტთა შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურით (ლ. ასათიანის, ტრ. რუხაძისა და შ. ონიანის ნაშრომებით) და საარქივო მასალებით, რომლებიც მიმოხიულია ჩვენს სიძველეთსაცავებში.

6. მწიგნობარ ქალთა ცხოვრება შესწავლილია საისტორიო წყაროებთან მიმართებაში. ეს ჩანს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ავტორს უხდება ამა თუ იმ მწიგნობარი ქალის ცხოვრების ქრონოლოგიისა, თუ საერთოდ მისი ვინაობის დადგენა. საამისოდ მოხმობილია საისტორიო ძეგლები (ვახუშტის „ისტორია“, სიგელ-გუჯრები, სულთა მატრიანეები, ქრონიკები, ფოლკლორული წყაროები და მზითვის წიგნებიც კი).

ერთი სიტყვით, ეს ნაშრომი არის ქართველ მწიგნობარ ქალთა შესახებ დღემდე არსებულ ნარკვევებს შორის ყველაზე სრული მიმოხილვითი ხასიათის ნაშრომი, რომელშიც მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით სამოცდაათი მწიგნობარი ქალის ცხოვრება და მოღვაწეობა XI საუკუნიდან XVIII საუკუნემდე. მასში თავმოყრილია ბეჭდური და ხელნაწერი მასალები, ყველა მათგანი შესწავლილია, შეძლებისდაგვარად, სამეცნიერო ლიტერატურასთან მიმართებით, მოცემულია ამ მასალების სისტემატიზაცია და ანალიზი. თავ-თავის ადგილას წყაროები მითითებულია კეთილსინდისიერად და, რაც შეიძლება, ამო-

მწურავად. ნაშრომი დაწერილია საქმისადმი სიყვარულით და დიდი შრომისმოყვარეობით. იგი ბიბლიოგრაფიულ-საცნობარო ხასიათის ნაშრომიცაა, რაც უთუოდ კარგ სამსახურს გაუწევს იმ პირთ, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ძველი ქართული კულტურის შესწავლით.

ივანე ლოლაშვილი,

პროფესორი.

1. X. 1974,

თბილისი.

შესავალი

§ 1. ქართველი ქალი უსსოვარი დროიდან საყოველთაო პატივისცემას იმსახურებდა არა მარტო საქართველოში; მის სილამაზეს, სისპეტაკეს, გონიერებას, ვაჟკაცურ სულს მრავალი უცხოელი მოგზაური თუ მოღვაწე მოუხიბლავს (სტრაბონი, პიეტრო დელა-ვალე, ჟან შარდენი, არქანჯელო ლამბერტი, ვაგიფი და მრავალი სხვა).

ჩვენი სამშობლოს ბედკრულმა ისტორიამ გამოაწრთო ეს ნაზი არსება და თავისი შესაძლებლობით მამაკაცთან გაათანასწორა. საჭიროების დროს ქართველი ქალი მეუღლის გვერდით ხმლით ხელში ებრძოდა მომხდურ მტერს, უზრდიდა სამშობლოს სახელოვან ვაჟკაცებს და, როგორც ჩანს, გარკვეული წვლილიც შექჟონდა ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში.

ძველ ხელნაწერებს უხვად შემოუნახავთ ცნობები ქართველი ქალების ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ. იმათი წყალობით დღეს ცნობილია ბევრი ქართველი მწიგნობარი ქალი-მეცენატი, ორიგინალური შემოქმედი, ხელნაწერთა მომგებელი, კალიგრაფი და ა. შ. მართალია, ჟამთა სიავემ ზოგიერთი შემოქმედი ქალის პოეტური მემკვიდრეობა გააუჩინარა (ფომინისია ბერიძე და სხვ.), მაგრამ, საბედწიერთდ, ბევრი მწიგნობრის ნაწერმა ჩვენამდე ნაწილობრივ ზაინც მოაღწია.

ქართველი მანდილოსნები რომ ლიტერატურული ძეგლებით ინტერესდებიან, ამის შესახებ მეხუთე საუკუნეზე უადრესი ცნობები არ მოგვეპოვება. მემათიანე მოგვიოცხრობს: „საგდუხტ დედოფალმან გამოიკითხა სჯული ქრისტესი რამეთუ ქმარმან მისმან მოჰგუარნა კაცნი სჯულის მეცნიერნი და უთარგმნეს სახარება უფლისა ჩუენისა იესო

ქრისტესი“¹. დედოფალ შუშანიკს ხელთ ჰქონია: „ევანგელზე თვისი და წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი“², — გვამცნობს იაკობ ცურტაველი.

ქართველ ქალთა ნაყოფიერი ლიტერატურული საქმიანობის სათავედ მათი სათანადო სწავლა-აღზრდა უნდა მივიჩნიოთ. სამწუხაროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული მასალა არ მოგვეპოვება (განსაკუთრებით ადრეული საუკუნეებიდან). მოდწეული ლიტერატურული ძეგლები გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ აღზრდას დიდი ყურადღება ექცეოდა და საკმაოდ მაღალ დონეზე იყო ფეოდალურ საქართველოში³. ცნობილი აგიოგრაფი გიორგი მერჩულე გვატყობინებს, რომ IX საუკუნეში არსებობდა მერეს დედათა მონასტერი, სადაც ქალთა სწავლა-აღზრდის საქმეს, ალბათ, გარკვეული ადგილი ეთმობოდა. მონასტერი ხომ იმ პერიოდის საქართველოში სკოლის მავივრობას ასრულებდა. XI—XII საუკუნეებში ფეოდალურ საქართველოში ქალ-ვაჟთა აღზრდა ცალ-ცალკე მიმდინარეობდა და მას უმთავრესად დვთისმეტყველური, რელიგიური ხასიათი ჰქონდა⁴. მაგრამ პარალელურად გავრცელებული იყო თავისუფალ ხელოვნებათა — გრამატიკის, რიტორიკის, დიალექტიკის, არითმეტიკის, მუსიკის, გეომეტრიის, ასტრონომიის შესწავლა⁵. „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ქალები ხომ უაღრესად განათლებულნი არიან! თვით რუსთველის უკვდავი ქმნილება აღზრდის ერთ-ერთ საშუალებად ითვლებოდა, რომლის წყალობითაც

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 142.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 16.

³ რასაკვირველია, სწავლა-განათლების შესაძლებლობა ჰქონდათ მაღალი, არისტოკრატიული წრის წარმომადგენლებს, უუფლებო, მუდმივ სოციალურ და ეკონომიკურ სიღვიწროვეში მყოფ გლეხს ამაზე ფიქრი არ შეეძლო.

⁴ გ. ჯიბლაძე, რუსთველური აღზრდის იდეები, „სახალხო განათლება“, 28. IX. 1966, № 39.

⁵ იქვე.

ცალკეულ ოჯახებში სკოლა იყო გამართული⁶, კითხულობდნენ, სწავლობდნენ და შემდეგ თაობიდან თაობას გადასცემდნენ რუსთველის გენიალურ სიბრძნეს.

ქართველ ქალთა წიგნიერებასა და განსწავლულობაზე ცნობილი სამოციანელი ნ. ნიკოლაძე წერდა:

„ძველად წიგნიერება გავრცელებული იყო უპირატესად და თითქმის მხოლოდ ქალებში, რომელნიც — რამდენადაც უცნაურად არ უნდა ჩანდეს სხვა ხალხთა დიდ უმეტესობასთან შედარებით, — საზოგადოებრივი განათლების მთავარ იარაღად იყვნენ. სრულიად შესაძლებელია, რომ ამ ფაქტის მიზეზი იფარება აქაური ხალხის გამუდმებულ ომში და აქაური ქალების შედარებით უშფოთველ მდგომარეობაში. რაც არ უნდა იყოს, შეეძლოთ წერა-კითხვა, ზეპირად იცოდნენ XII—XVII საუკუნეთა ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნაშულებები, თვითონაც ხშირად მისდევდნენ მწერლობასა და ჩვეულებრივ ქმრებისა და ნათესავების მდივნებად იყვნენ მათ ურთიერთ მიმოწერაში და საქმიანი ქალაქების შედგენაში. წერა-კითხვის უცოდინარობა აქ ქალისაჲვის სამარცხვინო იყო“⁷.

ქართველ ქალთა განსწავლულობა არც უცხოელთა ყურადღების გარეშე დარჩენილა. ცნობილი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი (XVI ს.) საგანგებოდ აღნიშნავდა: „ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა, ქალებს რომ არ შეენახათ იგი. თუ ვისმე უნდა კითხვა შეესწავლოს, უნდა რომელსამე ქალს მიებაროს სასწავლებლად“⁸.

კაპიტან იაზიკოვს, რომელიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში იყო ჩვენს ქვეყანაში, ქართველთა განათლების დო-

⁶ ნ. უ რ უ შ ა ძ ე, „ვეფხისტყაოსანი“ და ქართველი ქალი, „საქართველოს ქალი“, 1966, № 6, გვ. 13.

⁷ ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზულებანი, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, III, თბ., 1960, გვ. 530. იხ. აგრეთვე გვ. 579—580.

⁸ ა. ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1938, გვ. 164.

ნეზე მაინცდამაინც მაღალი წარმოდგენა არ ჰქონდა. მისი, არც თუ სწორი, ცნობით — ქართლ-კახეთში «наук никаких нет, а ученье состоит в одной грамоте, да и той многие князья не знают». რუსეთის წარმომადგენელი შემდეგ საგანგებოდ აღნიშნავდა ქართველ ქალთა განსწავლულობას: «Чтож принадлежит до благородных женщин, то они почти все писать умеют»⁹.

ცხადია, ქართველი ქალების ცოდნა-განათლების დონე მაღალი ყოფილა, ამიტომ იგი საგანგებო აღნიშვნის ღირსი გამხდარა.

§ 2. ძველ ქართველ მწიგნობარ ქალთა მემკვიდრეობა აგრე ხანია ინტერესს იწვევს ჩვენს საზოგადოებაში. მაგალითად, თეკლე ბაგრატიონის (1776—1846) „იამბიკო ღვთისმშობლისადმი“ „ცისკარმა“ გამოაქვეყნა 1860 წელს¹¹. თეკლესა და მისი დის ქეთევანის (1764—1840) ლექსები 1863 წელს თავის „ქრისტომატიასი“ შეიტანა პროფ. დ. ჩუბინაშვილმა¹²; ქეთევან დედოფლის (1575—1624) ანბანთქება 1882 წელს დაბეჭდა „დროებამ“¹³ და ა. შ.

მწიგნობარ ქალთა შესახებ ადრევე გამოქვეყნდა რამდენიმე წერილი. მაგალითად, პროფ. მ. ჯანაშვილის „მაკრი-ნე ბატონიშვილი“¹⁴, მწერალ შ. აფხაიძის „ქართველი პოეტი ქალები“¹⁵ და სხვა, მაგრამ განსაკუთრებული ღვაწლი ძველი ქართველი პოეტი ქალების კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის გამომზეურებასა და შესწავლაში მი-

⁹ Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, под редакцией А. Цагарели, I. СПб., 1891, გვ. 187.

¹⁰ იქვე, გვ. 192.

¹¹ „ცისკარი“, 1860, № 1, გვ. 63—66.

¹² ქართული ქრისტომატია, ან გამოწერილი სტატიები სხვათადასხვათა ჩინებულთა მწერალთაგან, ნაწილი მეორე, ქართული ლექსები, ახლად დაბეჭდილი დ. ჩუბინოვისაგან, სპბ., 1863, გვ. 111—113.

¹³ „დროება“, I. XII, 1882, № 251.

¹⁴ „სახალხო გაზეთი“, 1919, № 666.

¹⁵ „ბატონი“, 1922, № 13.

უძღვის ცნობილ მკვლევარს ლ. ასათიანს. მან ერთიმეორის მიყოლებით გამოაქვეყნა პოეტ ქალთა ლექსები თუ წერილები მათ შესახებ¹⁶, ხოლო 1936 წელს ცალკე წიგნად დაბეჭდა „ძველი საქართველოს პოეტი ქალები“. მასში წარმოდგენილია პოეტური ქმნილებანი რამდენიმე ქალისა (ქეთევანის, მარიამ-მაკრინეს, მანანას, სალომეს, მაია გაბაშვილის, მარიამ, ქეთევან და თეკლე ბაგრატიონებისა) და საყურადღებო გამოკვლევები მათი ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ¹⁷.

შემდეგ წლებში ზოგიერთი უცნობი პოეტი ქალის ლექსები გამოავლინეს პროფ. ტ. რუხაძემ¹⁸ და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. მიქაძემ¹⁹; აკად. კ. კეკელიძემ ვრცელი ნარკვევი უძღვნა მარიამ-მაკრინე ბაგრატიონის (XVIII ს.) ცხოვრებასა და მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობას²⁰; მანვე საგანგებოდ შეისწავლა ქართველ ქალთა კულტურულ-ლიტერატურული კერები შუა საუკუნეთა ახლს აღმოსავლეთში²¹; ვანის ქვაბთა მონასტრის პატარა ეკლესიის კედელზე ქართველი პოეტი ქალების ლექსები წარიკითხა, შეისწავლა და გამოაქვეყნა ფილოლოგიის მეცნი-

¹⁶ ლ. ასათიანი, მანანა, „ქართული მწერლობა“, 1927, № 5, გვ. 94-105; მისივე, ვოლტერიანობა საქართველოში, თბ., 1933, გვ. 101-126; მისივე, საქართველოს პოეტი ქალები, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, 1935, გვ. 407-456.

¹⁷ გამოკვლევები გადაიბეჭდა მის წიგნში: რჩეული ნაწერები, I, თბ., 1958, გვ. 5-63.

¹⁸ ტ. რუხაძე, უცნობი პოეტი ქალები, „ლიტერატურული საქარველო“, 24. I. 1941, № 4 (136).

¹⁹ გ. მიქაძე, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, „ლიტერატურული გაზეთი“, 21. X. 1955, № 42 (952).

²⁰ კ. კეკელიძე, მეფრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957, გვ. 232-236, 241-251.

²¹ კ. კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საშუალო საუკუნეთა მაზლობელ აღმოსავლეთში, იქვე, გვ. 202-216.

ერებათა კანდიდატმა შ. ონიანმა²². საყურადღებოა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის დ. ქორიძის²³, ლ. ტატიშვილის²⁴, ნ. ურუშაძის წერილები, რომლებიც მიმოიხილავენ ქართველ ქალთა ღვაწლს ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში.

მიუხედავად აღნიშნულისა, ძველი ქართველი მწიგნობარი ქალების კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმე ჯერ კიდევ ჩამორჩება და ჩვენი წარმოდგენა ამ ქალების ისტორიულ როლზე ეროვნული მწიგნობრობის განვითარებაში არც თუ სულ ზუსტი და სრულია. განა დამაფიქრებელი არ არის ის გარემოება, რომ აკად. კ. კეკელიძის მონუმენტურ შრომაში მხოლოდ ორი მწიგნობარი ქალია ფიგურირებული²⁵, ხოლო პროფ. ვ. ბერიძის ცნობილ წიგნში „ძველი ქართველი ოსტატები“ (თბ., 1967) არც ერთი კალიგრაფი ქალი არაა დასახელებული?! რასაკვირველია, მდგომარეობას ვერ ცვლის ვერც ის ორიოდე შრომა²⁶, რომლებშიც, მართალია, საუბარია ძველ ქართველ მწიგნობარ ქალებზე (ქეთევან დედოფალი, მარიამ დედოფალი, დარეჯან ბაგრატიონი, თეკლე ბაგრატიონი და სხვა), მაგრამ მათი ცხოვრება-მოღვაწეობა სხვა კუთხითაა განხილული. უცილობელია, ძველი ქართველი მწიგნობარი ქალების კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა მეტ ყურადღებას მო-

22 შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 7, გვ. 33-40; 1960, № 8, გვ. 33-42.

23 დ. ქორიძე, შემოქმედი ქალები ფეოდალურ საქართველოში, „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, № 3, გვ. 25-29.

24 ლ. ტატიშვილი, ხელმადლიანი ქართველი ქალები, „საქართველოს ქალი“, 1969, № 12, გვ. 16.

25 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 14, თბ., 1960, გვ. 343-346.

26 ფ. დგებუაძე-ფულარია, ქართველი მოღვაწე ქალები, წიგნში: ოქროს ბეჭედი, მოგონებები, ქართველი მოღვაწე ქალები, თბ., 1968, გვ. 593-825; დ. ქორიძე, სახელოვანი ქართველი ქალები, თბ., 1965.

ითხოვს. შემდგომი კვლევა-ძიება, იმედია, ქართველ ქალთა ნამოღვაწარს უფრო სრულად წარმოაჩენს.

§ 3. ძველ ქართველ მწიგნობარ ქალთა ლიტერატურული საქმიანობის გამოვლენის მიზნით შევისწავლეთ ზემოდასახელებულ მკვლევართა შრომები, აგრეთვე მრავალმხრივი სამეცნიერო ლიტერატურა და განსაკუთრებით ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (30-მდე ტომი). გავეცანით S, H, Q, A ფონდებისა და საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის ხელნაწერებს. ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა ცალკე გამოვეყო 70 მწიგნობარი ქალი. ზოგიერთია მ.თგანის შესახებ ბიოგრაფიულ-ქრონოლოგიური ხასიათის ცნობები მოვიპოვეთ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში, აგრეთვე სხვა ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებში. ცალკეულ შემთხვევაში მათი მოღვაწეობის ხანის დადგენისას, როდესაც სხვა მონაცემები არ მოგვეპოვება, ვეყრდნობით მეცნიერთა მიერ გამოთქმულ ვარაუდს ხელნაწერთა ხელის მიხედვით დათარიღების შესახებ.

მასალა მოპოვებულია უმთავრესად ფეოდალური საქართველოს სინამდვილიდან. იგი, ძირითადად, მოიცავს კლასიკური, დაცემისა და აღორძინების პერიოდებს და ნაწილობრივ გადმოდის XIX საუკუნის 60-იან წლებამდე, მოღწეულია ცნობები, უპირატესად, მაღალი არისტოკრატიული წრის ქალთა მოღვაწეობის შესახებ. სავარაუდოა, რომ ფეოდალურ საქართველოში დაბეჩავებულ და დაჩაგრულ გლეხის ქალს თავისი ნიჭის გამოვლენის შესაძლებლობა არ ექნებოდა. მათი სახეები უფრო ფოლკლორმა შემოგვინახა.

ნაშრომში წარმოდგენილია ქართველ მოღვაწე ქალთა მთკლე ლიტერატურული პორტრეტები, დალაგებული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ბ ო რ მ ი ა

ბოეტი ქალის ბორენას სახელი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიას შემოუნახა ღვთისმშობლის პატარა ხატია, რომელიც დაცულია სვანეთში, სოფ. ნესგუნში (მესტიის რაიონი, ლენჯერის სასოფლო საბჭო). ხატის ვერცხლის ზურგზე წარწერილი ლექსი, — ღვთისმშობლის საგალობელი, — ადგილზე ნახეს და შეისწავლეს პროფ. ა. ხახანაშვილმა, პ. კარბელაშვილმა, აკად. ე. თაყაიშვილმა და პ. ინგოროყვამ.

პროფ. ა. ხახანაშვილმა წარწერის ტექსტი ასე ამოიკითხა: „რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი, ჰქვი რაჲ გაბრიელს: ვარ თფლისა მწვევალი გეშენისა სტოუმრე ქოჲყნად მოვალი დაემხო ძალი პირველვე სსხლათა მათრადი ქალწულო მიწსენ ბორენა ჭირმრავალი“²⁷.

შემდეგი პუბლიკაცია ეკუთვნის პ. კარბელაშვილს:

რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი,
ჰრქე რაჲ გაბრიელს, — ვარ თფლისა მხევალი,
მეშინის სტუმრე ქუეყანად მავალი;
დაიმხო ძალი პირველ სისხლადა მათ რალი,
ქალწულო, მიხსენ ბორენა ჭირმრავალი.²⁸

ლექსი გამოაქვეყნა აკად. ე. თაყაიშვილმაც:

რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი,
ჰრქუი რაჲ გაბრიელს: „ვარ თფლისა მწვევალი“.
მაშინ ისტუმრე ქუეყნად მოუვალი,
დაემხო ძალი, პირველვე სისხლ დამთრალი,
ქალწულო, მიწსენ ბორენა ჭირმრავალი.²⁹

უკანასკნელ გამოცემაში, რომელიც პ. ინგოროყვას ეკუთვნის, ეს ლექსი ასე იკითხება:

27 А. Хаханов, Сванетские рукописные евангелия, МАК, X, 1904, დამატება, გვ. 37-38.

28 პ. კარბელაშვილი, სვანეთში ორის კვირით, „ივერია“, 26. VI. 1904, № 148.

29 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 315-316.

რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი,
პრქევი რაჲ გაბრიელს: „ვარ უფლისა მწვევალი“, —
მაშინ ისტუმრე ქვეყანად მოუვალი;
დაემწო ძალი, პირველვე სისხლ-დამთვრალი,
ქალწულო, მიწსენ ბორენა კირ-მრავალი.³⁰

გამომცემელმა მისებურად ამოსხსნა იამბიკოს პოეტური სახეები და ლექსის შინაარსი ასე მოგვაწოდა: „/ შენ, დედაო მარიამ /, რომელმან ევას, პირველ დედას, მიუზღე ვალი; რომელმან პრქევი გაბრიელ მასხარებელს, რომ მე ვარო მხევალი უფლისა; რომელმან ისტუმრე მაშინ ის, ვინც არ მოსულიყო ქვეყნად, — ქრისტე / — რომლის მიერ დაემხო ძალი ბოროტისა, რომელიც პირველითგანვე სისხლით იყო დამთვრალი / მას შემდეგ, რაც ქვეყნად პირველად დაინთხა უმანყო სისხლი კაენის მიერ/; შენ ქალწულო მარიამ მიხსენ მე, ჭირ-მრავალი (მრავალ მწუხარებათა განმცდელი) ბორენა³¹.

დამოწმებული იამბიკო ქართული პოეზიის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. ამიტომ იგი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს³².

³⁰ ხატის წარწერა გადმოუწერია და ბორენას სახელი საკუთრით შეუცვლია მღვდელ ა. ბაქრაძეს 1865 წელს. მისი ჩანაწერი 1964 წელს გამოქვეყნდა (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, II, შედგენილია და დასაბუქდად მომზადებული ე. ნიკოლაძის მიერ, თბ., 1964, გვ. 88).

³¹ პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, წიგნში: თბზულე-ბათა კრებული, I, თბ., 1963, გვ. 686-687.

³² გარდა დასახელებული მეცნიერებისა, ბორენას იამბიკო გამოსცა, აგრეთვე, აკად. კ. კეკელიძემ (იხ. მისი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1941, გვ. 542-543; III, თბ., 1951, გვ. 561; IV, თბ., 1960, გვ. 593). მართალია, მას ხატი და წარწერა არ უნახავს, მაგრამ ხელთ ჰქონდა პროფ. ა. ხახანაშვილის ზემოდასახელებული წერილი, სადაც საჯაროებელი იყო დაბეჭდილი პროზაულად. აკად. კ. კეკელიძის გამოცემის მიხედვით იამბიკოს ტექსტი ორჯერ გამოაქვეყნა პროფ. ს. ყუბანეიშვილმა. (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1947, გვ. 351; ჩვენი საუნჯე, I; 1960, გვ. 498).

რამდენიმე სიტყვა ავტორის ვინაობის შესახებ. თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც კი განიხილავდა ამ ლექსს, მის ავტორად ბორენა დედოფალს მიიჩნევდა. რა საბუთი ჰქონდათ მეცნიერებს ასეთი ვარაუდისათვის? საიდან ჩანს, რომ პოეტი ქალი ბორენა დედოფალია?

პროფ. ა. ხახანაშვილი, — საბუთების წარმოდგენისა და საგანგებო მსჯელობის გარეშე, — ლექსის ავტორად XI საუკუნის მოღვაწე ქალს, ბავრატ მეითსის (1027—1072) მეუღლეს — ბორენა დედოფალს მიიჩნევდა. იგი წერდა: «Быть может названная здесь Борена супруга царя грузинского Баграта IV, дочь Осетинского правителя»³³.

მისგან დამოუკიდებლად ასეთივე აზრი გამოთქვა პ. კარბელაშვილმა. მისი სიტყვით, „სელოვნება ხატის შეჭედლობისა, პალეოგრაფიული ხასიათი ასოებისა და კილო ამ სუთმუხლოვანი იამბიკო-ლექსისა გვაფიქრებინებს, რომ მომჭედი ხატისა არის საქართველოს სამეფო ოჯახის შვილი და არა უგვიანეს XI საუკუნისა“. მკვლევარს „საქართველოს სამეფო ოჯახის შვილად“ „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ბორენა დედოფალი მიაჩნდა³⁴.

ბორენა დედოფლის (XI ს.) ავტორობა შესაძლებლად მიიჩნიეს აკად. ე. თაყაიშვილმა, აკად. კ. კეკელიძემ, პროფ. ს. ყუბანეიშვილმა და სხვა მეცნიერებმა (ბორენა დედოფლად მიიჩნია პ. ინგოროყვამაც. მის მოსაზრებას ცალკე განვიხილავთ), მაგრამ სათანადო საბუთები არავის წარმოუდგენია და საგანგებოდაც არ უმტიციცებია. თითქმის ყველა მკვლევარი უსაბუთოდ მიიჩნევდა ბორენას დედოფლად. რით შეიძლება ავხსნათ ეს მოვლენა?

დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ შეიძლება მას შემდეგი მიზეზი ჰქონდა: 1. როდესაც მეცნიერებმა ბორენას ლექსი იპოვეს და წაიკითხეს, მათ უპირველესად მთავონდათ „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ბორენა

³³ А. Хаханов, Сванетские рукописные евангелия, МАК, X, 1904, ლამატება, გვ. 38.

³⁴ პ. კარბელაშვილი, სვანეთში ორის კვირით, „ივერია“, 26. VI. 1904, № 148.

დედოფალი — მეუღლე ბაგრატ მეოთხისა; 2. სოფ. ნესგუნის ხატზე საგალობლის წაწერა ადვილად აიხსნებოდა, თუ ტექსტის ავტორი დედოფალი იქნებოდა.

განვიხილოთ ორივე შესაძლებელი მიზეზი.

რამდენად აუცილებელია საგალობლის ავტორად ბაგრატ მეოთხის მეუღლის მიჩნევა? განა სხვა ბორენა ცნობილი არაა?.

წყაროებში ბორენა რამდენჯერმე გვხვდება. დავამოწმებთ ზოგიერთ შემთხვევას.

1. „ქართლის ცხოვრების“ იმ მონაკვეთში, რომელსაც „მატიანე ქართლისა“ ეწოდება, აღნიშნულია, რომ „შეირთო ცოლად ბაგრატ მეფემან ბორენა დედოფალი, ოვსთ მეფისა ასული, დაა დორღოლელისა“³⁵.

2. შიომღვიმის ტიბიკონის (XIII ს.) ცნობილ ხელნაწერ-ში (H № 1349) მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის აღიარებულ მოღვაწეთა გვერდით ბორენა დასახელებულია სხვა გამომჩენილ ქართველ მეფე-დედოფლებთან ერთად (ბაგრატ მეოთხე, ვიორგი მეორე, დავით აღმაშენებელი, გურანდუხტ დედოფალი, თამარა...) ³⁶. ჯერ კიდევ თ. ჟორდანიამ აღნიშნა, რომ ეს ბორენა ბაგრატ IV მეუღლეა³⁷.

3. ბორენა დედოფალი, — გამზრდელი ცნობილი კალიგრაფის იოანე დეკანოზისა, — იხსენიება გრიგოლ ჩახრუხაისძის ანდერძში, რომელიც გელათის მონასტრისეულ ხელნაწერს (K № 25) შემოუნახავს³⁸. გრიგოლი ბევრ მკვლე-

³⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 295. იხ. აგრეთვე გვ. 314.

³⁶ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), კ. ქვეყნის საერთო რედაქციით, III, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ქ. შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1948, გვ. 304.

³⁷ ქრონიკები, I, გვ. 145.

³⁸ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, I, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ე. ნიკოლაძის მიერ, თბ., 1953, გვ. 115-116.

ვარს „თამარიანის“ ავტორი, — XII—XIII საუკუნეთა მიჯნის მოღვაწე, — ეგონა. პროფ. ი. ლოლაშვილმა გაარკვია, რომ ანდერძი XIV—XV საუკუნეთა მიჯნისაა, ე. ი. გრიგოლი გვიანდელი სანის მოღვაწეა³⁹. რაც შეეხება ბორენას, არაა გამორიცხული, რომ იგი ბაგრატ IV მეუღლე იყოს.

4. ეგვივე ბორენა დედოფალი უნდა იხსენიებოდეს სინას მთის „სულთა მათიანეში“⁴⁰, აგრეთვე სინას მთის ერთ ხელნაწერში⁴¹, სადაც იგი იერუსალიმის კაპაათის მონასტრის მშენებლადაა დასახელებული⁴².

5. რამდენიმე ბორენა იხსენიება ჯვრის მონასტრის აღაპებში. სახელდობრ, XIII საუკუნის მიწურულში იერუსალიმში მოღვაწე ქალი (აღაპი № 307), მიქ+აელ ოდარიანის მეუღლე (აღაპი № 179, XIII—XIV სს.), აბუსერიძის სიდედერი (აღაპი № 12, XIV ს.), თურგლა ბიჭლაგიანის მეუღლე (აღაპი № 25, XIV ს.), ყვარყვარეს მეუღლე (აღაპი № 273, XIV ს.), ჯავახ აფაქიძის მეუღლე (აღაპი № 19, XIV—XV სს.)⁴³.

მაგალითების მოხმობა კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, საკმარისია. საკამათო არ უნდა იყოს, რომ ბორენა გავრცელებული სახელი იყო ძველ საქართველოში. ასე რომ, ჩვენთვის საინტერესო იამბიკოს ავტორი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც დედოფალი, ისე სხვა მწიგნობარი ქალი.

³⁹ ი. ლოლაშვილი, გრიგოლ ჩახრუხაისძის ვინაობისათვის, „ლიტერატურული საქართველო“, 30. X. 1964, № 44 (1421).

⁴⁰ ი. ჭავჭავაძის შვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 243.

⁴¹ Н. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.-Л., 1940, гв. 264.

⁴² კ. კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში, წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, გვ. 203-204.

⁴³ ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVII სს.), თბ., 1962, გვ. 80-81, 95, 104, 107, 120, 123, 126, 171, 177.

ბორენას დედოფლობა გამორიცხული არ არის, მაგრამ არც აუცილებელია. ეს არ იყო აუცილებელი არც იმისათვის, რომ მისი საგალობელი ხატზე წაეწერათ. ჯერ ერთი, ღვთისმშობლის საგალობელი შეიძლებოდა ღვთისმშობლის ხატზე წაეწერათ მისი შინაარსის გამო განუკითხავად იმისა, ავტორი დედოფალი იყო თუ არა. მეორე, თუ ბორენას ხატის მომჭედვინებლად მივიჩნევდით, მისი დედოფლობა აუცილებელი მაინც არ იქნებოდა. ცნობილია არაერთი ჭედური ძეგლი (იატა, ჯვარი და სხვა.), რომლის წარწერაში იხსენიება ქალი, მაგრამ არა დედოფალი. მაგალითად, მაცხოვრის ხატებში შეგვიქვს — ვერცხლით მოაჭედინეს თამარ ჭილაძემ (XVI—XVII სს.)⁴⁴, ზვიადის დედამ თეონილამ⁴⁵, ანუსია ლაშინიშვილმა (XVII ს.)⁴⁶, ქართველი მანდილოსნების სახელები გვხვდება ღვთისმშობლის ხატზე (მართა), ვერცხლის თასსა (თეოდორა) და მედალიონზე (ელისაბედი) და სხვ.⁴⁷

ამრიგად, არ არსებობს არავითარი მტკიცე მეცნიერული საბუთი იმისათვის, რომ საგალობლის ავტორი ბორენა დედოფლად და კერძოდ — ბაგრატ მეოთხის მეუღლედ მივიჩნიოთ.

საცილობელია იამბიკოს ქრონოლოგიის საკითხებიც; ვასარკვევია ბორენას მოღვაწეობის ხანა, დასადგენია ხატის წარწერის თარიღი.

მკვლევართა ნაწილი (ა. ხახანაშვილი, კ. კეკელიძე, ს. ყუბანეიშვილი და სხვ.) ხატის წარწერის ავტორად მიიჩნევდა ბორენა დედოფალს (XI ს.), მაგრამ არაფერს ამბობდა საკუთრივ წარწერის თარიღზე, ღვთისმშობლის ხატის შექმნის ხანაზე. პ. კარბელაშვილის აზრით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითქოს XI საუკუნეზე მიუთითებს „ხელოვნება ხატის

44 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, თბ., 1914, გვ. 11.

45 იქვე, გვ. 139.

46 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963, გვ. 69.

47 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია: ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 30, 80, 143.

შეკედილობისა და პალეოგრაფიული ხასიათი ასოებისა“. განსხვავებული პოზიცია დაიკავა აკად. ე. თაყაიშვილმა. იგი წერდა: „ხელობა ხატისა, თუმცა ცუდად დაცული, მართლაც შეიძლება მივაწერთ კლასიკურ ხანას, მე-11—12 საუკუნეს. მაგრამ ხასიათი წარწერისა ყოვლად შეუძლებელია მე-11 საუკუნეს ვაკუთნოთ. ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ წარწერა მერმინდელია, შეიძლება ძველიდან გადაწერილი, არა უადრეს მე-16, მე-17 საუკუნისა. ანდა აქ მოხსენიებული ბორენა სხვა პირია და არა ბაგრატ მეოთხის ცოლი“⁴⁸. აკად. გ. წებინაშვილმა სოფ. ნესგუნის ხატი XII—XIII საუკუნეების ძეგლია შორის მოათავსა⁴⁹. საგანგებოდ შეწერდა ხატის წარწერასა და მის ავტორზე პ. ინგოროყვა⁵⁰. წარწერა მან მიიჩნია XIII საუკუნისეულად და ავტორის მოღვაწეობაც ამავე ხანით დაათარილა. მისი დასკვნით, იამბიკოს ავტორი არის ბორენა დედოფალი — მეუღლე ცოტნე დადიანისა, ასული შოთა რუსთველის ძმის — ტბელისა.

როგორც აკად. ალ. ბარამიძე აღნიშნავს, „ბორენა დედოფლის ვინაობის შესახებ პ. ინგოროყვას გამოთქმული აქვს ფრიად საყურადღებო მოსაზრებანი. ზოგი რამ ამ მხრივ საეჭვოა, ზოგიც უბრალო ვარაუდი“. მისივე სიტყვით, პ. ინგოროყვა „საბუთიანად ამტკიცებს, რომ დვთისმშობლის საგალობლის ავტორი უნდა იყოს მე-13 საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწისა და მამულიშვილის ცოტნე დადიანის მეუღლე ბორენა დედოფალი“⁵¹.

განვიხილოთ პ. ინგოროყვას მოსაზრება და ვნახოთ, რამდენად საბუთიანია მისი მტკიცება, რამდენად საფუძვლიანია მისი მსჯელობა, რამდენად დამაჯერებელია მისი დასკვნა.

⁴⁸ იქვე, გვ. 316.

⁴⁹ Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство (Исследование по истории грузинского средневекового искусства). Текст, Т., 1958, გვ. 609; Иллюстрации, Т.; 1959, ტაბ. XIII, გვ. 425.

⁵⁰ პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, წიგნში: თხზულებათა კრებული, I, გვ. 681-685, 736.

⁵¹ ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვას თხზულებათა კრებულის პირველი ტომის გამოქვეყნების გამო, წიგნში: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1964, გვ. 472.

თუ რამდენად აუცილებელია საგალობლის ავტორის დედოფლობა, ზემოთ უკვე ვნახეთ. ამჯერად სხვა საკითხები გვინტერესებს: საიდან ჩანს, რომ ბორენა ჰერეთის ბაგრატიონთა სახლიდანაა, რომ იგი ცოტნეს მეუღლეა, რომ იგი XIII საუკუნის მოღვაწეა?

პ. ინგოროყვას მოსაზრებით, გიორგი მთავარმოწამის ხატა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში, ჰერეთის ბაგრატიონთა კარის ეკლესიაში იყო დასვენებული, შემდეგ მოხვედრილია დასავლეთ საქართველოში, სობის ეკლესიაში, რომელიც ცოტნე დადიანის (1200—1260) ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა. ეს, საფიქრებელია, მოხდა ამ ოჯახების დანათესავების გზით. ჩანს, დადიანთა ოჯახში რძლად მოუყვანიათ ქალი ჰერეთის ბაგრატიონთა ოჯახიდან. ამ ქალს მიუტანია სამეგრელოში გიორგის ხატი. ვანაა ეს ქალი? ქრონოლოგიურ მონაცემთა მიხედვით ის უნდა ყოფილიყო ან და შოთასი და ტბელისა — დედა ცოტნესი, ან ასული ტბელისა — მეუღლე ცოტნესი. რადგან დედა ცოტნესი — ნათელი, მეცნიერის სიტყვით, ოდიშის არისტოკრატიული გვარეულობიდან იყო, მაშასადამე, ჰერეთის ბაგრატიონთა ოჯახის წევრია ცოტნეს მეუღლე — ბორენა დედოფალი.

ამ მოსაზრების დეტალურ განსილვას აქ არ შევუდგებით (სამეცნიერო ლიტერატურაში არა ერთგზის აღინიშნა, რომ პ. ინგოროყვას მსჯელობა შოთა რუსთველზე, ჰერეთის ბაგრატიონთა სახლზე, გიორგი მთავარმოწამის ხატზე და სხვა საკითხებზე, მოკლებულია მყარ მეცნიერულ საფუძველს), დღონდ დავიმოწმებთ აკად. ა. ბარამიძის მართებულ დასკვნას: პ. ინგოროყვას „მონათსრობი შოთა რუსთველის, ტბელისა და ბორენას ნათესაური კავშირის შესახებ ძნელად დასაჯერებელი და მით უფრო ძნელად დასამტკიცებელი მაცდური ვარაუდის სფეროს განეკუთვნება“⁵².

რით მტკიცდება, რომ ბორენა ცოტნე დადიანის მეუღლეა? პ. ინგოროყვა იმოწმებს აკად. ნ. მარის მიერ გამოცემულ ჯვრის მონასტრის „სულთა მათიანეს“, რომელიც, მისივე სიტყვით, „წარმოადგენს გამონაკრებს ალაბთა წიგნები-

დან“. მასში ერთ ადგილას იკითხება: „სულსა ცოტნე დადიანისსა, სულსა ბორენა(მსსა), ღმერთმან შეუნდვენ“⁵³. ეს კი ბ. ინგოროყვასთვის საკმარისია, რომ ბორენა ცოტნეს მეუღლედ მიიჩნიოს.

შეიძლება დამოწმებული სიტყვების მიხედვით დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ ბორენა ცოტნეს მეუღლეა? ერთად ჩსენება ყოველთვის მეუღლეობას ნიშნავს?

ჯვრის მონასტრის ერთ ალაპში იკითხება: „ლაზარობისა შაბათსა წირვაჲ და ალაპი საუკუნოჲ ცოტნესი და ნათელისი, შეუნდვენ ღმერთმან“⁵⁴. ალაპიდან არ ჩანს, თუ რა ნათესაური კავშირია ცოტნესა და ნათელს შორის. სხვა წყაროებით გარკვეულია, რომ ნათელი, — მეუღლე შერგილ დადიანისა, — დედაა ცოტნესი⁵⁵, მაგრამ რომ არ გვექონოდა სხვა წყაროების ჩვენება? ბ. ინგოროყვასეული მეთოდით ხომ შეგვეძლო ამ ალაპით ნათელი ცოტნეს მეუღლედ მიგვეჩნია?

ალაპებში, მართალია, ერთად მეტწილად მეუღლეები ისტენიებიან⁵⁶, მაგრამ გვხვდება მამა-შვილის⁵⁷, დედა-შვილის⁵⁸, ძმების⁵⁹, და-ძმის⁶⁰ ერთად ჩსენებაც. ზოგჯერ ინსებანიება ქალი და ვაცი, მაგრამ არ ჩანს მათი ნათესაური ურთიერთობა⁶¹. სხვა მასალებით ირკვევა, რომ აქ იგულისხმება ზოგჯერ დედა-შვილი (ნათელი და ცოტნე), ზოგჯერ კი

⁵³ ალაპნი ქუარის მონასტრისანი იერუსალემსა შინა, ვამოსცა ნ. მ. ა. ბ. შიან, სპბ., 1914, გვ. XV.LIII.

⁵⁴ ე. მ. ე. ტ. რ. ე. ე. ლ. ი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 73.

⁵⁵ იქვე, გვ. 96, 117, 127-128, 161; ბ. ინგოროყვა, ზუსტოვლიანას ეპილოგი, წიგნში: თხზულებათა კრებული, I, გვ. 682, 721, 723-724, 735-706.

⁵⁶ ე. მ. ე. ტ. რ. ე. ე. ლ. ი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 72-73, 76-77, 81, 83-85 და ა. შ.

⁵⁷ იქვე, გვ. 92, 95.

⁵⁸ იქვე, გვ. 73, 81, 87, 92, 95, 106.

⁵⁹ იქვე, გვ. 103.

⁶⁰ იქვე, გვ. 92, 98.

⁶¹ იქვე, გვ. 73, 79, 85, 101.

ცოლ-ქმარი (ალექსანდრე და ნესტან-დარეჯანი, რუსუღას და თაყა ფანასკერტელები, მარიამ--მაკრინე და ცოტნე დადიანი). ანალოგიური ვითარებაა „სულთა მატთანებშიც“. ჩვენ შევისწავლეთ „სულთა მატთანები“ სინას მთისა⁶² და იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა⁶³. დასახელებულ წყაროებში მეუღლეები ხშირად იხსენიებიან ერთად. ამასთანავე ჭეუღლეობრივი კავშირი მეტწილად საგანგებოდაა აღნიშნული (მეუღლეებად იხსენიებიან, მაგალითად, შერგილ დადიანი და ნათელი, ვამეყ დადიანი და მარეხი, მეფე დავითი და დედოფალი თამარი, კახაბერ ამირეჯიბი და ულუმპია და სხვ.). ამის პარალელურად გვაქვს მრავალი შემთხვევა, როდესაც დასახელებული არიან მოღვაწენი, მაგრამ არ ჩანს, თუ რა ნათესაური კავშირია მათ შორის. მაგალითად, „დავითს შ~ნ ღ~ნ, გულქანს შ~ს ღ~ნ“, „ს~ლსა ელენეს შ~ს ღ~ნ, ს~ლსა თეკლეს შ~ს ღ~ნ, ს~ლსა დავითს შ~ს ღ~ნ, ს~ლსა ნონიკის შ~ს ღ~ნ“, „ს~ლსა ვახანს შ~ს ღ~ნ, ს~ლსა პიმონს შ~ს ღ~ნ“, „გიორგას ძესა აკ~ბს და მშბ~ლთა მისთა შ~ს ღ~ნ, ს~ლსა ირინესა შ~ს ღ~ნ“, „სულსა სვმონს და მშბ~ლთა მისთა შ~ს ღ~ნ, ს~ლსა ირინესა შ~ს ღ~ნ, ს~ლსა საბასა და დედასა მისთა შ~ს ღ~ნ, ს~ლსა ნთ~ლსა შ~ს, „ს~ლსა ნათლ~რისა შ~ს ღ~ნ, ს~ლსა თაშთისა შ~ს ღ~“, „ს~ლსა ბარამისა შ~ს ღ~ნ“⁶⁴.

აღსანიშნავია, რომ ცოტნე დადიანისა და ბორენას ხსენებას ვხვდებით დაზიანებული ხელნაწერის რესტავრირებულ კიდეზე დაწებებულ ფურცელზე, სადაც იკითხება: „სლ~სა ცოტნე დადიანისსა, სლ~სა ბორენა(ასსა) ღ~ნ შ~ნ, დი-

⁶² ი. ჭავჭავაძის შრომა, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 241-251.

⁶³ აღადანი ფურცლის მონასტრისანი იერუსალიმისა შინა, გვ. XXVII—XXVIII.

⁶⁴ ი. ჭავჭავაძის შრომა, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 241, 245-246, 248-249.

მიტრისა შნ~ს ღ~ნ, სლ~სა მიქაელისსა შ~ნ ღ~ნ⁶⁵. როგორც ვხედავთ, აქ არაა არავითარი მისიშნება ცოტნესა და ბორენას მეუღლეობრივ კავშირზე და მაინცდამაინც რატომ უნდა ვივარაუდოთ ასეთი კავშირის არსებობა? ან ეგებ ბორენა დაა ცოტნესი? ცნობილია, რომ ცოტნეს ჰყავდა და, რომელიც გამოსახული იყო სობის ტაძრის კედელზე მშობლებთან და ცოტნესთან ერთად⁶⁶. აქ ისიც უნდა მოვიგონოთ, რომ აკად. ე. თაყაიშვილმა სვანეთში ნახა იოანე ნათლისმცემლის ხატი, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: „წმიდაო იოანე ნათლისმცემელო, მეოხ და მფარველ ექმენ წინაშე ქრისტესა ცოტნეს და ქობულს და ცოტნეს ცოლსა ვანელესა, ამინ“⁶⁷. მკვლევარმა შესაძლებლად სცნო დასახელებული პირების ცოტნე დადიანად, მის მეუღლედ (ვანელე, ვანენე) და ძმად, ნათესავად (ქობული) მიჩნევა, მაგრამ ასეთი ვარაუდისათვის ჭაიმე რეალური დამატებითი საბუთი ვერ წარმოადგინა.

აშრიგად, ცოტნესთან ერთად იხსენიებიათ ბორენა, ნათელი, თეკლა, ვანელე. ყოველთვის ნათელი არაა, ცოტნე სახელგანთქმული გმირი ცოტნე დადიანია, თუ არა. ჩვენს მიერ გამოყენებულ არც ერთ წყაროში არაა კონკრეტულად ნახვენები და მითითებული, თუ რა ნათესაური კავშირი აქვს ცოტნეს ამა თუ იმ ქალთან. ასე რომ, გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია, დღეს ცნობილი მასალებით პოეტი ქალის ბორენას აღიარება ცოტნე დადიანის მეუღლედ შეუძლებლად მიგვაჩნია.

3. ინგოროყვა ბორენას თვლის რა XIII საუკუნის მოღვაწედ, მას აცხადებს არა მხოლოდ ნათესავად შოთა რუსთველისა, არამედ „ვეფხისტყაოსნით“ დავალებულ შემოქმედდაც. ეს ფრიად საგულისხმო საკითხია. თუ მართლაც და-

⁶⁵ ალაპნი: ჭარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა. გვ. XVIII. სხვათა შორის, ვილაც ცოტნე იხსენიება თეკლასთან ერთად (იქვე. გვ. XVII).

⁶⁶ ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, II. გვ. 134.

⁶⁷ ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. გვ. 172.

დასტურდება, რომ ბორენა შიაგონებულა რუსთველის პოეზიით, იგი ვერ მიიხსნევა XIII საუკუნის უწინარესი ხანის პოეტად.

მოვუსმინოთ მკვლევარს: „თუ ჩვენ დავუკვირდებით ბორენას ლექსის ფორმას, ზოგიერთ პოეტურ სახესა და პოეტურ ხერხს, აქ ჩვენ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ შოთას პირდაპირი გავლენა“⁶⁸. ამ ზოგადი განცხადების შემდეგ პ. ინგოროყვა პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებს იამბიკოსა და პოემის დასაწყისზე. „როგორც ჩანს, შემთხვევითი არაა, რომ ბორენას ლექსი იწყება პოეტური სიტყვის თავისებური ზოქცევით: „რომელმან“, ასევე იწყება „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი. შოთა: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა, ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა“, — ე. ი. ღმერთი. ბორენა: „რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი“, ე. ი. ღვთისმშობელი, დედა მარიამ“⁶⁹.

პ. ინგოროყვას მიერ ყურადღების გამახვილება „ვეფხისტყაოსნის“ პირველ სტროფზე ინტერესს მოკლებული არაა, მაგრამ საკითხის გადასაწყვეტად არა გვკონია, რომ საკმარისი იყოს, რადგან მისი პირველადობის დამტკიცებისა და ბორენას მასზე დამოკიდებულების დასადასტურებლად არ გამოდგება. როგორც ცნობილია, რუსთველის პირველ სტროფს ბევრი პარალელი ეძებნება ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიაში. მოვიხმობთ რამდენსამე მაგალითს:

რომელმან სიბრძნით დაპრთნა ცანი უფსკრულთა

და დაფუძნა ქუეყანაა წყალთა ზედა...

რომელმან სიბრძნით დაჰბადა და შექმნა წყალთაგან ქუეყანაა ესე...

რომელმან სიბრძნით დაჰბადა ცანი: მაღალნი ძალითურთ

და შექმნა ქუეყანაა ყოვლით თანა მკვდრითურთ...

⁶⁸ პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, წიგნში: თხზულებათა კრებული, I, გვ. 687.

⁶⁹ ი. ქ. ე.

რომელმან დასაბამსა დაჰბაღნა საღმრთოთა ძალითა...

რომელმან დააფუძნე უფსკრულთა ზედა მტკიცედ სიურცეა
ქუეყანისაა...

რომელმან შეჰლუღენ საზღვარნი ზღუათანი და დაამტკი-
ცენ ძალითა...⁷⁰

მაგალითების მოხმობა კიდევ მრავლად შეიძლება⁷¹.

კარგა ხანია აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ საუბრის დაწყება სიტყვით „რომელმან“ საკმაოდ გავრცელებული და დამკვიდრებული ტრადიცია იყო, მას ბევრი ქართველი ჰიმნოგრაფი მიმართავდა და რუსთველიც ამ ტრადიციით უნდა იყოს შთაგონებული⁷². საკითხავია, ბორენას არ შეეძლო ესარგებლა ძველი ქართული საგალობლების მდიდარი საგანძურით და აეთვისებინა იქედან ზოგიერთი ტრადიციული ფორმა თუ ხერხი?

პ. ინგოროყვა ხშირად შენიშნავს, რომ ბორენა „არტისტულად ფლობდა რითმას“, რაც მისი „მაღალი პოეტური კულტურის მაჩვენებელია“. მეცნიერის სიტყვით, „შოთას პოეტური სამყარო ორგანულად შეთვისებულია ბორენას მიერ და შოთას რითმის პულსაცია ბუნებრივად იღვრება ბორენას სტრიქონებში“. ნათქვამის საილუსტრაციოდ ბორენას რითმები დაკავშირებულია შოთასთან (ვალი — ვალი; მოუვალი — წარმავალი, მომავალი; დამთრვალი — მთრვალი, არამთრვალი; ჭირ-მრაფალი — მრაგალი, არ-მრავალი)⁷³.

⁷⁰ პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, I, თბ., 1913, გვ.ია, როზ, სეგ, ტად, უზ.

⁷¹ ბევრი ანალოგიური ფრაზა გვხვდება პ. ინგოროყვას წიგნში: „გოთორგი შერჩეულე“ (თბ., 1954, გვ. 665, 677, 679, 683, 603, 076, 079 და შპდ.).

⁷² გ. იმედაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ პარალელები შეათე საუუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში, „ლიტერატურული ძიებანი“, II, 1944, გვ. 199-204; მისივე, „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კელტურა, თბ., 1968, გვ. 368.

⁷³ პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, წიგნში: თხზულება-თა კრებული, I, გვ. 687-689.

რამდენადაც მართებულია მსჯელობა ბორენას პოეტურ ესტატიკაზე, იმდენად ნაძალადევი და არადამაჯერებელია მისი რითმების წყაროდ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცხადება. ამასთანავე, თუნდაც რომ სიმართლეს შეიცავდეს პ. ინგოროყვას ვარაუდი (რაც ჩვენ ძალიან გვეჭკვება) და ბორენა „ვეფხისტყაოსნით“ დავალებული და შთაგონებული იყოს, ეს მაინც არ მოწმობს ბორენასა და შოთა რუსთველის ნათესაურ კავშირს⁷⁴.

ჩვენ არ ვთვლით ბორენას „ვეფხისტყაოსნით“ დავალებულ შემოქმედად. შესაძლებელია, მისი იამბიკო წინაც კი უსწრებდა რუსთველის უკვდავ ჳმნილებას. თუ გავითვალისწინებთ სპეციალისტთა დაკვირვებას ხატის ჳედურობაზე, თვით იამბიკოს ფორმას (იამბიკო ხუთეული), რომლის სათავეები XI ს. ბოლოსა და XII საუკუნის დამდეგზე ადრე არ უნდა ვეძიოთ, მეცნიერთა დაკვირვებას ასოთა პალეოგრაფიულ მოხაზულობაზე, ბორენას მოღვაწეობის ხანად ზოგადად XI—XIII საუკუნეები უნდა მივიჩნიოთ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იამბიკოს ავტორი უფრო ბაგრატ IV-ის მეუღლეა (საყურადღებოა, რომ ეს უკანასკნელი დიდ ინტერესს იჩენდა საეკლესიო ცხოვრებისადმი). კონკრეტულად ეინ იყო ბორენა, ამის გადასაწყვეტად არსებული ცნობები საკმარისი არაა.

რამდენივე სიტყვა საგალობელზე.

ბორენას საგალობელი ხუთმუხლოვან იამბიკოს წარმოადგენს. მან ადრევე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება და შესაფერისი შეფასებაც დაიმსახურა. ჯერ კიდევ პ. კარბელა-

⁷⁴ პ. როფ. ს. კაკაბაძე არ დაყენარებდა არც ძველ ვარაუდს იამბიკოს ავტორის ბაგრატ მეოთხის მეუღლეობის შესახებ და არც პ. ინგოროყვას მოსაზრებას პოეტ ბორენას ოდიშის დედოფლობის (ცოტნეს მეუღლეობის) შესახებ. მისი აზრით, პოეტი ქალი ბორენა არის XIII—XIV საუკუნეთა მოწინის მოღვაწე, მეუღლე თურგლა ბიჭლაგიანისა (ს. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1966, გვ. 248, 296-298, 315). პატივცემული მეცნიერის მსჯელობა იმდენად არადამაჯერებელი და უსაფუძვლოა, რომ მასზე საგანგებო შეჩერება აუცილებლობად არ მივიჩნიეთ.

შვილმა უწოდა მას „მშვენიერი იამბიკო“. აკად. ა. პარამიძის აზრითაც, იგი „საუცხოო, ჩინებული იამბიკური ლექსია“. მასში „მაღალი ჭეშმარიტი პოეზიაა“ (პ. ინგოროყვა).

როგორც ცნობილია, იამბიკოები ძველ საქართველოში ადრეულ ხანაშივე იწერებოდა. რითმა სავალდებულო არ იყო, მაგრამ იშვიათად ისიც ჩანდა. რითმის ჩანახაზს ვხვდებით X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფების სავალდებულო (მიქაელ მოდრეკილი, სტეფანე სანანოიძე, იოანე მტბევა-რი)⁷⁵. მოუსვდავად ამისა, იამბიკური პოეზია დამძიმებული იყო არქაული სინტაქსითა და ხელოვნური ინტონაციით, რაც მისი გავრცელების არეს ზღუდავდა⁷⁶. შემდგომ ხანაში სასულიერო-საეკლესიო მწერლობის წიაღში, — ხალხური პოეზიის ცხოველმყოფელი გავლენით; — შეიჭრა რითმა, რომელიც პირველად გვხვდება დიმიტრი პირველისა (1125—1156) და ბორენას ლექსებში. მათი იამბიკოებისათვის დამახასიათებელია მეტრული სისუფთავე, აქცენტური მხარის კრისტალიზაცია, ნამდვილი რითმა⁷⁷.

თამარ ბაბრათიონი

დავით აღმაშენებლის (1089—1125) მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა საყოველთაოდ ცნობილია. მან, — როგორც შემოქმედმა და მეცენატმა, — ფრიად საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქართული კულტურის ისტორიაში. ლიტერატურული საქმიანობით დაინტერესებული ყოფილა მისი მემკვიდრე დიმიტრი პირველიც (1125—1154), რომლის ლექსს („შენ ხარ ვენაჯი, ახლად აღყვავებული“) დღესაც მღერის ჩვენი ხალხი. როგორც ირკვევა, მწიგნობრობისაგან

⁷⁵ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 14, გვ. 592.
⁷⁶ ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953, გვ. 212.
⁷⁷ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 14, გვ. 592-593; ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, გვ. 197, 211-212.

შორს არ ყოფილა დავით აღმაშენებლის ასული თამარიც.

ამ მანდილოსნის შესახებ მცირე ბიოგრაფიული ცნობები მოგვეპოვება. იგი იყო შვილი დავით აღმაშენებლისა და გურანდუხტ დედოფლისა⁷⁸. 1116 წელს დავითს თავისი ასული შირვანის შაჰისათვის მიუთხოვებია. ეს უკანასკნელი ყოფილა სახელად ახისტანი, ანუ ქართულად ახსართანი (1106—1136)⁷⁹. კმრის სიკვდილის შემდეგ თამარი სამშოპლოში დაბრუნებულა. 1152 წელს მას მონასტერი აუშენებია თიღვაში (ზნაურის რაიონი), სადაც მონაზვნად შემდგარა. როდის გარდაიცვალა თამარი, დანამდვილებით არ ვიცით. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის ცნობით, მას ღიდხანს აღარ უცოცხლია თავისი ძმის დიმიტრის სიკვდილის შემდეგ და იმავე წელს (1155 წ.) გარდაცვლილა⁸⁰. ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, თამარი ცოცხალი ჩანს 1163 წელსაც⁸¹.

როგორც ჩანს, ეს მშვენიერი მანდილოსანი (მემატიანე მას უწოდებს მნათობს, მზეს⁸²) შეძლებისდაგვარად ბაძავდა თავის მამასა და ძმას; თამარისეულადაა მიჩნეული ის იამბიკო, რომელიც შემორჩენილია თიღვის ტაძრის წარწერაში, პატრინიკეს შესასვლელი კარის ზევით⁸³.

თიღვის მონასტერი, ისე როგორც არა ერთი ჯა ორი ძველი ქართული კულტურისა, მოგზაურთა და მკვლევართა ყურადღების ცენტრში ყოფილა ჯერ კიდევ ვასელ საუკუნეში.

პ. უვაროვამ, იმოგზაურა რა თითქმის მთელ კავკასიაში, მოგვცა თიღვის მონასტრის დაწვრილებითი აღწერილობა,

⁷⁸ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, I, თბ., 1892, გვ. 242.

⁷⁹ კ. კეკელიძე, კომენტარები „თამარიანის“ ზოგიერთი ტაეპისა, წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1955, გვ. 35.

⁸⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 366.

⁸¹ ქრონიკები, I, გვ. 255.

⁸² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 334.

⁸³ ლ. რჩეულიშვილი, თიღვა, თბ., 1960, გვ. 35.

⁸⁴ П. Уварова, — Путевые заметки, III, М., 1904, გვ. 81—86.

ბა⁸⁴. მოგზაურს თიღვის მონასტრის წარწერაც შეუნიშნავს, მაგრამ მის რაობასა და შინაარსზე არ შეჩერებულა⁸⁵.

მკვლევართა ნაწილი საგანგებოდ დაინტერესდა წარწერის შინაარსით. ამ საქმეში პრიორიტეტი ეკუთვნის გამოჩენილ ფრანგ ქართველოლოგს მ. ბროსეს, რომელმაც 1851 წელს გამოაქვეყნა ეს წარწერა⁸⁶.

თიღვის მონასტრის წარწერა „ტიმპანის შუაში, ჯვრის გამოსახულებიანი მედალიონის წყალობით, ორად იყოფა და რკითხება ორ სვეტად“⁸⁷. ეს პრინციპია დაცული მ. ბროსეს მიერ გამოქვეყნებული წარწერის ტექსტში, რომელიც დ. მეღვინეთ-უხუცესის გადმონაწერს ეყრდნობა. მხედრული ანბანით ეს გადმონაწერი ასე წარმოგვიდგება:

მარცხენა სვეტი:

მნ ლბ

მნ რა აქა

სა სფლის მნ

სხ ისა მიღს დწყ

ბა ყფდისა მქმ

დებთა მნ ზა ქრ

მარჯვენა სვეტი:

ამისა

ქს ღოთა

რესა მერთ

ესა მს შმწ მე

ქმენ მსახურსა

შენსა თამარს.⁸⁸

გადმონაწერის ზოგიერთი სიტყვა ვასაგებია: „მნ“ (მან), „რა“ (რაა), „აქა“, „სფლის“ (სოფლის) და ა. შ., ნათელია და განმარტებას არ საჭიროებს მარჯვენა სვეტის უკანასკნელი სამი სტრიქონი. მაგრამ გაუგებარია, რას ნიშნავს „ლბ“ (მარცხენა სვეტის პირველ სტრიქონში), „რესა“, „მერთ“ (მარჯვენა სვეტის მესამე სტრიქონში). როგორც ჩანს, ტექ-

⁸⁵ იქვე, გვ. 81-82.

⁸⁶ M. Brossel, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, III livre, Rapport VI, St. P., 1851, გვ. 105-107.

⁸⁷ ლ. რჩეულიშვილი, თიღვა, გვ. 35.

⁸⁸ M. Brossel, Rapport VI, გვ. 106.

სტი ნაკლულად იყო გადმოღებული⁸⁹ და ამიტომ ვერ შეძლო მ. ბროსემ წარწერის შინაარსში გარკვევა. მას მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ამოუკითხავს: „შენ ზედა ჯვარცმულისა ქრისტეს ღვთისათა“ და „მსახურსა შენსა თამარს“⁹⁰.

მ. ბროსეს წაკითხვის შესწორება ასე სცადა თ. ჟორდანიამ: „მონებულმან რა(?) აქაჲსა სოფლისამან სხლისა მოთასა(?) დაწყება ყოფდის(?) მოქმედებითა შენ ზედა ჯვარცმულისა ქრისტეს ღვთისათა, რომლისა (რომლისა) მერთ (მიერ?) ჟამსა მას შემწე მექმენ მსახურსა შენსა თამარს“⁹¹.

ასეთი წაკითხვით ტექსტი გაუგებარია, შინაარსის გამოტანა ძნელდება. ამას თვით მკვლევარიც გრძნობდა და მიზეზად ასახელებდა მ. ბროსეს მიერ ტექსტის არასწორად, ნაკლულად გადმოღებას⁹².

1960 წელს თიღვის მონასტრის წარწერა დაზუსტებული სახით გამოქვეყნდა⁹³; ლ. რჩეულიშვილის გადმონაწერში აკად. ა. შანიძემ აღმოაჩინა ლექსის — იამბიკოს წყობა და წარწერის ტექსტი ასე წარმოგვიდგინა:

ქმნილებამან რაჲ აქაჲს სოფლისამან
სხუსაჲ მიიღოს დაწყება ყოფადისაჲ
მოქმედებითა შენს ზედა ჯვარცმულისა
ქრისტეს ღმრთისათა, რომლისა მიმართ ჟამსა
მას შემწე მექმენ მსახურსა შენსა თამარს.⁹⁴

ეს იამბიკო მონაზონი ქალის ვედრებაა იესო ქრისტესადმი: ჯვარცმულ ქრისტევ! როდესაც ამქვეყნიური ქმნილება (შე თამარი) შევემზადო სამუდამო სამყოფელს დასა-

⁸⁹ ქრონიკები, I, გვ. 255.

⁹⁰ M. Brosset, Rapport VI, გვ. 106.

⁹¹ ქრონიკები, I, გვ. 255.

⁹² იქვე.

⁹³ ლ. რჩეულიშვილი, თიღვა, გვ. 35.

⁹⁴ იქვე; გვ. 38. 1953 წელს თამარის წარწერა გადმოიღო პროფ. ი. მეგრელიძემ (იხ. მისი ლიახვის ხეობის წარწერები და სხვა სიძეულენი, XIII, „მაცნე“, 1971, № 4, გვ. 94).

მკვიდრებლად, შენი მოქმედების, ნების შედეგად „ჟამსა მას“ (განკითხვის ჟამს) შემწე მექმენ შენს მსახურს თამარს.

იამბიკოს შინაარსს სრულად შეესატყვისება მონასტრის შინაგანი კომპოზიცია; ტაძარი აგებულია „არა საზღიძო, საეკლესიო ცერემონიებისათვის, არამედ უფრო მოკრძალებული ამოცანებისათვის, სავედრებლად ქრისტეს ჯვრის წინაშე, რათა საიქიო ცხოვრებაში იგი შემწე ექმნეს „მსახურსა... თამარს“. ე. ი. ერთგვარად ასახულია ის სულიერი განწყობა, რომლითად შეპყრობილი იყო თვით ქტიტორი“⁹⁵.

თამარ ბაგრატიონი XII საუკუნის მოღვაწეა. ეს კი ის პერიოდია, როდესაც ქართულმა კულტურამ და, კერძოდ, ლიტერატურამ განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. XII საუკუნე კლასიკური ლექსის აღმავლობის ხანაცაა. ამ პერიოდში პოეზიის არა ერთი და ორი ბრწყინვალე ნიმუში შეიქმნა. თამარ ბაგრატიონის იამბიკოს, — რომლითაც მასი ავტორი ერთ-ერთ პირველ შემოქმედად გვევლინება ქართველ მწიგნობარ ქალთა შორის, — ამ საუკუნის მნიშვნელოვანი შენაძენია. საყურადღებოა ლექსის მეოთხე სტრიქონი: „შემწე მექმენ მსახურსა შენსა თამარს“. ასეთი მიმართვა ღვთისადმი დამასახიანებელი იყო არა მარტო სასულიერო პოეზიისათვის, არამედ საერთოდ სასულიერო ლიტერატურისათვის. ქართულმა სელნაწერებმა შემოგვინანეს მრავალი ანალოგიური ანდერძ-მინაწერი ძველი ქართველი მწიგნობრებისა⁹⁶.

შემოდამოწმებული სტრიქონი ამოსავალია მეცნიერთათვის, როდესაც იამბიკოს ავტორად თამარ ბაგრატიონს მიიჩნევენ, ხოლო თიღვის მონასტრის აშენების თარიღად — XII საუკუნეს.

თამარ ბაგრატიონის მონაზვნობა გამონაკლისი ფაქტი არ არის ჩვენი ისტორიისათვის. ქართველი დედოფლები ხშირად აშენებდნენ ეკლესია-მონასტრებს, სადაც ზოგჯერ სიცოცხლის ბოლო წლებსაც ატარებდნენ (მაგ. თინათინ დედოფალი — ლევან კახთა მეფის მეუღლე, მუხრანბატონის

⁹⁵ ლ. რჩეულიშვილი, თიღვა, გვ. 99.

⁹⁶ Q № 91, გვ. 191; A № 306, 53r; A № 382, 138r და ა. შ.

ასული დედისიმედი — ტაიხოსრო ათაბაგის მეუღლე და სხვ.).

საქართველოს ისტორიაში უხვად მოიპოვება მასალები, რომლებიც მეტყველებენ დავით აღმაშენებლისა და მისი ოჯახის მაღალ ინტელიქტზე. ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია მრავალი შემოსვენვა, როდესაც ერთმა ოჯახმა რამდენიმე პიეტი წარმოშვა. ამიტომ სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ დამიტრი მეფის დას პოეტური ინტერესები ჰქონოდა. საფაერებელია, რომ თამარს ჰქონდა სხვა პოეტური ქმნილებები, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

მანა მახატლის ასული

ამ მანდილოსნის სახელი შემოგვინახა ერთმა ოთხთავმა (A № 516), რომელიც, — თ. ჟორდანიას აზრით, — გადაწერილია XII საუკუნის ბოლოს. ხელნაწერი შესრულებულია ნუსხურით.

მანა რომ ქართული სახელია, ეს წყაროებში დადასტურებულია⁹⁷, მაგრამ „დეუფალთ-დეუფლის“ მანას შესახებ ძალიან მცირე ცნობები მოგვეპოვება. აღნიშნული ხელნაწერის ერთ-ერთი მინაწერი გვატყობინებს, რომ ოთხთავის რომგებელი მანა (მანია) ყოფილა მახატლის ძის ივანეს ასული, გლონისთავის ძის სარგისის მეუღლე: „მოვიგე წმიდაჲ ესე სულთა განმანათლებელი ოთხთავი მანამან, მახატლის ძისა ივანეს ასულმან და გლონისთავის ძისა სარგისის ცოლმან, ჩემისა სულისა სალოცავად, რათა თვთ იგი წმიდაჲ დედაჲ ღმრთისაჲ შემწე და ხელის ამპყრობელ მექმნას“⁹⁸.

⁹⁷ გ. ლონიძე, ქართული სახელები, „ლიტერატურული გაზეთი“, 17. III. 1961, № 12 (1234). იხ. აგრეთვე ა. ლონტი, ქართველური სახელები, თბ., 1967, გვ. 189.

⁹⁸ A № 516, გვ. 316; Описание рукописей Тифлиского церковного музея, составленное Ф. Жордания, II, Т., 1902, გვ. 66.

ანდერძის მისხედვით ოთხთავის გადამწერია ვინმე იაკობი: „სრულ იქმნა ღირსებისა და გულმოდგინებისა მათისა-ებრ დეუფალთ-დეუფლისა მანაძსა, რომლისა ზრძანებისა სორწილებსათა ხელყვაჲ წმიდისა ამის ოთხთავისა და მოვაზს-სენე მე უღირსმან იაკობ“⁹⁹.

დამატებითი ცნობების შემცველი მინაწერები ხელნაწერს არ მოეპოვება. მხოლოდ ერთგან (A № 516, გვ. 314) ვკითხულობთ: „დედუფალთ-დედუფლისა მანასი“ და იქვე არშიაზე მხედრულით — „მანასა 15 წელსა“. ძნელია თქმა, მანა იყო ამ ასაკისა, თუ აქ რომელიღაც თარიღის ბოლო ორი რიცხვი შემოგვრჩა.

ჩვენის აზრით, მანა დედოფლის უახლოესი წინაპრები უნდა იყვნენ „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული, თამარ მეფის კარზე საკმაოდ დაწინაურებული მახატლისძენი¹⁰⁰. ცნობილია ხორნაბუჯის ციხის პატრონი საღირ მახატლის ძე, რომელსაც არა ერთხელ უსახელებია თავი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში¹⁰¹. ხორნაბუჯის ციხე XIII საუკუნემდე გადმოუღალავ კედლად უდგა განჯის მხრიდან მომხდურ მტერს¹⁰². XIII საუკუნეში ციხე დაუნგრევია მონგოლთა მთავარ ბერქას¹⁰³. ალბათ, ამ საუკუნის ბოლოს, ციხის განადგურების შემდეგ, ჩაესვენა მახატლის ძეთა დიდების მზე-შემდეგ საუკუნეებში მახატლისძეთა შესახებ ცნობები აღარ მოგვეპოვება.

მაღალ ფეოდალურ ფენას ეკუთვნოდნენ XII საუკუნეში ცნობილი გლონისთავისძენიც. საკმარისია გავიხსენოთ თამარის მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი ანტონ გლონისთავისძე.

⁹⁹ A № 516, გვ. 316; Описание рукописей (A), II, გვ. 66—67.

¹⁰⁰ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 55.

¹⁰¹ იქვე. გვ. 61. იხ. აგრეთვე ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 263.

¹⁰² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 357.

¹⁰³ მ. ჯანაშვილი, ბოროტი ბებერი, „სახალხო ფურცელი“, 16. IV. 1915, № 259.

თამარ მეფე

თამარი საქართველოში მეფობდა 1184—1213 წლებში. მასში შეერთებული იყო ქალის მომხიბლავი მშვენიერება და ვაჟკაცური მამაცობა, სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე და უმანკო, ყოვლად მოწყალე განურისხვებელი გული¹⁰⁴.

თამარის მეფობის დროს საქართველომ უდიდეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძლიერებას მიაღწია; ჩვენი ქვეყანა გაფართოვდა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ჩრდილო კავკასიიდან სპარსეთის საზღვრებამდე. ეს ფაქტი შესანიშნავად აღწერეს თამარის დროინდელმა ისტორიკოსებმაც. არა ერთმა და ორმა პოეტმა უმღერა თამარს — ქართლის დედასა და მისი დროის დიდებულ საქართველოს¹⁰⁵; „თამარი ხომ ნამდვილი იუზა იყო ქართული პოეზიისა“¹⁰⁶.

რაკი საქართველო გარეშე მტერთაგან მიუწვდომელი და მიუვალი იყო, ხოლო შინაური მტერი ალაგმული და დამორჩილებული, სახელმწიფოს ეკონომიკური და კულტურული აღმავლობისათვის დროც ჰქონდა და პირობებიც.

თამარის დროს გაყვანილი იქნა მრავალი გზა, ვაცხოველდა სავაჭრო ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან, აშენდა ახალი ეკლესიები და მონასტრები; მემატინე წერს, რომ თამარი ყოფილა „ეკლესიათა და მონაზონთა მოყუარე, გლახკთა და მოწივართა განმკითხველი“¹⁰⁷. თამარი არ ერიდებოდა ფიზიკურ შრომას და „რაჟამს მოიცალის მარტობით ყოფად, მყის აღიღის სასთუელი, გინა საკერავი, და ნაშრომსა მას თვსთა ჭელთასა ხუცესთა და გლახაკთა განუყოფნდის თვსითა ჭელითა“¹⁰⁸.

104 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 294.

105 შავთელი, ჩახრუხაძე, შოთა რუსთველი, გ. ორბელიანი, ილია, აკაკი და სხვ.

106 პ. ინგოროყვა, თამარ მეფის იამბიკონნი, „მნათობი“, 1941, № 3, გვ. 150.

107 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 368.

108 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 147.

თამარის დროს განვითარების უმაღლეს მწვერვალს მი-
აღწია საერო-მხატვრულმა ლიტერატურამ; „მისი გამუდმე-
ბული ზრუნვისა და რუდუნების შედეგად ქართული ეკლესია
აღმავლობის გზას დაადგა და განმტკიცდა, ქართულმა სასუ-
ლიერო-საეკლესიო მწერლობამ ახალ წარმატებებს მიაღ-
წია“¹⁰⁹.

თამარი ენერგიულად იღვწოდა განათლებისა და მწიგ-
ნობრობის აყვავებისათვის, მის კარზე მოღვაწეობდა მრავა-
ლი ნიჭიერი მწერალი. თამარი ყოფილა გულუსვი მეცენატი
და მწერლობის დიდი მეგობარი. მის მეცენატობაზე მჭევრ-
მეტყველურად ლაპარაკობს თუნდაც ის გარემოება, რომ მი-
სი სასახლე გადაიქცა მწერლებისა და მეცნიერების სამდვილ
საერთო საცხოვრებლად¹¹⁰. აღსანიშნავია, რომ თამარი არა
მარტო საქართველოში მფარველობდა მეცნიერულ-საგანმა-
ნათლებლო დაწესებულებებს, არამედ უხვ შეწირულებას
უგზავნიდა აგრეთვე საზღვარგარეთულ ქართულ ლიტერა-
ტურულ-სამწიგნობრო ცენტრებს¹¹¹.

თამარის ხანამ დიდი ლიტერატურული განძი დაგვიტო-
ვა. საკმარისია მივივოსნოთ შოთა რუსთველის უკვდავი ქმნი-
ლება „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც წითელი ზოლივითა
გასდევს თამარის შთამავონებელი სილამაზე, გონიერება,
სისპეტაკე. თამარმა ააქმევინა დიდ მგოსანს — „ლეკვი ლო-
მისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

მკვლევარნი ფიქრობენ, რომ ამ განათლებულ, ნიჭიერ
ქალს, ახლო ურთიერთობაში მყოფს დიდ შემოქმედებთან,
შეიძლებოდა ჰქონოდა თავისი საკუთარი ლიტერატურული
მემკვიდრეობაც. მართალია, დამაჯერებელი ცნობები თამა-
რის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ ჯერ არ მო-
გვეპოვება, იგი ბურუსითაა მოცული და ჩვენი მეცნიერების

¹⁰⁹ ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტომი I,
ნაკვეთი I, თბ., 1962, გვ. 141.

¹¹⁰ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II⁴, თბ.,
1958, გვ. 35.

¹¹¹ იქვე.

კვლევა-ძიების საგნად რჩება, მაგრამ თამარის უშუალო მონაწილეობა ლიტერატურულ ცხოვრებაში გამოირიცხული არ უნდა იყოს.

3. ინგოროყვამ თამარისეულად გამოაცხადა - 6 იამბიკო. მათგან ორი ადრეც იყო გამოცემული, ხოლო ოთხი მეცნიერმა იპოვა XV საუკუნის ხელნაწერში (K № 564) და ტექსტი და თარგმანი — კომენტარი 1941 წელს მიაწოდა მკილხველ საზოგადოებრიობას¹¹². მისი სიტყვით, „თამარის ჩვენ დრომდე მოღწეული იამბიკოები სამ წყებად იყოფა:

1. იამბიკონთა ჯგუფი „მზის შარავანდნი“;
2. მიძღვნა დედისა და ძისადმი;
3. იამბიკონი სავედრებელი — ქართველთა შამქორს გამარჯვებისათვის“¹¹³.

ვიკლში „მზის შარავანდნი“ გაერთიანებულია 4 იამბიკო:

1. „იამბიკო მარიამ მეგვბტელისა“;
2. „გიორგისი“ (კაბადუკიელისა);
3. „თევდორესი“ (ტირონისა);
4. „თამარისი“.

3. ინგოროყვამ გამოაქვეყნა იამბიკოების ტექსტი და თარგმანი-კომენტარი; არ შევეუდგებით იმის განხილვას, თუ რამდენად ზუსტია თარგმანი-კომენტარი; არც იმაზე შევიჩინებთ, თუ რამდენად დამაჯერებლადაა ნაჩვენები მეცნიერის გამოკვლევაში ამ იამბიკოთა კავშირურთიერთობა XII—XIII საუკუნეების ქართულ აზროვნებასთან. ამჯერად ჩვენთვის ეს არაა მთავარი. მთავარი და მნიშვნელოვანი ავტორის ვინაობის დადგენაა.

3. ინგოროყვა ყველა დამოწმებულ იამბიკოს თამარს მიაწერს. მართალია, მეოთხე იამბიკოს აწერია „თამარისი“, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს არაა საკმარისი ოთხივე იამბიკოს ავტორად თამარის მიჩნევისათვის. „თამარისი“ შეიძლება ნიშნავდეს თამარისადმი მიძღვნილს, თამარის შესახებ დაწე-

¹¹² 3. ინგოროყვა, თამარ მეფის იამბიკონი, „მნათობი“, 1941, 143, გვ. 115-153.

¹¹³ იქვე, გვ. 128.

რილს, მის სადიდებლად შეესხზულს. ასეთი იამბიკო კი შე-
იძლებოდა დაეწერა თამარის ხანის რომელიმე ქართველ
მოდვარს. შემდეგ: თუნდაც რომ მეოთხე იამბიკო თამარისა
ცოცხალს, წინა სამი რად უნდა მიეკუთვნოს მეფე-ქალს?

განცხადება: ეს „იამბიკო წარმოადგენს ამ ციკლის ეპი-
ლოგს“ (პ. ინგოროყვა) — მართებულად არ გვეწვევება. თუ
მეცნიერის მიერ შემოთავაზებული მეთოდით ვისხელმძღვ-
ნელებთ, ცალკეულ იამბიკოთა ავტორებად უნდა მივიჩნიოთ
მარიამი, ვიორგია და იუვდორე, რაც, რასაკვირველია, საესე-
ბით გამორიცხულია¹¹⁴.

პ. ინგოროყვამ თამარს მიაწერა ის იამბიკო, რომელსაც
თვით უწოდა „მიძღვნა დედისა და ძისადმი“. 1193 წელს ია-
მარმა შვა პირმშო, საქართველოს მემკვიდრე ლაშა-გიორგი.
გახარებულმა დედამ შეამკო ხახულის ხატი ღვთისმშობლი-
სა და შეესხზაო იამბიკო:

1. ქალწულებრივთა

სისხლთა შენთაგან სძალო,

2. თბელ საიდუმლოდ, ზენაჲს განგებისად,

3. ძისა ღმრთისა — ძედ

მეშე იქმენ არსთა მცხოვნად.

4. მე, თამარ, მჩენი

ტომთაგან დავითებრთად

5. თვისად. — შემამკეე,

მაჯიდე. აღმამალდე.

6. აწ მეცა ხელ-ვეყე

შემკობად ხატსა თქვენსა, —

7. დედისა ძითურთ.

ლა მეცა, ძითურთ მფარევედ.

დამოწმებული იამბიკო გვხვდება XIX საუკუნის რამდენ-
სამე ხელნაწერში (მაგალითად, S №№ 3686, 3725 და სხვ.)
ასეთი შენიშვნით: „იამბიკო ესე, თქმული რუსთაველისა მი-

¹¹⁴ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II4, გვ. 283,
წვ. 76.

ერ, ზედწაწერილ არს ხატსა ზედა ხახულისა ღმრთისმშობე-
ლისასა“¹¹⁵. ასეთივე შენიშვნით გამოაქვეყნა პროფ. დ. ჩუ-
ბინაშვილმა¹¹⁶. ბესიკის ძმის, ცნობილი მწიგნობრის ოსკ
გაბაშვილის მიერ XVIII საუკუნეში დამზადებულ ერთ კრე-
ბულს (H № 2955) მინაწერის სახით შემოუნახავს იამბიკო
ასეთი შენიშვნით: „ხახულის ღმრთისმშობლის ხატი იამარ
მეფეს უცხოდ მოუჭედინებია უცხოს თვლითა და მარგალი-
ტითა და ზედ ეს იამბიკო (!) დაუწერინებია. გაენათს ვიხი-
ლეთ“¹¹⁷.

ბ. ინვოროცვამ თამარს მიაკუთვნა კიდევ ერთი ზღაპრად-
ლი ლექსი, რომელიც გვხვდება საისტორიო წყაროში („ის-
ტორიანი და აზმანი შარეჲნდელთანი“). მემატიანის ცნობით,
შამქორის ბრძოლაში (1195 წ.) საბელოვანი გ. მარჯუების
შემდეგ „იქნა თამარისა შეწყალება, რომლისათვის დროშა
იგი ხალიფასი, რომელსა მოიღო შალვა ახალციხელმან, წარ-
გზვნა ესე მონასტერსა დიდსა წინაშე ხახულისა ღმრთის-
მშობლისასა... მიზეზად ძღუნისა შემწირველობისასა და
მვედრებელობისა... ესევეითარად ესე იამბიკო ხუთეული ოც-
დახუთ ლექსად აღწერა.

¹¹⁵ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შო-
რის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, V,
შედგენის და დასაბუქდად მოამზადეს თ. ბ. ევაძემ. თ. ვნუქიძემ, ლ. კი-
ნაძემ. მ. შანიძემ და ც. ქანკიევმა. ე. მეტრეველის რედაქციით. თბ., 1967,
გვ. 175, 260.

¹¹⁶ ქართული ქრესტომატია ანუ გამოკრებილი ადგილები ქართულ-
თა წერილთაგან დ. ჩუბინოვის მიერ, II, სპბ., 1846, გვ. 224. იხ.
აგრეთვე მ. ჭანაშვილი, უკვდავთა ღაღადებანი, თბ., 1900, გვ. 100-
101.

¹¹⁷ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღ-
წერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების
ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), VI, შედგენილია და
დასაბუქდად მოამზადებული ნ. კასრაძის, ე. მეტრეველის, ლ. მეფარიშვი-
ლის, ლ. ქეთათელაძისა და ქ. შარაშიძის მიერ. ა. ბარაშიძის რედაქციით,
თბ., 1953, გვ. 299.

ცათა ცათასა დამწყებ არს ღმერთ-მთავრობა.

ბე საუკუნობს პირველადი და კუალადი...

შენდა შეეწირავ (მოიხე ძეგბრ, ღმერთო).¹¹⁸

ციტირებული იამბიკო, — გარდა დასახელებული საისტორიო წყაროს შემცველი ხელნაწერებისა, — ვხვდებთ XVIII—XIX საუკუნეების მრავალ ხელნაწერში (S №№ 1470, 1535, 3684, 3725, 3726; H №№ 934, 1735; K №46; A №№ 1106, 1448; Q № 954; არქ. ხელნ. № 258 და სხვ.), რომელთაგან ზოგი ვახუშტი ბაგრატიონის ისტორია-გეოგრაფიას, ხოლო ზოგი ანთოლოგიას წარმოადგენს. დავით რექტორის მიერ 1821—1823 წლებში გადაწერილ კრებულში (S № 1512) იამბიკოს ავტორად შოთა რუსთველია დასახელებული¹¹⁹. რუსთველის სახელით დაიბეჭდა იამბიკო ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში¹²⁰.

ჩვენთვის საინტერესო წყაროს („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) პირველი გამომცემელი აკად. ე. თაყაიშვილი იამბიკოს თაობაზე არაფერს წერდა¹²¹. მეორე გამომცემელმა აკად. კ. კეკელიძემაც¹²² იამბიკო უკომენტარიოდ დაბეჭდა და რუსული თარგმანიც უშენიშვნოდ გამოაქვეყნა¹²³. ასე რომ, საგანგებო მსჯელობა ამ იამბიკოზე არ გა-

¹¹⁸ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 74-75.

¹¹⁹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, II, შეჯგენილია და დასაბუქდად დამზადებული ა. ბაქრაძის, თ. რბეგაძის, ე. მებრეველისა და მ. შანიძის მიერ, ე. მებრეველის რედაქციით, თბ., 1961, გვ. 264.

¹²⁰ ქართული ქრესტომატია, II, 1880, გვ. 243-244.

¹²¹ ქართლის ცხოვრება, მარიამ ღვთისმშობლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1906, გვ. 472-473.

¹²² ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცლა ტექსტის აღდგენისა), კ. კეკელიძის რედაქციითა და უნიშვნებით, თბ., 1941, გვ. 109-110.

¹²³ История и восхождение венценосцев. Грузинский текст перевел, в предисловием и примечаниями снабдил

К. Кекелидзе, Т., 1954, гв. 472-473.

წარმოულა. მესამე გამოცემელმა პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა არსებითად შეიწყნარა პ. ინგოროყვას დებულებანი¹²⁴.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ საკმაოდაა ცნობილი როგორც ძვირფასი ლიტერატურული წყარო. მისი დახმარებით შესაძლებელია გათვალისწინება XII–XIII საუკუნეთა საქართველოს არა მხოლოდ პოლიტიკური თავგადასავლისა, არამედ ქართველთა კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრებისაც¹²⁵. თხზულების ავტორი ფრიად განათლებული კაცი იყო, იცნობდა საეკლესიო მწერლებს, ქართველ მეხოტბეებს¹²⁶ და ა. შ.; იყენებდა და იმოწმებდა მრავალ საისტორიო ხასიათის ძეგლსა თუ მხატვრულ ნაწარმოებს. დამოწმებული და ციტირებული აქვს მას ქართველ პოეტთა ლექსებიც, სახელდობრ, არსენ იყალთოელის, იოანე ჭიმჭიმელისა და სხვ.¹²⁷ ასე რომ, თავისუფლად შეეძლო გამოეყენებინა და თავის თხზულებაში შეეტანა სხვა ავტორის იამბიკო, მაგრამ ვისია ეს იამბიკო? ვინაა მისი ავტორი? რის საფუძველზე შეიძლება ორი უკანასკნელი იამბიკოს ავტორად თამარის მიჩნევა და ამის დაბეჯითებითი მტკიცება? ვფიქრობთ, მყარი საფუძველი ასეთი მტკიცებისათვის არ არსებობს.

¹²⁴ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 74. შენ. 5: იხ. აგრეთვე ს. ყაუხჩიშვილი. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და იოანე პეტრიწი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოამბე, III, № 1, 1942, გვ. 89.

¹²⁵ კ. კეკელიძე. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ როგორც ლიტერატურული წყარო, წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, თბ., 1962, გვ. 200–237.

¹²⁶ ს. ყაუხჩიშვილი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და იოანე პეტრიწი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოამბე, III, № 1, 1942, გვ. 89.

¹²⁷ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 5, 113–114. ამ ლექსებზე იხ. ი. ლოლაშვილი. იყალთოელისა და ჭიმჭიმელის იამბიკოებისათვის, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 27, VIII, 1950, № 35 (352); მისივე, რუსთაველის ეპოქის ჩვენამდე არმოდღეული სალიტერატურო მემკვიდრეობის გარშემო, თბ., 1965, გვ. 6–8.

მართალია, წერს აკად. კ. კეკელიძე, — ხახულის ხატის წარწერაში ვკითხულობთ — „მე თამარ“, ხოლო შამქორის იამბიკოს შესახებ ნათქვამია, რომ ეს თამარმა „აღწერა“, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ისინი თამარის მიერა შეთხზულა. რამდენი სიგელ-გუჯარი ვიცით, რომელიც „მე“-ობით, ამა თუ იმ მეფის (თუგინდ თამარის)) სახელით არის დაწერილი, მაგრამ ნამდვილად ისინი დაწერილი არიან ამისთვის საგანგებოდ მიჩენილი პირების მიერ“¹²⁸.

ამრიგად, ორი უკანასკნელი იამბიკოს ავტორად თამარის მიჩნევისათვის მყარი, მტკიცე საფუძველი არ მოგვეპოვება.

თამარის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე მსჯელობისას ყურადღებას ამასვიღებენ იმ სიტყვებზე, რომელთაც „ქართლის ცხოვრებაში“ ვხვდებით. მართლაც, საყურადღებოა სიტყვა, რომელიც თამარმა წარმოთქვა სრულიად საქართველოს სახელმწიფო საეკლესიო კრებაზე¹²⁹, ან სასელმწიფო დარბაზის სხდომაზე, გიორგი რუსის გაძევების დროს¹³⁰ და სხვ. რაოდენ დიდი სიბრძნეა ჩაქსოვილი ამ სიტყვებში: „და მე არა მიძლავს აზრდილისა მრუდისა ხისასა განმართვად და უბრალოდ განვიყრი მტვერსაცა, რომელი აღმეკრა“. გონიერება და დარბაისლობა ჩანს თამარის პასუხში რუკნედინის თავხედურ წერილზე¹³¹. თამარის სიტყვა თავის ძალას, ძარღვიანობას, მომხიბვლელობას არ კარგავს თვით სიკვდილის წინაც კი: „ძმანო ჩემნო და შვილნო!.. თქუენ ყოველნი თვთ მოწამე ხართ, რამეთუ იავისა ჩემისა თანა მაქუნდა სიყუარული თქუენი და სარგებელსა და სათნოსა თქუენსა არა დავაკლე... აწ მეცა წარვალ მამათა ჩუენთა თანა, გზასა ჩემგან უცხოსა, ბრძანებითა საშინელითა და განყოფითა საკურველითა“¹³².

ეს რამდენიმე სიტყვა, რამდენიმე სტრიქონი ისე ოსტატურადაა ჩამოყალიბებული, რომ ბევრის მოქმედია: აქ კარგად ჩანს თამარი — მეფე, თამარი — ადამიანი.

¹²⁸ კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 283, შენ.

¹²⁹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 48.

¹³⁰ იქვე. გვ. 121.

¹³¹ იქვე. გვ. 135.

¹³² ქართლის ცხოვრება, II, გვ. 145.

თამარის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ ვხვდებით, მეცნიერნი¹³³ მიიჩნევენ თამარის ორიგინალურ ქმნილებებად და არა მემამულეობის დაწერილად. არაა გამორიცხული, რომ თამარს წარმოეთქვა შთამაგონებელი სიტყვები, მაგრამ მათიანეში რა თამარისა და რა მემამულეობისა, ერთობ ძნელი გასარკვევია. ასე რომ, თამარის სიტყვებზე მსჯელობა ისევე ნაკლებად სარწმუნოა, როგორც მისი პოეტური მემკვიდრეობის მიმოსილვა.

ეკუთვნის თუ არა თამარს ეს ლიტერატურული მემკვიდრეობა, ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული და მკვლევართა ახალ სიტყვას მოითხოვს. პროფ. ლ. მენაბდე წერს: პ. ინგოროყვას „ინტერესი თამარის პოეტური მემკვიდრეობისადმი სავსებით გასაგებია, მისი ცდა თამარის პოეტურ ქმნილებათა გამოვლენისა მისასაღმებელია და მოწონებას იმსახურებს, მაგრამ, სამწუხაროდ, კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მასალა არ გვაძლევს საფუძველს, რომ ის თამარის კუთვნილებად მივიჩნიოთ. თამარის ლიტერატურული მემკვიდრეობა ახლაც ისევე ბურუსითაა მოხილი, როგორც წინა წლებში. ამ საკითხის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა ჩვენი ლიტერატურთმცოდნეობის საპატიო ამოცანას წარმოადგენს“¹³⁴.

ეს განცხადება, რომელიც თამარის პოეტურ მემკვიდრეობას ეხება, უყოყმანოდ შეიძლება გავავრცელოთ თამარის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე საერთოდ.

¹³³ პ. ინგოროყვა. თამარ მეფის იამბიკონი, „მნათობი“, 1941, № 3, გვ. 151-153; ქართული შვედრმეტყველება, ძეგლები და მასალები შეკრება, ნარკვევი წაუმძლვარა და საძიებელი დაურთო ნ. კანდელაკმა, თბ., 1958, გვ. 159-160, 321-322; ნ. კანდელაკი. ქართული კლასიკური შვედრმეტყველება, თბ., 1961, გვ. 139-140; დ. ქორიძე, სახელდანი ქართული ქალები, გვ. 88-89.

¹³⁴ ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. 1, გვ. 141.

ვანენი — ყოფილი ნისიმი XIII საუკუნის მოღვაწეა. მი-
ლი თაოსნობითაა გადაწერილი სადღესასწაულო (H № 1673).
ეს არა მხოლოდ დამკვეთია, არამედ უშუალო მონაწილე-
ცაა ხელნაწერის დამზადებისა. კალიგრაფს გადაუწერია სვი-
ნაქსარული მასალა და გამოტოვებული საგალობლები ბო-
ლოს დაურთავს. გადამწერის ანდერძი შემდეგს გვატყობი-
ნებს: „წმინდაო მამო, ესე რომელიცა ერთობილი დღე და-
ვეურწამოდა, ამა წიგნისა ბოლოს ამაღ მოვაქციეთ, რომე იმა
მუწლებსა დაყრილსა, რააცა საგალობელთა თუწითა ბოლოსა
ჩავვრთავს, მას თანა ამაღ აღარ ჩაერთვოდა, რომე ესე სეკ-
დენბრისა ოთხისადა... იანვრისა და დეკემბრისა ქუჭმით
აღარ მოექცევოდა, აშლით იქნებოდა და აღარ მირიგებით
ქნებოდა... საძიებლად გაძნელდებოდა და რაჲ წიგნისა ნა-
ქუჭთი ნახა, პატრონმან ვანენი (შემდეგ წაშლილია — ი. ქ.)
ყოფილმან ნისიმი, რომე არ გასქელდებოდა, ესე ჩუენგან
დაგდებული აქა ბოლოსა დაგუაწერინა“¹³⁵.

ისტორიული მასალებით რამდენიმე ვანენის ვიცნობთ¹³⁶.
ერთ-ერთი მათგანი შაჰანშა მანდატურთ-უხუცესის ძის მხარ-

¹³⁵ H № 1673, 325v—326r; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის
ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და სა-
ეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კო-
ლექცია), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, IV, შედგენილია და ღასა-
ბეჭდად დამზადებული ე. მეტრეველისა და ე. ვირსალაძის მიერ. ე. მეტ-
რეველის რედაქციით, თბ., 1950, გვ. 105-106.

¹³⁶ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლო-
ბისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ყორ-
ღანიას მიერ, II, თბ., 1897. გვ. 121, 168; ე. მეტრეველი, მასა-
ლები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 81.

ჩვენი დათარიღება ვანენის მოღვაწეობისა ემყარება ხელნაწერის აღ-
მწერის ვარაუდს. ამ ხელნაწერს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა
ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კან-
დიდატი მიხ. ქავთარია XVI საუკუნისად მიიჩნევს. თუ ეს ასეა, ვანენის
შემდეგ საუკუნეებში იქნება საძიებელი.

გრძელის შეუღლე, ათაბაგისა და ამირსპასალარის სადუნის ასული, XIII საუკუნის მოღვაწეა. იგი დაინტერესებული ყოფილა საეკლესიო მშენებლობით¹³⁷. ცნობილია აგრეთვე XIII საუკუნის მოღვაწის ცოტნე დადიანის შეუღლე ვანე-ნე – ვანელე¹³⁸ და სხვ.

სევდაოზ ჭარმაულის ასული

სევდაოზ ჭარმაულის ასულის დაკვეთით XIII–XIV საუკუნეებში შესრულებულია სვინაქსარი (H № 1367). ამ საკითხზე ცნობას გვაწვდის ვადაშერი ფილიპე. იგი წერს: „სრულ იქმნა წმიდაა ესე სვინაქსარი, განმანათლებელი ეკლესიათა და წინამძღუარი და მოძღუარი ყოვლისა სოფლისა ბრძანებითა ჭარმაულის ასულისა სჯულკარგისა და... რისა და მღვდელისა და წიგნთმოყუარისა პატრონისა სევდაოზისითა“¹³⁹. ფრიად საინტერესოა სევდაოზის „წიგნთმოყუარედ“ მოხსენიება, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტი არაფერი ვიცით და მის „წიგნთმოყუარეობაზე“ ნათელი წარმოდგენა არა გვაქვს. დასახელებული სვინაქსარი სევდაოზს დაუშაბდებია მისი სულის „საშენდობლოდ და ვარამის საგამარჯულობოდ“.

ჭარმაულები აზნაურები ყოფილან. „ქრონიკების“ ერთ-ერთ გვერდზე ვკითხულობთ: „აზნაურიშვილის... ჭარმაულის სახლში ძველთიგანვე ნაქონი სახელო მეჯინიბეთ უსუცესობა მოვიბოძეთ“¹⁴⁰.

137 ქრონიკები, II, გვ. 168.

138 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 172.

139 ხელნაწერთა აღწერილობა (H), III, გვ. 326-327.

140 ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჯორჯანიას მიერ, III, გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორჯანიამ და შხანთაძემ, თბ., 1967, გვ. 365.

ჭარმაულები გვხვდებიან XV საუკუნის მოღვაწეთა შორის¹⁴¹, ცნობილია XVI საუკუნის მწიგნობარი გიორგი ჭარმაული¹⁴² და ა. შ.

სევდაოზის შესახებ ხელნაწერი არაფერს გვამცნობს. ერთადერთი ამოსავალია ანდერძი გადამწერისა, რომლის ამოკითხვა ჩვენ ვვლარ შევძელით (ხელნაწერის ფურცლები ძალიან დაზიანებულია). ვეყრდნობით ხელნაწერთა აღწერილობას (ი. ქ.).

ეკატერინე შტროის ასული

ქართველ ქალთა მოღვაწეობა ახლო აღმოსავლეთის მონასტრო ცენტრებში ადრეულ ხანაშივე დაიწყო. ყოველ შემთხვევაში, გიორგი მერნულის ცნობით, იერუსალიმში IX საუკუნეში უკვე ცხოვრობდა ქართველი მოღვაწე ქალი ეფროსინე. XI საუკუნიდან იქ იწყება ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერების მშენებლობაც. ცნობილია რამდენიმე კერა (კაპპათა, დელტავი, დერთუფა), რომელთაც აკად. კ. კეკელიძემ სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა¹⁴³. მოღწეულია იქაური ხელნაწერი წიგნები, რომელთა ანდერძ-მინაწერებიდან ნათლად ჩანს ქართველ მოღვაწე ქალთა ლიტერატურული ინტერესები. ერთმა ძვირფასმა ხელნაწერმა, რომელიც პროფ. რ. ბლეიკის აზრით XIII—XIV საუკუნეებისა უნდა იყოს, შემოგვინახა დელტავის მონასტრის წინამძღვრის ეკატერინე შტროის ასულის ანდერძი ასეთი ცნობით: „მე ცოდვილი და უღირსი ეკატერინე, შტროძსა ასუ-

¹⁴¹ ქრონიკები, II, გვ. 312.

¹⁴² იქვე, გვ. 326.

¹⁴³ კ. კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საშუაო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში, წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, გვ. 202-216.

ლი, ღირს ვიქტორ ალწერად წმიდისა ამის¹⁴⁴. ეკატერინე არაა ცადამწერი (ხელნაწერის დამამზადებელი ბასილია, დელტა-ველ ქალთა აღზრდილი), მაგრამ მისი როლი ერთობ დიდია. ჩანს, იგი დაინტერესებული ყოფილა ძველი ძეგლების გადაწერითა და გამრავლებით, არაერთი საინტერესო თხზულება მისი ინიციატივითაა გადაწერილი.

შენიშვნები

გამოჩენილი ქართველი მკვლევარების იოანე ბოლნელის (X ს.) თხზულებათა შემცველ ერთ ხელნაწერში (A № 144) გვხვდება ლამაზი ხვეულებით შესრულებული მინაწერი (51 v), რომელიც პროფ. მ. ჯანაშვილმა პროზაულად დაბეჭდა¹⁴⁵. აკად. ა. შანიძემ მასში 20-მარცვლოვანი ლექსი შენიშნა, რომელიც ზედმეტი ანების ჩამოცილებითა და ასალი პუნქტუაციით ასე გამოაქვეყნა:

რომელი მყოფ ხარ მალალთა შინა, სახელ-წმიდაო მამაო ჩუენო,
მოვედ სუფევით, ყავ ნება შენი, რომ სატანაცა არ შემაჩუენო,
ვითარცა ზეით, ეგრეცა ქუეყნით, პურსა არსებით მომცემო ჩუენო
და განსაცდელსაცა ნუ შემიყვანებ, ბოროტით მიწსენ, უფალო ჩუენო.¹⁴⁶

ამ ფისტიკაურ ლექსში გადმოცემულია ლოცვა, რომელიც სათავეს სახარებიდან იღებს (მათე, VI, 9-13).

ძნელია თქმა, თუ როდინდელია ლექსი; „სრულიად შესაძლებელია, რომ ის XII საუკუნემდისაც აღიოდეს“ (აკად.

¹⁴⁴ იქვე, გვ. 40-41; ნ. მარო, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, დასაბეჭდად გაამზადა ე. მეტრეველმა, თბ., 1955, გვ. 64-65.

¹⁴⁵ იოანე ბოლნელი ეპისკოპოსის ქადაგებანი (X საუკუნის ხელნაწერიდან), თბ., 1911, გვ. VI.

¹⁴⁶ ა. შანიძე, ფისტიკაურის ისტორიისათვის, „ლიტერატურული ძეგანი“, II, 1944, გვ. 8-9.

ა. შანიძე), მაგრამ მინაწერი შესრულებულია XV საუკუნის მხედრულით. მინაწერის ავტორი, მიმწერი, ყოფილა, — როგორც ეს მომდევნო გვერდზე შემონახული ცნობიდან ჩანს, — დიასამიძის სახლის შვილი მშვენიერი. „ღმერთო და ყოველწით მისნო წმიდანო და შობაო, ნათლის-ღებაო, ხარებაო და აღდგომაო, ფერის ცვალებაო, სულის წმიდისა მოსლვაო... შემოწყალე... დიასამიძის ასული... და მე ასული მისი შუენიერი შემოწყალე და მისხენ სატანჯველთაგან. ვინც შენდობა მიბრძანოს, თქვენცა შეეცნდოს ღმერთმან. ამინ“ (A № 144, 12 r). „ცოცხალი მწერელი შუენიერი“ სამხრეთ საქართველოდან უნდა ყოფილიყო¹⁴⁷.

საეკლესიო, რომ შუენიერის ხელით მიწერილა ლექსი უცნობი ქართველი პოეტისა შემდგომში გავრცელებულა. აკად. ა. შანიძემ იგი იპოვა XIX საუკუნის ოთხ ანთოლოგიაში (S № 62, 86 v; S № 1203, 2 r; S № 1512, 179 r; H № 479, 3 v¹⁴⁸). ჩვენ გალიესალი „მამათ ჩვენო“ შუენიშნეთ კიდევ ერთ ხელნაწერში¹⁴⁹.

ხელნაწერ S № 1512-ში „მამათ ჩვენოს“ ავტორად მიჩნეულია მეზანდუკის შვილი იგნატი ბერი¹⁵⁰. იმავე გვერდზე

147 შუენიერი ძველ საქართველოში გავრცელებული სახელი ყოფილა. მაგალითად, ჯვრის მონასტრის აღაპებში გვხვდება რამდენიმე პირი ასეთი სახელით (შუენიერი, შუენიერ-ყოფილი ანუსია, დედოფალთ-დედოფალი შუენიერ-ყოფილი ანუსია, დედოფალთ-დედოფალი შუენიერ-ყოფილი მაკრინე). ცნობილია შუენიერისათვის XVIII ს. გადაწერილი ლოცვანი (A № 591).

148 ა. შანიძე, ფისტკაურის ისტორიისათვის. „ლიტერატურული ძიებანი“, II, 1944. გვ. 11-12. აკად. ა. შანიძის წერილში დასაბუღებულია ხელნაწერი H № 429, ეს, ალბათ, კორექტურული შეცდომაა. უნდა იყოს H № 479.

149 A № 1164, 94r: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, IV, შეადგინა ქ. შარაშიძემ, თბ., 1954, გვ. 227.

150 S № 1512, 179r-ს ზედა კიდზე წარწერილია: „მეზანდუკის შვილის იგნატი ბერისაგან თქმული“.

დასახელებულ ტექსტს მიჰყვება მისი შვიდ სტროფიანი ლექსი. მაგრამ „მამაო ჩვენოს“ ავტორად ამ პიროვნების მიჩნევა შეუძლებელია. როგორც აკად. ა. შანიძე შენიშნავს, „ეს პიროვნება მდარე ხარისხის პოეტია, მამაო ჩვენოს გამლექსავი კი უთუოდ დიდი ხელოვანია“¹⁵¹.

ანა დედოფალი

ანა დედოფალი იყო მეუღლე კახეთის მეფის ალექსანდრე პირველისა (1476—1511). საბუთებში ხშირად იხსენიება თავის თანამეცხედრესთან ერთად¹⁵². იგი აქტიურად მონაწილეობდა ეკლესია-მონასტრების აღდგენით სამუშაოებსა და მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში.

ცალკე უნდა აღინიშნოს მისი ღვაწლი ალავერდის დანგრეული ტაძრის აღდგენა-განახლებაში. უცნობი ქართველი მწიგნობრის ანდერძში ვკითხულობთ: „ადიდენ ღმერთმან და დაამყარენ ორთავე ცსორებათა შინა პატრონნი: დედოფალთ-დედოფალი ნესტან-დარეჯან და ძე მათი მეფე ალექსანდრე და დედოფალი ანა. ესენი იყუნეს უმეტეს ყოველთა ქართლისა მეფეთა და მთავართა მორწმუნენი, მაშენებელნი ეკლესიათანი. რამეთუ ალავერდი წარტყუნულ იყო წარმართავან, რომელ სხუათა მეფეთა ვერ გელეყო განწმედად

¹⁵¹ ა. შანიძე, ფისტიაურის ისტორიისათვის, „ლიტერატურული ძეგანი“, II, 1944, გვ. 11.

¹⁵² ჩვენთვის ცნობილ საბუთებში იგი ჩანს 1479—1505 წლებში (ქრონიკები, II, გვ. 300, 319, 325. იხ. აგრეთვე ი. ჭავჭავაძის შვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 90, 129, 207, 214).

მართალია, ყველა საბუთში (და ქვემოთ დამოწმებულ უცნობი გადაწყვერის ანდერძშიც) ანა ალექსანდრესთან ერთად იხსენიება და უპირატესობა მეფეს ეკუთვნის, მაგრამ ანდერძის ზოგიერთი ადგილი თითქოს ანას ღვაწლს უფრო წარმოაჩენს.

და აღშენებად; ამათ აღაშენეს და განწმიდნეს ყოვლისაგან ღუარძლისა, აღაშენნეს ცაჲ და გუმბათი და სამწრონი“¹⁵³.

ანა დედოფლის განსაკუთრებული დამსახურება ქართული კულტურის წინაშე მდგომარეობს შემდეგში: მისი ბრძანებით გადაიწერა „ქართლის ცხოვრების“ ძვირფასი ნუსხა. ხელნაწერ Q № 795-ის ანდერძში ანა დედოფალი ასე იხსენიება: „ღმერთო და ყოველნო წმიდანო მისნო და წმიდაო გიორგი ალავერდისაო, მთავარ-მოწამეო, მცველ და მფარველ, მჯარისა მდგომელ და განმმარჯუებულ ექმნენით ორთა ცხოვრებათა შინა პატრონთა: დედოფალთა-დედოფალსა ნესტან-დარეჯანს და ძესა მათსა, ღმრთივ გუირგუინოსანსა მეფესა ალექსანდრეს და დედოფალსა ანას, რომლისა მიერ გუებრძანა პატიოსანთა ამათ წიგნთა აღწერა. დაღაცათუ ჩუენ შეუძლებელ ვიყვენით, არამედ ბრძანებათა მისთა ვერღარა ურჩ ვექმნენით“¹⁵⁴.

ეს ხელნაწერი აკად. ი. ჯავახიშვილმა იპოვა სოფ. ლამისყანაში, ჯამბაკურ-ორბელიანთა საგვარეულო ბიბლიოთეკაში (1913 წ.). მანვე მიუძღვნა პირველი სპეციალური გამოკვლევა, გარკვეა მისი რაობა, ღირსება, გადაწერის თარიღი (XV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი) და მომგებლის ვინაობა (ანა დედოფალი)¹⁵⁵.

„ქართლის ცხოვრების“ ადრე ცნობილი ხელნაწერიდან ეს ნუსხა განსხვავებულია: მასში ძირითადი თხზულებებიდან შედის ხუთი ძეგლი (ლევონტი მროველის, ჯუანშერის, არჩილის წამება, მათიანე ქართლისა და დავით აღმაშენებლის ისტორია). ამას მოსდევს „ლაშა-გიორგის დროინდელი

¹⁵³ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, II, შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ე. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქ. შარაშიძის მიერ, თბ., 1958, გვ. 227.

¹⁵⁴ იქვე.

¹⁵⁵ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1916, გვ. 256-261.

მატიანე¹⁵⁶, რომელიც შეიცავს დიმიტრი მეფის, კიორგი მესამის, თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის მეფობათა მოკლე ისტორიას.

„ამგვარად, ამ ნუსხის მოპოვებამ შეგვიძინა ის ფაქტი, რომ XV საუკუნის გასულს „ქართლის ცხოვრების“ გადამწერს სელთ ჰქონია ისეთი ნუსხა, რომელიც თავდებოდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებით და რომ მასში არც თამარ მეფის ისტორია იყო და არც მონღოლთა ღროინდელი ისტორია, ამათ ნაცვლად ნუსხის რედაქტორს დაურთავს მოკლე მატიანე, ე. წ. ლაშა-გიორგის ღროინდელი მატიანე“¹⁵⁷.

„ქართლის ცხოვრების“ დასახელებულ სელნაწერში, — რომელსაც ჩვეულებრივ ანასეულს უწოდებენ, — საისტორიო თხზულებებს ერთვის ითანე ზედაზნეელის ცხოვრების ნაკლები ტექსტი („ცხოვრებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნეელისაჲ, რომელი ბრძანებითა ღმრთისაჲთა და წინამძღურობითა სულისა წმიდისაჲთა მოივლინა ქუეყანითა შუამდინარით ქუეყანად ქართლისად ათორმეტთა მოწაფეთა. მისთა წმიდათა თანა“¹⁵⁸), რომელიც კარგა ხანია იპყრობს ზეცნიერთა ყურადღებას. ზოგი მკვლევარი მას კათალიკოს არსენ მეორეს (X ს.) მიაკუთვნებს (პროფ. ილ. აბულაძე), ზოგი კი (აკად. კ. კეკელიძე) მეტაფრასულად მიიჩნევს.

ანასეული „ქართლის ცხოვრება“ ქართული წერილობითი კულტურის დიდებული ძეგლია, ხოლო მისი მომგებელი ანა დედოფალი დვაწლმოსილი მანდილოსანი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნული მწიგნობრობის ისტორიაში.

¹⁵⁶ „ლაშა-გიორგის ღროინდელი მატიანე“ ცალკე წიგნად გამოსცა აკად. ი. ჯავახიშვილმა (თბ., 1927), ანასეული „ქართლის ცხოვრება“ — პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა (თბ., 1942).

¹⁵⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 315.

¹⁵⁸ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონი გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1955, გვ. 3-58.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ახლებურადაა დასმული ანასეული „ქართლის ცხოვრების“ (Q № 795) თარიღის საკითხი¹⁵⁹. კერძოდ, გარკვეულია, რომ პალეოგრაფიული ნიშნებით დასახელებული ნუსხა თარიღდება XVI—XVII სს. მიჯნით. ამრიგად, ხელნაწერი Q № 795 წარმოადგენს არა ანასეულ „ქართლის ცხოვრებას“, არამედ მის პირს, გადაწერილს XVI—XVII სს. მიჯნაზე.

გულქანო

ჯავახეთში, ვარძიიდან სამიოდე კილომეტრის დაშორებით, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი, რომელიც გამოქვაბულთა და ნანგრევთა სიუხვითა და მრავალფეროვნებით ახლაც აოცებს მხილველს. ოდესღაც იქ გაშენებული იყო დიდი სავანე — მძლავრი მონასტერი, რომელიც ადრე ვაჰანის, ზოლ XIV საუკუნიდან ვანის ქვაბთა მონასტრის სახელით იყო ცნობილი¹⁶⁰.

ვანის ქვაბთა მონასტრის აღმოცენება ბურუსითაა მოცული. საისტორიო წყაროებში არავითარი მინიშნება არაა იმაზე, თუ როდის დაიწყო ქართველმა მოღვაწეებმა იქაურ ბუნებრივ გამოქვაბულებში ჩასახლება ან კლდეში ახალ სად-

159 ნ. შოშიაშვილი, ანასეული „ქართლის ცხოვრების“ დათარიღების საკითხისათვის, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და თეზისები, თბ., 1972, გვ. 12.

160 ც. გაბაშვილი, ვარძია (გზამკვლევი), თბ., 1948, გვ. 35-39; კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია, ვარძია (გზამკვლევი), თბ., 1955, გვ. 60-63; ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის გზაგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 49-52; ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკ. II, თბ., 1962, გვ. 510-511.

გომთა გამოკვეთა. ხალხური გადმოცემით, ვანის ქვაბებს საგრძნობი ზიანი მიაყენა მიწისძვრამ XIII საუკუნეში. ეს გადმოცემა სავსებით დაადასტურა უკანასკნელ წლებში მოპოვებულმა მასალამ¹⁶¹.

XIII საუკუნის დამდეგს მონასტერი მეფეს ეკუთვნოდა. 1204 წელს თამარის ცნობილ ვაზირს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს ქვაბთა მონასტრისათვის ზღუდე შემოუვლია. მომდევნო ხანაში იგი თმოგველთა მფლობელობაშია. ასალი მებატრონენი ენერგიულად იღვწიან სავანის საკეთილდღეოდ. სწორედ ამ პერიოდში (1204—1234) ერისთავთ-ერისთავმა, თმოგველ მხარგრძელმა სარგისის ძემ მონასტერს განუჩინა ტიბიკონი, რომელშიც მოცემულია საინტერესო ცნობები, როგორც ვანის ქვაბთა მონასტერზე, ისე საქართველოს სამონასტრო წყობილებაზე საერთოდ¹⁶².

1350 წლიდან თმოგველებმა დაკარგეს თმოგვიცა და ვანის ქვაბთა მონასტერიც. ამ საუკუნის ბოლოსათვის ვანის ქვაბებს ღარიბასძენი ფლობენ, ხოლო XVI საუკუნეში — რჩეულაშვილები. მალე მას ოსმალი დაეპატრონენ (1551 წ.).

ვანის ქვაბთა მონასტრის ზემო სართულში არის თეთრად შელესილი მცირე ზომის შენობა, ჯვრის ტიპის გუმბათიანი ნაგებობა — ეკლესია, რომელიც კარგა ხანია განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებაში. ერთი მხილველის სიტყვით, „ამ მშვენიერი, პაწაწინა ეკლესიის ნახვა სავსებით გამოისყიდის იმ ძნელსა და დამტანჯველ გზას, რომელიც მის მისაღწევად უნდა განვლოს კაცმა კლდეებსა და გვირაბებში“¹⁶³.

ეკლესიის კედლებზე ორმოცდაათამდე მხედრული წარწერა აღმოჩნდა. ეს წარწერები, ძირითადად, შესრულებულია

161 მ. გაფრინდაშვილი, რუსთაველის კვალდაკვალ გამოქვაბულებში, „კომუნისტი“, 21. X. 1965, № 249 (1334); მისივე, ვანის ქვაბის განძი, „ძეგლის მეგობარი“, VI, 1966, გვ. 3-9.

162 ეპანის ქვაბთა განგება (XIII ს.), გამოსცა ლ. მუსხელიშვილი, თბ., 1939.

163 ც. გაბაშვილი, ვარძია, გვ. 39.

მონაზონი ქალების მიერ, რაც მეტყველებს იმაზე, რომ აქ ყოფილა დედათა სავანე. საგულისხმოა, რომ სხვა წყაროებით, ვანის ქვაბთა მონასტერი XIII საუკუნეში მამათა სადგომს წარმოადგენდა. „ვაჰანის ქვაბთა განგება“ საგანგებოდ მოითხოვდა „ყოვლად ყოვლითურთ უვალ-იყოს დედაკაცისაგან მონასტერი და ნუ რაჲს მიზეზისათჳს ნუ შევალს მას შინა“¹⁶⁴. შემდეგ მდგომარეობა შეცვლილა და იქ ქალებიც დასადგურებულან. იმავე ძეგლის გვიანდელ მინაწერში (XIV—XV სს.), რომელიც მურვან ღარიბას ძეს ეკუთვნის, ვკითხულობთ: „თუ ჩემისა სახლისა ქალმან, ანუ სძალმან ჩოჭათა ჩაცუმაჲ მოინდომოს, ამა მესამედსა მას მიუძღუანებდით“¹⁶⁵. აქედან ნათლად ჩანს, რომ ამ პერიოდში ვანის ქვაბთა მონასტერში დედათა სამყოფიც ყოფილა. ძნელი სათქმელია, იქ დედათა მონასტერი იყო თუ განყოფილება, მაგრამ ქალეზი რომ მოღვაწეობდნენ, ეს საეჭვო არ უნდა იყოს. ამას საგსებით ადასტურებენ წარწერები ვანის ქვაბთა მონასტრის პატარა ეკლესიისა, რომელიც, თავის მხრივ, დედათა მონასტრისა თუ განყოფილების ნაშთს უნდა წარმოადგენდეს.

ვანის ქვაბთა მონასტრის ეკლესიის წარწერები წარმოდგენას გვიქმნიან იქ მყოფ ქალთა კულტურულ დონეზე, შინაგან განცდებზე თუ სულიერ მოთხოვნილებებზე. წარწერებიდან ჩანს, რომ მონასტრის ცივი კედლების მიღმა არა ერთი და ორი ქალის სილამაზე და ახალგაზრდობა დაფერფლილა უდროოდ, არა ერთი ნიჭიერი ქალის სახელი შთაუნთქავს, დავიწყებას მიუცია ჟამთა სვლას.

ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერები დიდი ხანი მეცნიერთა ყურადღების ცენტრში დგას. 1933 წელს ეს წარწერები ადგილზე ნახა და ამოიკითხა აკად. ნ. ბერძენიშვილმა¹⁶⁶,

¹⁶⁴ ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 75.

¹⁶⁵ ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰანის ქვაბთა, თბ., 1896, გვ. 46.

¹⁶⁶ ნ. ბერძენიშვილი, ჭავჭავაძის 1933 წლის ექსპედიციის დღიური, წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 116-126.

1936 წელს ამ წარწერებიდან რამდენიმე ამოიკითხა და გამოაქვეყნა კ. ესმაშვილმა¹⁶⁷, 1954 წ. წარწერები კალკების ფოტოსურათებითურთ გამოაქვეყნა ვ. ცისკარიშვილმა¹⁶⁸, 1958 წელს წარწერები ადგილზე გაიცნო და მათში რამდენიმე ლექსი ამოიკითხა შ. ონიანმა¹⁶⁹. მან პირველმა შეისწავლა ეს წარწერები ძველი ქართული ლიტერატურისა და კულტურის თვალსაზრისით. ამოკითხულმა მასალამ ძველ ქართულ პოეზიას შემატა სახელი რამდენიმე უცნობი მწიგნობარი ქალისა. ეს მანდილოსნებია: გულქანი, ანა რჩეულაშვილი, თუმიან გოჯიშვილი და შალაბანი სულთანო.

თამარის ისტორიკოსის სიტყვებიდან ცნობილია, რომ „სახლთა ზედა“ ლექსების წარწერა ძველ საქართველოში უჩვეულო არ იყო¹⁷⁰. მართლაც, ნაგებობათა კედლებზე ამოკვეთილი ლექსი არაერთ ადგილას აღმოჩნდა (საკჷარისია მთავრონთ ურბნისის¹⁷¹, თიღვის¹⁷², თბილისის მეტეხის¹⁷³ ტაძრების, ვაშლოვანის კოშკისა¹⁷⁴ და სხვა ნაგებობათა ლექ-

167 კ. ესმაშვილი, რუსთაველის საღატრობის საკითხისათვის, „კომუნისტი“, 4. VII. 1936, № 179 (4688).

168 ვ. ცისკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან, მსკი, ნაკვ. 30, 1954, გვ. 168-180.

169 შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, „საბჷოთა ხელონება“, 1959, № 7, გვ. 32-40; 1960, № 8, გვ. 33-42; მისივე. „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფი ვანის ქვაბთა მონასტრის ერთ წარწერაში, საიუბილეო კრებულო, მიძღვნილი კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 1959, გვ. 287-293; მისივე, ვანის ქვაბთა ორი პოეტური წარწერა, „ძეგლის მეგობარი“, № 10-11, 1967, გვ. 33-37.

170 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 146.

171 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, თბ., 1907, გვ. 49-50.

172 ლ. რჩეულიშვილი, თიღვა, გვ. 38.

173 П. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, Т., 1866, გვ. 24.

174 ლ. რჩეულიშვილი, „კოშკი სალხინოდ ნაგები“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შობაზე, XXI, № 1, 1958, გვ. 115.

სითი წარწერები), მაგრამ საღებავით მიწერილი ლექსები კარგა ხანს არ ჩანდა. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერები ამ მხრივ უნიკალურ საგანძურს წარმოადგენენ.

ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებს ათარიღებდნენ XIII—XVI საუკუნეებით (კ. ესმაშვილი), ზოგჯერ XIV—XV (კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია), XV (ლ. მუსხელიშვილი), ან XVI საუკუნეებით (არა უგვიანეს ჰირველი ნახევრისა — ვ. ცისკარიშვილი). ნ. ბერძენიშვილისა და შ. ონიანის გამოკვლევებში წარწერები, ზოგადად, XV—XVI საუკუნეებითაა დათარიღებული.

ვანის ქვაბთა მონასტრის ეკლესიის რამდენსამე წარწერაში იხსენიება მაღალნიჭიერი ქართველი მანდილოსანი, განსწავლული მწიგნობარი, გაწაფული კალიგრაფი და დახელოვნებული მხატვარი გულქანი. სამწუხაროდ, ბიოგრაფიული ცნობები მასზე არ შემონახულა, ზუსტად მისი ვინაობა არ ირკვევა. მის შესახებ ზოგიერთი რამ, თუმცა სავარაუდო და არა ზუსტი, ცნობილია მისივე წარწერიდან: „ქ. ღმერთო და ყუალა წმიდაო დედოფალო ღმრთისმშობელო და რანიც წმიდანი მთავარანგელოზნი სუენები ხართ! თქუნეს ძაღას და მოწყალებას, უშუელეთ და ულხინეთ მოსამსახურეს, მიწას თქუნეს, თვალპატიოსანს, უებროს გულქანს. ვიყავ დევნი/ნი/ლი, რომ მომიყვანა მანუჩარ ქალად და გასათხოვრად. ქმარი ჯერ არ მედგა. ღმრთის მადლმა და ამა წმიდათა მადლმა, ჩემსა უღამაზესი სულიერი დედასმიწაზედა არა იარებოდა და არც სსუა გამოსულა: არც თუალად, არც ტანად, არც ზნითა, არც გონებითა, თუარემ ჩემნი მნახავნი არ გამამტყუენებენ. ესე საზანნი არიან ამისნი მოწამენი და ეს ლომი“¹⁷⁵.

¹⁷⁵ გულქანის წარწერის ტექსტი გამოაქვეყნა აკად. ნ. ბერძენიშვილმა (იხ. მისი ჟავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური, წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 119), ფოტო — ც. გაბაშვილმა (იხ. მისი ვარძია, გვ. 29), კალკის ფოტო და წარწერის ტექსტი — ვ. ცისკარიშვილმა (იხ. მისი წარწერები ასპინძის რაიონიდან, მსკი, ნაკვ. 30, 1954, გვ. 171-172). ჩვენ ვიმოწმებთ შ. ონიანის წაკითხვას („ძეგლის მეგობარი“, № 10-11, 1967, გვ. 34).

ვ. ცისკარიშვილის აზრით, წარწერაში მოხსენიებული მანუჩარ შეიძლება იყოს მანუჩარ პირველი, რომელიც ათაბაგად ჩანს 1475—1487 წლებში¹⁷⁶. ამის მიხედვით გულქანიც ამ ხანის მოღვაწე გამოდის. შ. ონიანის ადრინდელი ვარაუდით, პოეტი ქალი გულქანი, — ასული გიორგი VIII (1442—1476) შვილის ქეთონისა, მოხსენიებულია ჯვრის მონასტრის აღაპშიც¹⁷⁷. მანუჩარი ბიძა ქეთონისა. მესხეთის თავადების სიის საფუძველზე მკვლევარი გულქანს შალიკაშვილად მიიჩნევდა და მისი გარდაცვალების თარიღად 1514 წელს ვარაუდობდა¹⁷⁸. უკანასკნელად გამოქვეყნებულ შრომაში იგი გულქანის გვარს აღარ ასახელებს და საერთოდ უცნობ პირად, ზოგადად — სამცხე-საათაბაგოს დიდგვაროვნად (XV ს.) მიიჩნევს, ხოლო მანუჩარს მის ნათესავად ან ნფარველ ფეოდალად თვლის¹⁷⁹.

გულქანი მხატვრული სიტყვის ნამდვილი ოსტატია. იგი თავის გარეგნობას მოხლენილი შედარებით ისე გვისურათებს, რომ თავის შინაგან ბუნებას და სულს წარმოაჩენს. ნისი (წარწერის) ზოგიერთი სტრიქონი თითქოს გართმულობდა:

ვიყავ დევნილი,
რომ მომიყვანა მანუჩარ
ქალად და გასათხოვრად...
არც თუალად,
არც ტანად,
არც ზნითა,
არც გონებითა...

176 ვ. ცისკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან, მსკი, ნაკვ. 30, 1954, გვ. 180.

177 ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 81, 122-123.

178 შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, „საბუჰოთა ხელოვნება“, 1959, № 7, გვ. 36.

179 შ. ონიანი, ვანის ქვაბთა ორი პოეტური წარწერა, „მეგლის-მეგობარი“, № 10-11, 1967, გვ. 33-34.

მიწას თქუნს,
თვალპათიოსანს,
უებროს გულქანს...

წარწერიდან ჩანს, რომ ახალგაზრდა, ლამაზი და მომხიბლავი გულქანი სურვილის წინააღმდეგ აღმოჩნდა მონასტერში. ეტყობა, იგი ძალით დააშორეს ახლობლებს, ნაადრევად ჩამოაშორეს ამქვეყნიურ ცხოვრებას. უმწეო მონაზონი მწვავედ განიცდიდა თავის მძიმე მდგომარეობას, ვერ ეგუებოდა გამოქვაბულთა აუტანელ ატმოსფეროს. ის იყო ტრაგიკული პიროვნება, რომელსაც ერთობ მძიმე ხვედრი ხვდა წილად. იგი თავის სევდას, გულისნადებსა და მწუხარებას ცივ კედლებს უზიარებდა. საგულისხმოა, რომ გულქანის პროზაულ მინაწერშიც იგრძნობა მისი პოეტური სულის თრთოლა.

გულქანის ხელითაა მიწერილი ერთი სატრფიალო ხასიათის ორტაეპიანი მაჯამა, რომელიც აღდგენილი სახით ასე რკითხება:

წავალ, /შევერთ/ვი/ მძოვართა და ჯოგთა არნებისათა,
მრ/ავალთა მბრძოლთა/ ვაომებ ჩემისა არ ნებისათა!

შ. ონიანს მაჯამის შინაარსი ასე აქვს გადმოცემული: წავალ, შევეურთდები ბალასისმძოველ ცხოველთა და ჯიხვთა ჯოგებს, ვაომებ მრავალ მებრძოლთა — ჩემის ნების არ შემსრულებელთ¹⁸⁰.

თითქოს საკამათო არაფერი უნდა იყოს, მაგრამ არ ჩანს, მბრძოლი (მებრძოლი) როგორ ესმის მკვლევარს — ახალი, თანამედროვე მნიშვნელობით (ვინც იბრძვის, მეომარი; სამხედრო პირი, ჯარისკაცი), თუ ძველით. როგორც ცნობილია, ძველი წყაროების ჩვენებით მბრძოლი მოწინააღმდეგეა. მაგალითად, შეგვიძლია დავიმოწმოთ „ვისრამიანი“: „ჩემი გული ჩემი მებრძოლი იყო“, ე. ი. მოწინააღმდეგე იყო¹⁸¹. სახელდახელოდ შეგვიძლია მოვიგონოთ ტარიელის სიტყვე-

¹⁸⁰ იქვე, გვ. 35.

¹⁸¹ ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ა. გვახარიაშვილს და მ. თოდუაშვილს, თბ., 1962,

პი: „ჩემთა მებრძოლთა სისხლითა მინდორი შევალებინე“ (455, 3), სადაც მებრძოლი ნიშნავს მოწინააღმდეგეს, მოპირდაპირეს¹⁸², ან კიდევ „ქილილა და დამანა“: „სიმხნისა საჭურველი ავიღოთ და მრისხანებითა და გულისწყრომითა პირი მბრძოლთ შევაქციოთ“, სადაც მბრძოლი, — პროფ. ე. მეტრეველის სწორი განმარტებით, — ნიშნავს მტერს, მოწინააღმდეგეს¹⁸³.

შ. ონიანმა მაჯამა მიაკუთვნა XII—XIII საუკუნეებს, რადგანაც იგი ფორმითა და შინაარსით ჰგავს „აბდულმესიანს“, „თამარიანსა“ და „ვეფხისტყაოსანს“. ეს დებულება, ჩვენის აზრით, ძალზე პირობითია, რადგან ნაწარმოებთა ფორმისა და შინაარსის მსგავსება ყოველთვის საკმარისი არ უნდა იყოს მათი ერთი ხანით დასათარიღებლად.

თავისთავად გულქანის ხელით მიწერილი მაჯამა უაღრესად საყურადღებოა როგორც მცირე ჟანრის ლირიკული პოეზიის ერთ-ერთი ძველი ნიმუში. იგი ნათლად წარმოაჩენს სატრფიალო-სამიჯნურო პოეზიის უცნობი წარმომადგენლის სულიერ განწყობილებას, რომელიც, როგორც ჩანს, სავსებით ანალოგიური იყო გულქანის განცხადებისა. გულქანმა გადაგვირჩინა და შემოგვინახა ამ ძველი ქართველი მწერლის პოეტური ქმნილება.

საყურადღებოა გულქანის ლექსად მიმართვა ღვთისმშობლისადმი. შ. ონიანმა ეს წარწერა ხელის მიხედვით გულქანს მიაკუთვნა: „წარწერაში გვაქვს ისეთი ტექსტუალური ლაფსუსები, რომელიც შეიძლება მოსვლოდა მხოლოდ წარწერის შემსრულებელს და არა ლექსის ავტორს“¹⁸⁴. იგი წარწერას ათარიღებს XV—XVI საუკუნეებით, ხოლო ლექსს, ზოგადად, XII—XVI საუკუნეებით, როდესაც 16-მარცვლოვანი

182 ა. ბარამიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა, წიგნში: ნაკვეთები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, გვ. 336.

183 სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, II₁, ა. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1962, გვ. 372; II₂, გვ. 348.

184 შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 7, გვ. 37.

შირი საერო ლიტერატურის გავლენით გზას იკაფავდა სა-
ეკლესიო მწერლობაშიც.

ტექსტი ამ ლექსისა ასეთია:

ღმრთის მშობელო, შენ ცოდვილთა მეოხი ხარ, უშურველი;
შენ ა/ლ/წოცე ცოდვა ჩემი უმრავლესი, დაუთვლელი,
მე სამოელ ტანჯვად მაწვევს, უშიში და უ/კ/რ/ძ/ალველი,
მწეო ჩემო, შენ მიშუელე, გამოჴსნასა შენგან ველი,
მრავალ-თ/უ/ალნი ანგელოზნი შენგან ძრწიან ძალნი დასნი,
ჯოჯობებით მოციქულნი გამოვიდეს ბევრ-ათ/ასნი¹⁸⁵.

მტკიცება იმისა, ეკუთვნის თუ არა ეს ტექსტი გულქანს,
ჩვენს პირობებში ძნელია, მაგრამ ერთგვარი დამთხვევა პი-
რველსა და მესამე წარწერებს შორის ნამდვილად არის. და-
ვიმოწმებთ ორიოდ მაგალითს:

პროზაული ტექსტი:

ღმერთო და ყულა წმიდაო დედოფალო ღმრთისმშობელო და ჩანიც
წმიდანი მთავარანგელოზნი სუენები ხართ!

ლექსი:

ღმრთისმშობელო, შენ ცოდვილთა მეოხი ხარ უშურველი...

პროზაული ტექსტი:

თქუენს ძალას და მოწყალებას უშუელეთ და ულხინეთ მოსამსახუ-
რეს, მიწას თქუენს, თვალპატიოსანს, უებროს გულქანს...

ლექსი:

შენ აღწოცე ცოდვა ჩემი უმრავლესი, დაუთვლელი,
.

მწეო ჩემო, შენ მიშუელე, გამოჴსნასა შენგან ველი...

¹⁸⁵ ამ წარწერის ტექსტი (პროზაული სახით) და კალკის ფოტო გამო-
აქვეყნა ვ. ცისკარიშვილმა (იხ. მისი წარწერები ასპინძის რაიონიდან,
მსკი, ნაკვ. 30, 1954, გვ. 173), ლექსის სახით გამოსცა შ. ონიანმა (იხ.
მისი ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, „საბჭოთა ხელოვ-
ნება“, 1959, № 7, გვ. 36-37). დაგვიანებით გამოქვეყნდა აკად. ნ. ბერ-
ძენიშვილის მიერ ამოკითხული ტექსტიც (იხ. მისი ჭაბახეთის 1933
წლის ექსპედიციის დღიური, წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები,
I, გვ. 121). ჩვენ ვსარგებლობდით გამოქვეყნებული ფოტოსურათებითაც.

ვისიც არ უნდა იყოს ეს ლექსი, „იგი ღვთისმშობლისადმი მხურვალე ლოცვა-ვედრებითი ღალადისი“ (აკად. ა. ბარამიძე) და ქართული სასულიერო-საეკლესიო პოეზიის უაღრესად საინტერესო ძეგლია. თუ გულქანია მისი ავტორი, მაშინ ეს ტანჯული მონაზონი შეგვიძლია მივიჩნიოთ ბრწყინვალე ჰიმნოგრაფად. გულქანის შესახებ, ალბათ, ახალს მომავალი გვეტყვის, როდესაც სრულად მოეფინება ნათელი ვანის ქვაბთა მონასტრის ეკლესიის კედლებზე მინაწერ სტრიქონებს.

ანა რჩეულაშვილი

არანაკლებ საინტერესოა პოეტი ქალი ანა რჩეულაშვილი. მისი ვინაობა ცნობილი არაა. ვიცით მხოლოდ, რომ ის უკმაყოფილო იყო თავისი მდგომარეობით და უჩიოდა თავის ბედს.

შ. ონიანი, იმოწმებს რა ანა რჩეულაშვილის ერთ წარწერას („საუკუნის დამდეგ ოცი ოთხშაფათი, პარასკევი მარხვა შემომიწირავს“), — ანას მოღვაწეობას მიაკუთვნებს XV საუკუნის მიწურულსა და XVI საუკუნის დასაწყისს¹⁸⁶.

ხელის მიხედვით ანა რჩეულაშვილს ეკუთვნის ის მინაწერი, რომელშიც „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფია (1300—1301) წარმოდგენილი:

ციხეს ვზი ეზო მაღალსა, თუ/ა/ლნ/ი/ ძლ/ი/ვ შემომაცდება,
გზა გურაბ/ი/თა შემოვლენ, მცველნი მაზედა დგებიან,
მაშიგან ორნი გუშაგნ/ი/ ნაბადსა არა დაცდება,
მათსა შემბმელსა დაგოცენ ცეცხლურებ მოედებ/ი/ან,
ჩემო, ნუ მოხუ/ა/ლ ჩემზედა სხუ/ა/თა მებრძოლთა წ/ე/სითა,

¹⁸⁶ შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 7, გვ. 37.

ანას ხელით შესრულებული წარწერებიდან ჩვენ სპეციალურად გამოვყავით და დავიმოწმეთ რუსთველის პოემის ნაწყვეტი, რომელიც ქაჯეთის ციხეში გამოკეტილი ნესტან-დარეჯანის გულის სიღრმიდან ამოხეთქილი უსაზღვრო გრძნობითაა გამთბარი და გასხივოსნებული. იგი ნათელს ჰფენს იმ სულიერ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდა ანა. ამასთანავე იგი გვაშინებს არა მხოლოდ ანას, არამედ საერთოდ ვანის ქვაბთა მონასტერში იძულებით მოზვედრილ ქალთა სულისკვეთებას.

ანა ნების წინააღმდეგ მოხვდა ცივ საკანში, იგი ძალდატანების მსხვერპლი გახდა — ანაზღედულად მოაშორეს თავის ოჯახს და სრულად ახალგაზრდა აღკვეცეს მონასტერში,

167 „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფი დაბეჭდა ჟერ კიდევ კ. ესმა-შვილმა (იხ. მისი რუსთაველის საღაურობის საკითხისათვის, „კომუნისტი“, 4. VIII. 1936, № 179 (4688), 1954 წელს შეიდივე ტაეის კალკის ფოტო და ტექსტი — ვ. ცისკარიშვილმა (იხ. მისი წარწერები ასპინძის რაიონიდან, მსკი, ნაკვ. 30, 1954, გვ. 175-176). შემდეგი გამოცემა და ვრცელი კომენტარი ეკუთვნის შ. ონიანს (იხ. მისი „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფი ვანის ქვაბთა მონასტრის ერთ წარწერაში, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, გვ. 287-293. იხ. მისივე, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 7, გვ. 37). მის მიერ დადგენილი ტექსტი შევედარეთ წარწერის კალკის ფოტოსურათს და ისე დავიმოწმეთ.

1964 წელს გამოქვეყნდა აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ ჟერ კიდევ 1933 წელს წაკითხული ტექსტი საინტერესო კომენტარით, რომელშიც ავტორმა „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებში შენიშნული დამახინჯებანი პოემის ვარიანტულ სხვაობად მიიჩნია (იხ. მისი ჟაეახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური, წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 122-126). პროფ. ს. ცაიშვილის დასკვნით, ვანის ქვაბთა მონასტერში შემონახული ტექსტი ახლოსაა „ვეფხისტყაოსნის“ პირველ რედაქციას მიჩნეული ტექსტების შემცველ ხელნაწერებთან (ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, II, თბ., 1978, გვ. 174).

რომელიც მას ქაჯეთის ციხეს აგონებდა. სასოწარკვეთილი ქალი „ვეფხისტყაოსნის“ გმირის სიტყვებს იხსენებდა, მასში პოულობდა პირადი ცხოვრებისათვის შესაფერ აზრებს და ეკლესიის ცივ კედლებზე მიწერით იამებდა იარებს.

„ვეფხისტყაოსნის“ დამოწმებული ტექსტი ვანის ქვაბთა მონასტერში შემონახულია არასრულად და საკმაოდ დამახინჯებული სახით, რაც გვაფიქრებინებს, რომ რუსთველის სიტყვები ანა რჩეულაშვილს ზეპირად მიუწერია. ამ მინაწერის მნიშვნელობა ქართული მწერლობის ისტორიისათვის ძალზე დიდია. თუ მოვიგონებთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი თარიღიანი ხელნაწერი 1646 წლისაა, ხოლო წინარე სანიდან მხოლოდ რამდენიმე მინაწერი (XIV—XV სს.)¹⁸⁸ და ორიოდე ფურცელი მოგვეპოვება¹⁸⁹, მაშინ ცხადი გახდება

ანა რჩეულაშვილის მიერ შესრულებული ტექსტის — ერთ-ერთი უძველესი ნაწარმის მნიშვნელობა.

თავისთავად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მონასტრის ბინადარი ქართველი მანდილოსანი, — მიუხედავად სამონასტრო წესების სიმკაცრისა და მონაზვნური აღთქმისა, — არ ერიდება საერო თემატიკას და სამიჯნურო განწყობილების შემცველ ტექსტს აწერს ეკლესიის კედელზე. ყოველივე ეს მოწმობს „ვეფხისტყაოსნის“ დიდ პოპულარობას, ქალთა საზოგადოებაში გავრცელებასა და ზეპირად ცოდნას და, რაც მთავარია, — რუსთველის პოემის ეკლესიის წიაღში შეჭრას.

ვანის ქვაბთა მონასტრის ეკლესიის თაღში მოთავსებულია ანას მიერ შესრულებული კიდევ ერთი წარწერა, რო-

¹⁸⁸ „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1956, გვ. 016-017; ა. შანიძე, „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები, თბ., 1966, გვ. 87; კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიური შენიშვნები, წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, გვ. 168-169; თ. ბრეგაძე, „ვეფხისტყაოსნის“ კიდევ რამდენიმე ტაეპი ძველ ხელნაწერთა მინაწერებში, ნიმ, IV, 1962, გვ. 93-96.

¹⁸⁹ ილ. აბულაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ახლად მიკვლეული უძველესი (XVI ს.) ხელნაწერის ფრაგმენტი, „შატე“, 1964, № 3, გვ. 142-150.

მელიც ძნელად იკითხება. იგი წარმოადგენს მიმართვას ვანის ქვაბთა მონასტრის ღვთაების ხატისადმი. შ. ონიანმა მასში შენიშნა თორმეტმარცვლიანი იამბიკო. იმ მიზნით, რომ რიტმი უკეთ გამოვლენილიყო, მან ლექსი დაყო ოთხმარცვლიან ტაეპებად და ისე გამოაქვეყნა:

ქრისტე ღმერთო,
საბ/რ/ალო/თა/
შემახუეწო
მწყ/ა/ლ/ო/ბელო,
თულფერათო,
შენი სახე
/ზლუდ/-გა/ნ/თქმულო,
ღმრთობის ხატო;
/შე/ნი ქირი
მე ბატონო,
ღმრთობის ხატო;
მე შენ სახელ
ხსენებასა
სადა ღირს ვარ,
კურთხ/ე/ულ ხარ
ღიდებულო
/ღმრ/თობის ხატო¹⁹⁰.

გაუგებარი ადგილების, საეჭვო სიტყვების, სწორი განმეორებისა და ზოგ შემთხვევაში აზრის დაუსრულებლობის გამო ეს ლექსი არაა მიჩნეული ანასეულად. საფიქრებელია, ანამ სხვისი ლექსი შეპირად წააწერა.

190 ანას წარწერის კალკის ფოტოსურათი და ტექსტი პროზაული სახით გამოაქვეყნა ვ. ცისკარიშვილმა (იხ. მისი წარწერები ასპინძის რაიონიდან, მსკი, ნაკვ. 30, 1954, გვ. 177-178), ლექსად — შ. ონიანმა (იხ. მისი ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 7, გვ. 37). იხ. აგრეთვე ნ. ბერძენიშვილი. ვაჟაფშაველას 1933 წლის ექსპედიციის დღიური, წიგნში: საქართველოს ისტორიის ხეობები, I, გვ. 121. დამოწმებისას ვიყენებთ ფოტოსურათებსაც.

ანას სკლით შესრულებული წარწერებიდან განსაკუთრებული ყურადღებას იმსახურებს მისი ორიგინალური ლექსი, რომელიც გვაცნობს ავტორის სულიერ განწყობილებას. მასში ანა დიდი შინაგანი მწუხარებითა და გულისტკივილით გვაუწყებს თავის უბედობას. მას დაატოვებინეს მახლობელია წრე და მონასტერში გამოკეტეს, მაგრამ ვერ დაუთრგუნეს ადამიანური გრძნობები, ვერ ააღებინეს ხელი ამქვეყნიური ცხოვრებისაკენ სწრაფვაზე. იგი გულისმომკვლელად გოდებდა და მოთქვამდა:

ვაი, გარჯილო
ამა სოფელსა
მისაყდრ/ათ გაღვა
ა/მ/ბა ვაჩია,
არ/ვი/ს ასშია
ლიბზანი
საბრ/ა/ლომ ანამ
გარდავიწადე,
ან გარდასავლით
სამას/ს/ა ღლ/ე/სა
ღაგჯედ ვა/ე/ბა/დ/
ვერ დავალ,ვერცა
განვიხარე სმით,
ვერცა ჭამითა,
ვერცა ჩაცმითა,
ვერცა ძმითა,
ვერცა ღითა
ვერცა /რ:ძლ[ითა].

წარწერა თითქოს ბოლომდე ლექსი უნდა იყოს, მაგრამ საზომი აღარაა დაცული (ამას შ. ონიანი მიაწერს პოეტი ქალის გამოუცდელიობას). „გაუხარელი მოგაკვდე გაუხარელად.

ნიმუშე, მიტირეთ თავად, ვინ არის დამტირებელი? ვინ-
ცა წაიკითხოთ, შენდობა მიბრძანეთ, თქვენცა შეგინდოს
ღმერთმა. საბრალოს ანას შენდობა უბრძანეთ¹⁹¹.

თუმიან გოჯიშვილი

თუმიან გოჯიშვილი, რომანტიკული ბუნების პოეტი ქა-
ლი, — „უიმედოდ ყოფილა გამიჯნურებული ვინმე გოდერ-
ძიზე, რომელსაც თუმიანი ზოგ წარწერაში სიყვარულს ეფი-
ცება. ჩანს, თუმიანი ძალით აღუკვეციათ მონაზვნად, ალბათ
მიჯნურობის ნიადაგზე“¹⁹². თუმიანის წარწერებიდან ყურად-
ღებას იქცევს სტროფი, რომელიც შ. ონიანმა აღადგინა ხალ-
ხური ვარიანტების მოშველიებით:

191 ამ წარწერის წაკითხვა სცადა ჯერ კიდევ 1952 წ. ვ. ცისკარიშვილ-
მ: (იხ. ვ. ცისკარიშვილი, გამოქვამულებების დღიურები, „ღროშა“,
1952, № 11, გვ. 13), ხოლო 1954 წელს მანვე მეორედ გამოაქვეყნა წარ-
წერა და კალკის ფოტო (იხ. მისი წარწერები ასპინძის რაიონიდან,
მსკი, ნაკვ. 30, 1954, გვ. 173). ლექსად დააღაგა შ. ონიანმა (იხ. მისი
ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, „საბჭოთა ხელოვნება“,
1959, № 7, გვ. 38). ჩვენ ვსარგებლობდით ფოტოსურათითაც.

ანა რჩეულაშვილის სახელს უკავშირებს შ. ონიანი სულხან-საბა ორ-
ბელიანის ორიგინალური თხზულების „სამოთხის კარის“ ბოლოს მოყვა-
ნილ კალამბურს — „ვიყავ ერთად“. მკვლევრის აზრით, ეს კალამბური არ
ეკუთვნის სულხან-საბას, არც მასზეა დაწერილი. იგი ზეპირი გზით გავ-
რცელებული ლექსია. კალამბური ეხმაურება ვანის ქვაბთა ერთ-ერთ წარ-
წერას (ერთ სტრიქონიანს) „ქ. იყო ერთა“, რომელიც ხელის მიხედვით
ეკუთვნის ანა რჩეულაშვილს და ამდენად მე-15 საუკუნისაა. ვანის ქვაბ-
თა მონასტრის წარწერამ კალამბურის თარიღი მე-17—18 საუკუნეებიდან
2—3 საუკუნით აქვთ გადმოიტანა (იხ. შ. ონიანი, ერთი ძველი ქართუ-
ლი კალამბურის შესახებ, ძველი ქართული მწერლობის საკითხები, I, თბ.,
1962, გვ. 145-147).

192 შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, „საბ-
ჭოთა ხელოვნება“, 1959, № 7, გვ. 38.

წვრილად ნახევრო ისარო, ქალაქს ნა/ღებო ჩნტა/;
ყირმიზი /რ/ვალის პერანგი გაცვია ზქროს ღილითა;
ნეტავი /შენთან მამყოფა/, შენთან გამაძლო ძილითა,
მაგ შავარდენსა თვალ-წარბსა მაკოცნა ბაგე-კბილითა.¹⁹³

ეს ლექსი ფოლკლორული წარმოსობისაა, წარმოადგენს ლამაზი მამაკაცის ქებას. თუმიანს მიუწერია კედელზე კიდევ ერთი ხალხური ლექსი („ზეცას გაველ, ზეცა ვნახე და მარსკვლავთა მივეძრახე“), რომლითაც თავისი უმწეო მდგომარეობა გამოუხატავს და სატრფოს უხილველობით გამოწვეული სევდა გადმოუცია. აღსანიშნავია თუმიანის მიერ მიწერილი უცნობი ავტორის ლექსი („აწ, მზეო, შენსა გაყრილსა დამვიწყდა სოფლის ღსინი მე“), რომლითაც თუმიანი მიმართავდა სატრფოს, აუწყებდა თავის მძიმე მდგომარეობას, გოდებდა და „სისხლის ცრემლს“ ღვრიდა მიჯნურთან დაშორების გამო. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თუმიან გოჯიშვილი არის ჩვენთვის ცნობილი პირველი ჩამწერი ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშებისა¹⁹⁴.

განსაკუთრებით საინტერესოა თუმიან გოჯიშვილის ორიგინალური ლექსი, რომლითაც პოეტი ქალი მიმართავდა თავის სატრფოს — ლომს და სიყვარულს ეფიცებოდა მას:

ლომო განაღამე მიყ/ვ/არ/ხარ/ შენებრ ვერავის საღარად,
წყალად ეფფრატად გიტყ/ვ/იან, გულად — როსტომის საღარად,
ტანი აზატსა საროსა ნარნა/რ/ად აყ/ვ/ავებულსა;
მე გული ზელთა არა მყავს, თუ არ შენ გახლავს საღარად.

ლექსი მთავრდება მინაწერით:

„ვაიმე, იმედო ნახვამდის, თუმიანს დამიწერია“.¹⁹⁵

¹⁹³ შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 8, გვ. 39.

¹⁹⁴ თუმიანის ჩანაწერების გამოვლენამდე ქართული ხალხური სიტყვიერების უადრესი ჩანაწერები XVII საუკუნით თარიღდებოდა (მე-17 საუკუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრები, გამოსცა, გამოკვლევა და ვარიანტები დაურთო მ; ჩიქოვანიშვილი, „მრავალთავი“, № 1, 1964, გვ. 59-205).

რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო სიყვარულის გრძნობა, მისწრაფება ამქვეყნიური ცხოვრებისადმი, გატაცება მიჯნურით, რომ მონაზონ-ქალს ასეთი სტროფი შეეეთხზა და ეკლესიის კედელზე მიეწერა!

თუმიანის ლექსს ნათლად ეტყობა საბაშვილის მიერ გალექსილი „როსტომიანის“ — გავლენა (ამით დასტურდება თუმიანის მოღვაწეობის ხანა — XVI საუკუნის პირველი ნახევარი).

თუმიანის სელიაფეა აგრეთვე მიწერილი თრსკროფიანსი მაჯამა:

მზეო, გიშ/ვ/ენის წალკოტი ხილითა და ხენარითა,
უწყალოდ მოკლავ მიჯნურსა და გულსა დახევ ნარითა.¹⁹⁵

მაჯამა, ზოგადად, XII—XV საუკუნეებითაა დათარიღებული.

195 ეს სტროფი დამახინჯებული სახით გამოაქვეყნა კ. ესმაშვილმა. მისი სიტყვით, იგი „შეიძლება ჭერ უცნობი პოემის ნაწყვეტი იყოს“ (იხ. მისი რუსთაველის სადაურობის საკითხისათვის, „კომუნისტი“, 4. VIII. 1936, № 179 (4688)). ასევე არასწორად ამოიკითხა ტექსტი და მის ავტორად ანა მიიჩნია ვ. ცისკარიშვილმა (იხ. მისი წარწერები ასპინძის რაიონიდან, მსკი, ნაკვ. 30, 1954, გვ. 178). ჩვენ გამოვიყენეთ შ. ონიანის პუბლიკაცია (იხ. მისი ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 8, გვ. 33), რომელიც შევეუდარეთ წარწერის კალკის ფოტოსურათს.

196 ვ. ცისკარიშვილმა ესეც პროზის სახით დაბეჭდა (იხ. ვ. ცისკარიშვილი, გამოქვაბულების დღიურები, „დროშა“, 1952, № 11, გვ. 13; მისივე, წარწერები ასპინძის რაიონიდან, მსკი, ნაკვ. 30, 1954, გვ. 178), ლექსად დაალაგა შ. ონიანმა (იხ. მისი ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 8, გვ. 33).

შალაზანი სულთანი

ამ უცნაური სახელის მქონე ქალის მიერ შესრულებულია რამდენიმე წარწერა ვანის ქვაბთა მონასტრის ეკლესიის კედლებზე. ერთ-ერთი მათგანი შ. ონიანმა ასე აღადგინა:

ცხენილ/ა/ლ/მ/ე დავარდნილი, დაბნედილი სულთქმით /ახე/,
ფალავანთა ნათესავო, შვილო, მოგკალ თავსა მზრახე,
ანდამატო. მკერდ-მკლავითა მზე მთვარესა შეგ/ა/სახე,
მუხარადი, ტასტ-გვირგვინი სხვა შენთან/ა/ ვერვინ ვნახე. „და-

ნ-წერიან ეს შაირი შბნისულთ/ა/ნს. ვინც წაიკითხაეთ. იტყოდით: ღმერ-
თო უცოცხლე ყოველი“.

შალაზანი სულთანის წარწერა მრავალმხრივაა საინტერესო, ის არა მხოლოდ ამ ქართველი მანდილოსნის განსწავლულობას მოწმობს, არამედ შეიცავს „როსტომიანის“ ერთი სტროფის რამდენადმე სახეშეცვლილ ტექსტს. საგულისხმოა, რომ წარწერა XVI საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება, ხოლო „როსტომიანის“ ხელნაწერები მხოლოდ XVII საუკუნიდანაა ცნობილი, ასე რომ, შალაზანი სულთანის ხელით შესრულებული ეს წარწერა არის „როსტომიანის“ ტექსტის ჩვენთვის ცნობილი უძველესი ჩანაწერი¹⁹⁷.

ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ არა მხოლოდ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის, არამედ საერთოდ ქართული კულტურის ისტორიისათვისაც. ეკლესიის კედლებზე შემორჩენილი ლიტერატურული საგანძური წარმოაჩენს XV—XVI საუკუნეების ქართული მწიგნობრობის მაღალ დონეს, გვაწვდის სატრფიალო-სამიჯნურო პოეზიის უნიკალურ ნიმუშებსა და ქართული ხალხური სიტყვიერების ჭეშმარიტ შედევრებს, ავლენს ქართველ შემოქმედთა პოეტურ კულტურასა და მხატვრულ ვემოვნებას, ჰუმანურ იდეალებსა და ამქვეყნიური ცხოვრებისადმი უსაზღვრო სიყვარულს. ამ წარწერებზე აკად. კ. კე-

¹⁹⁷ შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 8, გვ. 34.

კელიძე წერდა: „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგიდან ჩანს, რომ ძველი ქართული ლიტერატურის კლასიკურ ხანაში არსებობდა ლირიკული ჟანრის მოკლე ფრივოლური ლექსებიც. მისი ნიმუშები დღემდე მოგვეპოვებოდა მხოლოდ XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან. მამასაღამე, თარიღი იუსტიციის ორი საუკუნითაა წინ გადაწეული.

წარწერებში შემონახულმა ლექსებმა ჩვენ ნათლივ დავანახეს, როგორ აფართოვებს თავის გავლენის სფეროს საერო-მხატვრული პოეზია და როგორ ასუსტებს ის საეკლესიო მწერლობის ბატონობას. თუ მონაზონი ქალებიც სატრფიალო-სამიჯნურო პოეზიას ეტანებიან და მას თავისი ნაწარმოებებით ამდიდრებენ, რაღა უნდა ეთქვათ საერო პირების შესახებ¹⁹⁸.

თამარ დედოფალი

თამარი იყო ასული ყვარყვარე II ათაბაგისა (1416—1498) და დედისიმელისა (1435—1489), მეუღლე ქართლის მეფის გიორგი მერვისა (1446—1466). იგი XV საუკუნის მეორე ნახევრისა და XVI საუკუნის დამდეგის მოღვაწეა (გარდაიცვალა 1504—1514 წლებში)¹⁹⁹.

თამარის დავალებით (1504 წელს) გადამწერმა აკაკიმ დაამზადა ფერადი თავკაზმულობითა და მინიატურებით შემკული ძვირფასი ნუსხა სახარებისა (Q № 920)²⁰⁰. კალიგრაფი საგანგებოდ გვაუწყებს, რომ ეს წიგნი აღწერა „დიდისა ღმრთისმოყუარისა და მოწყალისა პატრონისა დედოფალთა დედოფლისა თამარის“ ბრძანებით²⁰¹.

¹⁹⁸ კ. კელიძე: კვლევებზე შემორჩენილი სიცოცხლე (ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია), „კომუნისტი“, 24. II. 1959, № 45 (11351).

¹⁹⁹ ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), მსკი, ნაკვ. 30, 1954, გვ. 210, 215-216, 260, 262.

თამარ დედოფლის სახელთანაა დაკავშირებული კიდევ ერთი კრებული (Q № 91), რომელიც გადაუწერია იოანე ვაშალომიძეს (XVI–XVII საუკუნეთა ხელით). აღნიშნული ხელნაწერის ანდერძი გვაუწყებს, რომ მუშაობის პროცესში გადაწერს ბევრი სიძნელე შესვედრია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შრომა მაინც დაუსრულებია, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ: „ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა და ბრძანებითა პატრონისა დედოფლის თამარისათა“²⁰².

როგორც ვხედავთ, დამკვეთი აქაც თამარ დედოფალია, მაგრამ ეს თამარი ყვარყვარე II ათაბაგის ასულია თუ სხვა, ვერაფერს ვიტყვით.

ქეთევან ბაგრატიონი

ქეთევან ან (ქეთათონ) ბაგრატიონი იყო ასული ქართლის მეფის გიორგისა (1446–1466) და თამარ ყვარყვარე II ათაბაგის ასულისა. მისი ლიტერატურულ-საგანმანათლებლო ინტერესი საკმაოდ ცნობილია, კერძოდ, ქეთევანის დავალებითაა დამზადებული რამდენიმე ხელნაწერი. ერთი მათგანი — პარაკლიტიანი (A № 1522) გადაწერა ზოსიმე კოჭობაისძემ, რომელიც გვამცნობს მომუშაველის ვინაობას, ქეთევანის მიერ მოპოვებული დედნის ავკარგიანობას და მის მიერ გაწეულ საქმიანობას. დავიმოწმებთ რამდენიმე ნაწყვეტს მისი ანდერძიდან: „ღმერთმან უწყოდეს, რააცა დედასა ეწერაჲ, სხუაჲ წიგნი მოვიდეჲ, რააცა ტყული შევატყჲ, იმაზედა გავმართი“; „გათავდეს წმიდანი ესე პარაკლიტიანი ბრძანებითა პატრონისა

²⁰⁰ ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 347-349.

²⁰¹ Q № 920, 251v; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 348.

²⁰² Q № 91, 191r; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, I, შედგენილი ე. მეტრეველისა და ქ. შარაშიძის მიერ. ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 105.

მეფეთ-მეფისა ასულისა, პატრონის ქეთაონისითა“; „მე უბრალო ვარ, თუ მრუდად რამე მოვიდეს სიტყუაჲ. დედა წიგნი პატრონსა ქეთაონს ეთხოვნა საღირასშვილისაგან, იმაზედან დამიწერიაჲ. არა დამიკლია რაჲ, ღმერთმან უწყოდეს, რაჲცა სხუჲსა წიგნზედან არა გამიმართავს. ქაღალდი მქონებოდა და დედა გუჭრდთაცა, გავათავებდი. პატრონის ყმასა ბევრსა შეგვხუცწე, არა ვინ გაივლინა, მე უბრალო ვარ“²⁰³.

როგორც ციტირებული სიტყვებიდან ჩანს, ქეთევანს არა მარტო წიგნის გადაწერა დაუვალებია კალიგრაფისათვის, არამედ დედანიც უშოვია და მიუწოდებია მისთვის, მაგრამ ეს დედანი ვერც თუ მაინცდამაინც კარგი ყოფილა.

ქეთევანის დავალებით მწიგნობარმა ზებედე ნაუას ძემ, რომელიც ქეთევანის გაზრდილი ყოფილა, გადაწერა მოზრდილი კრებული (A № 1737)²⁰⁴. მის ანდერძ-მინაწერებში ხშირად იხსენიება მომეგებელი — „დიდისა და წარწინებულისა მეფის ასული, დედოფალი, პატრონი ქეთაონ, რომლისა ბრძანებითა დაიწერნეს წმიდანი ესე წიგნი“.

ანდერძ-მინაწერებში შემონახულია ცნობები ქეთევანის ახლობლებზე (იხსენიებიან პაპა — ყვარყვარე ათაბაგი, მეუღლე — ვახუშტი, ყოფილი ვასილიოსი, მამა — მეფე გიორგი და სხვ.). სულთა მოსახსენებელში იგი, „ქეთაონ-ყოფილ ქრისტიანედა“ დასახელებული. სულთა მოსახსენებლის ჩვენებათა მიხედვით ზებედე ნაუას ძის მიერ გადაწერილი კრებული ქ. შარაშიძემ 1505—1515 წლებით დაათარილა²⁰⁵.

ცნობილია ქეთევანის ბრძანებით დამზადებული საბაწმიდის ტიპიკონი (A № 647). იგი გადაუწერია 1511 წელს ბანაში იაკობ ჯაყელის შვილს. ეს უკანასკნელი გვაუწყებს,

203 A № 1522, 173r. 394r: საქ. სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია). ა. ბარამიძის რედაქციით, V, შეადგინა ლ. ქუთათელაძემ, თბ., 1955, გვ. 58.

204 ხელნაწერთა აღწერილობა (A), V, გვ. 200-205.

205 ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), მსკ, ნაკვ. 30, 1954, გვ. 205-216, 259-261.

რომ „დაიწერა წმიდა... წიგნი ტუპიკონი ბრძანებითა მე-
ფეთ-მეფისა ვიორგის ასულის პატრონის ქეთაონ-ყოფილის
ქრისტინესითა. მრავალმცა არიან წელნი სუფევისა მისისანი
აქა მას მსხე-მობასა მზეგრძელობით... დაიწერა მონასტერსა
ძელისა ჭეშმარიტისასა, ბანას“²⁰⁶.

უკანასკნელი ანდერძ-მინაწერით შეიძლება ვივარაუდოთ,
რომ ამ დროს (1511 წ.) ქეთევანი ბანის ტაძარში იყო შემო-
ნაზენებული.

თამარ ამილახორი

ცნობილია ერთი მოზრდილი კრებული, რომელიც XVI
საუკუნეში გადაუწერია ზებედეზ (S № 1246)²⁰⁷. მასში გამო-
ჩენილი მოღვაწეების (იოანე ოქროპირის, ეპიფანე კვიპრე-
ლის, ანასტასი სინელისა და სხვ.) ნაწარმოებების გვერდით
გვხვდება „ძეგლის წერა“, რომელშიც შეტანილია ქართველ
მეფე-დიდებულთა და სხვა პირთა მოსახსენებელი, საკმაოდ
მრავლადაა დასახელებული ათაბაგთა ოჯახის წევრები და
ახლობლები. მისი მომგებელი უნდა იყოს ქეთევან-ქრისტი-
ნეს ასული თამარ, მეუღლე ქოიარ-ყოფილი ქერობინ ამი-
ლახორისა²⁰⁸.

ხელნაწერში ვხვდებით რამდენიმე ანდერძ-მინაწერს, სა-
დაც თამარი იხსენიება. მავალითად, „ღმერთო და აწყურისა
ღმრთისმშობელო, პატრონი თამარ და ძენი მისნი მშუდობით

²⁰⁶ იქვე, გვ. 212; A № 647, 221v—222r; Описание рукописей
(A). II, გვ. 131-132.

²⁰⁷ ხელნაწერთა აღწერილობა (S), II, გვ. 111-119.

²⁰⁸ ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები
(XV—XVI სს.), თბ., 1961, გვ. 62-65.

დაიცევი და დღებრძელობით. ცოდვანი მისნი შეუნდოს ღმერთმან. ამინ“²⁰⁹.

თამარ ამილახორი, როგორც ჩანს, შექლებისდაგვარად ბაძავდა დედასა და ბებიას.

თინათინ დედოფალი

თინათინ დედოფალი ლევან კახთა მეფის (1520–1574) მეუღლე იყო²¹⁰. „ხოლო რაჟამს სთხოვა ლევან მპყრობელმან კახეთისამან გურიელსა ასული იგი მისი თინათინ ცოლად, მაშინ მოსცა გურიელმან და წარიყვანეს კახეთს“, — ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში“²¹¹.

თინათინ დედოფლის ბრძანებით აუშენებიათ შუამთის მონასტერი. „ხოლო რაჟამს იქორწინა, შემდგომად მცირედისა ჟამისა იწყო შენებად შუამთას მონასტერსა დედისა ღმრთისასა, რამეთუ ფრიალი მოსწრაფება აჩუენა და ჟამსა რაოდენსამე შინა აღაშენა იგი, შეასრულა და შეამკო ყოვლისავე სამონასტრო წესითა და სამკაულითა“²¹².

ცნობილია, რომ თინათინი თავის თანამეცხედრეს გაპყრობა, რადგან „ლევან იყო სიძვისა და მრუშების მოყუარე“, და შუამთის მონასტერში აღკვეცილა მონაზვნად. იგი იქვე დაუკრძალავთ, რადგან „დაუტევა ანდერძი, რათა არა დამარხონ გუამი მისი ქმრისა თვისისა ლევანისა თანა, არამედ დაემარხოს იგი შუამთას თვისსა აღშენებულსა მონასტერსა და ყვეს ეგრეთ“²¹³.

209 S № 1246, 321r. იხ. აგრეთვე 11v, 26r. ხელნაწერთა აღწერილობა (S), II, გვ. 118.

210 ამ ისტორიულ პირთა ცხოვრება აღწერა ე. ბარნოვა რომან „მიმქრალ შარავანდედში“.

211 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 492.

212 იქვე.

213 იქვე.

ზუსტი ქრონოლოგიური ცნობები თინათინის მოყვანის, განტევებისა და სიკვდილის შესახებ არ მოგვეპოვება²¹⁴.

თინათინის ბრძანებით 1535 წ. გადაუწერიათ ვიორგო ათონელის მიერ თარგმნილი სვინაქსარი (A № 139), რომელსაც დართული აქვს ანდერძი: „აღ/ვწერე წიგნი ესე სვინაქსარს ბრძანებითა პატრონისა დედოფლისა თინათინისათა. დავიწყე გრემს, სანახებსა ღმრთისმშობლისა საყდარსა შინა, თუშსა დეკემბერსსა ექუსსა, ქორთონიკონს სკგ / = 223 + 1312 = 1535/, გათავდა ალონს, ტაძარსა შინა ნათლისმცემლისასა, თუშსა ივნისსა იბ / = 12/, დღესა შაბათსა, ქორთონიკონსა სკგ / = 223 + 1312 = 1535/“²¹⁵.

დამოწმებული ანდერძი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თინათინ დედოფალს ვარკვეული წვლილი მიუძღვის ქართული ხელნაწერების გამრავლების საქმეში.

გულდამ შალიკაშვილი-ფანასკერტელი

გულდამ შალიკაშვილს — ფარსადან ფანასკერტელის მეუღლეს 1543 წელს შეუმკია ერთი სახარება (H № 2806), რომლის მინაწერში ამას თვითვე გვაუწყებს: „მე, ფრიად ცოდვილმან შალიკაშვილის ასულმან, თანამეცხედრემან ფანასკერტელის ფარსადანისამ გულდამ ჭელვყავ დიდებული-

214 ი. ჭანაშვილი, ქართული ერის ისტორია. IV, გვ. 227.

215 Описание рукописей Тифлисского церковного музея, составленное Ф. Жордания, I. Т. 1903, გვ. 145 — 147; ქრონიკები. II, გვ. 380. იხ. აგრეთვე მ. ჭანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი 50, „ივერია“, 29. X. 1898, № 231; შიხიძე, თინათინ დედოფლის სვინაქსარი, „ივერია“, 22. VI. 1909, № 25.

ხელნაწერის გვერდი (362v). რომელზეც მოცემულია დამოწმებული ანდერძი, საჯრძნობლად დაზიანებულია და ტექსტი ძნელად იკითხება.

სა... ღთისმცობლისა თასთავისა შემკობად სახსრად სულისა
ორთავე ჩუენ მეუღლეთა და სადღეგრძელოთა ჩუენთათვის,
ამინ²¹⁶.

ქეთევან ბენაშვილი

ქეთევანი იყო მეუღლე იოსაფატიისა — ქართლის მეფის
გიორგი მერვის ასულისა და სფირიდონ ბენაშვილის შვი-
ლისა²¹⁷. მისი დაკვეთითაა გადაწერილი მარხვანი (Q № 642),
რომელშიც მრავლად ვხვდებით სამხრეთ საქართველოს
მფლობელი ოჯახის — ათაბაგთა ფეოდალური სახლის წარ-
მომადგენელთა ხსენებას. „დიდი ფეოდალის სფირიდონის
რძალი, „მეწიეთის მარხვანის“ მოსახსენებლების შედგენი-
სას, ცხადია, მიზნად ისახავს თავისი ქმრის მეფური წარმო-
შობის წინ წამოწევას“²¹⁸.

ხელნაწერი დამზადებული უნდა იყოს 1566 წელს ვინმე
გაბრიელის მიერ. გადამწერი მზეგრძელობას უსურვებს ქე-
თათონს: „ადიდენ ღმერთმან პატრონი ქეთათონ და ძენი მისნი
მშვიდობით დაიცვენ ორსავე შინა ცხოვრებასა, აქასა ამის
სოფლისა მზეგრძელობასა... და მერმესა მას საუკუნესა ცხო-
ვრებითა და ცოდვათა შენდობითა, რომლისა ბრძანებითა,
ნებებითა და გულსმოდგინებითა აღიწერაჲ და სრულ იქმნა
წმიდაჲ ესე სულთა განმანათლებელი წიგნი მარხვანი“²¹⁹.

216 ხელნაწერთა აღწერილობა (H). VI. გვ. 195-196; ქრონიკები, II,
გვ. 386. ჩუენ ვნახეთ ხელნაწერი. რომლის ყლაზე აღრე იკითხებოდა გულ-
ქანის წარწერა. მაგრამ ახლა ის აღარ ჩანს. მასზე თეთრი ფურცელია და-
წებებული.

217 ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—
XVIII სს.). შპო. ნაკვ. 30, 1954. გვ. 212-215; მისივე საქართველოს
ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), გვ. 69-71.

218 ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები
(XV—XVI სს.), გვ. 71.

219 Q № 642, 319r; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 94.

როგორც ჩანს, ქეთევანს, — მსგავსად მეუღლის დეიდის ქეთევან დედოფლისა, — წვლილი შეუტანია ძველ ქართულ ხელნაწერთა გამრავლებაში.

რუთი კოპაძე

XVI საუკუნის რამდენიმე ხელნაწერი დამზადებულია „ცოდვილი და უღირსი მონაზონის“ რუთის მიერ. ასეთია, მაგალითად, კურთხევანი (A № 306)²²⁰, თვენი (A № 382)²²¹ და სხვ. მასვე გადაუწერია სობის გულანი „ბრძანებითა აფხაზეთის კათალიკოზისა ბატონისა ევდემოზისათა“ — ე. ი. ევდემონ ჩხეტიძის (1557–1578) დაკვეთით²²².

ესაა არა მამაკაცი, როგორც ზოგიერთ მკვლევარს ეგონა, არამედ მანდილოსანი, რომელიც სხვა წყაროებითაცაა ცნობილი, სახელდობრ, „კოპაძის ასული ცოდვილი მონაზონი რუთი“. თავის მეუღლესა (მელქისედეგი) და შვილებთან ერთად იხსენიება XII საუკუნის სვინაგარის (H № 1661) გვიანდელ მინაწერებში²²³. იგავე პირი უნდა იყოს გამაცხოველებელი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთი ხელნაწერისა („ცოდვილთა უცოდვილესი და ყოველთა მონაზონთა უნარჩევესი კოპა/ა/სძის ასული საწყალი მონაზონი რუთი“)²²⁴.

იერუსალიმურ ხელნაწერებში რუთის ჩანაწერების არსებობა გვაფიქრებინებს, რომ რუთი ერთხანს პალესტინაშიც მოღვაწეობდა²²⁵.

220 A № 306, 53r; Описание рукописей (A), I, გვ. 306.

221 A № 382, გვ. 138; Описание рукописей (A), I, გვ. 372.

222 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 159.

223 ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, გვ. 83.

224 В. Бенешевич, О древнем Иерусалимском списке грузинском мнищичестве, ХВ, ტ. I, ნაკ. I, 1912, გვ. 68.

225 კოპაძე — კოპაძენი სამხრეთ საქართველოში სახლობდნენ. იხ. ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), გვ. 8, 15, 35, 72, 79 და ა. შ.

მანია ლიპარტიანის (XVI ს.) სახელთანაა დაკავშირებული ორი ხელნაწერი. ერთია ლოცვანი (A № 761), რომლის ანდერძი ასე იკითხება: „ღმერთო, შეიწყალე ამის უცბად მწერალი ლიპარტიანი/ს/ ქალი მანია. ვინცა შენდობა ბრძანოთ, თქვენცა შეგინდოს. ამენ“;²²⁶ მეორეა განთქმული ცაიშის გულანი, რომელიც დამზადებულია „გულსწოდგინებითა და ზელის წყობითა ლიპარტიანის ქალის მანიასითა“²²⁷. მანია ლიპარტიანის ასული XVI საუკ. 70-ანი წლების მოღვაწე ყოფილა. დაბადებულია დაახლოებით XVI საუკ. 20-იან წლებში. გარდაცვლილა ხანში შესული²²⁸.

დედისიმედი

აშოთან მუხრანბატონის ასული დედისიმედი 1545 წელს მისთხოვდა ქაიხოსრო ათაბაგს (1545—1573). მემატიანე მოგვითხრობს: „მესხთა ათაბაგ ყვეს ქაიხოსრო ძე ყუარყუარესი და დაემძახლა პატრონსა მუხრანისასა და მოიყვანა ცოლად აშოთან მუხრანის პატრონისა ასული და ეწოდა სახელად დედისიმედი²²⁹ და იყო ქალი ესე გლისპი და შეუპოვარ და ლალი“²³⁰.

226 A № 761, 123v; Описание рукописей (A), II, გვ. 214.

227 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 189.

228 იხ. თ. ბერაძე, ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, წიგნში: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964, გვ. 116.

229 მემატიანის ცნობით, დედისიმედი იყო და ქეთევან დედოფლისა, „რომელი შემდგომად მოწამე იქმნა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 382).

230 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 358-359.

დედისიმედი ყოფილა ამაყი, მტკიცე ნებისყოფის ქალი, ერთხანს აქტიურად მონაწილეობდა სამხრეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მონაზვნად შემდგარა დებორას სახელათ.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი იესხური დავითნის ქრონიკა ან „მესხური მატიანე“ (S № 947), რომელიც უკანასკნელად ქ. შარაშიძემ გამოაქვეყნა²³¹. მას, „ვითარცა თანამედროვისა და მონაწილისაგან აწერილს შრომას, ჩვენი ისტორიისათვის დიდი, სწორედ დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს“ (აკად. ი. ჯავახიშვილი)²³².

„მესხური მატიანის“ ნაწილი დედისიმედის დაწერილი უნდა იყოს²³³.

ასტანდარი

ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია მოზრდილი კრებული, რომელშიც შესულია აგიოგრაფიული ძეგლები, საკითხავები და სხვ. (H № 972). იგი შედგება XVI—XVIII საუკუნეებში სხვადასხვა პირთა (იესე ბედისმწერლიშვილი, ნათანაელ ბედისმწერლიშვილი, იესე ოსესძე და ა. შ.) მიერ გადაწერილი ნაწილებისაგან. ერთი ნაწილი XVI საუკუნის ხელით გადაუწერია მეფეთ-მეფის ასულს ასტანდარს: „მარინას წამების“ ბოლოს ვკითხულობთ: „ღმერთო და წმიდათ მოწამეთ ქრისტესო მარინა, დამიცევ მონა, მოსავი შენი მეფეთ-მეფისა ასული, ფრიად სულით საწყალობელი ასტანდარ და მეცხედრე ჩემი, ბატონი მანუ-

231 ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), გვ. 36-56.

232 ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 280.

233 ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.); გვ. 102-132, 138-139.

ჩარ და ძმანი ჩემნი და ამ სოფლით მიცვალებულთა ჩემთა შეეწიე, წმიდაო მარინა“²³⁴.

ასთანდარი იხსენიება ხელნაწერ H № 1299-შიც (ეს არის სახარება) გამოკრებილი (მე-15 საუკუნეებისა). ერთ-ერთ გვერდზე შეინიშნება მხედრულით მინაწერი „ასტანდარი“²³⁵. იხსენიება იგი სახარების კიდევ ერთ ხელნაწერში²³⁵.

მეფეთ-მეფის ასულის ასთანდარის ვინაობა გარკვეული არაა (მისი სიტყვებიდან ვიცით მხოლოდ, რომ ჰყოლია მკუთლღე „ბატონი მანუჩარი“ და ძმები). ამიტომ ძნელია თქმა, რომ სამივე ხელნაწერში მოხსენიებული ასთანდარ-ასტანდარი ერთი და იგივე პირია.

ქეთევან დედოფალი

ქეთევანი ქართლის ფეოდალის, აშოთან მეხრანბატონის ასული იყო. დაიბადა 1575 წელს; 1587 წელს იგი მიათხოვეს კახეთის მეფის ალექსანდრეს (1574—1605) უფროს ვაჟს — დავითს. ქეთევანი დედა იყო სახელგანთქანი ქართველი პოეტის, მეფე თეიმურაზ პირველისა.

ეპოქა, როდესაც ქეთევანი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, მეტად რთული პოლიტიკური ვითარებით ხასიათდება. აღმოსავლეთ საქართველოს საგარეო ურთიერთობა მეტად გამწვავებული იყო. 1605 წლიდან კახეთის სამეფოს მართავს დავითის უფროსი ვაჟი თეიმურაზ პირველი. მისი მეფობის

234 H № 972, 222r; საქართველოს სასელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), II, შედგენილია და დასაბუქდალ დამზადებული ლ. ქუთათელაძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1951, გვ. 340.

235 H № 1299, 110r; ხელნაწერთა აღწერილობა (H), III, გვ. 250.

236 H № 3954, 21r; ხელნაწერთა აღწერილობა (S), V, გვ. 292.

დროს შაჰ-აბასმა არა ერიხელ აათხრა და ააწიოვ კახეთა. ერთ-ერთი ასეთი დარბევის წინ, 1614 წელს, შაჰ-აბასმა მძევლად წაიყვანა ქეთევან დედოფალი ორი შვილიშვილით — ალექსანდრით და ლევანით. ამ წელს მძვინვარე შაჰმა კასეთიდან მრავალი ათასი ოჯახი გადაასახლა ირანში. აღარც ქეთევანი დაბრუნებულა სამშობლოში.

ქეთევანმა 10 წელი დაჰყო ტყვეობაში; შაჰმა მოსახოვა მას სარწმუნოების გამოცვლა. ქეთევანმა არც სამშობლოს უღალატა და არც ქრისტიანულ რწმენას, რის გამოც შაჰმა იგი საშინელი წამებით მოაკვლევინა შირაზში (1624 წ.).

მრავალტანჯულმა მეფემ — თეიმურაზმა დედის ნეშტის ნაწილი გადმოასვენა და დაკრძალა ალავერდის ტაძარში. დედის ტრაგიკულ აღსასრულს მიუძღვნა მან პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“. ქართულმა მათიანემ ეს ქალი გამოაცხადა გმირად, ეკლესიამ იგი ჩარიცხა უდიდეს მარტივლთა პანთეონში. ქართველმა თუ უცხოელმა მწერლებმა ქეთევანს მრავალი მნიშვნელოვანი ნაწარმოები უძღვნეს.

ქეთევან დედოფლისიგულად რამდენიმე პოეტურ ნაწარმოებს მიიჩნევენ, თუმცა დღემდე დაუზუსტებელია, თუ ნამდვილად რომელი მათგანი ეკუთვნის მას. მოკლედ შევჩერდებით ამ ნაწარმოებებზე.

ანბანთქება, რომელიც ცნობილია ქეთევანის სახელით, მრავალ ხელნაწერშია დაცული (S №№ 1512, 3704; A № 1164; H №№ 33, 479, 497, 1193, 1219; არქ. ხელწ. №№ 101, 396 და სხვ.). დავით რეპტორის ცნობით, „ეს ანბანთქება წმიდის ზოწამის ქეთეონ დედოფლისაგან არის ნაბრძანები, ოდეს უსჯულომან შაჰ-აბას პირუცღმან შირაზს პყრობილად წარგზავნა, მუნ პყრობილებაში მწუხარემან ქსთქვა ფისტიკაურად“²³⁷.

ეს ანბანთქება ლ. ასათიანმა ასეთი სახით გამოაქვეყნა:

ამას ვსტირი ბნელსა მჭდომი,
გულსა მდულრად დადაგული,

237 S № 1512, 12rv, ხელნაწერთა აღწერილობა (S), II, გვ. 258.

ესრეთ ვება ვის მოება,
ზელი-ზედა მე დართული! და ა. შ.238

აღნიშნულ ლექსზე პროფ. ტ. რუხაძე წერდა: ქეთევანის „ერთ-ერთი ცნობილი „ანბანთქება“, რომელიც მან „შარაზს მპყრობელობაში მწუხარებამან სთქვა ფისტიკაურად“, დღემდე დეფექტურად იყო დაბეჭდილი, სახელდობრ, მას არ შეარჩინეს ქართული ანბანის თანმიმდევრული რიგი და სავსებით დაკარგული ჰქონდა ასოთა დუბლირების სპეციფიკური წესი“²³⁹.

პროფ. ტ. რუხაძემ ანბანთქება ასეთი სახით დაბეჭდა:

ან ამას ესტირი,
ბან ბნელსა მჭლომი,
გან გულთა მდუღრად
ღონ დადაგული.
ენ ესრეთ ვნება
ვინ ვის მოება
ზენ ზელი ზედა
მე ეე დართული,

თან თვალნი ჩემნი
ინ ისრეე ირწყვის,
კან კმარის მისგან
ლას ლამებული,
მუნ მილად მოდის,
ნარ ნაკადულად,
ონ ოდეს ნახონ
პარ პკურებული..

ძილ ძნელად შრება
წილ წყარო თვალთა,
კირ კმუნვით მყოფთა,

²³⁸ ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, ეს ლექსი

²³⁹ ტ. რუხაძე, ქეთევან დედოფლის უცნობი ლექსები, „ლიტერატურული გაზეთი“, 31. VIII. 1956, № 35 (997).

სარ ხარბად დენით გარდემომჩქერება
წარ წორცი ლაწეთა
ჭარ ჯაერმან დაწვა, წარხდეს ელვათა მშვენიერება,
ჰაი ჰაი, მომშორდა ლხინი და შვება,
ში; ში, წამიხდა სახიერება.²⁴⁰

ქეთევანი დასტირის თავის ბედს; უკუღმართმა წუთისო-ფელმა წაართვა მას დიდება, ბედნიერება, მოაშორა სამშობ-ლოს; ეს არის გოდება დედოფლისა და გოდება ქალისა, რომელმაც ყველაფერთან ერთად ოჯახიც დაკარგა.

პროფ. მ. ჯანაშვილმა 1900 წელს გამოაქვეყნა „ვედრება წმ. ქეთევან დედოფლისა მოწამისა“²⁴¹. იგი არაა მოხსენი-

240 ამ ანბანთქებას პატივცემული მკვლევარი აქვეყნებს შემდეგი ხელნაწერების საფუძველზე: საეკ. სიძველეთა (A) № 1164, საისტორიო ფონდის (H) № 33, № 479, № 1219, წერა-კითხვის (S) №№ 1512, 1534, არქივის ფონდი 233, № 101, 230. ჩვენ შევისწავლეთ რამდენიმე მათგანი (A № 1164, H № 33, № 479, № 1219, S № 1512 — შევედარეთ ტექსტები, მასალა უკანასკნელ პუბლიკაციას უკერს მხარს. ასე გამოქვეყნდა ეს ლექსი გასულ საუკუნეში (იხ. „დროება“, 1. XII. 1882, № 251). მაგრამ, ჩვენის აზრით, ლექსის მხატვრულ ღირსებას ერთგვარ ჩრდილს აყენებს დართული ანბანთა რიგი, ჯობია გამარტივებული სახით.

აკად. გ. ლეონიძემ ერთ ხელნაწერში, რომელიც 1811 წელსაა დამზადებული, იპოვა ეს ანბანთქება ასეთი შენიშვნით: „ნათქვამი ორბელიანის ძის სულხანისა ჰირისუფლობაში“ (გ. ლეონიძე, სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ახალი ხელნაწერები, „კომუნისტი“. 11. X. 1959, № 238 (11544). ეს უთუოდ გადამწერის შეტდომაა.

საყოველთაოდ გავრცელებული აზრით, ქეთევანის ლექსი მიჩნეული იყო პირველ ანბანთქებად ქართულ პოეზიაში, მაგრამ უკანასკნელ წლებში აღმოჩნდა ფრაგმენტი ადრეული ანბანთქებისა (რ. ბარამიძე, ლირიკული ლექსის ფრაგმენტი, „ლიტერატურული გაზეთი“, 8. VI. 1962, № 24 (1298). მკვლევარს ეს ლექსი ამოუკითხავს იოანე ოქროპირის თხზულებათა შემცველი ხელნაწერის (A № 101) ბოლო ფურცელზე და დაუთარილებია XV საუკუნით.

241 უკვდავთა ღალადებანი, გამოცემა მ. ჯანაშვილისა, თბ., 1900, გვ. 124-126.

ებული ლ. ასათიანის სპეციალურ გამოკვლევაში, რომელიც ქეთევან დედოფლის ლიტერატურულ საქმიანობას მიეძღვნა²⁴². ამის თაობაზე პროფ. ტ. რუხაძე წერდა: „ქართული მეცნიერული ბიბლიოგრაფიის უქონლობით უნდა ავსსნათ ის, რომ მკვლევარებს მხედველობიდან გამოორჩაო ქეთევანის ერთ-ერთი უკანასკნელი „ვედრება-ჰიმნი“, რომელიც გამოქვეყნებული იყო მ. ჯანაშვილის მიერ“²⁴³. მეცნიერის დასკვნით, „ქეთევანის „ვედრება-ჰიმნი“ გვიხსნის თეიმურაზ პირველის საისტორიო პოემის პოეტური წყაროს საკითხს. თეიმურაზს „ქეთევანიანში“ შეუტანია კუპიურება დედის ჰიმნიდან“²⁴⁴.

პროფ. მ. ჯანაშვილისა და პროფ. ტ. რუხაძის შრომების საფუძველზე „ვედრება-ჰიმნი“ ქეთევან დედოფლის ნაწარმოებად მიიჩნიეს აკად. ა. ბარამიძემ²⁴⁵ და პროფ. ლ. მენაბდე²⁴⁶.

ეკუთვნის თუ არა „ვედრება-ჰიმნი“ ქეთევანს და წარმოადგენს თუ არ იგი წყაროს თეიმურაზისათვის?

„ვედრება-ჰიმნსა“ და თეიმურაზის პოემის ცალკეულ ტაბელებში სიტყვიერ-ლექსიკური თანხვედნილობა ნამდვილად შეინიშნება. მოვიტანთ რამდენსამე მაგალითს:

„ვედრება-ჰიმნი“

თეიმურაზ პირველი

შენ, ღმერთსა სამებასა, ერთ-
არსსა და თანაარსსა გიცნობ.

გვედრები სამებასა, ერთარსსა
და თანაარსსა.

შენდამი ჰგალობენ მღალადე-
ბელნი ინდნი. ელინნი, ებრაელ-
ნი, პრომნი და სხვანი ენისაებრ

ძლიერნო, გილაღადებენ ორლა-
ნოთა და ებნითა, ძნობითა ინ-
დაურითა, სიტყვითა ბერძნულე-
ბითა.

242 ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 29-30.

243 ტ. რუხაძე, ქეთევან დედოფლის უცნობი ლექსები, „ლიტერატურული გაზეთი“, 31.VIII.1956, № 35 (997).

244 იქვე.

245 ა. ბარამიძე, XV—XVIII საუკუნეების მწერლობა, წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966, გვ. 275.

246 ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. I, თბ., 1962, გვ. 363.

მაიის სიტყვითთა ოზონითა და სამუსიკითა ძალებითა.

... არს რიგები ცოდვათა ჩემთა...

მანამს კემმარტად. ყოვლად წმიდაო ქალწულო ვბიწრო, შობაა შენი და შენ, ქალწულ პირველ და შემდეგ შობისა, შემეწეალე მორწმენე.

მიეც ძესა ჩემსა მეფეს თეიმურაზს ძლევა და რამელნი აკლდენ ცხენებასა ჩემსა, ნიანეჲ საუენო სუფევა.

როგორც აღვნიშნეთ, სიტყვიერ-ლექსიკური თანხვედნილობა დამოწმებულ ძეგლებში ნამდვილად შეინიშნება. მაგრამ გასარკვევია, რომელია პირველი წყარო და ეკუთვნის თუ არა „ვედრება-ჰიმნი“ ქეთევან დედოფალს?

„ვედრება-ჰიმნის“ ტექსტმა და „ეკვდავთა ღალადებათა“ ზოგიერთმა სხვა ნაკვეთმა ჩვენ დაგვაიჭვა. საგანგებოდ შევასწავლეთ რამდენიმე მოღვაწის „ღალადება“ და მათი წყაროც დავსებნეთ. მოვიტანთ ორიოდე მაგალითს:

წმ. ნინოს სწავლა

კურთხეულ არს ღმერთი და მამა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელმან მოავლინა სიტყვაა წმიდაა მისი ცათა მალათათ, თუთ ძლიერისგან საყდრისა გარდამოსრული ქვეყანად მდაბლად, უეჭუელად შობად ზორციელად თესლისაგან დავითისა, დედაკაცისაგან მარტოდ შობილისა, წმიდისაგან და უბიწოასა, რომელი სათნო იყო მას

ჩემთა ცოდვათა სიმრავლე არ დაიფლებს ენითა.

ვარ კემმარტად მოსაეი შენის ვბიწრო შობისა, შობსაჲ პირველ ქალწულო. შემეგომად კვალად შობისა. აწ შემეწყალე მორწმენე...

შვილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერსა ზედა.

...ქალწულთა ჩემთა აღმწერელი ედვან დასვი ტასტსა ზედა.²⁴⁷

ნინოს ცხოვრება

კოთხეულ არს უფალი ჩემნი იესო ქრისტე და მამა უფლისა ჩვენისა, რომელმან მოავლინა სიტყუა მისი წმიდა ცათათგან მაღალთა თუთ ძლიერისაგან საყდრისა გარდამოსრული ქვეყანად მდაბლად. შობილი უეჭუელად თესლისაგან დავითისა, დედაკაცისაგან მარტოდ შობილისა, წმიდისა და უბიწოსა, რომელი სათნო იყო მას მი-

²⁴⁷ თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ო. ბარამიძისა და გ. ჭაკობიას რედაქციით, თბ., 1934, გვ. 150-151.

და ამით მიზნითა ცხობადა ჩვენი შექმნა და ყოველი ცასა ქვეშე მყოფი განანათლა. და უმეტეს მისა მიმართ მორწმუნენი აცხოვნა, რამეთუ იშუა. ვითარცა კაცი.²⁴⁸

ზეზთა მიზევი ცხოვრებისა ჩუანისა, რომელმან ცასა ქუჭვე ყოველივე განანათლა და მორწმუნენი აცხოვნა, რომელი იშუა, ვითარცა კაცი.²⁴⁹

ვედრება წმ. ლუარსაბ მუჟისა მოწამისა

ჴ, დედოფალო ლეთისმობელო, შენდამი დამიც სასოება ჩემი. შენ ხარ ნუგეშინის მცემელი ჩემი, შენ მომეც შეწვენა წამებისა ამის ჩემისა და შემოთე წმიდათა მოწამეთა შენთანა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.²⁵⁰

ლუარსაბის წამება

ჴოი! დედოფალო ლეთისმობელო, შენდამი დამიც სასოება ჩემი, შენ ხარ ნუგეშინის მცემელი ჩემი, შენ მომეც შეწვენა წამების ჩემისა ამის და შემოთე წმიდათა მოწამეთა შენთანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.²⁵¹

სავსებით ნათელია, რომ ამა თუ იმ მოღვაწის „სწავლავედრების“ პუბლიკაციისას პროფ. მ. ჯანაშვილი სარგებლობდა „საქართველოს სამოთხეში“ დაბეჭდილი ტექსტებით და იქიდან იღებდა ნაწყვეტებს. ასევე მოიქცა ის ქეთევან დედოფლის „ვედრება-ჰიმნის“ ან „ვედრების“ ბეჭდვისას. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ „ვედრებისა“ და მისი წყაროს — ანტონ პირველის თხზულები: „შესხმა და მოთხრობა ლუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა ქეთევან კანთ დედოფლისათა“ შესაბამის ადგილებს:

²⁴³ უკუდავთა ლალადებანი, გვ. 3-4.

²⁴⁹ საქართველოს სამოთხე, სრული აღწერა ლუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შეკრებილი ქრონოლოგიურად და გამოცემული მ. საბინინის მიერ, სპბ., 1882, გვ. 145.

²⁵⁰ უკუდავთა ლალადებანი, გვ. 122.

²⁵¹ საქართველოს სამოთხე, გვ. 582.

შენ, ღმერთსა სამებასა, ერთ
 არსსა და თანაარსსა გიწვობ,
 უცნაურსა და უხილავსა, ვერ
 შემძლებელი თქმად საყვარელე-
 ბათა შენთა: შენ ბრძანებითა
 შენითა შესძრავ მათთა და შე-
 არყევ საფუძველთა ქუჩყანისა-
 თა. შენდამი ჰგალობენ მღალა-
 დებულნი ინღნი, ელღინნი, ებ-
 რაულნი, პრომნი და სხვანი ენი-
 საებრ მათისა სიტყუითთა ორ-
 ნითა და სამესიკითა ძალებითა.
 გვედრები ზ-ო! მეუფეო უფა-
 ლო, შიშნეულნი მძლავრთაგან
 მტუშლთა ქაერისათა, მოძიელო-
 ნე მე ანგელოსი მტუშლი სუ-
 ლისა ჩემისა და მიითვალე სუ-
 ლი ჩემი და განმიღე კარი სას-
 ძლონსა შენისა და აღმრაცებ მე
 გუნდსა თანა მოწამეთასა შენ-
 თასა: არა არს რიცხვ ცოდუთა
 ჩემთა და არცა ვისამე შენდამი
 მოწმუნეთაგანსა უცოდავს ჩე-
 მებრ და ვინათაგან ღირს შენდა
 აღსარებაჲ მონანულთა, აღვარებ
 ცოდუთა ჩემთა. ვითარმედ არა
 რაამე არს ღაფარული თუალთა-
 გან შენთა: გადიდებ აღსარები-
 სამებრ შენისა. შენ განკურნენ
 წყლულებანი ჩემნი, მოიხილე
 უფალო, მიხსენ და მიღხინე
 დროსა მას განქმისა წერილისა
 გულთასა, მიეც ძესა ჩემსა მე-
 ფესა თეიმურაზს ძლევაჲ და რო-
 მელნი ჰყოფდენ ხსენებასა ჩემ-
 სა მიანიჭე საუკუნო სუფევად
 მრწამს ჰუმპარიტად. ყოველად

შენ, ღმერთსა სამებასა, ერთ-
 არსსა და თანაარსსა გიწვობ,
 უცნაურსა და უხილავსა, ვერ
 შემძლებელი თქმად საყვარელე-
 ბათა შენთა: შენ ბრძანებითა
 შენითა შესძრავ მათთა და შეარ-
 ყევ საფუძველთა ქუჩყანისათა,
 შენდამი ჰგალობენ მღალადებე-
 ლნი ინღნი, ელღინნი, ებრაულნი,
 პრომნი და სხვანი ენისაებრ მა-
 თისა სიტყუითთა ორღანითა და
 სამესიკითა ძალებითა. გვედრე-
 ბი ზ, მეუფეო უფალო. შიშნე-
 ული მძლავრთაგან მტუშლთა ქა-
 ერისათა, მოძიელონე მე ანგელო-
 სი მტუშლი სულისა ჩემისა და
 მიითვალე სული ჩემი და გან-
 მიღე კარი სასაძლონსა შენისა და
 აღმრაცებ მე გუნდსა თანა მო-
 წამეთასა შენთასა. არა არს რი-
 ცხვი ცოდუთა ჩემთა და არცა
 ვისამე შენდამი მოწმუნეთაგან-
 სა უცოდავს ჩემებრ და ვინათ-
 გან ღირს შენდა აღსარებაჲ მონ-
 ნანულთა, აღვარებ ცოდუთა
 ჩემთა, ვითარმედ არა რაამე არს
 ღაფარული თუალთაგან შენთა.
 გადიდებ აღსარებისამებრ შე-
 ნისა, შენ განკურნენ წყლულე-
 ხანი ჩემნი, მოიხილე უფალო,
 მიხსენ და მიღხინე დროსა მას
 განქმისა წერილისა გულთასა,
 მიეც ძესა ჩემსა მეფესა თეიმურა-
 ზს ძლევაჲ და რომელნი ყო-
 ფდენ ხსენებასა ჩემსა, მიანიჭე
 საუკუნე სუფევად. მრწამს ჰუმ-
 პარიტად. ყოველად წმიდაო ჰალ-
 წულო ებიწო, შობაჲ შენი და

წმინდა ქალწული ებრაელი. შობაა შენი და შენ. ქალწულ პირველ და შემდეგ შობისა, შემოწმალე მოწმუნე განგებულებათა ძისა შინათა.²⁵²

შენ, ქალწულ პირველ და შემდეგ შობისა შემოწმალე მოწმუნე განგებულებათა ძისა შინათა.²⁵³

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. პროფ. მ. ჯანაშიელმა გამოაქვეყნა არა ქეთევან დედოფლის „ვედრება-ჰიმნი“, არამედ ანტონ პირველის აგიოგრაფიული თხზულების ერთი ნაწყვეტი, რომელიც, თავისთავად ქეთევანის ლოცვას წარმოადგენს. ვფიქრობთ, ზედმეტია საგანგებო მსჯელობა იმაზე, რომ რასაც აგიოგრაფიულ თხზულებებში წარმოთქვამენ ნინო, ლუარსაბი, ქეთევანი და სხვა მოღვაწენი, ავტორებისა და არა მაინცდამაინც ვპირებისა.

მას შემდეგ, რაც გაირკვა ქეთევან დედოფლის „ვედრება-ჰიმნის“ რაობა, არაა ძნელი ასახსნილი მისი სიტყვიერ-ლექსიკური მსგავსება თეიმურაზ პირველის პოემასთან. ჩანს, ანტონ პირველი ისევე დაესესხა თეიმურაზის პოემას, როგორც ბევრ სხვა წყაროს. ასე რომ, ჩვენის აზრით, „ვედრება-ჰიმნი“ კი არაა წყარო თეიმურაზის პოემისა (როგორც აქამდე ევონათ), არამედ პირიქით — „ვედრება-ჰიმნის“ ავტორია დავალებული თეიმურაზის პოემით.

პროფ. ტ. რუსაძე ქეთევან დედოფალს მიაკუთვნებს კიდევ სამ ლექსს: „აღვალს ბედსა“, „ამისთვის ბაგე გავსწირე“ და „აწ აღვისა“²⁵⁴. მკვლევარი არც ხელნაწერებს ასახელებს და არც თავის საბუთებს გვამცნობს. ამის გამო ძნელია ამ საკითხებზე მსჯელობა, მაგრამ ორიოდე სიტყვას მაინც ვიტყვი.

1. აღვალს ბედსა გვართ დავით
ედემს ვრცელად ზის შე თხემსა...

²⁵² საქართველოს სამოთხე, გვ. 594.

²⁵³ უკვდავთა ლაღადებანი, გვ. 124-126.

გვხვდება რამდენსამე ხელნაწერში (S № 1512, 25r; S № 3704, გვ. 165; II № 1193; A № 1164, 20v). ზოგი მათგანი დავით რექტორის გადაწერილია. ყველგან ლექსი წარმოდგენილია ავტორის დასახელების გარეშე. არავითარი წინიშნება ქეთევანის ავტორობაზე არ გვაქვს.

2. ამისთვის ბაგე გაესძარ დაღებოთ,
ესმეს ვის ზრდანი შეთერის თემსა...

ხელნაწერებში (S № 1512, 25r, S № 3704, გვ. 165; H № 1193; A № 1164, 20v) წარმოდგენილია ყოველგვარი წინიშვნის გარეშე. ავტორი უცნობია.

3. ანო აღვისა, ბანო ბროლ-ვარდი,
განო გარევით ნაყოფად ესხეს...

ხელნაწერებში თეიმურაზ პირველს მიეწერება (S № 1511, 9rv; S № 2694; H № 773; A № 1164, 7r) და მის თხზულებათა კრებულშია შეტანილი²⁵⁵.

ასე რომ, ჩვენის აზრით, არავითარი საფუძველი არა გვაქვს იმისათვის, რომ დასახელებულ ანბანთქებათა ავტორად ქეთევანი მივიჩნიოთ.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ ქეთევანი ყოფილა ხელნაწერთა მომგებელიც. მისი ბრძანებით (1609 წ.) ქვათახევის წინამძღვარმა იოანე ავალიშვილმა გადაწერა „იბაკონი ღვთისმშობლისანი“ (H № 281).

²⁵⁴ ტ რ უ ხ ძ ძ ე. ქეთევან დედოფლის უცნობი ლექსები, „ლიტერატურული გაზეთი“, 31.VIII.1956, № 35 (997).

²⁵⁵ თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი, ო ს ზ ე ლ ბ ა თ ა ს რ უ ლ ი კ რ ე ბ ე ლ ი, გვ. 159-160.

ლელა ჯიბრიაშვილი

ამ მანდილოსნის სახელი შემოგვინახა XIII საუკუნის ერთმა სახარებამ (A № 1459), რომელიც ლელას დაუსხნია. სათანადო მინაწერში, რომელიც ხელნაწერის აღმწერის – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ლ. ქუთათელაძის აზრით XVI–XVII საუკუნეებისაა, ვკითხულობთ: „ესე ოთხთავი სახარებაჲ, წედის ცისე რომ აღილო ერისთავმან, მაშინ წელუკიძემ წაილო. მე ლელა ჯიბრიაშვილის ქალმან დავიხსენი“²⁵⁶.

ჩანს, ლელას აფიქრებდა ქართულ ხელნაწერთა ბელი, ეს-მოდა მათი დაღუპვის საშიშროება და განადგურებისაგან ხსნის აუცილებლობა.

რ ე ბ ე კ ა

რებეკა მონაზვნის დაკვეთით გაბრიელ მთავარდიაკონს გადაუწერია „ჟამნი“ (H № 856), რომელმაც შემოგვინახა ხელნაწერის დამკვეთის ანდერძი: „მე ფრიაღ ცოდვილმან რებეკა მონაზონმან, ვიგულეთ და ვიგულმოდგინეთ და აღვაწერიინეთ წმიდა ესე და სულთა განმანათლებელი ჟამნი სრული სულისა ნეეწისა საჯსრად და საოჯად, ვინცა შენდობით მომიჯსენო, თქუენცა მოგიჯსენოს ღმერთმან. ამინ“²⁵⁷.

რებეკას ვინაობის ამსახველ ცნობებს ხელნაწერი არ შეიცავს. რა ერჯვა ადრე ამ მანდილოსანს, რა იყო მიზეზი იმისა, რომ თავის თავს ცოდვილს უწოდებდა, არ ვიცით. იგი XVI–XVII საუკუნეების მოღვაწე უნდა იყოს.

²⁵⁶ A № 1459, 54v; ხელნაწერთა აღწერილობა (A), V, გვ. 6-7.

²⁵⁷ H № 856, 68r; ხელნაწერთა აღწერილობა (H), II, გვ. 233.

თამარ დედოფალი

თამარ დედოფალმა — ათაბაგის ასულმა და ვახტანგ I გურიელის (1583—1587) მეუღლემ, ქაიხოსრო I გურიელის (1626—1660) დედამ თეაროსნის (ტაძარი კინტრიშის ხეობაში, სოფ. ღვარაში) წინამძღვარ გერმანოზს გადააწერინა დავითნი (H № 75), რომელიც შესრულების ტექნიკით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს²⁵⁸.

მარიამ დედოფალი

„იყო ყოვლითურთ შემეულა კეთილითა, რომლის მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად არლარაჲინა“.²⁵⁹

მარიამი (1605—1682) იყო ასული მანუჩარ დადიანისა, მეუღლე ქართლის მეფის როსტომისა (1632—1658), ხოლო შემდეგ ვახტანგ მეხუთისა (1658—1675). ამ სახელოვანმა ქალმა დიდი ღვაწლი დასდო ქართველ ხალხსა და ქართულ კულტურას. მაშინ, როდესაც „ფრიად მიდრკა ქუეყანა ქართლისა სწავლისაგან საღმრთოთა წერილთასა, რამეთუ კინლა და თჳთ სამღდელონიცა კრებულნი და დასნი, არღარა

²⁵⁸ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების უფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ს. ჭანაშვილის საერთო რედაქციით, I, დასაბეჭდად მომზადებულია ლ. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. იბ., 1946. გვ. 60-61 (აქ ხელნაწერი XVI საუკუნითაა დათარიღებული); საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი, თბ., 1952. გვ. 191 (აქ ხელნაწერი XV საუკუნით თარიღდება).

²⁵⁹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 441.

მზრუნველ და მეძიებელ იყვნეს საღმრთო სწავლაოათჳს²⁶⁰, მარიაამს გამოუხენია თავი მრავალმხრივი საქმიანობით.

ქართლის დედოფლად გახდომის შემდეგ მარიაამა ჯერ მაჰმადიან როსტომსა და შემდეგ შაჰნავაზს გაუღვიძა პატივისცემა და სიყვარული ერისა და სამშობლოსი²⁶¹. მან ხელი მიჰყუა დანგრეული და მტერთა შემოსევებისაგან დარბეული კულტურის ძეგლების აღდგენისა და შენების საქმეს; აღადგინა, მაგალითად, ბოლნისის სიონი, რუისისა და ურბნისის ტაძრები, „შეაიკო ეკლესიანი შესამოსლითა სატიითა, ჯუართითა და წირვის იარაღითა, ნაკერითა მარგალიტითა და თუალითა“²⁶².

მარიაამ დედოფალი ენერგიულად უწყობდა ხელს ლიტერატურული ტრადიციების გაღვივებას. მისი ბრძანებითაა დამზადებული (1633–1643 წლებში) „ქართლის ცხოვრების“ ძვირფასი ნუსხა (S № 30)²⁶³. მარიაამ დედოფალმა ტყვეობიდან დაიხსნა მთელი რიგი ხელნაწერები: პარხლის მრავალთავი (A № 95), სვეტიცხოვლის უამნი (A № 84), ტბეთის ოთხთავი (Q № 929). მანვე განაახლებინა პარხლის მრავალთავი (A № 95), ს. ჭალის გულანი (H № 936), ახლად შეაკვრევინა მეტაფრასი და ა. შ.

„ესე წიგნი ურუმის ქვეყნიდან გამოვიხსენ და გავაახლე დაშლილი და წამხდარიო“, — გვაუწყებს დედოფალი მარიაამი პარხლის მრავალთავის (A № 95) მიწაწერში²⁶⁴, „პირო ღთისო, სახარებაო / მომიხსენე დედოფალთ-დედოფალი დადიანის ასული მარიაამ / ამ სოფელს მადღეგრძელე, მეორედ მოსვლას გამომიხსენ, რამეთუ აგარიანთ ჴელიდამ გამოვიხსენ წამწდარი და ნაწერწაშლილი და ახლად დავაწერინე“, — წააწერა დედოფალმა XII ს. ცნობილ ხელნაწერს — ტბეთის

260 იქვე.

261 დ. ქორიძე. სახელოვანი ქართველი ქალები, გვ. 133.

262 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 441.

263 ქართლის ცხოვრება, მარიაამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1906.

264 Описание рукописей (A), I, გვ. 113.

სახარებას (Q № 929)²⁵⁵. ასეთი მინაწერებითაა შემკული მარიამთან დაკავშირებული სხვა ხელნაწერებიც.

მარიამი თავის მზრუნველ ხელს არ აკლებდა საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფ ქართული კულტურის კერებს. მარიამის სურათი გამოუხატავთ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის კედელზე, რადგან მას, — ნიკიფორუს ჯვარის მამობასა და ვალგოთას არქიმანდრიტობის დროს, — ვალგოთასა დიდი შეწირულობა გაუგზავნია.

მარიამ დედოფალი დაფასებული და პატივცემული იყო ჯერ კიდევ თავის თანამედროვეთაგან. მისი ცხოვრება ასახულია „შაჰნავაზიანში“. შემონახულია ფრაგმენტი მარიამის ქებისა. მარიამს აქებდა ცნობილი პოეტი ნ. ციციშვილიც.

მარიამ დედოფალი ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლების თავდადებული მოჭირნახულე იყო²⁵⁶.

ელენე ბაზრატრიონი-დადიანი

ელენე დედოფალი იყო ასული ქართლის მეფის სვიმონ მეორისა (1619—1631), მეუღლე ვამეყ III დადიანისა (1658—1661). მეცნიერთა ნაწილი ამ მანდილოსნის სახელს უკავშირებს „რუსუდანიანის“ დაწერას. ამას საფიქრებელს ხდის ზოგიერთი ხელნაწერის ჩვენება. კერძოდ, S № 2541 ხელნაწერის X კარის სათაურში ვკითხულობთ: „აჲა მეთიე ძმის ფირანის ნათქვამი, ანბავი შამას ხელმწიფის ბანარზისა და გლახისათვის. საუკუნომცა არს სახსენებელი დედოფლის ელენესი. ამინ“. ელენე დედოფალი ჩანს ზოგიერთ სხვა ნუსხაშიც. მაგ., S № 3698 (გვ. 915). მეცნიერნი ვარაუდობენ, რომ ამ ელენეს სახელი დართული ჰქონია „რუსუდანიანის“

²⁵⁵ ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 357-358.

²⁵⁶ ლ. მენაბდე, ძვ. ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ.: I, გვ. 88, 91, 150-151; დ. ქორიძე, სახელოვანი ქართველი ქალები, გვ. 133-137.

დავდაპირველ ნუსხას, რომლიდანაც მერე ის სხვებშიც გადასულა. სხვა რაიმე მყარი საბუთი „რუსუდანიანის“ ელენე დედოფალთან დასაკავშირებლად არ მოგვეპოვება, მაგრამ პირობით ეს დასაშვებია და ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაშიც შეწყნარებულია²⁶⁷.

„რუსუდანიანთან“ ერთგვარი კავშირი უნდა ჰქონდეს როდამ ფალავასაც; S № 3698 ხელნაწერში იკითხება მისი სახელი („ღმერთო, წარუმართე ფალავას ქალს როდამს“).

დადიანთა კარი მწიგნობრობის მძლავრ კერას წარმოადგენდა. „რუსუდანიანის“ იქ შექმნა კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს მის ლიტერატურულ ტრადიციებს.

ილენე დედოფალი

1669 წელს „დიღმის წმიდის გიორგის დეკანოზ-ყოფილმა“ ზებედეშ „ბრძანებითა პატრონისა დედოფალთ-დედოფლისა ელენესითა“ გადაწერა მოზრდილი კრებული — მეტაფრასი (H № 1336). „აქა სრულ იქმნეს შესხმა ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობლისა, ბრძანებითა პატრონისა ჩუენისა დედოფალთ-დედოფლისა ელენესითა და ჴელითა ფრიად ცოდვილისა და უსწავლელისა დიღმის წმიდის გიორგის დეკანოზ-ყოფილისა ზებედესითა“, — ვკითხულობთ ხელნაწერის არშიაზე²⁶⁸.

აღნიშნული კრებულის გადაწერისას ზებედეს დიდი შრომა გაუწევია, ბევრი სიძნელე შეხვედრია („ბევრი ჴირი ვნახე, ამის უწყებად ჩხრეკაშია.“).

იმავე წელს გადაიწერა კიდევ ერთი კრებული (H № 1064). ანდერძი გადამწერისა გვატყობინებს, რომ ამ ხელნაწერის

²⁶⁷ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II⁴, გვ. 430-431; ს. ცაიშვილი, რუსუდანიანი, წიგნში, ქართული ლიტერატურის ისტორია, II (თბ., 1966), გვ. 444-445.

²⁶⁸ H № 1336, 73v; ხელნაწერთა აღწერილობა (H), III, გვ. 276.

დამკვეთიც ელენე დედოფალია: „დაიწერაჲ წმიდაჲ ესე წიგნი... ბრძანებითა დედოფალთ-დედოფლისა პატრონისა ელენესითა. აწმარნეს ღმერთმან ღლეთა სიგრძესა და ჟამთა სიმზუდესა შინა“²⁶⁹.

1669 წელს ქართლში მეფობდა ვახტანგ V (1658–1675), რომელსაც ამ დროს ცოლად ჰყავდა მარიამ დადიანი (1605–1682), ხოლო კახეთში — არჩილი (1664–1671), რომელმაც 1667 წელს შეირთო თეიმურაზ პირველის შვილიშვილი ქეთევანი. ასე რომ, ელენე დედოფალი რომელი კუთხის გამგებელი იყო, ჩვენთვის გაურკვეველია.

მარიამ ერისთავი-გაბრატიონი

ნათანაელ ბედისმწერლიშვილმა 1691 წელს რევაზ ერისთავის ასულისა და ვახტანგ მეხუთის (1658–1675) ვაჟის ლუარსაბის თანამეცხედრის მარიამის ბრძანებით გადაწერა დავითნი (H № 16). ამას გვამცნობს გადამწერის ანდერძი: „ნებითა ღმრთისაჲთა ჳელ ვჰყავ მე ყოველთა კაცთა უნარჩევესმან ბაღდაღისძემან ბედისმწერლიშვილმან... ნათანაელ წმიდა ესე დავითი აღწერად პატრონისა რევაზ ერისთავის ასულისა და თანამეცხედრისა ძისა შაჰნაოზ მეფის ლუარსაბისა მარჯუჴნით მჯდომარისა ბატონის მარიამისათა... შენდობა ყავთ მწერლისათჳს. ღმერთმან იცის, სიკეთესა და სიღართლეს მოვიჭირვე. რაჲცა ოდენ ძალ მედგა და რაჲცა დედასა ეწერაჲ, სხუა მეტი არა დამიწერია რა, არცა რა ჩამირთავს... საცა გასაკეთებელი იყო, ორჯელ ჩავამოწმე და ისრე გამიმართებია“²⁷⁰.

²⁶⁹ H № 1064, 84r; ხელნაწერთა აღწერილობა (H), III, გვ. 59.

²⁷⁰ H № 16, 211v; ხელნაწერთა აღწერილობა (H), I, გვ. 11.

ზილიხან ბატონიშვილი

დავითნის ერთი ნუსხა (H № 1665) დამზადებულია „ბრძანებითა ბატონისშვილი ზილიხანისათა“ XVII საუკუნეში. ტექსტი შესრულებულია ნუსხურით. ბოლოს ერთვის მხედრული მინაწერი: „დაიწერა და სრულ იქმნა წმიდა და სულთა განმანათლებელი დავითნი ბრძანებითა ბატონისშვილი ზილიხანისათა. ახმარნეს ღმერთიან დღეგრძელობასა და ანოდ ყოფნასა შინა. ამინ და კირიელეისონ“²⁷¹.

ტექსტს ბოლოს დართული აქვს ძველი ხელნაწერიდან გადმოტანილი ძვირფასი ილუსტრაციები, რომელთაც ქართველი ხალხის მატერიალური კულტურისა და ეთნოგრაფიული ყოფის გასაცნობად უდიდესი მნიშვნელობა აქვთ (ხარება — 171r, ტაძრად მიყვანება — 171v, ჯვარცმა — 172r და სხვ.)²⁷².

ამრიგად ამ მანდილოსანმა არა მხოლოდ დავითნის საინტერესო ნუსხა დაამზადებინა, არამედ მაღალი ესტატიზმით შესრულებული ნახატებიც გადაგვირჩინა და შემოგვინახა.

•

271 H № 1665, 170r; ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, გვ. 92-93; გზამკვლევი, გვ. 190-192.

272 დავითნის ილუსტრაციებით აღრე შემკული ყოფილა ის წიგნი, რომელიც დაამზადებინა დედოფალთ-დედოფალმან ... თენმა (ხელნაწერში სახელის მხოლოდ ორიოდე ასო ჩანს). ეს პირი, — პროფ. კ. გრიგოლიას აზრით, — უნდა იყოს ვახტანგ IV (1443—1446) თანამეცხედრე სითხათუნი (გზამკვლევი, გვ. 190). აკად. შ. ამირანაშვილი კი მას რუსუდან მეფის (1222—1245) ასულად, იკონიის სულთნის ყიასადდინ ქაიხოსრო შეორის (1236—1245) მეუღლედ, თამარ დედოფალად — გურჯიხათუნად მიიჩნევს (იხ. მისი ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 287-288).

მარიამ დაყუდებული

მარიამ დაყუდებულის „ბრძანებითა და შეწყვენიითა და საფასითა“ XVII საუკუნეში გადაიწერა დავითნი (K № 265). ხელნაწერის მომგებელი ანდერძში „ბატონ დაყუდებულ მარიამად“ იწოდება²⁷³.

ცნობილია სახარების შემცველი კრებული (K № 521), რომლის ერთი ნაწილი XVIII საუკუნეში გადაუწერია მარიამ მონაზონს²⁷⁴. ორივე ხელნაწერი დათარიღებულია ხელის მიხედვით. რამდენად ზუსტია ხელის მიხედვით დათარიღება, ვერაფერს ვიტყვით. არაა გამორიცხული, რომ მარიამ დაყუდებული და მარიამ მონაზონი ერთიდაიგივე პირი იყოს.

დარეჯან მანაბელი

დარეჯან მანაბელი XVII საუკუნის მოღვაწე ყოფილა. ის ზრუნავდა როგორც ძველ ქართულ ტაძრებზე, ისე ხელნაწერებზეც. ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს მინაწერი მის მიერ აღდგენილი მარხვანისა: „მე, ცოდვილმან და ყოვლად უღირსმან მანაბლის ასულმან დარეჯან გავაკეთე. ურჯულოთაგან დაბნეული იყო ეს წმინდა მარხვანი... მცირეთა შევეწიენით წმიდასა სამებას, ლეკთაგან გამარცხული იყო... წმინდა გიორგი სასიერეთის იყო ურჯულოთაგან მოსვრილი... აღვაშენეთ“²⁷⁵.

273 ხელნაწერთა აღწერილობა (K), II, გვ. 9.

274 იქვე, გვ. 156.

275 A № 1404, 118v; ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 499.

ანახანუმი პრისტავი

„ბატონ ანახანუმის“, — ზაალ ერისთავის ასულის, — დავალებით იესე ჩხეიძემ 1693 წელს გადაწერა სტოდიერი. გადამწერი მომგებელს ახსენებს ხელნაწერის ერთ-ერთ გვერდზე: „პრისტე მფლობელო ყოველთა სუფევათაო, ადამღე მენ მიერთია კურთხევითა ორსავე ცხორებასა შინა ბატონი ანახანუმ და ანმარე სიგრძესა შინა დღეთა წმიდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი სტოდიერი ესე“²⁷⁶.

ანახანუმი შეიძლება მიგვეჩინა მემბოხე დიდებულის, ზაალ არაგვის ერისთავის (გარდ. 1661 წ.) ასულად, მაგრამ ასეთი სახელის მატარებელი პირი ზაალის შვილთა შორის თითქოს არ ჩანს²⁷⁷.

მარიამ ციციშვილი

ჩვენს მიერ ზემოთ უკვე მოხსენიებული, — დარეჯან მახაბლის მიერ აღდგენილი, — მარხვანი (A № 1404) ახლად აღადგინა XVII საუკუნის მოღვაწემ მარიამ ციციშვილმა. მას დასახელებული სელნაწერი ერთობ სავალალო მდგომარეობაში უნახავს და ცდა არ დაუკლია მისი განახლებისათვის. ყოველივე ამას ვიგებთ მარიამის მინაწერიდან, სადაც ვკითხულობთ: „ნებითა და შეწევნითა ღთისაჲთა და მეონებითა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისაჲთა, ჩუენ, ბატონმან ციცისშვილის ასულმან მარიამ, კელ ვყავით წიგნისა ამის კეთებად, რომელი უჭმარ ქმნილიყო და შევაკაზმინეთ ჩუენდა და პატრონისა ჩუენისა და ძეთა და ასულთა ჩუენტა წარსამართებლად... ვინც მიემთხვიოთ, ლოცვაჲ ყავთ ჩუენტჳს. რათა თქუენცა შეგინდნეს ღმერთმან“²⁷⁸.

276 A № 809, 73r; M. Джанашвили, Описание рукописей церковного муз., III, 1, 1908, გვ. 7-8.

277 ქრონიკები, II, გვ. 533.

278 A 1404, 198v; ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 500.

ელენე ბატონიშვილი

„ქართველთა და კახთა მეფეთ-მეფის ასულის“ ელენეს დავალებით ცნობილმა მწიგნობარმა ნიკოლოზ მერქეზიშვილმა 1704 წელს გადაწერა დავითნი (Q № 430)²⁷⁹. 1705 წელს მანვე გადაუწერა ელენეს ოთხთავი (Q № 919) და ასეთი წარწერით მიაართვა: „აწ ესეცა განვასრულე ბრძანებული ნუნ, ყოვლად ბრძენ და... საყვარელო... ყოველთასა ერთგულთ, ასულო მეფისათ ელენე, დაიუნჯე წიგნი ესე, საუნჯე ყოვლისა კეთილისა, საუნჯეო სიწმინდისათ“²⁸⁰.

ელენე ბატონიშვილი უნდა იყოს ასული ერეკლე პირველისა (1688–1703).

როდამ ციციშვილი-ამილასორი

„ბრძანებითა ციციშვილის ასულისა და ამილასორისა თანამეცხედრისა ბატონის როდამისითა“ მღვდელმა იესე ჩხეიძემ 1709 წელს გადაწერა „ცხოვრება ანდრია სალოსისა და ოანე მოწყალისა“²⁸¹. ეს „წმიდა წიგნი“ როდამმა შესწირა შიომღვიმეს, რასაც ადასტურებს ხელნაწერის ერთ-ერთი მინაწერი: „ჩვენ, ბატონმა როდამმა შემოგწირეთ წიგნი ესე ღვიმეს ტაძარსა წმინდისა ღმრთისმშობელისა ანდრია სალოსი ესე. ვინაც გამოგწიროს, შენი მადლი გაუწყრეს“ (387r).

279 ხელნაწერთა აღწერილობა (Q), I, გვ. 431-432.

280 Q № 919, 264v; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 347.

281 არქ. ხელნ. № 312, 315r; საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი ს. კაკაბაძისა და პ. გაგოშიძის მიერ, I, თბ., 1949; გვ. 284.

დარეჯან ბაგრატიონი

დარეჯან არჩილის ასული ბაგრატიონი მოსკოვის ქართული კოლონიის თვალსაჩინო წარმომადგენელია.

დარეჯანი დაიბადა 1665 წელს. 1672 წელს დაწინდეს, ლევან დადიანის ვაჟზე — მანუჩარზე. 1680 წელს მანუჩარი გარდაიცვალა. დარეჯანი აღარ გათხოვილა. იგი მამას გაჰყვარუსეთში, იქ დამკვიდრდა და იყო მოსკოვის ქართველი კოლონიის კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების შემდგომი გამგრძელებელი.

დარეჯანი დიდი პატივისცემით სარგებლობდა რუსეთის მეფის კარზე, ამას ის ქართველთა სასიკეთოდ იყენებდა. მს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა ვახტანგ მეექვსესთან. ქართლის მეფე დარეჯანს უგზავნიდა წერილებს, აღუწერდა საქართველოს მძიმე მდგომარეობას. დარეჯანიც თანამშრომლობდა ვახტანგთან, უთარგმნიდა რუსულ წერილებს...

დარეჯანის სასახლე სოფ. ვსესვიატსკოეში იქცა საქართველოდან ჩასულ პირთა სადგომად. იქ იკრიბებოდნენ საქართველოდან დევნილი ქართველი მამულიშვილები, რომელთაც არ ედგომებოდათ სამშობლოში უამთა სიავის გამო. იქ გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი დღენი სულხან-საბა ორბელიანმა.

დარეჯან ბაგრატიონს საკუთარი ლიტერატურული მემკვიდრეობა არ დაუტოვებია, მაგრამ მოღწეული საბუთები ამტკიცებენ, რომ ის კულტურულ-მწიგნობრული საქმიანობით დაინტერესებული იყო, ადევნებდა თვალს სხვათა მუშაობას, ეხმარებოდა და მფარველობდა შემოქმედებით მუშაკებს.

ჩვენამდე მოღწეულია ზოგი წიგნი, რომლის დაწერა თუ გადაწერა დ. ბაგრატიონის სახელთანაა დაკავშირებული. მაგალითად, დარეჯანის კარის წინამძღვარს იოსებს მისი ბრძანებით გადაუწერია საგალობლების კრებული²⁸², 1738 წ. და-

²⁸² ლ. ქუთათელიძე, ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის ორდენის სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVII-B, 1953, გვ. 793.

რეჯანის ბრძანებით მოლარეთუხუცესს გაბრიელ ჩხეიძეს უთარგმნია სასულიერო-საეკლესიო შინაარსის კრებული (H № 491), რასაც ადასტურებს ანდერძი გადამწერისა: „ქ. ეს რაც ამ წიგნში სწერია, გადმოვთარგმნე რუსულისაგან ქართულად მე, კურთხეულის იმერეთის მეფის არჩილის, ვახტანგის შულის, საფარველს ქვეშე გაზრდილმან და დ.ბერებულმან გაბრიელ ჩხეიძემან, ბრძანებითა ასულისა მისისა კეიხილმორწმუნისა ცარეენა დარია არჩილოვნასითა“²⁶³. დარეჯანთან მოღვაწეობდა „კარის წინამძღვრას ჯანდიერის შვილი მანუჩარის ძე დომენტი“, რომელსაც „რუსულის წესით“ აღწერია „სადღესასწაულო სრული, თვენი სავალობელითა, სვინაჟსრითა“ და სხვ.²⁶⁴

დარეჯან არჩილის ასულის სასახლეში შემდეგ ქართული სტამბა გაიმართა. დარეჯანი სტამბას ჯეროვნად ესმარებოდა. 1739 წელს ამ სტამბაში დაიბეჭდა თეოფანე პროკოპოვიჩის (1681—1736) „პირველ სასწავლო ყრმათა“. ამ წიგნის პოლოსიტყვაობაში ვკითხულობთ: „პირველ ესე სასწავლო ყრმათათვის, რუსულისაგან ქართულად გადმოითარგმნა ბატონის შულის დარეჯანას მოლარეთუხუცის ჩხეიძის გაბრიელისაგან, და ქართულს ენაზე გასწორდა არქიმანდრიტის გერმანესაგან, და დაიბეჭდა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს მის დიდებულის ბატონის შულის დარეჯანას სასახლეში მის და მის პალატის ყრმათა შეწევითა და ჭელის მომართვითა“²⁶⁵.

აღნიშნულ წიგნში დასმულია რუსული პედაგოგიური აზროვნებისათვის დამახასიათებელი საპოლემიკო საკითხები. ქართველი ბატონიშვილი, ჩანს, იზიარებდა ავტორის აღმზრდელობით იდეებს და სურდა ის ქართველთა შორისაც დაენერგა.

²⁶³ H № 491, 125r; ხელნაწერთა აღწერილობა (H), I, გვ. 356.

²⁶⁴ A № 220, 656v; Описание рукописей (A), I, გვ. 241.

²⁶⁵ ქართული წიგნი, I, თბ., 1941, გვ. 39.

ამრიგად, დარეჯან არჩილის ასულ ბაგრატიონს გარკვეული ადგილი ეკუთვნის ქართველ მწიგნობარ ქალთა შორის — როგორც მეცენატსა და მწიგნობართ მოყვარულს²⁸⁶.

მარიამ-მაკრინე ბატონიშვილი

„დაუქვირდების მხილველთა, რომელნიცა იხილენ ნაღუაწთა მისთა, თუ ვითარ შეეძლო დედაკაცმან ერთმან ევოდენნი შრომანი“.

თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი

მარიამ ბაგრატიონი იყო ასული ანა ჩოლოყაშვილისა და ქართლის მეფის ერეკლე პირველისა (ნაზარალი ხანი), ეს უკანასკნელი კი — თეიმურაზ პირველის შვილიშვილი. ადრე დაობლებამ და დღენიადაგ უცხოობაში ყოფნამ უარყოფითი გავლენა იქონია ერეკლეს ისედაც მერყევ ხასიათზე²⁸⁷. საკუთარი ზნეწვეულების უცოდინარი მეფე სალხს არ გამოადგებოდა, ამიტომაც მან სასიკეთო ვერაფერი მოუტანა მშობელ სალხს.

მარიამი მამას არ ჰგავდა. მისი სახელი ქართული ლიტერატურის ისტორიამ შემოგვინახა, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლისა ქართველ მწიგნობარ ქალთა შორის. მან გარკვეული წვლილი შეიტანა საეკლესიო პოეზიის განვითარების საქმეში და სასულიერო საგალობლების ნიჭიერი ავტორის სახელი დაიმკვიდრა.

²⁸⁶ ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ერთეულობის ისტორიიდან (XVI—XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 73-75, 132-133, 182, 184, 219; ლ. მენაბდე, ქართული ეპლტურულ-საგანმანათლებლო კერების ისტორიიდან (არჩილის კოლონია მოსკოვში). თსუ შრომები, ტ. 96, 1963, გვ. 218-220.

²⁸⁷ მ. ქანაშვილი, მაკრინე ბატონიშვილი, „სახალხო გაზეთი“, 10. IV. 1913, № 668. იხ. აგრეთვე გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, თბ., 1947, გვ. 24.

ზუსტი თარიღი მისი ცხოვრება-მოღვაწეობისა არ მოგვე-
 ლოვება. ვარაუდობენ, რომ იგი დაახლოებით 1696—1698
 წლებში უნდა დაბადებულიყო²⁸⁸. ადრე გათხოვილა — 1714
 წელს ცოლად გაჰყოლია კახთა მეფის სახლთუხუცესის ელი-
 შერ ჩოლოყაშვილს, რომელიც 1715 წელს მოუკლავთ ლე-
 კებთან ბრძოლაში²⁸⁹. ქმრის სიკვდილის შემდეგ მარიამი
 მონაზვნად აღკვეცილა მაკრინეს სახელით და ძმის დავით
 იმამყულიხანის (1703—1722) ნებართვით ალავერდის ტა-
 რაში დამკვიდრებულა. მისი გარდაცვალების თარიღი და-
 ზუსტებული არ არის. „საფიქრებელია, მარიამ-მაკრინემ
 XVIII საუკუნის შუა წლებამდე მიაღწია და თავისი ღვაწლ-
 მოსილი სწეული ალავერდის სავანეს მიაბარა“²⁹⁰.

უაღრესად კულტურულმა ატმოსფერომ, რომელშიც მა-
 რიამი აღზრდა, ოჯახურმა და მემკვიდრეობითმა ლიტერა-
 ტურულმა ტრადიციებმა (მისი ძმა დავითი იყო ავტორი
 ფრიად საყურადღებო ძეგლის „ღვთაების გუჯრისა“, ხოლო
 მამის პაპა თეიმურაზ I — ცნობილი პოეტი), დიდმა ნიჭმა
 განაპირობეს მარიამის შემოქმედებითი ცხოვრების ეზა.

მარიამს კარგი განათლება მიუღია; „იყო სწავლული ქარ-
 თულსა ენასა ზედა ფრიად“ (თეიმურაზ ბატონიშვილი). მას
 კარგად უნდა სცოდნოდა უცხო ენებიც — კერძოდ ბერძნუ-
 ლი. მეცნიერთა დაკვირვებით მისთვის ასლობელი უნდა ყო-
 ფილიყო IX საუკუნის ბიზანტიელი ქალის კასიას შემოქმე-

²⁸⁸ ქ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 343.

²⁸⁹ იქვე, გვ. 343; ქ. ქეკელიძე, მეორამეტე საუკუნის ქართუ-
 ლი ლიტერატურის ისტორიიდან წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლი-
 ტერატურის ისტორიიდან. IV, გვ. 235 (აქ შეკლევარი ე. ჩოლოყაშვილის
 გარდაცვალების თარიღად მიიჩნევს 1714—1716 წლებს).

²⁹⁰ ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I,
 ნაკვ. I, გვ. 344. ახლახან დაიბეჭდა მეტად საყურადღებო წერილი, რო-
 მელიც აზუსტებს მარიამ-მაკრინე ბაგრატიონის მოღვაწეობის ხანას და
 დაწერილებით მიმოიხილავს მის ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობას (იხ.
 მ. ქავთარია, XVIII საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან,
 მრავალთავი, II, 1973, გვ. 94-109).

დება, რომელსაც ერთგვარი გავლენა მოუხდენია მარიამის ჰიმნებზე²⁹¹.

„მაკრინე ისეთ ხანაში ცხოვრობდა, როდესაც ჩვენი კულტურული ცხოვრება შეუწელებლივ დუღდა, ეს იყო ხანა ვახტანგ VI-ისა და მისი სკოლისა, ხანა სულხან-საბა ორბელიანისა, კათოლიკოზ დომენტიისა, დასაწყისი ხანა ანტონ პირველის მოღვაწეობისა“²⁹².

ჩვენამდე მოღწეულია არა ერთი და ორი ძველი ქართული ხელნაწერი, სადაც მარიამი გვევლინება როგორც ნიჭიერი შემოქმედი, დასელოვნებული კალიგრაფი, საბუთების დამწერი, ხელნაწერთა შემწირველი თუ სხვა.

როდესაც მარიამის ჰიმნოგრაფიულ მოღვაწეობაზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მისი „სტიხნი საეკლესიონი“ — საგალობლები, ჰიმნები მიძღვნილი იოსებ ალავერდელისადმი²⁹³. ამ ჰიმნებს ქართულ ეკლესიებში გალობდნენ და წარმოთქვამდნენ ჩვენს დრომდე.

იოსებ ალავერდელი ყოფილა ერთ-ერთი ასერელ მამათაგანი, რომელიც კახეთში დამკვიდრებულა და აუშენებია სამლოცველო იქ, სადაც ახლა ალავერდის დიდებული ტაძარი დგას. მას ხალხის საყოველთაო პატივისცემა დაუმსახურებია. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ალავერდის ტაძარში მოღვაწე მონაზონმა მისი სადიდებელი ჰიმნები დაწერა.

მაკრინეს აზრით, იოსებ ალავერდელი ქება-დიდების ღირსია იმდენად, რამდენადაც მან ქართველთა შორის ნიწოს მიერ ქადაგებული სარწმუნოება განაახლა და განამტკიცა. „განაახლე და განამტკიცე ნინოს ქადაგებული, ჰოა, სა-

²⁹¹ კ. კეკელიძე. მეოვრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV. გვ. 246-248.

²⁹² კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, 14. გვ. 344.

²⁹³ ეს ჰიმნები დატულია რამდენსამე ხელნაწერში (H № 1672, 2077; S № 3259; A № 387). რამდენჯერმე გამოიცა გასულ საუკუნეში, ხოლო უკანასკნელად 1936 წ. (ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები. გვ. 46-76).

ტრელო იოსებ, ამისათვის ღირსად და ჭეშმარიტად ქრის-
ტე ღმერთა ჩვენი გვირგვინოსანგყოფს“²⁹⁴.

პოლიტიკური ივალსაზრისით უაღრესად რაული იყო
საქართველოსი და კერძოდ კახეთის მდგომარეობა მაშინ,
როდესაც მაკრინე მოღვაწეობდა. ერთი მხრივ, ირანის შაჰი
აკაროვებდა, ხოლო მეორე მხრივ, ლეკების სათარეშო ას-
რებზად ქვეულის კახეთი. შემთხვევითა არაა, რომ ამ პე-
რიოდის ქრთველ მწერალთა შეიკრმედების ძირითადი თემა
პატრიოტიზმია. მაკრინეს ჰიმნებშიც პატრიოტული მოტივი
ერთ-ერთი მთავარი მოტივია²⁹⁵.

მარიამს აწუხებდა თავისი დატანჯული სამშობლოს მდგო-
მარეობა. იგი ეძებდა ხსნის, შველის გზებს. მონაზონ ქალს
ეს გზა ასე წარმოუდგენია: „მფარველ გვექმენ ჩვენ შვილთა
შენთა, მამათ იოსებ, და ვევედრე ჩვენთვის ღმერთსა, რათა
გვიხსნენ ჩვენ ყოველთა განსაცდელთაგან, სამწყსონი შენ-
ნი“²⁹⁶.

მარიამ-მაკრინეს მიერ დაწერილი ჰიმნები შესრულებუ-
ლია მაღალი ოსტატობით, ყურადღებას იქცევს ენა, მხატ-
ვრული გამოსახვის ხერხები. პოეტი ქალი იყენებს მრავალ
მეტაფორასა და ეპითეტს თავისი გმირის დასახასიათებლად:

1. „დაემკვიდრე ადგილსა ბნელსა და ფიცხელსა და იღ-
ვაწე სასობითა მისთა და დაითჳინენ მრავალნი განსაცდელ-
ნი“²⁹⁷.

2. „აბზა იოსებ, რომელი დაშვერ შრომითა კეთილითა
და დაემორჩილენ ხორცნი მოკვდავნი სულსა უკვდავსა“²⁹⁸.

3. „აბზა იოსებ, რომელმანცა შრომანი და ჭირნი თვითო
სახენი თავს იხსენ და შებმა უყავ ღვაწლსა ძნელსა და ფი-
ცხელსა“²⁹⁹.

²⁹⁴ ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 46.

²⁹⁵ ქ. კეკელიძე, მეთვრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის
ისტორიკაზ. წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტო-
რიკაზ. IV. გვ. 242.

²⁹⁶ ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 64.

²⁹⁷ იქვე, გვ. 47.

²⁹⁸ იქვე, გვ. 48.

²⁹⁹ იქვე, გვ. 50.

შეუღარებელი ოსტატობითაა დაწერილი შემდეგი სტრიქონები: „და უკვირდა იოსებს; ხედვიდა რა სასწაულთა ბუნებათა უაღრესთა და მიიღებდა კონებად ცვარსა მას საწმისისასა... მაყვალსა ცეცხლითა შეუწველსა და კვერთხსა არანისასა განედლებულსა“³⁰⁰.

საყურადღებოა სტრიქონები, სადაც მარიამ-მაკრინე ლამაზი პოეტური ფერების ფონზე წარმოგვიჩენს „ათორმეტ მამათა“ დამსახურებას; „ათორმეტ ძალნო ებანნო, ათორმეტნო მამანო, ათორმეტთა ნაა მოციქულთა მიმსგავსებულნო, რომელთა, მსგავსად მათსა, განჰფინენით ბადენი მოძღვრებისანი და მოინადირეთ პირმეტყველნი თევზნი სამჭედურითა სიბრძნისა თქვენისა და მიუძღვანენით ქრისტესა“³⁰¹.

ღვთისმშობლის კულტი ცალკე შეიძლება გამოიყოს მარიამ-მაკრინეს შემოქმედებაში. საყურადღებოა მისადმი მიძღვნილი საგალობლები:

„შენ ვიგალობენ ხერუვიმ-სერაფიმი, რომელმან დაეტე სიტყვა ღვთისა უხილავისა მუცელსა შენსა, ღვთისა დედაო“³⁰².

„ვითარცა რა ვარდი და შრომანი სუნნელი და მირონი მრავალსაყიდლისა მათათა შინა და ღელეთა მსოფლიოთა, გამოგირჩია შენ მხსნელმან და დაემკვიდრა შენ შორის და იშვა რა, სუნნელებითა აღავსო ყოველი სოფელი, დედოფალო“³⁰³.

თითქოს ამ საგალობლების ბუნებრივ გავრძელებას წარმოადგენს ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი იამბიკო-შესხმა³⁰⁴, რომელიც მაკრინეს მის მიერ გადაწერილი სულხან-საბას ლექსიკონისათვის დაურთავს:

300 იქვე, გვ. 49.

301 იქვე, გვ. 53.

302 იქვე, გვ. 55.

303 იქვე, გვ. 60.

304 H № 1740, 371v; ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, გვ. 171.

მაკლი საღმრთო ღმრთისმეტყველებისა მიერ
აღმობრწყინდა შენზედა უბიწოო მარად,
კურთხეულ დედათა შორის ქალწულო მარიამ,
რომელმან დაიტოვა სიტყვა აღებრუნელი უქორწინებელი...

დედობრივითა ვედრებითა შენითა მფარველ მეყავ მარადის,
მესწეალ მფარველ მექმენ და შემოწყალე ცოდვილი,
ოხა ჩემი ინებე და სულთქმა ჩემი შეიწირე ვარ ზეარაკ...
მეუფესა წინაშე ითხოვე წსნა ჩემი წმიდაო.

ამ ნაწარმოებს მაკრინა იამბიკოს უწოდებს, თუმცა ის ფორმით არ ჰგავს იამბიკოსს. სტრიქონთა დასაწყისი და ბოლო ასოები გვაძლევს აკროსტიხს: „მაკრინა არის გადმომწერელი ლექსიკონისა ამის“.

მარიამ-მაკრინეს საგალოტლები ძველი ქართული ჰიმნოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია; შესრულებულია მაღალი, დახვეწილი გემოვნებით, ისე, როგორც შეეფერება ნიჭიერ, ჩამოყალიბებულ პოეტს.

მარიამსვე დაუწერია ლექსი სულხან-საბას ლექსიკონზე:

ეს ლექსიკონი გულსა ვიკონი,
ამის ხილვითა სიბრძნე ვიკონი,
ვინ სიბრძნე უწყის რათ არ იკონის,
მე რაღათ ვყოვნი, ვით არ ვიკონი.³⁰⁵

შემდეგში ეს ლექსი გავრცელდა ვარიანტული წაკითხვით:

ეს ლექსიკონი ჩემი საკონი,
ესრეთ სასურვო, ვით ვარდის კონი.³⁰⁶

³⁰⁵ ლექსი იკითხება მარიამ-მაკრინესეულ ლექსიკონში (A № 1113, 339v). იხ. ლ. ქუთათელიძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები (ავტოგრაფების მიხედვით), თბ., 1957, გვ. 8-9.

³⁰⁶ S № 386, 11r; № 1510, 1r; S № 1608, გვ. 12; S № 1609, გვ. 11. იხ. ა. დლონტი, ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიიდან, წიგნში: ნაკვეთები, I. სტალინბრი, 1955, გვ. 127.

მარიამ-მაკრინეს თავისი წვლილი შეუტანია ქართული აგიოგრაფიის განვითარების საქმეში. აკად. კ. კეკელიძის ვარაუდით, იგი უნდა იყოს ავტორი იოსებ ალავერდელის „ცხოვრების“ სვინაქსარული რედაქციისა — „ცხოვრებაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოსებ ამბა ალავერდელისაჲ, რომელი იყო ათორმეტთა მამათაგანი“³⁰⁷. მკვლევარა ამ დასკვნამდე მისიყვანა შემდეგმა გარემოებამ:

1. მაკრინეს დრომდე ცნობილი არაა იოსების „ცხოვრება“.

2. მარიამის საგალობლებში იოსების სვინაქსარული ცხოვრება სწორედ მეექვსე გალობის შემდეგაა მოთავსებული³⁰⁸.

იოსებ ალავერდელისადმი მიძღვნილ საგალობლებსა და აღნიშნულ ცხოვრებას შორის იდეური და ფრაზეოლოგიური ნათესაობაც შეინიშნება³⁰⁹.

ჩვენ ამ მიმართებით შევისწავლეთ მარიამ-მაკრინეს ორივე ნაწარმოები. მოვიხმობთ ორიოდე მაგალითს:

„ცხოვრება“

საგალობლები

ესე წმიდა და ნეტარი მამა ჩუენი იყო მოწაჲ ღირსისა და ღმერთშემოსილისა იოვანე ჴედაძენისა, რომელი იყო ქუეყა

ეჲა სელისა ებანო და ქნარო სიკუვისა დაუსაბამისაო და ლეთისა მამისა საყვირო, ხმა მალღღ მხმობარეო, რომელმან

307 საქართველოს სამოთხე, გვ. 217-218; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, სვინაქსარული რედაქციები (XI—XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1968, გვ. 403-406.

308 ლიტურგიკული პრაქტიკით ამა თუ იმ „წმიდანის“ ხსენების დღეს ცისკრად, „კანონის“ მეექვსე გალობის შემდეგ, უნდა წაკითხულიყო ამ წმიდანის „ცხოვრება“ შემოკლებული, სვინაქსარული რედაქციით შინდ. იხ. კ. კეკელიძე, მეთვრამეტე საუკუნის ქართული კულტურის ისტორიიდან, წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, გვ. 249.

309 იქვე, გვ. 249-250.

ნისაგან ასურეთისა შუამდინა-
როთ. ესე ნეტარი იოვანე და ათ-
ორმეტნი მოწაფენი მისნი, აღ-
ქრულნი ღმრთისა მიერ წყალო-
ბისათჳს ნათესავთა საქა-ტვე-
ლოსათა, რომელი — იგი ეძიებს
ვითარცა რაჲ მწყემსი კეთილი
ცხოვართა შეტომილთა, რომე-
ლმან წარავლინა ათორმეტნი
მოწაფენი თჳსნი სახედ კრავისა
შორის მგელთასა და მათ მიერ
მოაქცინა წარმართნი ცნობად
ქეშმარიტებისა ხოლო ჩუენ და-
ლაყათუ დაუკადით მათ მიერ
მადლისაგან მათისა, გარსა არა
უგებებელს ეყუო წმიდათა აწ-
ათ მიერ, რომელთაცა მოგუაქ-
ცინეს სრულად ენაყოფონი და
განუშორებელნი ღმრთისაგან. რა-
მეთუ დალაყათუ წარმართა ნე-
ტარმან ნინო ქადაგება უფლისა
ჩუენისა იესუ ქრისტესი შეწყე-
ნითა ყოვლად უბრწუნელისა მშო-
ბელისა მისისათა.³¹⁰

როგორც ჩანს, ორივე ნაწარმოების იდეა ერთია; ავტო-
რის აზრით, ნინოს მიერ ქადაგებული ქრისტიანობა ჰყენს
განუმტკიცებლად ასურელ მამებს, რომელთა ერთ-ერთი წარ-
მომადგენელი იოსებია.

აზრობრთვი თანხვედნილობაა შემდეგ ადგილებში:

ხოლო წმიდა ესე და სამეზხის სა-
ნატრელი მამა ჩუენი ამბა იოსებ
მოიწია კარგად ჟერ-ჩინებითა
ღმრთისათა და წინამძღურობითა

ზღუა წიაღვე ფერსითა შვენი-
ერთითა და მოიწიე ქვეყანასა ამას
საქართველოსა, და იქუბენ ხმა-
შვენიერად სახარებისა სიტყუანი
და მოაქციენ წარმართთა ერნი
და მოინალირენ მოძღვრებათა
ბადითა, ვითარცა წმიდათა მო-
ციქულთა, სანახები ესე ჩრდი-
ლოასა, და განახლუ და განა-
მტყიცე ნინოს მიერ ქადაგებული.
ჰოი, მამაო სანატრელო იოსებ,
ამისათვის ღირსად და ქეშმარი-
ტად ქრისტე ღმერთი ჩუენი
გვირგეინოსანგყოფს დიდებისა
გვირგეინითა, რომელსა აქვს
დიდი წყალობა.³¹¹

და დაუტევე სოფელი და ადიდე
ჟვარი, რომლისა მიერ მოქალუელ
იყავ შენ და მართა ტვირთითა
წარმოძღუანე, და მოიწიე სანა-

³¹⁰ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გვ. 403-404.

³¹¹ ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 45.

ცხოველსმყოფელისა ჭუარისათა,
რომელსა ჴედა ჭუარს-ეცუა
მწსნელი ჩუენი.³¹²

ხებსა ამას კახეთისასა და დაემ-
კვიდრე ადგილსა ბნელსა და ფი-
ცხელსა.³¹³

საყურადღებთა ფინალი ორივე ნაწარმოებისა:

„ცხოვრება“

საგალოზლები

და ვითარცა მამა და მოძღუარი
და მოსურნე ცხოვრებისა ჩუენი-
სა პატივიცემის ყოელისა მიერ
მორწმუნისა.³¹⁴

უბიწომან მოქალაქეობამან შენ-
მა და სათნოდ ცხოვრებამან გა-
დიდა უკვდავსა ღიძებასა და აწ
მეოხხარ ყოველთა მოწმუნეთა-
თვის, მამაო იოსებ.³¹⁵

მარიამ-მაკრინე ცნობილია, როგორც კალიგრაფიც. მის
დამზადებულ ნუსხათაგან აღსანიშნავია სულხან-საბა ორბე-
ლიანის ლექსიკონი (H № 1740). „მასვე გადაუწერია სვიმე-
ონ თესალონიკელის „წიგნი სამოძღუროდ“, მისი ხელნაწე-
რიდან მომდინარე პირებს შემონახული აქვთ მარიამ-მაკრი-
ნეს ანდერძი, რომლითაც ცხადი ხდება ამ მოღვაწის მუშა-
ობის მიზანდასახულობა: „ფრიადი შრომა დავსდევ ამას ზე-
და და გამოწლვილვით გამოვიძიე და სადაც რამ ვჰპოვე, შევ-
ჰკრიბე და გავმართე... ფრანგთა და სომეხთაცა ჰქონდათ ესე-
ვითარი აღსარების წიგნი. მეც ამისათვის დავშვერ, რამეთუ
ჩვენდა არა სადა ყოფილიყო“³¹⁶.

312 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გვ. 404-405.

313 ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 47.

314 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გვ. 406.

315 ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 70.

316 ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1, ნაკვ. 1, გვ. 345.

მარიამ-მაკრინეს დაუწერია საბუთებიც, სახელდობრ, თე-
ომურაზ მეთრის სიგელი ნინოწმიდისადმი (1733 წ.), მისივე
სიგელი ალავერდისადმი (1741 წ.). მასვე გადაუწერია ნაწი-
ლი თავისი ძმის დავით-იმამყულიხანის „ღვთაების გუჯრი-
სა“, რის შესახებაც ცნობას თვით დავითი ვეაწვდის: „ხოლო
ვინადგან ბუნებისა წესისაებრ გვამი ჩვენი სენმა შეაპყრა,
ძნელმან და ვრძელმან, ვიდრე ორწლამდე ს:რეცეჲლად მივ-
რდომილმან დასა ჩვენსა საყვარელსა მარიამ ნაწოდს, მო-
სა ამის ხატისა ღვთაებისა აღვასრულე და გუჯარი ესე აღ-
ვიახლე და ვარქვი, ვინაიდგან, ყოველივე მსახურება წმიდი-
სა ამის ხატისა ღვთაებისა აღვასრულე და გუჯარი ესე აღ-
მოავთქუ და კიდეცა დავწერენ. აწ მე არღარა ძალმიც წერად
ამის, ხოლო შენ დათ ჩემო, შეეწიე უძლურებასა ჩემსა, ვი-
თარცა ჳელოვან ხარ ჩემსა უმეტეს ჳელითა წერასასა“³¹⁷.

საყურადღებოა მარიამ-მაკრინეს დამსახურება, როგორც
წემწირველისა; მას ქართული ეკლესიებისათვის შეუწირავს
ჯელნაწერები — „მცირე გულანი“, სახარება, მაქსიმე აღმსა-
რებლის ცხოვრება და თბზულებანი (A № 636, 5r) და ა. შ.
ცნობილია მარიამ-მაკრინეს ინიციატივით გადაწერილი წიგ-
ნებიც.

ასეთია ჩვენამდე მოღწეული მასალების მიხედვით მარი-
ამ-მაკრინეს დამსახურება ქართული ლიტერატურის განვი-
თარების საქმეში. მარიამ-მაკრინე უდაოდ საამაყო შვილია
ქართველი ხალხისა. იგი წინაპართა მდიდარი ლიტერატუ-
რული ტრადიციების ღირსეული მემკვიდრეა.

ხვარამზე ბაგრატიონი

ხვარამზე ბაგრატიონი იყო და ვახტანგ მეექვსისა, ასული
ლევან ბატონიშვილისა. იგი თავის ასლობელთა წრეში იზ-
რდებოდა, იქ კი, როგორც ცნობილია, მრავალი მწერალი

³¹⁷ ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, I, თბ., 1913, გვ. 41.

ტრიალებდა. საფიქრებელია, ამ წრეში ყოფნამ გაუღვივა ხვარამზეს მწიგნობრული ინტერესები. ცნობილია მისი დაკვეთით გადაწერილი ჟამნი (K № 151), რომელსაც ერთვის ანდერძი: „ჩვენ, ძმისწულმან ქებულის მეფის არჩილისამან და დიდად სახელოვანის ქართველთ მეფის კიორგისამან და ასულმან დიდად პატიოსნის ლევანისამან, ბატონიშვილმან ხვარამზე-ყოფილმან ეფემიამ, მრავლითა წადიერებითა და გულმოდგინებითა აღვაწერინე ყოვლად სასურველი და წმიდაჲ მყოფელი ჟამნი ესე ფრიადითა კრძალუღიბითა... აღიწერა ჟამსა მეფობისა ვახტანგისსა“³¹⁸.

ანუკა ზაპრატრონი

ანუკა ვახტანგ მეექვსის ასულია, მეუღლე ვახუშტი აბაშიძისა. მას პირად შიშლითოთეკაში მრავალი წიგნი ჰქონდა, რასაც ნათლად მოწმობს ჩვენამდე მოღწეული „მზითვის წიგნი ანუკა ბატონიშვილისა“, რომელშიც არაერთი იხსენიება დასახელებული. სასეღდობრ, „სასარება ერთი, კიდემე სახარება სტამბისა ერთი, სამოციქულო სტამბისა ერთი, ჟამნი სტამბისა ერთი, დავითნი სტამბისა ერთი, ჭელით დწერილი პატარა დავითნი ერთი, სტამბის მხედრული დავითნი ერთი, სარწმუნოების სტამბის წიგნი ერთი თავისის ოქროქსოვილის ბოხნებითა... საერთს წიგნებისაგან: ვეფხისტყაოსანი ერთი, ჯაზულთ დასატული ერთი, ლეილმაჯნუნიანი ერთი, ვსუფზილისანიანი ერთი, საამიანი ერთი“³¹⁹.

სსვა მრავალ წიგნთან ერთად ანუკას ხელთ ჰქონდა პარხლის ოთხთავი (973 წ.), რომელიც მის მეუღლეს ვახუშტის „თათრის ხელით დიდი სურვილით და სასოებიანის გულით დაესსნა“. მწიგნობარმა ეალმა მას ერთი სტროფი მიაწერა:

318 ხელნაწერთა აღწერილობა (K), I, გვ. 304-305.

319 საქართველოს სიძველენი, III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ობ., 1910, გვ. 483.

ფრიალ ცოდვილმან ანუკამ დავწერე ესე ლექსია,
ჩემთვის შენდობას ბძ/ა/ნებდეთ, ვისაც ქრისტე, მესია;
მცოდნენო, თავსა არ გისწრობთ, ხართ ჩემგან უკეთესია,
და დავწერე შენდობის თხოვნა, მოცემაც დან/ა/წესია.³²⁰

ანუკას ლექსს ატყვია გავლენა ხალხური პოეზიისა, რითაც საერთოდ დავალებულია XVII—XVIII საუკუნეების ქართულ ქალთა პოეტური მემკვიდრეობა.

გულქან ლორთქიფანიძე

გულქან ლორთქიფანიძე საკმაოდ ცნობილი პირია — ასული იმერეთის მეფის მალარეთუხუცესის, კუთასის მოურავის ბეჟანისა, მეუღლე ძლიერი დიდებულის გიორგი აბაშიძისა, დედა შოშიტა ერისთავისა. როგორც ჩანს, მსგავსად მეუღლისა, მასაც ჰქონია მწიგნობრული ინტერესები.

გულქან ლორთქიფანიძე ცნობილია, როგორც ხელნაწერთა მომგებელი და შემწირველი. მისი დაკვეთით გადაუწერიათ მეტაფრასი (Q № 652), რომლის ანდერძში ვკითხულობთ: „აღვაწერიე ესე საუფლო წმიდა მეტაფრასი მე, ლორთქიფანიძის ასულმან გულქან, ჩემის ცოდვილის სულის საოსათ, ძისა ჩემისა ერისთავის შოშიტას სადღეგრძელოთ. ვინცა წაეკითხოს, ღვთის მადლს, შენდობა მიბრძანეთ“³²¹.

320 A № 1453, 238v; ხელნაწერთა აღწერილობა (A), V, გვ. 3.

ანუკა ბატონიშვილი ზოგი ცნობით გარდაიცვალა 1746 წლის 30 იანვარს (ხელნაწერთა აღწერილობა (A), V, გვ. 4; ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, მ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913, გვ. 391), სხვა ცნობით — 1745 წ. 24 თებერვალს (მცირე ქრონიკები, ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჟ. ოდიშელმა, თბ., 1968, გვ. 52).

321 Q № 652, 243r; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 108.

გულქან ლორთქიფანიძის მოგებულია აგრეთვე ერთი კრებული (Q № 658), რომელშიც შესულია კურთხევანი და სხვა თხზულებანი. ანდერძ-მინაწერებში გ. ლორთქიფანიძე რამდენჯერმე იხსენიება. მაგალითად, „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა და ბრძანებითა მოურავის ქალისა ბატონის გულქანისათა შემოკრებული იწერების საეკლესიოთა წესითა ყოვლითურთ სრული და უკლები კურთხევანი“³²².

ცნობილია გულქანის მიერ კაცხის ტაძრისათვის შეწირული ხელნაწერები. მაგალითად, მისი მეუღლის გიორგი აბაშიძის დაკვეთით (1723 წ.) შესრულებული გულანი (Q № 631). ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: „მე, უღირსმან დიდის წარჩინებულის ლორთქიფანიძის მეფის მოლარეთუხუცესის, ქუთაის ქალაქის მოურავის, დიდის გედევან გენათლის ძმის ბეჟანის ასულმან, კათალიკოზის გრიგოლის და ნიკოლოზ გენათლის დამან, ერისთავის შოშიტას დედამ და დიდის გიორგი აბაშიძის თანამეცხედრემან და მეუღლემან გულქან შემოგწირეთ ჩუენს საძვალეს, მონასტერს... დავდევით გულანი ესე სულთა განმანათლებელი“³²³.

გულქან ლორთქიფანიძეს მეუღლესთან ერთად შეუწირავს კაცხის მონასტრისათვის XVI საუკუნის მარხვანი (Q № 657), რომლის ანდერძი ამჟამად ნაწილობრივ ვადალეულია და ძნელად იკითხება: „სადიდებლად წმიდისა ერთარსისა და განუყოფელისა სამებისა მე, აბაშიძემ... თანამეცხედრემან ჩემმან ლორთქიფანიძის ასულმან გულქან... წმიდა ესე მარხვანი... ბეჟანის წარსამართებლად“³²⁴.

322 Q № 658, 54v; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 117-116.

323 Q № 631, 532r; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 85.

324 Q № 657, 379v; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 115.

XVII–XVIII საუკუნეების ქართულ პოეზიაში განსაკუთრებით გავრცელდა ანბანთქება. ამ პერიოდში ქართველი მწერლები აღარ კმაყოფილდებოდნენ აქამდე არსებული რესთველის თექვსმეტმარცვლოვანი შაირითა და ჩახრუხაელით, ძაგნაკორულითა და ა. შ., ისწრაფოდნენ ახლის ძიებისა და დამკვიდრებისაკენ. ერთ-ერთ ასეთ საახლეს ანბანთქება წარმოადგენდა.

ანბანთქებას არ ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა პოეზიის წინსვლისა და განვითარების საქმეში. „ანბანთქება საუკეთესო გამოხატულება იყო თვითმზნური პოეზიისა; არისტიკრატული-ფეოდალური ლიტერატურა, დაშორებული ხალხის ცოცხალ შემოქმედებას, მოკლებული ჯანსაღ საზოგადოებრივ ფუნქციას და მიზანსწრაფვას, იქცეოდა საღონური გართობის საგნად, ცვლებოდა იდეური შინაარსისაგან, ხდებოდა ცარიელ ვირტუოზობად, უსაგნო და უმიზნო ფორმად“³²⁵.

ცნობილია სპვადასხვა სახის ანბანთქება³²⁶. ერთ-ერთ გავრცელებულ სახეს წარმოადგენდა ის ანბანთქება, რომელიც შემოიღო სულხან-საბა ორბელიანის ძმამ დიმიტრი ორბელიანმა. ესაა ანბანთქება „ანზე სით მოსვალ?“ ან „ანზე ვისი ყმა ხარ?“ ასეთი ანბანთქება პოეტთა შემოქმედებითი შესაძლებლობისა და სწრაფი აზროვნების საზომს წარმოადგენდა. ის კარგად ავლენდა ავტორის გონებამახვილობას, მხატვრულ გემოვნებას, პოეტურ ოსტატობას და მოითხოვდა ისტორიის, გეოგრაფიის, ფლორისა და ფაუნის ღრმა და საფუძვლიან ცოდნას³²⁷. ერთი ასეთი სახის ანბანთქება მოღწეულია XVIII საუკუნის პოეტი ქალის მანია გაბაშვილის სახელით.

325 ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 179.

326 გ. მიქაძე, ანბანთქება ძველ ქართულ ლიტერატურაში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, III, 1948, გვ. 203-224.

327 ლ. მენაბდე, დიმიტრი ორბელიანი, სსრ მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო კრებული: „სულხან-საბა ორბელიანი“, თბ., 1959, გვ. 166-168.

პოეტის ზუსტი ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება. ნაწარმოებით ვიგებთ, რომ ის გაბაშვილების გვარისაა:

მელექსე ვინცა იკითხოს, ვინ არის, ვისი გვარისა,
გაბაოვისა ასული, მისივე გვარი არისა.

პოეტის სახელი ჩანს ნაწარმოების მინაწერიდან:

გასრულდა მაიას ნათქვამი, ღმერთო აცხონე!

ნაწარმოების დასაწყისში პოეტი ერთგვარ განმარტებას გვაძლევს იმის შესახებ, თუ რაზე იქნება მსჯელობა:

ან ასე მინდა ანბანის გამოცანა ვთქვა ენითა:
ვის ვმონებთ, ანუ სით წავალთ, სახელად რა გვიხმენითა,
მშვილდი რისა გვაქვს, ისარი ან რისა იხმარენითა,
და ნადირს რას მოვკლავთ, რაში ვკრავთ, ქვევითად სდევთ თუ ცხენითა?

ანბანთქება პოეტს ახალგაზრდობისას დაუწერია:

სიყრმისა ეამსა წარმოვსთქვი, ოსტატს არ მივეფარისა,
ნუენ მივიცხავთ ავათ თქმას, ვის შუქი გადგასთ მთვარისა.

ნაწარმოები შესრულებულია მაღალ დონეზე. ანბანთქების წერისას პოეტი ერთგვარად შეზღუდული იყო, მაგრამ მაინც მკვეთრად ჩანს მისი გონებამახვილობა, მხატვრული გემოვნება. მაია განათლებული ქალია. იგი კარგად ფლობს მეცნიერების სხვადასხვა დარგს — გეოგრაფიას, ისტორიას, მითოლოგიას და ა. შ.

ნაწარმოები ნათლად გამოსატავს პოეტის თანადროული საზოგადოების ინტერესებს, მისი კულტურისა და განვითარების დონეს.

მაია გაბაშვილის ანბანთქება დაცულია მხოლოდ ერთ ზეღნაწერში (S № 1582, 1v—5v). ეს არის კრებული XVIII—XIX საუკუნეებისა, გადაწერილი ნაკლები განათლების მქონე პიროვნებისაგან ცუდი მხედრულით. ზეღნაწერში ტექსტი ძნელად იკითხება, შეინიშნება გრამატიკული შეცდომები. ალბათ, ამან განაპირობა ის სხვაობა, რომელიც არსებობს

ხელნაწერსა და ბეჭდურად გამოცემულ ტექსტს შორის (მაია გაბაშვილის ანბანთქება პირველად 1936 წელს გამოქვეყნდა)³²⁸.

დავიმოწმებთ რამდენსამე განსხვავებულ ადგილს.

S № 1582

გ ა მ ო ც ე მ ა

მოკლავთ (1v)	მოკლავთ (გვ. 183)
/ბ/ეჰი (2v)	ფეხი (გვ. 185)
ეგებისა (2v)	ელებისა (გვ. 186)
მედების (3r)	მხედებისა (გვ. 186)
ხორთუმში (3v)	ხორთუმი (გვ. 188)
მაშიაროსა (4r)	მომიაროსა (გვ. 189)
უმწაროსა (4r)	უმწარესა (გვ. 189)
ქიასა (5r)	ქიას (გვ. 192)

ლ. ასათიანი სტროფის ყველა ტაეპს ორ ნაწილად ყოფს და ტექსტს ისე წარმოგვიდგენს. ასეთი დაყოფა არღვევს „ანბანთქების“ პრინციპს.

აღნიშნულის გამო სასურველად დავინახეთ მაია გაბაშვილის ანბანთქების ტექსტის დართვა წინამდებარე შრომისათვის.

ანა ბაბრატიონი

ქაიხოსრო მეფის (1709–1711) ასული ანა 1724 წელს რუსეთში გაჰყვა თავის ბიძას — ვახტანგ მეექვსეს³²⁹. შემდგომ ხანაში ის მოსკოვში ცხოვრობდა და ერთგვარ მონაწილეობას იღებდა მოსკოვის ქართული კოლონიის ლიტერატურულ ცხოვრებაში. ჩვენთვის ცნობილია ანას მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ორი მომენტი.

³²⁸ ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 183-194.

³²⁹ ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში, თბ., 1955, გვ. 142.

1. ანას დავალებით ცნობილმა მწერალმა გაიოზ რეკტორმა 1777 წ. თარგმნა „კიტაიის სიბრძნე ასუ სწავლა ბელნიერად ცხოვრებისა“. იგი შემონახულია მრავალ ხელნაწერში (S №№ 176, 525; A № 1416; Q №№ 168, 251; K № 299 და სხვ.), დაიბეჭდა თბილისში 1784 წელს. თარგმანს უძღვის გაიოზის მიმართვა ანასადმი: „მის უგანათლებულესობას მეფის ქაიხოსროს ასულს, ანნას უმდაბლესად მოვახსენებ. უგანათლებულესო მეფის ასულო, უმოწყალესო ხელმწიფეო! უბედნიერეს ჟამად ვრაცხ დროსა მას, ოდეს ღირს ვიქმენ შეძლებად ნაცვალსა თქვენ მიერისა ჩემდამო მოწყალებისასა, ვინათგან ურიცხვი მოწყალება თქვენის უგანათლებულესობისა მაწვევდა ვითარმე თანამედლობისა ამის აღსრულებასა. და ოდეს მივიღე ბრძანება თქვენ მიერ ესევითარისა სასარგებლოსა წიგნისა გარდმოთარგმნად რუსულით ქართულსა ენასა ზედა, მყისვე ზელუჰყავ გარდმოღებად, შრომისა არარად შემრაცხველმან; ვინაითგან ამის მიერ დაშთების საუკუნოდ სურვილი სიბრძნისმოყვარებისა თქვენისა“³³⁰.

2. ანა ბატონიშვილის ბრძანებით დიმიტრი ბაგრატიონმა 1786 წელს თარგმნა სამოელ რაბინის „ოქროს აღნაქვსი“ (H №№ 213, 454, 1009, 1657, 2224; S №№ 3265, 1741, 2598; A №№ 1011, 1159, 1523; Q № 743; არქ. ხელნ. № 125 და სხვ.). მთარგმნელი საგანგებოდ აღნიშნავს ანას როლს. იგი წერს: „ჩემგან ამ წიგნის თარგმნა შეუძლებელი იყო საღთო წერილის ენის გამოუცდელიობით, მაგრამ მამიდის ჩემის, მეფის ქაიხოსროს ასულის ანნას თხოვა-ბრძანებას ვერ ურჩ ვექმენ, ვინადგან დიდი სურვილი ჰქონდა რუსულისაგან ქართულად გარდმოღებისა“³³¹.

³³⁰ ხელნაწერთა აღწერილობა (Q), I, გვ. 256-257.

³³¹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, I, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ლ. ქუთათელაძისა და ქ. შარაშიძის მიერ; ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1959, გვ. 384.

მოტიანილი მავალითებით ცხადი ხდება, რომ ანა ბატონიშვილი ენერგიულად იღვწოდა ქართული მწერლობის თარგმანებით გამდიდრების მიზნით და თავის თანამედროვე მწერლებს აბამდა ამ საპატიო საქმეში.

მარიამ გაწერელია

მარიამ გაწერელია XVIII საუკუნის მოღვაწე ყოფილა. მან გადაწერა სასულიერო-საეკლესიო თხზულებათა კრებული (Q № 611), რომელიც ამჟამად საკმაოდ დაზიანებული და დაშლილია. კრებულის ანდერძი გვამცნობს გადამწერის ვინაობას: „მოიხსენე, უფალო ამის მწერალი მარიამ გაწერელიას ქალი სულით და წორცით. ამინ“³³².

მარიამი

XVIII საუკუნის მოღვაწეს ვინმე მარიამს გადაუწერია საერო-მხატვრული ლიტერატურის ძეგლები — თეიმურაზ ჰირველის თხზულებანი — „იოსებზილიხანიანი“, „ლეილმაჯუნუნიანი“, „ვარდბულბულიანი“, „შამფარვანიანი“ და სხვ. (A № 1735, 1r-103v).

ხელნაწერის ერთ-ერთ გვერდზე ვკითხულობთ: „კარი ჰირველი. ლეილმაჯუნუნისა ამბავი სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები ღვთივ გვირგვინოსანისა მეფის თეიმურაზისაგან და ლექსადცა მისგანვე თქმული. სუფევითმცა ყოს უფალმან უკუნისამდე შეწვენა შენი. უფალი თანა ეყოს მწერალსა მარიამს, ამინ“³³³.

³³² Q № 611, 53v; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 71.

³³³ A № 1735, 21r; ხელნაწერთა აღწერილობა (A), V, გვ. 197.

როგორც ვნახეთ, სველი ქართველი მწიგნობარი ქალები მეტწილად სასულიერო-საეკლესიო შინაარსის ძეგლების გადაწერით კმაყოფილდებოდნენ. მარიამ მწერალი კი არ ერიდება სამიჯნურო სატრფიალო თემატიკას და წვლილი შეაქვს საერო ძეგლების გავრცელებაში.

ქეთევან დიასამიძე

ქეთევან დიასამიძემ (XVIII ს.) გადაწერა დათუნა ქვარიანის პოემა „წმიდა გიორგის წამება“ (S № 1285), რასაც გვაფიქრებინებს ანდერძი გადამწერისა:

პოი, წმინდაო გიორგი, ტბილად გიბრძანებს უფალი,
თავსა დაგადგა გვირგვინი, შემწედ გყავს შენი უფალი,
სამოთხე მოგვცა სამყოფად, მუნ ეღემის სატურფალი,
და შენ ქეთევან შეიწყნარე მწერალი და ჰელთუფალი.³³⁴

პოემის ტექსტი ქეთევანს შეუტყვლია. მაგ., შესავალში, რომელიც დ. ქვარიანის ავტობიოგრაფიულ ცნობებს შეიცავს, მას თავისი სახელი და გვარი ჩაუმატებია:

დიასამიძის ასულმ/ა/ თქვ/ა/ შესავალი ლთისანი,
მერმე წმიდისა გიორგის მის მთავარმოწამისანი.

ხოლო იქ, სადაც თხზულების ავტორი იხსენიებოდა, კვიციანობით:

თუმც შემწევს ძალი ლთისა, ვწერ ქეთევან გვარიანი.³³⁵

ქეთევან დიასამიძის თრიგინალური შემოქმედებიდან ჩვენამდე არაფერია მოღწეული, მაგრამ ერთი კი ნათელია — იგი პოეტური ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოვებული. ქეთევანის ოჯახის შესახებ არაფერი ვიცით, მაგრამ მისი გვარეულობა კი ისტორიული წყაროებით საკმაოდ ცნობილია.

334 S № 1285, 78r; ხელნაწერთა აღწერილობა (S), II, გვ. 145.

335 S № 1285, 7rv; ხელნაწერთა აღწერილობა (S), II, გვ. 145.

თეკლე გოლქვაძე

ჩვენამდე მოღწეულია ხელნაწერი (S № 1249), რომელშიც ერთადაა შეკინძული ორი მარხვანი. ერთ-ერთი ნაწილის გადამწერი უნდა იყოს XVIII საუკუნის მოღვაწე თეკლე ზოლქვაძე. ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ხელნაწერში შემონახული ანდერძი: „ღმერთო დიდებულო, იესუ ქრისტეო, შეიწყალე ამის მწერალი... უცოდვილესი თეკლაა ზოლქვაძის ქალი. ვინაცა შენდოსა მიზრძანოთ, თქვენცა შეგინდოს ღმერთმან“³³⁶.

გულქან დედოფალი

გულქანი იყო ასული რაჭის ერისთვის შოშიტა მესამისა, მეუღლე სამეგრელოს მთავრის ოტია დადიანისა (1728—1744), დედა — ცნობილი საეკლესიო მოღვაწის ანტონი ცაგერელ-ჭყონდიდელისა. ამ უკანასკნელის აღზრდაში გულქანს დიდი როლი შეუსრულებია; „დედამ მას გულში ჩაუნერგა საეკლესიო-სარწმუნოებრივი აღზრდის ელემენტები, შეასწავლა საღმრთო წერილი და თათრული ენა“³³⁷.

გულქან დედოფალი დაინტერესებული ყოფილა ლიტერატურული საქმიანობით. ცნობილია მისი თაოსნობით დამზადებული რამდენიმე ხელნაწერი. მაგალითად, 1755 წელს სტეფანე ბერმა გულქან დედოფლის ბრძანებით გადაწერა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი (H № 172); მანვე გადააწერინა თვენი (Q №№ 88, 89) 1761 წელს. მოღწეულია გულქანისა და ოტიას დაკვეთით გადაწერილი ტიბიკონი 1738 წლისა (Q № 76).

³³⁶ S № 1249, 15v; ხელნაწერთა აღწერილობა (S), II, გვ. 121.

³³⁷ ჯ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 391.

გულქან დედოფალი განათლებული მანდილოსანი ყოფი-
ლა, პოეტური ნიჭით დაჯილდოვებული, მშვენიერი მჭევრ-
მეტყველი. ასეთი ვარაუდის უფლებას გვაძლევს მისი ან-
დერძი, რომელიც ერთვის Q № 88 ხელნაწერს (721v-722r).
«გი წარმოადგენს შესხმას, ქება-დიდებას, მიძღვნილს იესო
ქრისტესადმი, „რომელი მბად არს ზენა ქვეყანათა სამყარო-
თა“.

თინათინი

თინათინი, რომელიც მთავრინად იხსენიება, XVIII სა-
უკუნის მოღვაწეა, მისი დავალებით ტრიფილე დიაკონ-მო-
ნაზონმა 1766 წელს გადაწერა სასულიერო-საეკლესიო ში-
ნაარსის კრებული (S № 2684). ანდერძი გადამწერისა გვამ-
ცნობს: „აღვსწერე... პალატა შინა საპატრიარხოსა, ყოვლად
უგანათლებულესისა და ზურწვინვალესისა მთავრინა თინა-
თინისთვის მისმან უკანასკნელთა მონათაგანმა ტრიფილე უნ-
დომან დიაკონ-მონაზონმან წელსა 1766, თთუჴსა მარტსა 24.
უფალმან იესომ ძემან ღმრთისამან აწმარნეს მშუდობასა და
ღღეთა სიგრძესა შინა“³³⁸.

თინათინის სახელი გვხვდება ხელნაწერის კიდევ რამ-
დენიმე გვერდზე (S № 2684, გვ. 125, 164, 265, 315).

გადამწერი ტრიფილე ერთგან თინათინის შვილად გვამ-
ცნობს თავს; ალბათ, იგულისხმება არა ნათესაური კავშირი,
არამედ სულიერი.

³³⁸ S № 2684, გვ. 229; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S)
კოლექცია, IV, შედგენილია და დასაბუჴდად დამზადებული თ. ზრეგაძის,
ლ. კიკნაძის, მ. ქავთარიას, ლ. ქაჭაიას, ქ. შარაშიძისა და ც. ჭინკიევის მი-
ერ, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1965, გვ. 144.

სალომე

სალომეს შემოქმედებიდან შემორჩენილია „მწუსრებისა ამბათქებანი“ ანუ „სევდის წიგნი“, — როგორც თვით პოეტი ქალი უწოდებს მას. ეს ნაწარმოები დაცულია ერთ ხელნაწერში³³⁹: «Саломе, жившая при царе Ираклие оплакивает свое горе». — შენიშნავს თ. უორდანიას³⁴⁰.

სალომეს შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება. ზოგიერთი რამ ირკვევა ნაწარმოებიდან: „დარეჯან ერქვა დედასა, ასული ვარ ფარსადანისა“³⁴¹, — გვაუწყებს სალომე. ვინ იყო ფარსადანი ან დარეჯანი, არ ვიცით.

სალომე ადრე გაუთხოვებიათ; ის გაჰყოლია მღვდელს, რომელთანაც შესძენია 3 შვილი:

ის იყო თხუთმეტის წლისა, შეეხვდი მე ცხრისა წლისადა,
ნებიერობით გამზარდა, არ გამიფთხოხდა ძილსადა (18v).

ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა, მღვდელს მიუღია მონაწილეობა პოლიტიკური ხასიათის შეთქმულებაში და გადახვეწილა თავის ბატონთან ერთად. შეიძლება ეს ერთ-ერთი იმ შეთქმულებათაგანია, რომელიც მოუწყევს თავადებმა ერეკლე მეფეს. მღვდლის დანაშაული დადგენილი არ არის, ოღონდ ერთი კია, რომ მას სამშობლოში აღარ ედგომებოდა. ეს გამხდარა მიზეზი, რომ სალომეს აღნიშნული „სევდის წიგნი“ დაეწერა.

„სალომიანი“³⁴² შეიცავს ხუთ ანბანთქებას (მეხუთე ჩახრუხაულით დაწერილი ანბანთქებისაგან მხოლოდ ორი დასაწყისი სტროფი — ანზე და ბანზე — დარჩენილა) და თექვსმეტმარცვლოვანი შირით დაწერილ ოცდაათ სტროფს. „სალომიანის“ გაგრძელება უნდა იყოს მეექვსე ანბანთქება, რომელიც ამავე ხელნაწერშია დაცული და თავისი შინაარსით წარმოადგენს დატირებას, გლოვას და ამავე დროს ერთგვარ

339 A № 598, 1r—19v.

340 Описание рукописей (A), II, გვ. 105.

341 A № 598, 9r.

342 ასე ეწოდება ხელნაწერში (A № 598, 1r).

წყველასაც საყვარელი ადამიანისა, რომელმაც 'ემზარაეი ამბავი მთიმოქმედა — გამოიცვალა რჯული, თავიანი სცა სატანას, ჩაიდინა „საქმე საგამცემო“.

ნაწარმოების დასაწყისში სალომე მიმართავს ღმერთს:

გარდამახედე მეუფეო, მეც გვედრები უღირსი,
განა არ ვიცი, არა ვარ მე სამოთხის ყოფას ღირსი (1V).

აწ რა ქება მოვიგონო, რა შევასხა ლეთისმშობელსა,
აღმისრულო საწადელი, ამად ვბეღამ ქებას თქვენსა (5R).

ანბანთქება აღსავსეა მარტოდ დარჩენილი ქალის მოთქმა-გოდებით:

თათართა ხელისგან იხსენ, ნახვას გეაჭი წმინდაო,
თუ ცოცხალმა ველარ ვნახო, სულსა შემყარე წმინდაო (2R).

სალომე ევედრება ღმერთს, ერეკლე მეფეს მოუღბოს გული განრისხებულ თავადებზე:

იფქროს ჩვენმა ბატონმა, შენ რა მიაგე რა მასო,
ირაკლი მეფეს ჩაუდე, ვით გული შეილზე მამასო (6R).

შემდეგი სტრიქონები სავსეა უსაზღვრო გოდებით ბედი-საგან დაჩაგრული ქალისა — დედისა, დისა, მეუღლისა.

მომდევნო თავებში სალომეს უცდია ეწერა ჩანრუხაულით:

ანბანთქებისა გასათავებლად, ბოლოს დავიწყე ჩანრუხაული,
ამღენმა ცუდმა წიგნის წერამა მე დამიკოლა უღრო/ო/თ გული! (16V).

ისე, როგორც ნაწარმოების დიდი ნაწილი, ფინალიც აღსავსეა ლოცვა-ვედრებით:

ვის გინოდესთ ჩემთვის კარგი, ღმერთსა სთხოვეთ მუდამ ესა:
დამიტიროს საყვარელმა, მან უქვრიტოს კიდევ მზესდა,
ოღონც პირში სული ედგას, თუნდ ნუ ვნახამ ორმოც წელსდა (19V).

სალომე არ არის პრეტენზიული პოეტი. მისი ნაწარმოები ასე იწყება:

წიგნი მი/ი/რთვით მკითხველნო, მცირე რამ ამბათქებისა (1R).

იგი მოკრძალებით შენიშნავს:

შე. თუმცა ცუდათ ვილაყბე, მოვჩმახე ცუდი ბა/ა/სი... (6r).

სალომეს სახით ჩვენს წინ წარმოდგება განათლებული ეართველი ქალი, რომელიც კარგად იცნობს თავისი დროისა და აგრეთვე წინა საუკუნეების ლიტერატურულ მემკვიდრეობას (ბიბლია, შ. რუსთველი, ჩასრუხაძე და სხვ.).

სალომე შთაგონებულია „ვეფხისტყაოსნით“, ბაძავს რუს-ო.ველს, იყენებს მის ლექსიკას, ლექსის საზომს. „სალომიანის“ 16-შარცვლოვანი შაირით დაწერილი 30 სტროფი, სადაც სალომე ევედრება მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს („ნუ განმაშორებ სატრფოსა, იმედი მომეც მოსვლისა“), ჩვენის აზრით, ერთგვარი განმეორებაა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი თავისა „წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისა“, სადაც ავთანდილი ცასა და ცის მნათობებს ევედრება:

მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემოიცილი ღამელ დღესა.

მხატვრული თვალსაზრისით საყურადღებოა სტროფი ხოტბისა, რომელსაც სალომე თავის დას უძღვნის:

ფრთეს გიგვანდა ყორნისასა, დაო, წარბი ამოსული,
ფუჭი იყო შენთან მზეცა, აღმოსავლით ამოსული,
ფარშავანგსა კეკლუცობა ყელი ბროლად ამოსული,
და ფერობს შესა სალომესა, სული მქონდეს ამოსული (11r).

ნაწარმოები გვამცნობს XVIII ს. საქართველოს სოცი-ალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, გამოხატავს იმ სევდასა და მეღანქოლიას, რომელიც დამახასიათებელი იყო ამ საუკუნის ფეოდალური საზოგადოებისათვის. ნაწარმოების დაწერის თარიღად პირობით მიჩნეულია 1770-71 წლები³⁴³.

343 ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები. გვ. 118.

ლ. ასათიანის წიგნზე პროფ. ტ. რუხაძემ დაწერა რეცენზია („კომუნისტი“, 16. III. 1937, № 61 (4862)). მასში გამოთქმულია ვარაუდი, რომ სალომე იყო იულონ ირაკლის ძის მეუღლე. ეს ვარაუდი არ მართლდება. ნაწარმოებში სალომე რამდენჯერმე გვამცნობს, რომ იგი მღვდლის მეუღლეა.

ჩვენის აზრით, ნაწარმოები ერთბაშად არ უნდა იყოს დაწერილი. მის შემადგენელ ნაწილებს შორის გარკვეული დროის ინტერვალი ჩანს. იგი დაწერილია თანდათან და პოეტი ქალის მღვთმარებისა და განწყობილების ნათელ სურათს წარმოადგენს.

პირველი ოთხი ანბანთქება დაწერილი უნდა იყოს მღვდლის სამშობლოდან წასვლის 3 წლის შემდეგ. „წელიწადი სამი არის მეუღამ მატირებ მე უნო“, — წერს სალომე მეორე ანბანთქებაში.

16-მარცვლოვანი 50 სტროფი სალომეს დაუწერია გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც ლიღინით დაუძღვრებულა:

სიტყვისა ძალი არა მაქვს,
გონება ცეცხლით აშვესო, თვალი ცრემლითა სავსე მაქვს (17r).

სალომეს დაუკარგავს იმედი მღვდლის დაბრუნებისა — უბედო ბედი ჩემზედა თქვა ნესტან-დარეჯანმაცა,
მე უარესი მაძიხდა, უნდა იწუხოს მტერმაცა,
უღროთ ესეც ვიხილე. მე დამთმო საყვარელმაცა (17r).

როგორც ჩანს, აღარც მიმოწერა აქვს მას მეუღლესთან; საკმაო დროს გაუვლია. „ეს ოთხი წელიწადია, ყურებამ მომკლა გზისამან“; მეორეგან: „ეს ოთხი წელიწადია, მაყურებელი ვარ გზისა“, — წერს იგი. სალომე დაავადებულია, აღარ იგრძნობა ისეთი შემართება, როგორც ნაწარმოების პირველ სტრიქონებში. დაუძღვრებული პოეტი უნუგეშოდ ჩივის:

დამიპყრა სნეულობამა, ტანი შემექნა მსრბოლადა,
არა მყავს ხელის მკიდველი, საწოლს მიძილოს სწორადა,
დამჩება სამი ქალ-ვაჟი, შეიქნებიან ობლადა (19r).

ასევე გარკვეულ ხანს უნდა გაეცლო და შემდეგ დაუწერია ბოლო (მეექვსე) ანბანთქება სალომეს. ამ დასკვნამდე ტექსტის გულდასმით შესწავლამ მიგვიყვანა. მოვიხსობთ მაგალითებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, წარმოაჩენენ შინაარსობრივ კავშირს „სალომიანსა“ და საკამათო ანბანთქებას შორის. გავყვეთ ნაწარმოებს.

სამშობლოდან გადაბეჭდილ მეუღლესთან სალომეს მიმო-
წერა აქვს; ისინი ერთმანეთს წერენ საიდუმლო ნიშნებით;
ჩანს, არ იყო სასურველი, რომ სხვებსაც გაეგოთ წერილის
შინაარსი. „წიგნი გებოძა ფრანგული, წავიკითხე, ყველა ვსცა-
ნო“, – წერს სალომე მეუღლეს. ეს კავშირი არსებულა, ძი-
რითადად, ნათესაუბების დასმარებით:

შეუღ წამოვა ჩემი სიძე, მოგერთმევა წიგნი დიდი,
სლათი არა გაივლო რა, მანდ ბევრია ენა ფლიდი (8r).

სალომემ იცის, რომ მისი მეუღლე ახალციხიდან უფრო
შორს აპირებს წასვლას:

შენ ამას უნდა ეცადო, ჩემგან რიგება არ გინდა,
შორილამ წიგნს ნუ დამაქლებ, მე სხვა კეთილი არ მინდა,
შავი ზღვისკენ თუ წახვიდე. ღ/ვ/თის ვედრება დიად გინდა (7v).

შემფოთებული ქალის გულმსურვალე ლოცვა-ვედრება,
ღალადისი ღვთისადმი, ღვთისმშობლისადმი – დაიცვან მისი
მეუღლის სული, სწორედ სარწმუნოების გამოცვლის შიშით
უნდა იყოს გამოწვეული. ამიტომ ვაძღვებს იგი: „ქრისტიანო-
ბაში ვნახო, ვისაც სჭვრეტდეს ავალი მზედა“ (3v). ანალო-
გიური აზრი უნდა იყოს შემდეგ სტრიქონებშიც, სადაც სა-
ლომე ევედრება მეუღლეს ცოდვა არ ჩაიდინოს, მძიმე ტვირ-
თი არ ინდომოს, შეიბრალოს თავისი ცოლ-შვილი:

ტყუილს შეტყვი, შენ ჩემგანა ღარიგება არ გინდოდეს,
ტრფილი ხარ ღ/ვ/თისმშობლისა, სხვა კეთილი რა გინდოდეს,
ტირილით გეტყვი ამასა, ჩემი ცოდო მოგაგონდეს,
ტირითს ნუ ინდომებ უბრალოს, თუ ჩემი თავი გინდოდეს (7r).

ან კიდევ:

ღ/ვ/დელი რაღა მოგახსენო, კმარა ამთენი ღონება,
ღალატი ღვთისა არ ვარგა, შენვე გამზილებს გონება (7v).

მაგრამ, როგორც ჩანს, სასჯელის შიშით მღვდელმა გადაიფიქრა სამშობლოში დაბრუნება³⁴⁴, გამოიცვალა რჯული. ეს ამბავიც ცნობილი გამხდარა სალომესათვის. იგი თავზარდაცემულია. ამ დროს უნდა დაეწერა სალომეს მიექვსე ანბანთქება.

სალომესათვის მიუღწეველად წარწყმედილია. სალომე სწყევლის მას, თუმცა ამ წყევლაში ერთგვარი სიბრალულიც იგრძნობა:

ბედსა ემღერე, ვაი სულო, მოგადგა შაეი ალამი,
ბინდად შეგექნა ნათელი, მიბრუნდი, მიუსალამი,
ბაგე გაგიშრეს დამწვარი, ვერ მოგიბრუნდეს ალამი,
და ბუკმა საზარომ მოგართოს დამიწებისა კალამი (20r).

მღვდელმა საუკუნოდ „სათავცემო“ საქმე ჩაიდინა:

გაიგონო, სულო, რა ქმნა სიტყვა ღ/ვ/თისა საზარცემო,
გაგიჟლანდეს დაფარული საუკუნოდ სათავცემო,
გაყრა ნახო მეგობართა გლოვა გესმას საგამცემო,
და გაგაბრუნონ თიკანთავენ ცხოვართ თაყვანს რადლა სცემო (20r).

ვინ უნდა იყოს ბისონ შემოძარცვული, სჯულ-გამოცვლილი მოღალატე, თუ არა სალომეს მღვდელი?

დაგხვდება, სულო ცოდვილო, მარცხენით შაენი ინდონი,
დაგატყვევებენ სამკიდროდ, უწყალოდ გტანჯვენ იმდონი,
დამწვარ ხორცს კბილით იგლეჯდე, განგეძარცვება ბისონი (20r).

სალომეს აზრით, სარწმუნოების მოღალატეს უშრეტო ცეცხლი და ჯოჯოხეთი ვერ ასცდება:

ვაი, სულო, მშვენიერო, ღვთისგან ნათლად დასახულო,
ვაი, სულო, შენის ნებით უშრეტს ცეცხლში დადაგულო,
ველარ უჭკრეტ სამოთხესა, დიდებიდამ გამოსულო (20v).

³⁴⁴ ცნობილია რა შეუბრალეხელი იყო ერეკლე II მოღალატეთა მიმართ. იხ. პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1936, გვ. 78. იხ. აგრეთვე, გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, გვ. 125.

უსაზღვროა გამწარებული ქალის საყვედურები: „ჩემი ლოგინი დაგეგო, დოშაქს ვარდი არ გეყარა“, „ბალით გექმნა ბოწყალება, უბეს ვერცხლი არ გეყარა“ და სხვ.

აღნიშნული ანბანთქების ზოგიერთი სტროფი არღვევს ნაწარმოების შინაარსის მთლიანობას. მაგ.:

ჩექმა. ჩახჩუხი, სოფელს გოყარდა ქება-ღიდება,
ჩანგი, ჩოგანი, ტბილი ორღანი, ღვდღისა გინება.

ზოგიერთი კი ფორმის თვალსაზრისითაც არ შეესაბამება „სალომიანს“ (სალომე 16-მარცვლოვანი შაირით წერს). მაგ.:

ტყვეთ დაგატყვევა სატანა გველმა,
ტარტაროზმა მტერმა, ჯოჯოხეთს მწველმა,
ტირილის მოყვასმა, სიმართლის მტერმა და ა. შ.

ცნობილია, რომ „სალომიანს“ თავისი პირვანდელი სახით არ მოუღწევია ჩვენამდე, აკლია, მაგალითად, ჩახრუსხულით დაწერილ ანბანთქებას. ჩვენის აზრით, ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს აქაც. ეს ბოლო ნაწილი (მეექვსე ანბანთქება) „სალომიანის“ ვადამწერს მიუჩნევია დამოუკიდებელ ნაწარმოებად და ცდილა აღედგინა ნაკლები სტროფები ანბანის რიგის მიხედვით.

„სალომიანსა“ და საკამათო ანბანთქებას შორის არის ტექსტუალური თანხვედენილობაც, რაც მეტყველებს მათს უცილობელ კავშირზე. მოვიხმობთ მაგალითებს:

„სალომიანი“

მეექვსე ანბანთქება

ზეცას მოვა ჩემი სული, რა მაულღი
მაქვს ღამითარს (2r).

აწ არის სულის ანბავი ზეცას
მივა გამოჩენით (20r).

ეზივარ შინ ბაგე გამშრალი (7r),
ან ბაგე გამიშრა მუღამ ჭავრი-
თა (16v).

ბაგე გაგიშრეს დამწეარი (20r).

ღაგხვლება, სელო ცოდვილო
(20r).

ადიდე, სელო ცოდვილო, სამისა
ღღისა აღდგომა (12v).

ეგმანუილის დედასა, ველარ გარ-
ღავლო თვალნია (20r).

ეგმანოილს სატანამა სული ჩემი
არ გაეყო (5v).

და ა. შ.

მიმოხილული მასალა გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ დასახელებული ნაწილები ერთ ავტორს ეკუთვნის, დაწერილია სსვადასხვა დროს. ნაწარმოების დაწერის თარიღად ზოგადად შეგვიძლია ვივარაუდოთ XVIII საუკუნის მეორე ნახევარი — ერეკლე II-ის მოღვაწეობის ხანა.

სალომეს ლიტერატურული შემეკვიდრებობა გამოქვეყნდა მხოლოდ ერთხელ — ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში³⁴⁵. ჩვენ შევისწავლეთ დაბეჭდილი ტექსტი ხელნაწერთან მიმართებაში. შევნიშნეთ უამრავი განსხვავებული ადგილი. მოვიხსნობთ ნაწილს:

A № 508

გამოცემა

ღღლის (1v)	ღღის (გვ. 121)
განაზნინე (2v)	გამიზანე (გვ. 123)
გიკვირს (3v)	გიჟვარს (გვ. 126)
სინათლე (4v)	სიმართლე (გვ. 127)
ძირადგან (4r)	ჩადგან (გვ. 128)
წანდაზმულსა (4v)	წანდასმულსა (გვ. 129)
სოფელსა მათურსა (5v)	სოფლისა საცდურსა (გვ. 132)
მოგიახლო (6v)	გაგიახლო (გვ. 135)
მოგუეს (7v)	მომგუეს (გვ. 138)
მოისხენოთ (9v)	მოისურეთ (გვ. 144)
თავით (9v)	თვლით (გვ. 144)
გლოვისა (11r)	რძლოვისა (გვ. 148)
ფერსა (11r)	ჭაერსა (გვ. 148)
არ დამიდგა (11r)	არ დამიგდე (გვ. 149)
ღღლისა (11v)	ღღლისა (გვ. 150)
მტერი (13r)	ღარდი (გვ. 153)
მოკაშკაშე (17r)	მოკაშკაშე (გვ. 165)
წოლით (15r)	წელით (გვ. 159)
შეფრფენით (17v)	შემფრენით (გვ. 166)
და ა. შ.	

გამომცემელი ასწორებს პოეტის ენას, ცდილობს დაუახლოოს თანამედროვე სალიტერატურო ქართულს.

³⁴⁵ ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 120-

ჩვენ გავითვალისწინეთ ზემოთაღნიშნული სხვაობანი, აღვადგინეთ ზოგიერთი გამოტოვებული ასო თუ სიტყვა და გასწორებული სახით „სალომიანი“ წარმოვადგინეთ დამატებაში.

მანანა

XVIII საუკუნემ კიდევ ერთი პოეტი ქალის, მანანას, სახელი შემოგვინახა. ცნობილია მისი „შაირნი“, „მანანასთან ციების ბაასი“, სახუმარო ლექსი კიბიდან გადმოვარდნის შესახებ („ცეცხლი მოედოს ფაშასა“), ერთი პატარა ლექსი სანადირო ჩიტის მარჯანის შესახებ („ესეც რაღაც ღარიბად თქმული“)³⁴⁶.

მანანას პიროვნება საიდუმლოების ბურუსითაა მოცული. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შეიძლება „მანანა სოფელ ძვერიდან იყო (გორის მახლობლად), სადაც ცხოვრობდნენ ჯავახიშვილები და ზედგინიძეები“³⁴⁷. ამის საფუძველს თვით პოეტი გვაძლევს სახუმარო ლექსში კიბიდან გადმოვარდნის შესახებ („და როცა ვინმემ შეიტყო, ძვეერა შეიყარა“).

მანანას თავისი ლექსები მოხუცებულობის ჟამს დაუწერია:

დაცემული ვარ ცოდვისგან,
ყოველ ჟამს სიკვდილს მოველი.
(„მანანას თქმული შაირნი“)

ჭერ არის ხელი გიმტყუნობს,
მემრე კანკალა ხელია.
(„მანანას კიბიდან ჩამოვარდნა“)

მანანა ერეკლე II-ის თანამედროვე ყოფილა და მისი ძლიერების მომსწრე:

³⁴⁶ ლ. ა. ს. ა. თ. ი. ა. ნ. ი. ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 80-109.

³⁴⁷ ი. ქ. ვ. ე. გვ. 76.

ჩენი ხელმწიფე ერეკლე
ღვთისგან არის ღიდებული,
მათ ზევით მათი მებრძოლე
მათგან არის შერისხული,
ცის ქვეშე კილის-კიდემდე
მტერი ჰყავს დამონებული,
სხვა არა თქმულა ხელმწიფე
მისებრი გამარჯვებული.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მანანა დაიბადა მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო მისი პოეტური მეტყვიდრეობა ეკუთვნის მე-18 საუკუნის მეორე ნახევარს.

მანანას პიროვნებას ერთგვარ ნათელს ჰყენს მისივე „შაირნი“³⁴⁸. იგი საკმაოდ მოზრდილი ნაწარმოებია, შეიცავს 68 სტროფს, დაწერილია 16-მარცვლოვანი რუსთველური შაირით.

ლექსი სავსეა მთავებითა და იესო ქრისტესადმი მიმართული ვედრებით — დაიცვას მანანას ცოდვილი სული („ცოდვილი ღედაკაცი ვარ, ჩემიც რამ შეისმინე“).

მანანა ევედრება ღვთისმშობელს:

ეხვეწო წმიდას ღვთისმშობელს,
ის არის ჩემი მხსნელია,
ღვთისაგანა მაქვს იმედი,
ცოდვილის მწყალობელია.

წმინდანებს:

წმიდანო, წინმდგომარენო,
მომეხმარენით ყოველი,
მითხოვეთ უფალს შენდობა,
ვარ წყალობისა მთხოველი.

348 S № 951-ა 1r—4r; S № 1107, გვ. 1-18; S № 1511, 85r—91v.

რა დანაშაული მიუძღვის მანანას, რა არის მიზეზი სიბერის უამს მისი სასოწარკვეთილებისა? ამ კითხვაზე თვითონ პოეტი გვაძლევს პასუხს:

დახე ჩემს სარწმუნოებას,
ჭობით უშენდი გლახასა,
სულ მუდამ საღმრთოს კაცისას
ელაპარაკობდი ზრახვასა,
სნეული მძულდა მდებარე,
არ ვკადრულობდი ნახვასა...

ამგვარი ურწმუნოება
მე ღამემართა რისაგან,
მოუღბობელი გონება
ემაგრესი მაქვს ქვისაგან.

საყურადღებოა გაპაექრება მანანასი თავის სულთან, — როგორც ახალგაზრდობის, ტკბილად გატარებული დღეების მოგონება:

აჩქარდი. სულო, ჩემთანა
ხანი არ დაჰყავ გვიანი,
შენ ჩემი შეტკობილი ხარ,
გონიერი და ჰკვიანი...

სულო. დამტანჯე ცოდვითა,
მანამდინ ვიყავ ქალია,
მე შენ არ მოგიგონებდი,
სხვაგან მეჭირა თვალია.

მაგრამ წუთისოფელს თავისი კანონები აქვს, ვერც მანანა გადაურჩა უამთა სელას. იგი წლებით დამძიმებული, მარტოდ-მარტო, უნუგეშოდ ჩივის:

არავინა მყავს პატრონი
მწუხარეს მომიაროსა,
ვაი იმ დღესა ჩემთვისა,
სული ხორცს გაეყაროსა,
სამ დღეს რომ ვეგდო მიწასა,

არაინ მიმაბაროსა.
თუ უნდა მქონდეს ცხოვრება,
ვინ უნდა მომახმაროსა.

მანანა ერთგვარი გულისტკივილით ურიგდება სინამდვი-
ლეს:

სულო, მე ამას გემღერი,
უდროოდ გამეყარეო,
რაც რომ აქამდე მაამე,
ახლა სულ დამამწარეო,
წადი და შენის ხელითა
საფლავი გამოთხარეო,
ჩამაგდე ქვესკნელს უფსკრულსა,
ზედ მიწა მიმაყარეო.

ერეკლე მეორის ვაჟკაცობა, გმირობა, სამშობლოსათვის
თავდადება არაერთი პოეტის შთაგონების წყარო გამხდარა
XVIII საუკუნეში. არც მანანა იმუშრებს პოეტურ ფერებს მი-
სი პიროვნების დასახსნადათებლად:

ქრისტეანობის გულისთვის
საომრად დაიარება,
ღვთის ძლიერება თან დაქსდევს,
ყოველთვის მას ეხმარება,
აღუსრულდება წადილი,
კიდევ შეშენის ბრძანება,
ორგული უარყოფელი,
ღმერთმანი დაემალება.
უძლიერესი მეფეა,
შემკული ყოვლის ფერითო,
წმინდა ევსტათი შემწეთ ჰყავს,
ჰარ-დალესტანს ებრძვის ხმლითაო,
სადაც რომ მტერი გაუჩნდა,
მან დაიმორჩილა ლმრთითო.

ნაწარმოები სავსეა ბიბლიური ეპიზოდებით:

ევა გარდახდა მცნებასა,
კიმა ურჩების ზილია,
წაიღო, აღამს მარტო:
ნახე, როგორი ტყბილია.
აღამის მონათეხავეთ,
ჩვენ გვევა სიკვდილის შეილი,
ღმერთო, მათებრი წყალობა
ჩემზედაც მოიხილია...

ელიოზ კვართის მომტანი
ურია იყო რაბანა.
ათორმეტ მოწავეთა მათ
რომელმან ფეხი ჯაბანა.

მანანას „შაირნი“ ბიბლიური სიუჟეტების სიუხვით, რელიგიურ-მისტიკური განწყობილებით, წერის მანერით, ძალიან ჰგავს საღვთისმეტყველების „მწუხარებისა ამბათქებას“.

ასეთი სარწმუნოებრივი გრძნობებით გამსჭვალული პოემები და ლექსები ძალიან პოპულარული იყო XVIII საუკუნის საქართველოში³⁴⁹.

მანანას ბიოგრაფიის თვალსაზრისით საყურადღებოა ლექსი „ცეცხლი მოედოს ფაშასა“³⁵⁰. იგი დაწერილია ერთგვარი სახუმარო-ირონიული ტონით:

ცეცხლი მოედოს ფაშასა,
ის რომ ქართლს აეშალო,
დალისტინის ლეკი ბელადი
შემოირიგა ყველაო.
უთხრა, თუ მომგვრით მანანას,
მე გაშოვნინებთ ვალო,
ის რომ მანანამ შეიტყო,
ციხეში დაიმალო.

³⁴⁹ ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 77.

³⁵⁰ S № 1107, გვ. 23-26.

მანანას მხოლოდ ერთი ქალი ჰყოლია, რომელსაც, როგორც ჩანს, სხვაგან უცხოვრია:

ამლამ ველარ შეაწევს,
მოგვარეთ თავის ქალია

და ა. შ.

აღსანიშნავია ლექსი „მანანასაგან ციების ბაასი“³⁵¹. იგი წარმოადგენს სახუმარო დიალოგს, დაწერილია 16-მარცვლოვანა შაირით. მართალია, ლექსს ავტორი გაბაასებას, ბაასს უწოდებს, მაგრამ მასში გაბაასების დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები მკვეთრად არაა მოცემული; საწინააღმდეგო შესწდულებების დაპირისპირება, თავისი უპირატესობის წარმოჩენა ცალმხრივად მიმდინარეობს.

ლექსს ემჩნევა ხალხური პოეზიის გავლენა³⁵², ეძებნება ხალხური ვარიანტები³⁵³. საფიქრებელია, ეს ლექსი ხალხში გაერცვლდა ლიტერატურული გზით და სათავე მანანას პოეზიაში უნდა ვეძებოთ, რომლის სასელიც თითქმის შეექსოვა ციებასთან გაბაასების ლექსთა ციკლს³⁵⁴. არაა გამორიცხული, რომ მანანამ აიღო ხალხური ტექსტი, გადაამუშავა და ლიტერატურული სახე მისცა მას. გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით. მდგომარეობას ართულებს ხალხური სიტყვიერების ნიმუშების ჩანაწერთა უქონლობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარამდე.

მანანას მიეკუთვნება ლექსი „ესეც რაღაც ღარიბად თქმული“³⁵⁵.

351 S № 1107, გვ. 19-23; S № 1511, 91v—93v; S № 3723, 214rv — ნაწყვეტი.

352 გ. ქიქოძე, გაბაასება ძველ ქართულ ლიტერატურაში, ბათუმი, 1952, გვ. 162-164.

353 ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 265. იხ. აგრეთვე, ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, ნაკვ. II, ე. ვირსალაძის, ქ სიხარულიძის, მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, თბ., 1973, გვ. 173, 361.

354 ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 410.

355 S № 951-ა, 4v; სელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 616; S № 1511,

მე ურთი ჩიტი გავზარდე,
ელვარე არის წითელი,
ქოჩორი ჰქონდა ფირუზი,
ყელ-ყურ-ნისკარტი ყვირელი,
ფეხები ჰქონდა ნარინჯი,
არც მეტისმეტი წითელი.

რიომა მოხდენილია, აზრი სხარტად ჩამოყალიბებული,
კლო ხალხურია, თუმცა ხალხური ვარიანტები არ ეძებნება.

ასეთია, ძირითადად, პოეტი ქალის მანანას ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ცნობილია გადამწერი ქალი მანანა, რომელსაც 1780 წელს გადაუწერია კრებული (II № 958), რომელიც შეიცავს „ამირანდარეჯანიანს“ და წერილების ნიმუშებს. მას ერთვის გადამწერის ანდერძი ლექსად:

უქმად რამ ნამუშავეი არად სახმარი სელისა.
მსმენელთა შესაქცეველი და გასართავი გულისა,
ამირან დარეჯანის-ძის ამბავი ვისაც ჰსურისა.
და სრულ იქმნა წერა ამისი აგვისტოს მთლად გასულისა.

ამის წერის ქორონიკოსს უნი ონი წე ჯდისა,
გვედრები. საკითხავად ვის ეს წიგნი მოგერთვისა,
სულსათვის უსარგებლო. ნაშრომია ერთის თვისა,
და შენდობასა მიბრძანებდეთ, სული ცეცხლზე ნუ შერთვისა.

ამ წიგნსა ვწერდი საღისინოდ დეკანოზის და მანანა,
შენ გვედრები, რომელსაც სწვიმე ზეცილამ მანანა.

ამ ლექსის შემდეგ კიდევ ერთ ხელნაწერს S № 991v (ლ. ასათიანი, 95v; ხელნაწერთა აღწერილობა (S). II, გვ. 254. ლ. ასათიანი ასახელებს ძველი საქართველოს პოეტი ქალები; გვ. 109). ამჟამად ეს ხელნაწერი არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, კ. კეკელიძის სახელობის საქ. სსრ ხელნაწერთა ინსტიტუტში არ არის დატული.

სულის უკერძო საქმეებზე ეს წერა ნუმცა მანანა
და აწ ქაიხოსროს ალხინოს, ვმუშაობ ვისთვის მანანა.³⁵⁶

ამავე მანანას გადაუწერია³⁵⁷ „წმიდა გიორგის ცხოვრება“
და „ვეფხისტყაოსანი“ — Q № 296 (1788 წ.), რომელშიც
გვხვდება მისი ანდერძი:

დაწერე წიგნი საერო, ეს სამლო უკეთესია,
ზოგს ის უყვარს და ზოგს ესე — ამ სოფელს ესე წესია,
რომელს რომელი გენებოს, იკიოხეთ ორივე ესია.
და დამწერს შენდობა მიბრძანეთ, თქვენც შეგეწევათ მესია.

კანონად მიჩნდა მსოფლიოს მხნეთა ამბავთა წერანი,
ნაშრომთა ჩემთა ნაყოფნი ეპოვე საზგებლად ვერანი,
შესაქცევია გულისა, სულსა შეემატე მე რანი?
და რას მომეხმარვის ტარიელ, როს ვიქმნა მიწა, მტვერანი!

ამის ნუგეშად მოვიღე წმიდის გიორგის წამება,
სრულებით ლექსად ნათქვამი, როგორც აღიდა სამება,

ში, წმიდაო გიორგი, ღვაწლითა განათლებულო,
მხნე, ახოვანო, მხედარო, მთავარ მოწამე ქებულო,
აქვეყნიურად ტანჯულო. მწვალებელთაგან ვნებულო

და ა. შ.³⁵⁸

საყურადღებოა, რომ გადამწერი მანანა თავისი ლექსებით
ენმაურება პოეტი ქალის ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

³⁵⁶ H № 758, 129v—130r; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერთა (H) კოლექცია, II, შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული ლ. ქუთათელაძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1951, გვ. 324.

³⁵⁷ ორივე ხელნაწერის ანდერძი შესრულებულია ერთი ხელით. ამას გვაფიქრებინებს ასოთა მოხაზულობა, სპეციფიკური განლაგება, გაღაბის ერთი და იგივე წესი.

³⁵⁸ Q № 296, 38v; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), I, გვ. 309.

მანანა (პოეტი)

მანანა (გაღამწერი)

წმიდანი ანგელოზები ზეცას
პრავლი ღვანანა,

ასრავლთ ერი განაძღეს. იმათ
აწვიმეს მანანა.

შენ გვედრებო უფალსა, თუ ჩე-
მი ცოლვა მანანა,

ვინც წაიკიპოს, ასე თქვას:
ღმერთო აცხოუნე მანანა.

(ღ. ასათიანი, ძველი საქართვე-
ლის პოეტი ქალები, გვ. 85-86)

ყოელად წმიდაო, მავედრე იმ
შენს საყვარელ ძესაო,

მოწყალეზა რამ მოიღოს ჩემი
სიკედლისი ღვესაო,

ნუ დამანახებეს ეშმაკსა, სატანას
საძაველსაო,

განმშოროს ღა გამრიდოს იმ
ბნელსა გარესსენელსაო.

(ღ. ასათიანი, ძველი საქართვე-
ლის პოეტი ქალები, გვ. 86)

ში, დიღო წმიდავ გიორგი, მთა-
ვარმოწამე ღვთისაო,

მხედარო ახოვანებით აღმოსავაღო
მზისაო,

შენ შეიდწლულ უძღვევლ ხარ.
ღამხსნელიცა ხარ ტყვისაო.

(ღ. ასათიანი, ძველი საქართვე-
ლის პოეტი ქალები, გვ. 86)

ამ წიგნსა ვწერდი საღვინოდ ღე-
კანოზის და მანანა,

შენ გვედრებო, რომელსაც სწვი-
მე ზეცილამ მანანა,

სულის უვერპო საქმეჲან ეს წერა
ნუშეცა მანანა,

ღა აწ ქაიხოსოოს აღზინოს, ვმე-
შაობ ვისთვის მანანა.

(H № 952. 129v.—130r)

წმიდავ გიორგი, მომხედვ, შენ-
გან წუალობა ჩეველსა,

მანანა ღირს მყავს სუფევას, ეშ-
მაეთგან ნუ მჯოფ ძლეულსა,

მიხსენ სატანას ჭელთაგან, ნუ
მიმცემ ღვთისგან წყეულსა,

უხელად მომჟინე წუალობა, ან-
გელოზთ მიმეც რჩეულსა.

(Q № 296. 33v)

ში, წმიდაო გიორგი ღვაწლითა
განათლებელი.

მხნე, ახოვანო მხედარო მთავარ-
მოწამე ქებულო,

ამ ქვეყნიერად ტანჯულო, მწვა-
ლებელთაგან ვნებულო.

მეც ღამხსენ სატანჯველთაგან,
სულით ქრისტესგან ქებულო.

(Q № 295, 33v)

ჩვენს ზეღოთ არსებული მასალა, სამწუხაროდ, არ გვა-
ცლევს უფლებას, დაბეჯითებით ვთქვათ, რა გვარისა იყო
პოეტი ქალი. შეიძლება ის მართლაც ზედგინიძეა³⁵⁹. თლონდ
ერთი კი ნათელია, რომ მანანა, ვარდა ორიგინალური შე-
მოქმედისა, ნაყოფიერი გადამწერიც ყოფილა³⁶⁰.

ანა აბაშიძე-ბაბრათიონი

ერეკლე მეორის მეუღლემ, ზაალ აბაშიძის ასულმა ანა
დედოფალმა³⁶¹ იყიდა, აღადგინა და განაახლა XVIII საუკუ-
ნის სადღესასწაულო (S № 1323). ანდერძიდან ნათლად ჩანს,
თუ რა სამეშაო ვასწია დედოფალმა. ანდერძი ნუსხურითაა
შესრულებული: „ჩუენ დედოფალ-დედოფალმან ანამ, თანა-
ციცხედრემან პატრონისა მეფეთ-მეფისაჲ ჰერაკლესამან, ვი-
ციდეთ ძუწლი ესე ნაწერი თუწნი და რადკოდენ აკლდა, აღ-
ვაწერინეთ ახალი ესე ღღეთა ჩუენთა წარსამართებლად და
ძეთა და ასულთა ჩუენთა აღსაორძინებლად და ცოდვათა ჩუ-
ენთა შესანდობლად. ამინ“³⁶².

³⁵⁹ ჩვენთვის მეტად საყურადღებოა ზემოთ გამოთქმული მოსაზრება
მანანას უინაობის შესახებ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზედგენი-
ძეების გვარი გამოირჩეოდა ლიტერატურული საქმიანობით. ჩვენთვის
ცნობილია XIX საუკუნის გადამწერი ქალები: ნინო ზედგენიძე, რომელ-
საც გად-ეწერია შ. რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ (H № 831), მანანა
(ფებრონია) ზედგენიძე, რომელსაც გადაუწერია ამავე ძეგლის ვახტანგი-
სეული რედაქცია (ამ უკანასკნელზე იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოს-
ნის ტექსტის ისტორია, II, თბ., 1970, გვ. 137.

³⁶⁰ მანანას ლიტერატურული შემკვიდრება გამოაქვეყნეს შ. აფხა-
იძემ („ბახტრიონი“, 1922, № 14), ლ. ასათიანმა („ქართული მწერლობა“,
1927, № 5, გვ. 94-105; ლ. ასათიანი, ვოლტერინაობა საქართველოში,
თბ., 1933, გვ. 101-126; „ლიტერატურული შემკვიდრება“ I, 1935,
გვ. 422-436; ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები,
გვ. 73-109). პროფ. ა. ბარამიძემ (ანთოლოგია, II, გვ. 268-269).

³⁶¹ ანა ერეკლეს მეუღლედ იყო 1745—1749 წლებში. იხ. პ. იოსე-
ლიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 3.

³⁶² S № 1323, გვ. 198, ხელნაწერთა აღწერილობა (S), II, გვ. 150.

ანასტასია ბარათაშვილი

ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწეობდა თეიმურაზ მეორის (1700—1762) მეუღლის ანახანუმ დედოფლის და — ანასტასია ბეჟანის ასული ბარათაშვილი, რომელსაც პოეტური მიმოწერა ჰქონდა მზეჭაბუკ (ჭაბუა) ორბელიანთან. დავით რექტორმა თავის ანთოლოგიაში (S № 1511, 274r) შეიტანა ლექსი ასეთი შენიშვნით: „მზეჭაბუკ ორბელიანისაგან მიწერილი დედოფლის დისა მიმართ ანასტასიასადმი ჟამსა ყრმობისა მისისა და თხოვნა ბარათისა თვისისა, რომელი მიეტაცა, რომელმანცა ჰსთხოვა თვსგან ნათხზი ბარათი ლექსითა ამით, გარნა მან არ მისმინა მისი, და არცაღა მისცა თვისი მას და იყო ლექსი ესრეთ“:

ებრფი, ესერვი სურვილით, ბრძენთ ნასიბრძნ ნაკაზ თქმულებსა,
მაერთ მაკეთის ბაკეთით თვალსა მსუამ უცხოლ სრულებსა.

ამავე ანთოლოგიაში შეტანილია „დედოფლის ანნახანუმის დის ანასტასიაგან ლექსით პასუხი და ბარათია მიუცემლობა, და უარი და განძება“:

მთუარეს სრულსა, სიბრძნით მკელსა, დაუმონებ სრულად გულსა,
მეფედ ყულსა, აღვად კრგელსა, თმა თხზულებრივ ჩაბანღულსა,
წინა განმწყურს ძეშლთა თქმულსა სალამს ვკაცადრებ ზეჯან კრთელსა,
თუალთ დავიდებ შენგან კბრძნელსა, ამად ვალხენ გულსა წყლულსა.
მიქებ ძალსა, მყუშდრი ხალსა და კიცხევით მიხმობ ღალსა,
შესდგომიხარ რიტორთ კუალსა, ამად ზაკთ მადებ ვალსა,
როდეს დაკრავ სიბრძნის ტალსა, ფილოსოფოსთ მისცემ აღსა,
მე ვითა მთხოვ, პასუხს ქალსა, რომ სიბერე მახლავს თუალსა.
შენ მალალი გვარ სქესობით, მკსწრაფლ დაეკსდუა შენთვის თავია,
გული ვით მიქე ქალადლად, ინდოთგან უფრო შავია,
დაეკსთმო, ვით დაეკსთმო აგდება. ნუ გიკვრს, რომ ეკსთქუა ზავია,
არ იყო ჩემი ძმისწული, სულ გლანძლო, არ გიკმავია.

ბაევი

თუ კი გინდოდა ჩემობა,
ესზღენ რათ მომეც წყენობა.

ბაევი

ერთხელ ქსთქუა: მომე ბარათი,
ასჯერ გაგაძო არათი.³⁶³

ანასტასიას ლექსი გვხვდება სხვა ხელნაწერებშიც (S № 1516, H № 771).

პ. იოსელიანის ცნობით, ანახანუმი იყო „განსწავლული სწავლასა შინა და მოლექსეობასა, ზნეობით მაღალი, მორწმუნე და კეთილმსახურებითა შემკული“. გარდაიცვალა 1787 წელს³⁶⁴.

პ. იოსელიანს დაბეჭდილი აქვს ნაწყვეტები ანასტასიას ლექსებიდან:
ვით მიქე გული ქალაღლად,
ინდოთაგან უფრო შავია...
ოდეს დაჰკრავ სიბრძნის ტალსა,
ფილოსოფოსთ მისცემ აღსა.
მე ვითა მთხოვ პასუხს ქალსა?
თუ ამა წიგნს უჩვენებ სხვასა,
ველარ მიწოდებ შენდა დასა.

(იქვე, გვ. 131)

³⁶³ S № 1511, 274v—275r. ხელნაწერთა აღწერილობაში ანასტასიას პასუხი არ არის შეტანილი; ხელნაწერთა აღწერილობა (S), II, გვ. 256.

ანასტასია ბარათაშვილზე იხ.: გ. მიქაძე, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, IV, თბ., 1973, გვ. 40-43.

³⁶⁴ პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 131.

ბარბარე ერისთავი-ბაგრატიონი

ბარბარე ერისთავი იყო ასული არაგვის ერისთავის ბარძიმიას³⁶⁵. დავით რექტორის სიტყვით, იგი ცოფილა იოანე მუხრანბატონის დედა³⁶⁶, მეუღლე კონსტანტინე მუხრანბატონისა, იმ კონსტანტინესი, რომელიც ლეკებმა მოჰკლეს ღართის კარაიან 1756 წელს. კონსტანტინე და ბარბარე ბაგრატიონს ჰყვლიათ ორი შვილი: იოანე (გარდაიცვალა 1798 წ.) და ქეთევანი (გარდაიცვალა ქ. პეტერბურგში 1808 წ.)³⁶⁷.

სვეტიცხოველში შემონახული ეპიტაფიიდან ჩანს, რომ არაგვის ერისთავის ბარძიმის ასული ბარბარე, მეუღლე კონსტანტინე მუხრანბატონისა, გარდაიცვალა 1790 წელს³⁶⁸.

ბარბარე (ვარვარა) ბაგრატიონმა გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული პოეზიის განვითარების საქმეში. დავით რექტორმა შემოგვინახა (S № 105, 66v-67r) ბარბარეს ორი თითოსტროფიანი ლექსი: ერთი მიწერილი დავით რექტორისადმი, ხოლო მეორე დაწერილი ბეგუმის სახელზე. ბეგუმი ყოფილა დავით რექტორის ნათლია. მის სახელზე ლექსები დაუწერიათ დავით რექტორსა და მზეჭაბუკ ორბელიანს. იქვე ლექსი მიუწერია ბარბარესაც:

ორთა ბრძენთაგან შემკულა ტურფა სრა, თეალთა ჩინება,
საამო, შევნიერები, გარემო წყალთა დინება,
სუნნელებითა აღესილი, სალხინოდ გულმა ინება,
აღნავთა ხატვა აკლია, ქიქებ ფერადთა მინება (S № 105, 67r).

³⁶⁵ ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. I, გვ. 254.

³⁶⁶ S № 105, 66v; ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 111.

³⁶⁷ ბარბარე ერისთავზე დაწერილებითი ბიოგრაფიული ცნობები იხ. გ. მიქაძე, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, „ლიტერატურული გაზეთი“, 21. X. 1955, № 42 (952); მისივე, ბარბარე ბაგრატიონი, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, IV, გვ. 35-40.

³⁶⁸ A. Натроев, Мухет и его собор Свети-Цховели, Т., 1900, გვ. 329.

„ბარბარეს ბეგუმის მაგივრად ჩემთვის მოეწერა პასუხად“, — შენიშნავს დავით რექტორი:

მცეე შერთულს ჯგობ კაბეკო, კარგ ენაე კარგ სახელო,
თჳსი მსურავი ტრფიალი მამქებნა, ძლიე მამხელო,
შენ ხარ ძე იაკობისა, მიწუნებ მასახელო,
გული განმემსტრო სიშორით, მისს ჰაერს ეერა ეხელო.

(S № 105, 67r)

პოეტი ქალის ბარბარეს ერთ-ერთ უსათაურო ლექსს, რომელშიც რუსთველისა და პესიკის სკოლის გავლენა შეინიშნება, სატრფიალო ხასიათი აქვს:

სეედის სადგურს გონებასა
რამც უშოვე, რამც უპოვე,
კისა შეიღთა მნათობებსა;
შეეეხეეწე. მარგეთ ეოვე.
მკურნალ ეტლთა გეაჭები,
ჩემთვის შეელად ვერ ვიშოვე,
ვარდი რამე სატურფალი
ლხენად ჩემთვის მოვიპოვე და ა. შ.³⁶⁹

ბარბარეს ლექსებისათვის დამახასიათებელია იგივე განწყობილება, რაც საერთოდ ახასიათებს XVIII საუკუნის ქართულ პოეტურ სკოლას.

³⁶⁹ ტ. რ უ ხ ა ძ ე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 151.

დარეჯან დედოფალი

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩაბმული იყო ერეკლე მეორის მეუღლე დარეჯან დედოფალი (1726–1807), ასული გიორგი დადიანისა³⁷⁰.

ცნობილია მისი ინიციატივით გადაწერილი ავგენი ანტონ პირველისა (Q №№ 57, 58, 59). დასახელებული წიგნები 1778–1779 წლებში დარეჯანის „ბრძანებითა და საფასითა“ გადაწერეს ნიკოლოზ სიონის დეკანოზმა და სოლომონ ალექსიშვილმა. ერთ-ერთი წიგნის ანდერძი ვვატყობინებს: „ადიდენ უფალმან მრჩობლითავე ცხოვრებითა ქართლისა და კახეთისა დედოფალი დარეჯან, რომლის ბრძანებითა და საფასითა აღვსწერე ოთხნი ესე თთუჭნი სრულიად შემკობილნი ტვბიკონითურთ მე, ყოვლად უღირსმან სიონის დეკანოზმან ნიკოლაოს, დასაბამითიგან წელთა ვსაჰ, ქრისტეს აქეთ 1779, ქორთნიკონს უაჰ“³⁷¹.

ანალოგიური ხასიათისაა ანდერძები სხვა ხელნაწერებისაც (Q №№ 58, 59), აღნიშნული ხელნაწერები ერთმანეთის გაგრძელებაა. შეიცავს ოთხ-ოთხი თვის მასალას.

მარიამ ბაბრატიონი-ციციშვილი

„მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეთა მიჯნაზე ქართული ლიტერატურის პორიზონტზე მოჩანს ცრემლთაგან თვალებდანამული, ბედისაგან მწარედ დაჩაგრული, სახელოვანი მამის შვილების, ერეკლე მეორის ასულების, მარიამ, ჭეთევან და თეკლე ბატონიშვილების პოეტური სახეები“³⁷². ბატონიშვილებს მოღვაწეობა უხდებოდათ ე. წ. პერრომანტიზმის სა-

370 დ. ქორიძე, სახელოვანი ქართველი ქალები, გვ. 131-133.

371 Q № 57. 804v; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), I, გვ. 79-81.

372 დ. გამეზარდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, თბ., 1948, გვ. 78.

ნაში³⁷³. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ეროვნულობა, ლირიკა, ელეგია, კონკრეტული ისტორიული იდეა, ხალხური პოეზია, — ესაა საერთო ენა, რომელიც შემდეგ ქართულმა რომანტიზმმა გამონახა მისი წინა პერიოდის პრე-რომანტიკულ ლიტერატურასთან³⁷⁴.

ამ მანდილოსანთა შემოქმედება ანარეკლია იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობისა, საკუთარი პრივილეგიების დაკარგვით გამოწვეული არისტოკრატის სევდისა და უიმედობისა. ყოველივე ეს გადმოცემულია ჭარბი ქალური მგრძობელობით და ერთგვარი მელანქოლიითაა შეზავებული.

საშინელი აწმყო — დანგრეული სამეფო ტახტი, უაღრესი ეკონომიური სივიწროვე, რომელიც ამდაბლებდა მათ თავმოყვარეობას შეწყალების მდგომარეობამდე³⁷⁵, უნუგემო მონავალი დაპირისპირებული დაკარგულ, ბრწყინვალე წარსულთან, იყო მათი რომანტიკული პოეზიის წყარო.

პოეტი ქალები ასდენდნენ საკუთარი ტკივილების განზოგადებას და ცდილობდნენ ეროვნული ხასიათი მიეცათ მისთვის. ალბათ, ამით იყო გამოწვეული ის დიდი მოწონება,

373 ბატონიშვილ მანდილოსანთა ადგილი და დამახასიათებელი ქართული რომანტიზმის ისტორიაში გაარკვია აკად. გ. ჯიბლაძემ ჭერ კიდეც 1935 წელს. დაწერილებით ამ საკითხზე იხ. გ. ჯიბლაძე, ბარათაშვილის პოეტური გენია, თბ., 1969, გვ. 37, 269, 270, 271.

374 იქვე, გვ. 271.

375 მეფის ასული მარიამი იქამდე მისულა, რომ მოურავის ცოლს სთხოვდა ცოტა ბრინჯს თავისი ერბოთი (იხ. საქართველოს სიძველენი, III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. თბ., 1910, გვ. 123; ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 205). საყურადღებოა აგრეთვე გენერალ კნორინგის პატაკი (1802 წ.), რომლითაც იგი სთხოვს იმპერატორს დაენიშნოს მეფის უსახსროდ და უნუგემოდ დარჩენილ ასულებს პენსიის სახით წლიურად 1000 მან.) იხ. Акты Собранные Кавказской Археологической комиссии, I, Т., 1866, გვ. 211-212). იმპერატორი როგორ დაეხმარა, გასაგებია ბატონიშვილთა შემდგომი ცხოვრებით.

რომელიც წილად ხვდა მეფის ასულთა პოეზიას იმდროინდელი საზოგადოებისაგან.

ბატონიშვილებმა საფუძველი ჩაუყარეს პატრიოტულ-რომანტიკულ სკოლას, რომლის ღირსეული მემკვიდრენი იყვნენ . ჭავჭავაძე, ვ. ორბელიანი, გ. ორბელიანი და სსვ. ერთ-ერთი მათგანის შესახებ ი. ჭავჭავაძე შენიშნავდა: „უმთავრესი ძარღვი თ. ვასტანგ ორბელიანის პოეზიისა ერთი გულსაკვდომი, მაგრამ გულწრფელი გოდებაა წარსულისათვის, თითო სიტყვა მის უკეთეს ლექსებისა თითო ცალკე მარგალიტია სრემლისა, ღრმად ნატკენ გულისაგან წარმოდინებული“³⁷⁶.

დებს შორის უფროსი მარია იყო.

მარიამ ბაგრატიონი ჩინებული მელექსე ყოფილა თავისი ღრთისა. იგი იყო „ნიჭიერი, დიდათ დახელოვნებული საღმთოს წერილში, ისეთი მოლექსე, რომ ამბობდნენ — დიდი მეფის თეიმურაზის ნიჭი გამოჰყვა ამ ქალსაო“, — ასე იტყვნებს მისი თანამედროვე ბარბარე ქობულაშვილი მარიამს — ერეკლე მეორის ასულსა და „სარდალ-ქალაქის მოურავის“ დავით ციციშვილის მეუღლეს³⁷⁷.

მარიამი დაბადებულია 1755 წელს, 1801 წელს უკვე დაეკრივებულა. ჰყოლია ოთხი ვაჟი და ორი ქალი³⁷⁸. მიუღია მეფის ასულისათვის შესაფერისი აღზრდა-განათლება. საფიქრებელია, რომ კარგად იცნობდა ბესიკს, საიათნოვას და შესაფერის შეფასებას აძლევდა მათ შემოქმედებას³⁷⁹.

მარიამი მომსწრეა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებისა (მაგ. ერეკლე II-ის სამხედრო ოპერაციები, ლე-

³⁷⁶ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, III, თბ., 1959, გვ. 232.

³⁷⁷ ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 197.

³⁷⁸ Акты, I, გვ. 199.

³⁷⁹ ბატონიშვილი ქალების პოეზიაზე ბესიკის ლირიკის გავლენის შესახებ საგანგებოდ მსჯელობდა ვ. კოტეტიშვილი. იხ. მისი ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX), წიგნში: რჩეული ნაწერები, I, თბ., 1965, გვ. 48-49.

კების თარეში, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა, თბილისის აოხრება და მრავალი სხვა).

მისი ხანდაზმულობისას, საქართველო რუსეთს შეუერთდა და ცარიზმის მძიმე მარწუხებში მოექცა. სამეფოს გაუქმება, ძმებისა და ახლობლების გადასახლება ჩრდილოეთში დაღს ასვამს პოეტის სულიერ სამყაროს.

სიცოცხლის ბოლო წლები მარიამს გაუტარებია კმრის საგვარეულო მამულში. ბარბაღე ქობულაშვილის გადმოცემით, მარიამი წავიდა თავის სოფელ ქარელში, „წერდა სამგლოვიარო ლექსებს, რომლებიც პევრსა აქვს საქართველოში და იყო ლოცვაში და ღვთის ვედრებაში. რომელიც ძმა მოუკვდებოდა, ანუ ძმისწული რუსეთში, ვერავინ ეტყოდა და ისე გარდაიცვალა“³⁸⁰. მისი გარდაცვალების თარიღი უცნობია.

მოღწეულია მარიამის რამდენიმე ლექსი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ მარიამის შემოქმედების საერთო ხასიათზე. ნაწილი მარიამის ლექსებისა განეკუთვნება იმ პერიოდს, როდესაც სამეფო კარზე ცხოვრება ჯერ კიდევ თავისი გზით მიდიოდა, მეორე ნაწილში კი ცრემლნარევი სმა ისმის, სოფლისადმი სამდურავი და ერთგვარი მებრძოლი სულისკვეთებაც, რაც გამოწვეულია იმ მნიშვნელოვანი მოვლენებით, რომელიც განიცადა საქართველომ XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე.

მისი ცხოვრების პირველ პერიოდს განეკუთვნება ორი ლექსი: „მეფის ირაკლის ძის ალექსანდრეს დაწინდულის ნინოს სიკვდილზედ“ და „საქმროსთან“.

ორივე ეხება მეფის ოჯახში დატრიალებულ უბედურ შემთხვევას — ერეკლე II-ის ვაჟის ალექსანდრეს საცოლეს სიკვდილს. გვაქვს ცნობა ერთი გადამწერისა: „წელსა ათასშივინ დას ოთხმოცდაათში მეფე ირაკლიმ ითხოვა ყაზართოს მთავრის ქალი. თავისი შვილის ალექსანდრეს საცოლეთ, რომელიც მოიყვანეს და მოყვა ძიძა და ორნიც თავადნი.“

მიაბარა მეფემ თავის სძალს, ამილახვრის ქალს სალომეს, ასწავლა საღმრთო წიგნი და სამეფო სახლის შესაფერი

³⁸⁰ ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 213.

ქცევა. მონათლეს და უწოდეს ნინო. არ დასცალდა ქორწილი და მოკვდა, როგორც ამბობენ სიჭლექით.

ამის სიკვდილის შემდეგ ეს ლექსი უთქვამს მეფის ირაკლის ასულს მარიამს, რომელიც იყო ჩინებული მოლექსე, მრავალიც არის ამისი ნათქვამნი და აქვს კნენინა მაია თუმანოვისას, თამაზ ორბელიანის ასულს³⁸¹.

ეს ლექსებია ლამაზად ჩამოყალიბებული ორი პოეტური ნაწარმოები, რომლებიც მოწმობენ ავტორის საკმაო ხელოვნებას. საყურადღებოა შემდეგი სტრიქონები:

დაეფლა მიწას მნათობი,
ყაბართოს მთაერის ასული,
ბაგე ლალისა მბაძაი,
ნაზი, ნარნარად მყობილი,
იაგუნდისა ბაგესა
შიგ მარგალიტი წყობილი. („საქმროსთან“)

ეთხოვებოდა სოფელსა,
ქვეყნად მნათობი მზეოდა.
აწ დაუტეო სოფელი,
სად ვიმყოფები მეოდა,
სად არის ჩემი დიდება,
ლომგულო მეფის ძეოდა...

(„მეფის ირაკლის ძის ალექსანდრეს
დანიშნულის ნინოს სიკვდილზედ“)

მეორე პერიოდის ლექსებს შეიძლება მივაკუთვნოთ: „თურქთა ხმასა ზედა სათქმელი მუხამბაზი“, „აჰა, დამეცნეს

³⁸¹ S № 1635-ბ. 2r. ამ ცნობას გვაწოდის პ. იოსელიანიც (იხ. მისი ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 192). იხ. აგრეთვე ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი (S) კოლექცია, III. შედგენილია და დასაბუქლად დამზადებული თ. ენუქიძის, ე. მეტრეველის, მ. ქავთარიას, ლ. ქუთათელაძის, მ. შანიძის და ქ. შარაშიძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1963, გვ. 97.

რისხვით ცანია“ და „მოვსთქვამ სულთქმითა საბრალო“. მათ შორის იდეურ-თემატური ნათესაობა შეინიშნება.

ლექსში „თურქთა ხმასა ზედა სათქმელი მუზამბაზი“³⁸², მარიამი ემდურის წუთისოფელს, მის უკულმა ტრიალს, რომელმაც მოსპო მისი ბედნიერება:

ოი, დამწარდეს დროთა ტკბილობა,
უწყალომ ეტლმან რა ქმნა ცილობა,
აღფხერა წალკოტსა ვარდთა შლილობა,
დაქსთურგნა ჩემი დღე-კეთილობა,
ბნელყო ქართლოსის ძვირფას მტილობა,
მესისხლე მარიხს აქეს ხრმალწედილობა.

სიცოცხლე მისთვის ნაღველზე უმწარესია, რადგან „მზის მსგავსნი სხივნი ღრუბელთ დაჰფარნეს“ (დაემსო სამეფო კარის დიდება); იგი ველარ სჭვრეტს თავის „მომლხენს მთოვარეს“, სევდასა და კაეშანს უძლიერებს საყვარელ დაძმებთან განშორება:

ედემის ბალსა ზრდილნი ყვაეილნი,
ვარდნი კოკობნი, ნახად გაშლილნი,
გულდამატებობლად ახლად ფურჩვილნი,
ვაჰმე, უწყალოდ ჰყვეს აღმოფხვრილნი!
შორად მიმტაცეს მე მათნი ჩრდილნი,
ნუ მკგობთ, თუ მათთვის მაქვს ცრემლნილობა.

განა არა აქვს პოეტს ტირილისა და ვლოვის მიზეზი, როცა:

ჩემი წალკოტი აღყვავებული,
ყვაეილთ სიმრავლით განშშვენებული,
იქმნა, ამად ვჰსტირ, ცეცხლმოდებული,
ოთხიდე სახელ განდიდებული.
ვის შეხვდა მათი მოადგილობა?

³⁸² დაცულია რამდენიმე ხელნაწერში (S № 1512, 88v—89v; S № 3723, 179v—180v).

ანალოგიური ამრია კატარბელი ლექსში „აჰ, დამეცნეს რისხვით ცანია“³⁸³. აქ უფრო მძაფრ ფერებში გადმოგვცემს პოეტი ქალი თავის უნუგემო მდგომარეობას. გამწარებული პოეტი მიმართავს გარემოს, მას სურს, რომ მისი მდგომარეობა ბუნებამაც გაიზიაროს:

განცეიფრდი ცაო, განჰკრთი მიწაო,
მეცა დამფარეთ ღრუბელთ, ნისლთაო,
აჰა, დანთქმელი ჩრდილოთ ზღვითაო.
მარად ვაფრქვევდე ღრუბელ-ნისლთაო,
ვაჰ, განგვაშორე მუენი სითაო,
ჰყვეს განდეველნი შორის გზითაო.

პოეტი ქალის მწუხარება კულმინაციურ წერტილს აღწევს ლექსში „მოვსთქვამ სულთქმითა საბრალოდ“³⁸⁴. საყურადღებოა სტრიქონები, სადაც პოეტი გვისურათებს იმ უბედურებას, რომელიც სამეფო კარის დანგრევისა და დამხობის გამო დაატყდათ თავს პატონიშვილებს:

დაბრუნდა ეტლი უკუღმა,
წარხდა მზე კეთილ-მზიანი,
დაემხო ტახტი მაღალი,
რა ბედნიერი სვიანი,
განჰქირენა ვარდნი სატრფონი,
არღარა ჰყვავის იანი,
განმწარდა ყოვლნი შვებანი
ტკბილნი საამო ხმიანი,
აწ საწუთროსა მღურავი,
ესტირ უბედური დლიანი,
დაბნელდით თვალნი მტირალნი,
ჰხედაეთ რა განსაცეიფრება.

³⁸³ ლაცულა რამდენიმე ხელნაწერში (S № 1512, 147v—148r; S № 3723, 196v—197v).

³⁸⁴ S № 1512, 148r—149r.

პაეტის ოქმით, ჯობდა არ შესწრებოდა ამ დროს; იგი სიკვდილს ნატრობს:

ვაჰ, დიდებულნი პალატნი
იქმნა მტერთ საცინელითა,
აწ განწირული უწყალოდ,
ვიწვი ცეცხლით არ ნელითა,
სად ხარ, სიკვდილო, რად ჰყოენი,
არ მიმცემ დღესა მცირებსა,
მიგლოვლით მეცა, მოყვასნო,
სოფლისა განაწირებსა.

როგორც ჩანს, მარიაში სატირულ-იუმორისტული ხასიათის ნაწარმოებებსაც წერდა. მოღწეულია „მარიაშ ბატონიშვილისაგან მიწერილი ლექსი სოლომან ანჩისხატის დეკანოზის მიმართ ცუკიაზედ ლექსი ვინადგან ძმა იყო ცუკია სოლომან დეკანოზისა და სულ გვერთ უჯდა სოლომანს და ყველას ლანძამდა ცუკია იგი“³⁶⁵.

დაბრძანვი მიწის სკამზედა, გვერდით მოსვი ცუკია,
უსჯედო, ულთო. წარმართი, პლუტი, გაქნილი ცრუკო...

ზოგიერთი ხელნაწერით მარიაშს მიეკუთვნება კიდევ ერთი ლექსი „მეფის ირაკლის ასულის მარიაშ ბატონიშვილის ნათქვამი მუსტაზადი“³⁶⁶. როგორც ირკვევა, ლექსს შეცდომით მიაწერენ მარიაშს. ამ საკითხთან დაკავშირებით პროფ. ლ. მენაბდე შენიშნავს: „ს. მესხიშვილს დაუწერია საყურადღებო ლექსი „ეტრფის მთიებსა“ (H № 390; A № 1164; S №№ 1512, 1543, 3723). ამ ლექსს შეცდომით მიაწერენ

³⁶⁵ H № 2130, 138r; ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H). V. შედგენილია და დასაბუქდად მომზადებული ლ. მეფარიშვილისა და ე. ვირსალაძის მიერ, ა. ბარამიძის რედაქციით. თბ., 1949, გვ. 95.

³⁶⁶ H № 2130, 21v—22r; S № 3666, გვ. 20—21.

დიმიტრი დეკანოზს (K 580), მარიამ ირაკლის ასულს (HI № 2130), დ. თუმანიშვილს (S № 2519), ვახტანგ ბატონიშვილს (S № 2385), ბესიკს და ა. შ.³⁸⁷

მარიამ ბაგრატიონის შემოქმედება დიდხანს იყო მივიწყებული. მისი ლექსების ნაწილი დაიბეჭდა 1922 წელს³⁸⁸, სამი ლექსი 1928 წელს³⁸⁹, ორი 1935 წელს³⁹⁰. მისი ხუთი ლექსი სათანადო შესავალი ნარკვევით გამოცა ლ. ასათიანმა 1936 წელს³⁹¹.

ქეთევან ბატონიშვილი

ქეთევანი უმცროსი და იყო მარიამ ბატონიშვილისა. იგი დაბადებულა 1764 წელს. ცოლად ჰყავდა იოანე მუსრანბატონს, რომელსაც ერეკლე მეფემ უბოძა სახლთუხუცესობა.

ქეთევანიც იმავე ატმოსფეროშია აღზრდილი, რომელშიც მარიამ ბატონიშვილი აღიზარდა. მეფის კარზე დაახლოებული პირნი უდაოდ დიდ გავლენას მოახდენდნენ ბატონიშვილთა კულტურულ, ესთეტიკურ და პოლიტიკურ ჩამოყალიბებაზე.

საქართველოს რუსეთთან დაკავშირების შემდეგ, სამეფო კარი განიცდის დეგრადაციასა და დაცემას. ქართველი არისტოკრატია უკმაყოფილოა, ევითდება მისი პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა. მაღალი კლასი ეკონომიკურად განიცდის სივიწროვეს. ეს იწვევს პროტესტს, უკმაყოფილებას ცარიზმისადმი, პირველ რიგში კი ამას ამულავებენ ფუფუნებაში აღზრდილი ბატონიშვილები.

³⁸⁷ ლ. მენაბდე, ძველი ქართული კულტურის კერები, ტ. I, ნაკვ. I, გვ. 171.

³⁸⁸ „ბატონი“, 1922, № 13.

³⁸⁹ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანოლოგია, II, თბ., 1928, გვ. 272-274.

³⁹⁰ ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, თბ., 1935, გვ. 448-449.

³⁹¹ ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 197-226.

3. ციციანოვის პატრიარქიდან (1805 წ.) ირაკლევა, რომ მეფის მთავრობა ქეთევანს თელის მოწინააღმდეგე პიროვნებად, რომელსაც კავშირი ჰქონდა სპარსეთთან, 1804 წლის ამბოხების მეთაურებთან.

1805 წ. თებერვალს პ. ციციანოვი სწერდა საგანგებო მოხელეს ტარასოვს:

„მრავალრიცხოვანმა დაკითხვებმა გვიჩვენა, რომ მეფე ირაკლის ასული ქეთევანი მონაწილეობას იღებდა აღნიშნულ ამბოხებაში (იგულისხმება ნათაყულითა აჯანყება 1804 წ.). ამიტომ, თუ საჭირო იქნეს მისი დაკითხვა, ან ვინმესთან პიდაპირ წაყენება, ყოველივე მოიმოქმედეთ ჩემი ნებართვით“³⁹².

პ. ციციანოვს ქეთევანი დაუპატიმრებია 1805 წელს, მისი სახლისათვის გუშავი დაუყენებია და აღუკვეთია მისთვის ურთიერთობა სხვებთან. სწორედ პატიმრობის დროს დაუწერია მას ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ლექსი: „ჰოი, ვითარ ვსთქვა, განსაკრთომელი“³⁹³. თავისი იდეით, თავისი ფორმით ეს ლექსი ძალიან ჰგავს მარიამის ლექსებს. მასში გადმოცემულია სევდა, მწუხარება, გამოწვეული არსებული მდგომარეობით:

ჩრდილოთ ვისილე მცირე ღრუბელი
აზიის მთიებთ დამბნელებელი,
ბედნიერთ პალატთ დამამხობელი,
მშვენიერთ წალკოტთ არ მფურჩქნებელი.

³⁹² Акты. II, Т., 1868, გვ. 336.

³⁹³ ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 238-240. ლექსი შემონახულია მრავალ ხელნაწერში (S № 1512, 90r-91r; S № 1543, 73r; S № 2455, 3v-4v; S № 3723, 194v-195v და ა. შ.).

საინტერესოა დავით რექტორის ცნობა: „მეფის ირაკლის მეორის ასულის მუსრანბატონის იოანეს მეუღლის ბატონიშვილის ქეთეონისაგან თქმული, ოდეს გარუსებულმა ციციანოვილმა პავლე დაიპირა, თავისი ძით შეიმპრაზით. მაშინ, საპყრობილეს შინა შემწყდევლმან და მრავალთა რუსისა სალდათთა ყარაულთაგან გარემოცულმან, მწუხარებაში ასე კსთქვა; ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 232.

განა შეიძლება ითქვას ყველაფერი, რაც აწუხებს პოეტის
:აუღს:

პოი, ვითარ ვთქვა განსაკრთომელი,
ჩემი სიცოცხლის დამამკრობელი'..

პოეტი დასტირის დაშლილ, განადგურებულ მეფის კარს:

აღმოფხვრა ვარდნი, უცხოდ ნაზარდნი,
თვისთა მამულთა ჰყო განავარდი,
ალარ ჰყვავიან ზამბახნი, ვარდნი.

რუსეთის იმპერატორმა ხალხს ბორკილები და საპყრობი-
ლე მოუტანა მეგობრობის ნაცვლად:

ზოგნი დაჰფარნა თვისით ნისლითა,
ზოგნი დილეგთა არეინ უშლითა.
მეცა მეწია ბელით ჩემითა.
მიმცა პატიმრად წვიმის ცრემლითა.

პოეტს დარდი აქვს ჩრდილოეთში წასული ნათესავებისა:

განჰქრივნა ყოელგნით, მკლავს მათი დარდნი,
მათი მგონები. აწ გულო, დადნი.

იგი უსუგეშოა, ყველასგან მიტოვებული; განსაკუთრებით
ახლა სურს თავის ახლობლებთან ყოფნა, მათი სითბო, მათ-
თან შვება:

აწ მე მიგლოვეთ, სატრფონო ყმანო,
ყოვლნო მოყვასნო და ზრდილნო ყმანო,
ვაი, მათთანა შვების აღთქმანო,
აწლა სადა ხართ, გლოვისა ხმანო...

ლექსი მთავრდება სოფლის სამდურავით, რომელიც ასე
დამახასიათებელი იყო XVIII საუკუნის პოეტებისათვის:

რად არ დაგვიწყდეს ჰოი, სოფელო,
არ ხანიერო ცუდ საყოფელო,
მცირის ეამისავ, არ დამყოფელო,
ჩემებრ უბედოთ ცუდ სამყოფელო,
მაგრამ ბედნიერთ პირდამყოფელო,
ვინც არ გენდობის, ვარ მადლობელი.

ქეთევანი მხატვრულ სიტყვას მოხდენილად აქსოვს ლექსის სტრიქონებში, იგი კარგად ფლობს მხატვრული სიტყვის გამოსახვის ხერხებს, იყენებს ალეგორიას, მეტაფორას, ეპითეტებს, შედარებებს და ა. შ.

ქეთევანი ბატონიშვილებს ადარებს ვარდთ, ზამბახთ („ადარ ჰყვავიან ზამბახნი, ვარდნი“). ცარიზმი პოეტს გამოყვანილი ჰყავს არა ძლიერად და უძლეველად, არამედ მცირედ, პატარად, რომელიც ამ წუთში დიდ ზიანს აყენებს მთელ საქართველოს:

ჩრდილოთ ვიხილე მცირე ღრუბელი,
აზიის მთიებთ დამხნელებელი,
ბედნიერთ პალატთ დამამხობელი.

მეფის მოხელეებს ქეთევანი ადარებს კაცთა მოდემის უსაზიზღრეს მტერს — გველს:

გუშ:გნი მრავლად ჩემთვის მცველობენ,
სხვადასხვა ჰაზრით გველებრ კრელობენ,
არ მცემენ ნუგეშს, მსწრაფლად მწყარალობენ,
მათნი მახელნი გულსა მკრელობენ,
კვლავ სხვანი მოვლენ. სადგურს მცველობენ
მკმუნვარის გულის დამწყულლებელნი.

პროფ. დ. გამეზარდაშვილმა სწორად შენიშნა³⁹⁴, რომ ამ ლექსს ერთგვარად ეხმაურება ა. ჭავჭავაძის „ვისაც გსურთ“:

³⁹⁴ დ. გამეზარდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, გვ. 111.

გეშაგნი ბევრნი თვითოსა მცველად,
გვეან ნების წარმტაცველად;
ხვალ სხვანი მოვლენ მათს გამომცველად,
გველივე ქშთება გველად.³⁹⁵

ასეთი ჩამოყალიბებული აზრის, დახვეწილი სტრიქონების ავტორს, საფიქრებელია, ექნებოდა სხვა ნაწარმოებებაც, რომელთაც უამთა სიავის გამო ჩვენამდის არ მოუღწევიათ³⁹⁶.

თექლე ბაბრათიონი

თექლე მეფე ერეკლეს უმცროსი ქალიშვილი იყო. მეფეს ის განსაკუთრებით ჰყვარებია. მოღწეულია ერეკლეს რამდენიმე წერილი მიწერილი თექლესადმი, სადაც უდიდესი სიბოლო და სიყვარული ჩანს³⁹⁷. მას ბავშვობიდანვე იტაცებდა ცხენოსნობა, იარაღის სმარება. „არასოდეს გაფრენილი ჩიტისათვის თოფი არ დაუცილებია“³⁹⁸. ალბათ, ამიტომ უბოძა მამამ მას სახუმარო სიგელი: „თუმცა აქამდის შინ ყველასაგან ქალად იყავი ცნობილი, მაგრამ ამიერიდან გიწყალობებთ ბიჭის სახელს და ვუბრძანებთ ყველას, შენს ღებს და ძმებს, გიწოდონ თექლა ბიჭიო“³⁹⁹.

³⁹⁵ ა. კ ა ვ კ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, თბ., 1940, გვ. 34.

³⁹⁶ ქეთევანის ლექსები გამოაქვეყნეს პროფ. დ. ჩუბინაშვილმა (ქრისტობატია, II, გვ. 111-113), შ. აფხაიძემ („ბაბრათიონი“, 1922, № 13), პროფ. ა. ბარამიძემ (ანთოლოგია, II, გვ. 175-176) და ლ. ასათიანმა („ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, 1935, გვ. 450-452; ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 238-240).

³⁹⁷ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, თბ., 1914, გვ. 133-136.

³⁹⁸ გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თექლე ბატონიშვილი. „კვალი“, 1897, № 5, გვ. 109-111.

³⁹⁹ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, გვ. 133.

თეკლე აღზრდილა მეფის კარზე და შესაფერისა განათლება მიუღია: იგი გამოირჩეოდა გამჭრიახი გონებით, კარგად დაუფლებია უცხო ენებს — კერძოდ სცოდნია არაბული. მამა მას ბრძენს უწოდებდა. თეკლე ბატონიშვილს ასე იფიქრებენ: იგი „ზედმიწევნით მცოდნე ყოფილა მის დროინდელ ქართულ მწერლობისა, სამღთო წერილისა, კარგად განათლებული მაშინდელ კვალობაზე, ჭკუით, სიბრძნით და სათნოებით შემკული, ამასთან საკვირველი მხნე და გამჭრიახი“⁴⁰⁰.

თეკლე ბაგრატიონი 1776 წელს დაბადებულია, 1799 წელს ცოლად გაჰყოლია ვახტანგ ყაფლანიშვილს⁴⁰¹, რომლისგანაც სამი ვაჟი შესძენია. ალექსანდრე (ცნობილი მწერალი), დიმიტრი და ვახტანგი (ცნობილი პოეტი).

თეკლეს, ისე როგორც ყველა ბატონიშვილი და საერთოდ ქართველი თავადაზნაურობა, ცარიზმისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ იყო განწყობილი. ცნობილია, როგორ აქეზებდა იგი თავის მეუღლეს, რომ მიეღო მონაწილეობა კახეთის აჯანყებაში: „თუნდა სულ ერთიან ლუკმა-ლუკმა დაგვჭრან, ერთი არაფერი არის, ოღონდ მივუდექით თქვენს ძმებს კახელებს“⁴⁰².

თეკლეს სამივე ვაჟი მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში. როგორც ჩანს, დედაც თანაუგრძნობდა შვილებს, ამიტომაც იგი გადაასახლეს ერთი წლით ქ. კალუგაში თავის შვილებთან ერთად⁴⁰³. 1835 წელს ის საქართველოში ბრუნდება. ცხოვრობს საქართველოს დედაქალაქში და ურთიერთობა აქვს ქართული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებთან (ა. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი და სხვ.).

თეკლე ბაგრატიონი, უკვე საკმაოდ მოხუცებული, უადრეს ეკონომიურ სივიწროვეში გარდაცვლილა 1846 წ. მ. ვორონცოვს დიდი პატივით დაუკრძალავს მცხეთაში, მისი მამის გვერდით⁴⁰⁴.

„თავის მცირერიცხოვან ლექსებში, რომლებმაც ჩვენამდე

400 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა კრებული ათ ტომად, III, გვ. 232.

401 პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 203.

მოაღწია, თეკლე ბატონიშვილი გამოსხატავს ღრმა სევდას, სამშობლოს პოლიტიკური თავისუფლების დაკარგვის გამო, იგი გლოვობს ქართლის სამეფო ტახტს⁴⁰⁵.

მოდწეულია თეკლეს სამი ლექსი და ერთი იამბიკო ღვთისმშობლისადმი.

დებისაგან განსხვავებით თეკლას შემოქმედებისათვის დამახასიათებელია უფრო მედგარი, საბრძოლო განწყობილება და ერთგვარი იმედი მომავლისა. ეს განსაკუთრებით ჩანს გადასახლებაში დაწერილ ლექსებში. საყურადღებოა „თეკლა ბატონიშვილისაგან თქმული ვაფი, ქეთაონს, თავის დას პასუხს უგებს ამ ლექსით“⁴⁰⁶, სადაც იგი ანუგეშებს დას, მოთმინოს პატიმრის მდგომარეობით გამოწვეული მწუხარება, რადგან იგი დროებითია:

რად გიკვირს პატიმარს მწუხარებანი,
მცირეს ხანს ლხინთა განმწარებანი,
ოჲმცა იხილეთ მნათობთ ვნებანი,
ერიქოს ვარდთა უცხოდ რებანი,
ნაზთა იათა ცრემლით ვკსებანი,
უთმინოთ ოხვრით სულქმა-ვებანი.

მომავლისადმი რწმენით, ოპტიმიზმითაა გამსჭვალული ლექსის შემდეგი სტრიქონები:

402 მოგონება ალექსანდრე ორბელიანისა თავის შამის ვახტანგ ორბელიანის შესახებ, გამოცემა ს. კაკაბაძისა, თბ., 1914, გვ. 9.

403 ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 249.

404 „ცისკარი“, 1869, II, № 9, გვ. 96-102 — საქართველოს I შეფის ირაკლის ასულის თეკლას გარდაცვალებაზე და დასაფლავებაზე რამდენიმე სიტყვა.

405 ა. გაჩეჩილაძე, აღ. ორბელიანი, წიგნში: ნარკვევები XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 80.

406 დატულია რამდენიმე ხელნაწერში (S № 1512, 91r—92v; S № 3723, 195v—196v).

ნუ ჰსწუხ, დაშრტება ცეცხლთა ღებანი,
რად გიკვირს პატიმარს მწუხარებანი,
მცირე ხანს ლხინთა განმწარებანი?

მოყვასთა დაკარგვით გამოწვეული სევდაა გამოხატული
თეკლე ბაგრატიონის ლექსში „თევზლისი“⁴⁰⁷:

შენი თვალნი მხედენი სად გაკარგულა,
სად ვეძიებ მთიებს და სად დარგულა,
რისთვის ჩემი გული, სად დადაგულა,
მოვედ შვნო თვალნო, მხედველნო ცისა.

ლექსში — „რომელთაგან მქონდა სიამე შვების ხმაზედ
სათქმელი“¹¹³, თეკლე ბაგრატიონი გადმოგვცემს თავისი სევ-
დის მიზეზს:

განვიცხალოთ ყოველთ ჩემნი თქმანია,
ჩვენ ვჰყუაოდით, ვითა ეღუმი კმანი:
დაგვნატრიდენ ყოელნი სხვანია.

მაგრამ საწუთრომ არ დაინდო იგი:

ვკვუნვარებ, ვინათგან საწუთრო ერთა,
არა არს დამფარველი არც ბედნიერთა.

ნუ მიენდობით წუთისოფელს, რადგან იგი მუხანათია, გა-
უტანელი:

თუმც სოფელი ნათობს, არსა დარია,
ჩემთვის ეგრეთც ბნელობს, არ სედ არია,
ყოველთ ბედნიერთ შემდგომ ეს უდარია.

თეკლე აზოგადებს თავისი უბედურების მიზეზს და საყო-
ველთაო ეროვნულ მნიშვნელობას აძლევს მას:

407 S № 1512, 149v.

408 ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 251.

მაგახსენებთ ყოველთა, აზიელთ ერთა,
მაყვარება თვისთა, ამერთ-იმერთა,
ზოგთა მეცნთა ჩვენთა მხილველთ ივერთა
ვმკუენვარებ. ეინათგან საწუთო ერთა,
არა არს დამთარველ არც ბედნიერთა.

გადსასაღებაში მყოფმა თავადებმა შეიცვალეს თავიანთი შეხედულება რუსეთის იმპერატორზე. მათ რიცხვში იყა თეკლატ. სამშობლოში მოწერილ წერილებში იგი არა-ერთ-გზის აღნიშნავდა: „კარგი ხელმწიფე გყავს“-ო. ეს ატყვია მის წემოქმედებასაც. მედგარი სულის, ცხოვრებისადმი და საწუთროსადმი შეუერიგებელ მანდილოსანს ღვთის ლოცვა-ვედრებისათვის მიუყვია ხელი. ამ პერიოდს ეკუთვნის თეკლე ბაგრატიონის „იამბიკო ღვთისმშობლისადმი“⁴⁰⁹.

ამ იამბიკოში მოცემულია ვედრება ღვთისმშობლისადმი უცხოობაში მყოფი ქალისა:

აწ მსურის შენღა, მორთმად ღვთისა დედაო,
მცირედნი რამე, ვედრებითი თხოვნანი.

ყოველი განსაცდელის უამს შენ გახსენებთ, რადგან

შენ ხარ მთარველი, წილხლომილის ერისა,
სრულიად ქართველთ, დაწყებითგანვე პირველ,
განსაცდელთაგან, პირად პირადად დამხსნელ.

ასლაც ევედრება იგი, რომ უცხოობაში მყოფი ქართველები მშვიდობით დააბრუნოს სამშობლოში:

აწ კვალად გვაგე, მამულს სამწყსოსა შენსა.

⁴⁰⁹ „ცისკარი“, 1860, № 1, გვ. 63-66. ლ. ასათიანს ეს იამბიკო არა აწეს დაბეჭდილი და არც არაჟურს ამბობს მის შესახებ.

თეკლეს ლექსები გამოაქვეყნეს პროფ. დ. ჩუბინაშვილმა (ქრონიკონა-ტია, II, გვ. 113), პროფ. ა. ბარამიძემ (ანთოლოგიაში, II, გვ. 277), ლ. ასათიანმა („ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, 1935, გვ. 452-456; ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 255-259).

თეკლეს ლექსები თემატიკით ძალიან ჰგავს მისი დების ლექსებს. ისინი ძირითადად გამიზნულნი არიან სხვადასხვა საკრავზე დასამღერებლად, ამით აიხსნება ამ ტექსტებისათვის დამახასიათებელი რიტმული არათანაბრობა და რეფრენი⁴¹⁰.

ასეთია ბატონიშვილთა ლიტერატურული მემკვიდრეობის მოკლე დახასიათება.

„როგორც მარიამი, ისე მისი დები, ქეთევანი და თეკლე, უფრო წინებულნი მოლექსეები იყვნენ, ვიდრე პოეტები მოწოდებით და ძირითადი საქმიანობით. მაგრამ მათი ლექსები, სპეციფიკური თემატიკით, გულწრფელობით, გრძნობათა გამოსატვის სიმძაფრით და ჟანრით — უეჭველად საყურადღებო და საგულისხმო პოეტურ დოკუმენტებს წარმოადგენენ ჩვენი ლიტერატურის ისტორიისათვის“⁴¹¹.

ბარბარე ბარათაშვილი

ლიტერატურულ სარბიელზე თავი გამოუცდია ანახანუმ დედოფლის კიდევ ერთ დას — ბარბარეს. ცნობილია მისი ლექსი მზეჭაბუკ ორბელიანზე:

სიცრუითა დიდებულობ, მზაკვარობით მოგწონს თავი,
მტბიერობ და მანკიერობ, ვერაგობით ხშირად ჰყვავი,
ლექსი სხვა გაქვს და აზრი სხვა, ამითი ხარ შენაზავი,
ცხოვლად ხედავ სატანასა, არას გარგებს შენ იგავი,
სნეულებად ეს გპირ/ს/ ავი: ურცხვი იყავ და პირშავი.⁴¹²

⁴¹⁰ ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 253.

⁴¹¹ იქვე, გვ. 207.

⁴¹² S № 3686, გვ. 66, ხელნაწერთა აღწერილობა (S), V, გვ. 169. გამოაქვეყნა აკად. ა. ბარამიძემ (ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია, II, გვ. 248). მან იქვე შეიტანა მზეჭაბუკის პასუხიც (იქვე).
162

როგორც ცნობილია, მზეჭაბუკ ორსულიანი არაერთი პოეტის დაცინვისა და გაკიცხვის ობიექტი ყოფილა (მოვიგონოთ, მაგალითად, ბესიკისა და საიათნოვას ლექსები). ჩანს, ბარბარეც უღმობლად დაესხა თავს.

მარიამ ბატონიშვილი

მარიამი იყო ასული იმერთა ბატონიშვილის არჩილისა, და სოლომონ მეფისა (1789—1810). როგორც ჩანს, მარიამს ლიტერატურული ინტერესები ჰქონია. მოღწეულია მისი ერთი ლექსი ასეთი შენიშვნით: „მარიამ ბატონიშვილის, არჩილ მეფის ასულის თქმული“:

ვაი არს ჩემდა დღენი წინანი,
მალაპალატთა მსრივ მრავალ შეყრილობანი,
სხვათადასხვათა ფერ-ყვავილ სურნელებანი
და უცხოთ და უცხოთ მოდ ხმათა მარად სმენანი.
აწ ამ ეამს მომაკლდა სოფლის შევბანი,
ნიადაგ გლოვა, ტირილი, სულთქმა, ვებანი,
იკვალნეს ბრწყინვალება ბნელად მაქვს ტყებანი
და განქარდა ჩემთვის ტკბილნი ხმანი შენარნი ებანნი.⁴¹³

მარიამ ბატონიშვილი ლიტერატურული ტრადიციების გამგრძელებელია იმ პატრიოტულ-რომანტიკული სკოლისა, რომელსაც საფუძველი ერეკლე მეორის ასულებმა ჩაუყარეს. წინაპართა მიერ წამოყენებული საკითხები გამოიყენეს და განავრცეს შემდგომი პერიოდის რომანტიკოსებმა. სანიმუშოდ დავიმოწმებთ ა. ჭავჭავაძის ლექსს „ისმინეთ მსმენნო“⁴¹⁴, რომელიც მარიამის ლექსით უნდა იყოს შთაგონებული. შეინიშნება შინაარსობრივი და ნაწილობრივ ტექსტობრივი თანხვედნილობაც:

⁴¹⁴ ა. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940, გვ. 67.

⁴¹³ H № 169, 80v; ხელნაწერთა აღწერილობა (H), 1, გვ. 119.

მარიამ ბატონიშვილი

აწ ამ ეამს მომკლდა სოფლის შებანი,
ნიადაგ გლოვა, ტირილი, სულთქმა, ეებანი.

ა. ჰავჰავჰაჰე

ვინც ხედა მათ მასეს, ჰირთა სახეს, არა აქვს შებეა,
რა გვარნი ჰირნი, ცეცხლნი ხშირნი მწველნი აღმურნი
ენახენით როსა, ამა დროსა ზედიზედ რთული.

მარიამ ბატონიშვილი

იეულნეს ბრწყინეალება ბნელად მაქვს ტყებანი.

ა. ჰავჰავჰაჰე

მუნთლად გეაწვიეს, დაგვახვიეს თავს ბნელნი ბურნი.

მარიამ ბატონიშვილი

განქარდა ჩემთვის ტბილნი ხმანი, შენარნი ებანნი.

ა. ჰავჰავჰაჰე

დაკარგეს ყოვლნი ჰირნასული გულთ-უმხნესია,
ჰქმნეს საეანენი საუკუნოდ ვით უდაბურნი.

მარიამის ლექსი დაიბეჭდა 1885 წელს. ხელნაწერისაგან განსხვავებით ტექსტს წამატებული აქვს შემდეგი ოთხი სტრიქონი:

ისმინეთ მსმენო, ჰირთა მთმენო, მომიპყართ ყურნი,
რა გვარი ჰირნი, ცეცხლნი ხშირი, მწველი აღმურნი
ენახენით როსა, ამა დროსა ზედაზედ რთულნი,
გვძლივა სოფელმან, ხელმყოფელმან აწ გვაგო შურნი.⁴¹⁵

⁴¹⁵ მ. ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, საისტორიო მასალა, „მწყემსი“, 1885, № 23,

ეს სტრიქონები მარიამს არ უნდა ეკუთვნოდეს. ეს არის ... ქავჭავაძის ლექსის ოთხი სტრიქონის სიტყვა-სიტყვით განმეორება.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, უნდა შევნიშნოთ, რომ ორივე პოეტი გამომხატველია არსებული პოლიტიკური სიტუაციისა და ერთი სოციალური წრის განწყობილებისა.

ცნობილია XVIII ს. ლოცვანი (H № 267), რომელიც ეკუთვნოდა „იმერთა მეფის სოლომონის დას, ბატონიშვილის არჩილის ასულს მარიამს“⁴¹⁶.

მარიამ დედოფალი

მარიამი იყო კაცია დადიანის ასული, იმერთის მეფის სოლომონ მეორის (1789—1810) მეუღლე.

სოლომონი წინ აღუდგა რუსეთის თვითმპყრობელურ პოლიტიკას, დახმარებისათვის მიმართა ახალციხის ფაშას, მაგრამ მან ვერაფერი უშველა იმის მეტი, რომ საცხოვრებლად ტრაპიზონი მიუჩინა.

იმის შიშით, რომ მარიამს კავშირი არ დაემყარებინა სოლომონთან ახალციხეში, დედოფალი დააპატიმრეს, ხოლო 1810 წელს გადაასახლეს რუსეთში.

სოლომონმა თავისი ტანჯული სიცოცხლე ოსმალეთში დაასრულა. ვედარც მარიამ დედოფალი ეღირსა სამშობლო მიწას, იგი გარდაიცვალა 1842 წელს პეტერბურგში. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

მარიამი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც მას გარკვეული წვლილი შეუტანია ქართული მწიგნობრობის განვითარების საქმეში. მისი ბრძანებით 1804 წელს გადაიწერა „თიმსარიანი“ და „სიბრძნე სიცრუისა“ (S № 3615). ხელნაწერის ერთ-ერთ გვერდზე ვკითხულობთ ანდერძს გადამწერისას:

⁴¹⁶ H № 2671, 64r—65v; ხელნაწერთა აღწერილობა (H), I, გვ. 190-191.

„გებრალეზობდეთ, აღმომკითხველნო, აღწერისა ამისათვის, რომელ დედანი მაქუნდა ასეთი განწყუნილი და ავჯელი, რომ აღმოკითხვა ძლივლა ეგებოდა. და რადგან მიბრძანა მათგან უგანათლებულესობამ დედოფალთ-დედოფალმან დადიანის ასულმან მარიამ, სრულიად იმერთა მებრწყინ-მაკეთმან, ვერლარა ურჯ ექემენ ბრძანებასა უმაღლესობისა მაისასა და აწ აღმიწერია თვესა თებერვალსა ივ, ქრისტეს აქათ ჩყდ (= 1804)“⁴¹⁷.

მარიამის კარზე მოღვაწეობდა ცნობილი მწერალი იონა ხელაშვილი. მარიამმა წიგნებიც კი უბოძა იონას, მოღწეულია მათი მიმოწერაც.

ქეთევან წერეთელი-ბაგრატიონი

ზურაბ წერეთლის ასული ქეთევანი მეუღლე იყო ცნობილი ქართველი მწერლის იოანე ბაგრატიონისა (1768—1830). მსგავსად თავისი სახელოვანი მეუღლისა ქეთევანი მწიგნობრობის მოყვარული ყოფილა, მას არაერთი ხელნაწერი ჰქონია. ცნობილია მისი მრავალი წიგნი, რომელსაც შემოუნახავს მფლობელის სახელი⁴¹⁸.

ქეთევანი სხვებსაც აბამდა საგანმანათლებლო საქმიანობაში და მოუწოდებდა ხელნაწერთა გამრავლებისაკენ. მაგა-

⁴¹⁷ S № 3615. 97v; ხელნაწერთა აღწერილობა (S), V, გვ. 73.

⁴¹⁸ მაგალითად, „ქილილა და დამანა“ (K № 197), „სიბრძნე სიცრუისა“ (H № 2147, 107v), „გვირგვინი“ (H № 2275, 1r), სასულიერო-საეკლესიო შინაარსის კრებული (H № 2166, 1r), „საკითხავნი და სწავლანი“ (H № 2176), ეზოპეს ცხოვრება (H № 1385), საბას ლექსიკონი (K № 72; S № 3673; A № 1787), „რუსუდანიანი“ (არქივის ხელნ. № 102, არქ. ხელნაწ. № 404) და ა. შ. ქეთევან წერეთლის ბიბლიოფილობას საგანგებოდ აღნიშნადა ა. ცაგარელი ჭერ კიდეც 1886 წელს. იხ. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, ტ. I, ნაკვ. I, СПб, 1886, გვ. X.

ლითად, 1808 წელს იოანე იაღლუზის ძემ ქეთევანის დავა-
ლებით გადაწერა სულბან-საბა ორბელიანის ლექსიკონი
(K № 72), 1810 წელს ანდრია შიხინოვმა — სამღვდლო ის-
ტორია (Q № 259) და სხვ. მისი ინტერესები წიგნებისადმი
დაღასტურებულია აგრეთვე 1830 წ. დამზადებული კრებუ-
ლის მინაწერშიც: „უგანათლებულესო საქართუჭლოს მეფის
სძალო, იმერეთის სახლთუზუცის ზურაბ წერეთლის ასულო
ქეთევან, უუმოწყალესო ჳელმწიფა — მე, თქუენმან მონამან
იესე ზრძანებულსა ამას თქუენ მიერსა მივეც სისრულეა სა-
რიცხუელსთა იუნისისა ჴ, ხოლო ქრისტეს ვანხორციელე-
ბითვანსა ჩყლ (=1830) წელსა“⁴¹⁹.

ქეთევანის კუთვნილი „რუსუდანიაანის“ (არქივის ხელნა-
წერი № 102) ერთ-ერთი მინაწერი (181v) გვაფიქრებინებს,
რომ ქეთე.ნა უშუალო მონაწილეობას იღებდა ხელნაწერთა
გადაწერაში. „რუსუდასიანის“ გარკვეული ნაწილი ქეთევანის
გადაწერილი უნდა იყოს. საყურადღებოა ამ ნაწარმოების ბო-
ლოს დართული ლექსი, რომელიც შესრულებულია ამ მინა-
წერის ხელით:

წიგნი ვარ კარგი საკითხად ანბაჲად ტუბილგასაგონი,
მამაცებისა გამწვრთნელი, აბჯარ-ლახტის მოსაგონი,
ვინცა ისმენს ამა ომთა, მათ წაუვათ მისკენ გონი
და ჳაბანთ კაცათ გაგონება. ეფხრიწებათ თვისთვის ქონი.
(არქ. ხელნ. № 102, 432r)

საგმირო-საფალავნო ხასიათის ნაწარმოებები ჯერ კიდევ
უხსოვარი დროიდან აღაფრთოვანებდა ქართველ ხალხს. ეს
ინტერესი არც XVIII საუკუნეში დამცხრალა. გადამწერი ქა-
ლები, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ტექსტს ხშირად
ურთავდნენ ლექსად ჩამოყალიბებულ თავიანთ აზრს ნაწარ-
მოების შინაარსსა თუ მთავარ გმირებზე. ასეთია ეს მინაწე-
რიც. შეიძლება ეს ლექსიც ქეთევანს ეკუთვნოდეს.

⁴¹⁹ S № 2450, 28; ხელნაწერთა აღწერილობა (S), III, გვ. 267.

ქეთევან ბაბრატაიანი

ბაბრატაიანი ერისთავისა და კონსტანტინე მუსხრანბატონის ასული ქეთევანი „საქართველოს მეფის სძალი“ — მეუღლე ვახტანგ ბატონიშვილისა (ერეკლე მეორის ძისა), შეძლების-დაგვარად მონაწილეობდა ხელნაწერების გამრავლებაში. ცნობილია აპოთეგმების კრებული (Q № 821), რომელიც მან გადაწერა 1783 წელს. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის თვით ხელნაწერი: „აღწერილი... საქართველოს... მეფის სძლის მუსხრანბატონის ასულის ქეთევანის მიერ“⁴²⁰.

მართა წერეთელი-დადიანი

ზურაბ წერეთლის მეორე ასული ცოლად ჰყავდა ლეკან დადიანს (1804—1846). იგი წყაროებში ჩვეულებრივ ასე იხსენიება: „სრულიად ოდიშისა და ლეჩხუმის დედოფალი მართა“. ცნობილია მისი ინიციატივით დამზადებული ხელნაწერები. ერთ-ერთია იოანე სინელის კლემაქსი, რომელიც 1822 წელს გადაუწერია გრიგოლ ბერს. ხელნაწერს ახლავს ანდერძი დამკვეთისა: „მე, მთავრის დადიანის ლეონის მეუღლემან, სრულიად ოდიშ-ლეჩხუმთა-სვანთა-აფხაზთა დედოფალმან მართამ, დავაწერინე კლემაქსი და შევსწირე ნამარნევს ნათლის-მცემლის უდაბნოს, განსაძლიერებლად მეუღლისა ჩემისა და აღსაზრდელად ძეთა და ასულთა ჩემთათჳს, და საოხად სულისა ჩემისა. და გამომწირველი ამისი და წამრთმევი ამისი შეჩუჭნებული იყოს წმიდის ნათლისმცემლისაგან, ამინ, ამინ“⁴²¹. დედოფალ მართას ბრძანებით გადაუწერიათ მეტაფრასი (A № 1485, 221v)⁴²² და ბასილი დიდის „მიცვალება ღმრთისმშობლისა“ (A № 1556, 65v)⁴²³.

⁴²⁰ Q № 821, 46r: ხელნაწერთა აღწერილობა (Q). I, გვ. 238.

⁴²¹ A № 1485, 204v: ხელნაწერთა აღწერილობა (A), V, გვ. 31-32.

⁴²² ხელნაწერთა აღწერილობა (A), V, გვ. 28.

⁴²³ იქვე, გვ. 75.

ცნობილია, აგრეთვე მართა დედოფლის კუთვნილი ხელნაწერები: თენი (A № 1488, 623r)⁴²⁴, ფსალმუნთა თარგმანება⁴²⁵, „ქილილა და დამანა“ (S № 31, 188v)⁴²⁶ და ა. შ. მოღწეულია მისი ნამზითვი ნაბეჭდი სახარებაც (Q № 912).

ს ო ფ ი ო

სოფიო ქართველ მწიგნობარ ქალთა ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია. მის შესახებ პირველად 1941 წელს დაიბეჭდა⁴²⁷.

პოეტის ვინაობაზე ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება.

სამეცნიერო ლიტერატურაში დასმულია კითხვა: „სომ არის ეს ქალი სოლომონ ლიონიძის მეუღლე — სოფიო, ნიკო ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ გმირი ქალი?“⁴²⁸.

სოფიოს ლექსებიდან ჩანს, რომ იგი იყო თანამედროვე ითანე ბატონიშვილის მეუღლის ქეთევან წერეთლისა. მან კარგად იცის, რომ ერთადერთი ვაჟი ქეთევანისა, 1812 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო რუსეთში გაიწვიეს. სოფიოს ქეთევანის დავალებით გადაუწერია: მეტაფრასი ღვთისმშობლის მიცვალებისა, რომლისთვის დაურთავს ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი, ნინოს ცხოვრება — XVIII—XIX საუკუნეების ქართული აგიოგრაფიული კრებულების ნინოს ცხოვრების ტექსტი, რომლისთვის დაურთავს „ნინოსადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი სოფიოსა-

424 ი ქ ვ ე. გვ. 31.

425 კ. მარქსის სახელობის სსსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერებისა და საარქივო მასალების კატალოგი, შეადგინა ჯა დასაბეჭდად მოამზადა ც. ჩიკაშვილმა. თბ., 1964. გვ. 36.

425 ხელნაწერთა აღწერილობა (S). I. გვ. 45.

427 ტ. რ უ ხ ა ძ ე. უცნობი პოეტი ქალები, „ლიტერატურული საქართველო“, 24. I. 1941, № 4 (136).

428 ტ. რ უ ხ ა ძ ე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 155.

ვან“⁴²⁹. სოფიოსვე გადაუწერია „წამება ქეთევან დედოფლისა“ (გრ. დოდორქელ-ვახვანისვილისა) და ბოლოს დაურთა აგრეთვე საკუთარი ლექსი მიძღვნილი ქეთევან დედოფლისადმი⁴³⁰.

ქართველთა განმანათლებლის ნინოსადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი ქალი ყურადღებას ამახვილებს ნინოს ლეგენდარულ ძალაზე და შარავანდედით მოსავს მას; იგრძნობა პოეტის დიდი მოკრძალება და თავმდაბლობა ხოტბის ობიექტისადმი:

გელს მოდგინებთ მიბრძანებს შენის ცხოვრების წერასა,
უმეცარი და უცნობი შემძლებელი ვარ მე რასა,
მე ვითარ წელს ვყოფ აღწერად ქებასა შენ საუფრასა,
მაგრამ სძალს ზელმწიფისასა უარს ვკადრებდი ვერასა...

ან კიდევ:

ქალწულთა თვალთ, მზედ მისათვალთ. ქართველთა მნათობო, ღიბსო დედაო,
მოციქულთ სწორო, ბრალთ განმაშორო, მწუხრის შემცვლელთ ნათელზედაო,
შენსა ცხოვრებას შორეთ მარებას წერად სოფიო კრძალეთ ებედაო...

⁴²⁹ პროფ. ტ. რუხაძე პოეტ ქალს სოფიოს მიაწერს ნინოს ცხოვრების ლექსად შეთხზვას (იხ. ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 155).

⁴³⁰ ცნობა სოფიოს ორიგინალური შემოქმედების შესახებ მოგვაწოდა თსუ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა ქალბატონმა ქ. ცხადაძემ, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებთ. იგი ეყრდნობა ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციის 131-ე ხელნაწერს. რომელიც უნაბაკს 1953 წელს ლენინგრადში მივიღეთ ყოფნისას. რადგანაც ამ სამი ლექსიდან ერთი (ნინოსადმი მიძღვნილი) ნაწილობრივად არის გამოქვეყნებული (იხ. ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 152-154), ხოლო ორი დღემდე უცნობი იყო, ამიტომ ჩვენ სამივე ლექსი სრული სახით შეგვაქვს დამატებაში.

ლექსში შეინიშნება ერთგვარი მისტიკური განწყობილება:

დეკანოზის დას სოჯიოს მომხედე მოწყალებითა
და ღამისენ ჭოჭოხეთისგან სამოთხე ეპოვო შვებითა.

პოეტს არც თავისი პატრონი ქეთევანი ავიწყდება. იგი ავედრებს წმინდა ნინოს ქეთევანს და მის ვაჟს:

წმინჯაო ნინა, მოხედე ასულსა წერეთლისასა,
ფერცხელსა იოანესსა გიორგი მეფის ძისასა,
ვისთვის არს მარად მწუხარე სიმორეთ. სიგრძეს გზისასა
და შენითა შუა მღვდმლობით ითხოვეს ნახვასა მისასა.⁴³¹

სოფიო ევამცნობს თარიღს ამ ლექსის დაწერისას:

ვინცა ინებოთ ამ წიგნის აწერა რაზომ ხანია,
თუესა იელისსა სრულ იქმნა იყო დღე იგი ცხრანია,
ქორნიონი ჯდებოდა ამ წელს ფარი და ბანია...

როგორც ჩანს, ლექსი დაწერილია 1814 წელს.

ასეთია საერთო ხასიათი ამ ლექსისა.

საყურადღებოა მიძღვნა ქეთევან დედოფლისადმი:

მუხრანით მზეობ დაეთის ტომთაგან აღმორჩებული,
აშოთან პანკრატონის ასული ყოვლად ქებული,
კახთ მეფის ალექსანდრესგან სძლად პალატს მოწოდებული,
და ფერცხელი დავით მეფისა ქეთევან სახელდებული.

პოეტი ახასიათებს რა სოცტბის თბიექტს, ზაზს უსვამს მის თავდადებას, — იგი არ შეუშინდა აუტანელ ტანჯვა-წამებას და არ უღალატა სამშობლოს, ქრისტიანულ სარწმუნოებას.

⁴³¹ სოფიოს პოეტური მემკვიდრეობის მიმოხილვისას ევერდნობით ღენინგრაღის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციის 131-ე ხელნაწერს.

მტერს არ მისცა უფლება, შეეღაზა მისი ქალერი ღირსება და მოწამებრივი სიკვდილით უკვდავყო თავისი სახელი:

თავს ისხენ ყოვლი ტანჯვანი: მარწუნი, შამფურ-ბარები,
გაზილ დაგლეჯა ძეძუთა და ნაკუმრცხალი მწარები,
ძარღუთა ნადენი სისხლითა მორწყე შირაზის არები,
და ჯორცნი მოიწუშნ, სული ჰქმენ ანგელოზთ მინაბარები.

სისხლი ღალადებს ღვთის წინა მოღვაწებათა შენთანი,
გვირგვინად თვისად გზადიან მით ძენი შენთა ძეთანი,
ტომობით პანკრატოვანნი და რტონი კახთ მეფეთანი,
და შენ მოეც ძლევა სიმტკიცე და განგროძნობანი ღლეთანი.

სოფიოს ლექსები არ არის მაღალი ოსტატობით შესრულებული. შეინიშნება ხალხური პოეზიის გავლენა, მაგრამ მის პოეტურ შემკვიდრებას ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის გარკვეული მნიშვნელობა მაინც ენიჭება.

ანა დედოფალი

ანა დედოფალი (1765—1832) იყო ასული მათე ორბელიანისა, მკულლე იმერთა მეფის დავით მეორისა (1784—1795). მას შემდეგ, რაც მისი მეუღლე ტახტიდან ჩამოაგდეს და განდევნეს, ანას სამშობლოში დარჩენა აღარ შეეძლო. XIX საუკუნის დამდეგს ის პეტერბურგს გადასახლდა, სადაც ნაყოფიერ ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა. ანა დიდ ინტერესს იჩენდა ძველი ქართული მწერლობისადმი, გატაცებული იყო ბესარიონ გაბაშვილის პოეზიით⁴³², ხელნაწერების გამრავლებით.

ანა ყურადღებას არ აკლებდა თანმხლებ ქართველებს:

⁴³² ა. ბარამიძე, ბესიკი, წიგნში: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1940, გვ. 381-404.

„უცხოდ გეზრდიდა უცხოთა უცხოებასა შინა“, იგონებს ოსე ვაბონი⁴³³. ტახტმიხდილ დედოფალს კარგად ესმოდა, რომ უცხოეთში მყოფი ქართველებისათვის საჭირო იყო სულიერი საზრდო. ამიტომაც ანა არჩევდა და ათარგმნინებდა „სულისა და ვონებისათვის სარგო წიგნებს“. ასეთად მიუნწევია „კიტაიის სიბრძნე“, რომელიც ქადაგებს: „უნდა ეცადო აღჭურვად ვონებისა შენისა სიმჴნითა და მოთმინებითა, რომელთაცა შემპლებელ იქმნა ტჴრთად შესაფერიოთა მდგომარეობითა ხუჴედრსა უბედურსა ცხოვრებისა შენისასა. ვითარცა აქლემი იტჴრთავს სასჯელსა სიცხესა შიმშილსა და წყურვილსა და განვლის სილიანსა უდაბურსა დაუსუსტებლად, ევრთვე მამაკაცებრი სიმტკიცე განამავრებს კაცსა ყოველსა შინა განსაცდელსა“⁴³⁴.

დასახელებული წიგნი დედოფლის ბრძანებით გადაუწერია გიორგი ჯათიშვილს 1816 წელს (A № 328). მასვე გადაუწერია არისტოტელის კატილორია (II № 2365) 1814 წელს — „აღიწერა წიგნი ესე კატილორია და სრულ იქმნა ბრძანებითა მათის უმაღლესობის იმერეთის დედოფლის ანსასითა, სამეუფოსა ქალაქსა სკტპზურღს (1) ჴელითა... გიორგი ჯათიშვილისათა“, — ვკითხულობთ ხელნაწერზე დარბოულ ანდერძში⁴³⁵.

ანა დედოფლის ბრძანებით იოანე მუსხელიშვილმა (1815 წ.) გადაწერა ანტონის გრამატიკა (H № 1071), ვითარცა ტერტერაშვილმა (1822 წ.) — იერონიმე ალათანგელაზის წინასწართქმული (S № 4011), ევსტათი აბაშიძემ (1816 წ.) — ღვთისმშობლის მიძინება (S № 2499, 1r) და სხვ.⁴³⁶ განსაკუთრებით ბევრი ხელნაწერი დაუმზადა ანას (ბელგოროდში) ბესიკის ძმამ ოსე გაბაშვილმა. შეგვიძლია დავასახელოთ „მაგალითნი კეთილმსახურებისანი“ (A № 301); ამ ხელნაწე-

⁴³³ ე. შილდელი, ქ. ახალციხე და საფარის მონასტერი, „ივერია“, 4. VI. 1894, № 117.

⁴³⁴ A № 328, გვ. 15-16; Описание рукописей (A), I, გვ. 321.

⁴³⁵ H № 2365. 142v, ხელნაწერთა აღწერილობა (II), V, გვ. 256.

⁴³⁶ მისივე დავალებით 1810 წელს გადაუწერიათ იოანე ბაზლიძის თარგმანების კრებული (A № 331).

წის ერთ-ერთი ნაწილის გადაწერი „ოსე გაბონია“⁴³⁷. აგრეთვე ჟამნი (Q № 328), ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიკოგეოგრაფია⁴³⁸, სახარება, სამოციქულო⁴³⁹ და სხვა. ანას დავალებით ასლან ათაბეგოვმა შეადგინა კომპილაციური შრომა: „ისტორია ორბელიანთა შთამოსირებისა“⁴⁴⁰, ხოლო მია ჩიქოვანმა დაამზადა ვახუშტის რუკების პირები (იხ. მომდევნო თავი).

საყურადღებოა, რომ იმ დროის განათლებულ პირთ ანას საქმიანობა მიაჩნდათ არა უბრალო სურვილად დედოფლისა, არამედ შედეგად მისი „სიბრძნის მოყვარებისა“⁴⁴¹.

მწიგნობრობისაგან შორს არ ყოფილა მისი ვაჟიშვილის კონსტანტინეს მეუღლე ანასტასია აბაშიძეც. ცნობილია როგორც მისი დაკვეთით დამზადებული ხელნაწერი (S № 3727), ესე მისი კუთვნილი ნუსხებიც (H № 744, S № 3640 და სხვ.).

მარიამ (მაია) ჩიქოვანი

მარიამ (მაია) პეტრეს ასული ჩიქოვანი წარმომადგენელია პეტერბურგის ქართული კოლონიისა. როგორც ჩანს, ის XIX საუკუნის დამდეგს გაემგზავრა რუსეთის სატახტო ქალაქისაკენ და იქ გაშალა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. სახელდობრ, 1817 წელს გადაწერა ანსილიონის „ესტეტიკებრი განსჯანი“ (H № 333). ანდერძი გადაწერისა შემდეგს გვაუწყებს: „ეს ესტეტიკებრნი განსჯანი სთარგმნა

⁴³⁷ A № 301, 104v; Описание рукописей (A), I, გვ. 301-303.

⁴³⁸ P. Орбели, Грузинские рукописи ИВ АН СССР. М.-Л, 1956, გვ. 28-29.

⁴³⁹ ე. შილდელი, ქ. ახალციხე და საფარის მონასტერი, „ივერია“, 4. VI. 1894, № 117.

⁴⁴⁰ P. Орбели, Грузинские рукописи ИВ АН СССР, I, გვ. 67-68.

⁴⁴¹ A № 328, წინასიტყვაობა, 1 გვერდი.

ანა დედოფლის დაკვეთით გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ (1823 წ.) ფოტოპირს გავეცანით რუსთველის კაბინეტში.

რუსულით ქართულად საქართველოს მიწის ვიორგი მეცანიცის პირმშობან ძემან ლენერალ ლეიტენანტმან სენატისამან წმინდის ალექსანდრე ნევესკისა და წმინდის ანნასი პირველისა ხარისხისა კავალერმან დავით. ხოლო მე ვარდავნუსზე თავადის ჩიქოვანის პეტრეს ასულმან მარიამ სანკტ-პეტერბურღს, წელსა 1817-სა, ოგუსტოს 4-სა“ (H № 333, 169r).

მაია ჩიქოვანი პირველი ქართველი კარტოგრაფი ქალია. მისი ბიოგრაფია ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ქართველი ქალები დაინტერესებულნი იყვნენ არა მარტო ლიტერატურით, მათ ზუსტ მეცნიერებებზედაც მიუწვდებოდათ ხელი.

მაიას ანა დედოფლის დავალებით დაუმზადებია დიდი ქართველი გეოგრაფის ვახუშტის რუკების პირები⁴⁴². მას გაუწევია დიდი შრომა, რის შედეგადაც ასლი დედანს ბევრით არ ჩამორჩება. ამიტომაცაა, რომ მაიას ნაშრომი სპეციალისტთა მაღალ შეფასებას იმსახურებს. სად მიიღო მაიამ შესაძამისი განათლება, ამის ცნობები არ მოგვეპოვება.

პირველი ქართველი კარტოგრაფი ქალის — მარიამ (მაია) ჩიქოვანის ნამუშევარი წარმოაჩენს ქართული კარტოგრაფიის მაღალ დონეს⁴⁴³. შემორჩენილია ამ ღვაწლმოსილი მანდილოსნის სურათი⁴⁴⁴.

442 Р. О р б е л и, Грузинские рукописи ИВ АН СССР, I, გვ. 77-78.

443 ი. მათურელი, პირველი ქართველი კარტოგრაფი ქალი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 9. IV. 1950, № 15 (312); მისივე, Материалы по грузинской картографии первой половины XVIII века, т., 1961, გვ. 73-77; გ. ზარდალიშვილი, გამოჩენილი ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები, თბ., 1966, გვ. 87-93; მისივე, პირველი ქართველი კარტოგრაფი ქალი, „დროშა“, 1963, № 3, გვ. 18.

444 გ. ზარდალიშვილი, გამოჩენილი ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები, გვ. 88.

ანა თუმანიშვილი-ამილასორი

ანა იყო ასული ევნატი ბაინდურის ძე თუმანიშვილისა, რომელიც ჯერ ერეკლე მეორის, ხოლო შემდეგ გიორგი მეცამეტის მდივანი ყოფილა⁴⁴⁵. დაბადებულია 1788 წელს, ცოლად გაჰყოლია ავთანდილ ამილასვარს, რომელითაც ორი შვილი შესძენია⁴⁴⁶.

მსგავსად თავისი ძმის, გიორგი ევნატეს ძე თუმანიშვილისა (1774—1837) ანაც გატაცებული ყოფილა ხელნაწერების გამრავლებით. ანას გადაუწერია „ვისრამიანი“⁴⁴⁷ და შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ 1825 წელს. „აღვსწერე მე თავადის ავთანდილ ამილასოროვის კნეინა ანნამ ეს „ვეფხისტყაოსანი“ — გვამცნობს გადამწერი“⁴⁴⁸. ანას გადაუწერია „ბარამგულანდამიანი“ (S № 1746)⁴⁴⁹ და სხვ.

ანა წერდა ლექსებსაც, რომელთაც უნდაავდა გადაწერილ ძეგლებს. მაგალითად, ანამ მის მიერ 1811 წელს გადაწერილ „ყარამიანის“ დაურთო კრიპტოგრაფიული მინაწერი, რომელიც გ. მიქაძემ ასე გაშიფრა:

თუმცა არა ვარ საფერი შენისა ტრფიალებისა,
მონად მიყოლე, ნაფრდილად მდიდრობაზედა კლებისა,
მომიტყო რაც რამ გაწყინე, შემწე რაც მომეკლებისა,
ნუ მიმცემ მტერთა საყვედრად, მყავ ღირსი ახლოს ხლებისა.⁴⁴⁹

⁴⁴⁵ გ. მიქაძე. „ბარამიანის“ გადამწერის ვინაობისათვის, „ლიტერატურული გაზეთი“, 22. VI. 1956, № 25 (987).

⁴⁴⁶ გ. მიქაძე, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, IV, გვ. 43.

⁴⁴⁷ S № 1728, 223r; ხელნაწერთა აღწერილობა (S), III, გვ. 155.

⁴⁴⁸ S № 1727, 133v; ხელნაწერთა აღწერილობა (S), III, გვ. 154.

⁴⁴⁹ გ. მიქაძე, „ბარამიანის“ გადამწერის ვინაობისათვის, „ლიტერატურული გაზეთი“, 22. VI. 1956, № 25 (987).

სოლო „მირიანის“ ტექსტისათვის ანას ასეთი ლექს-ანდერძი დაურთავს:

ვითავე და აღვსწერე ესე წიგნი მირისა.
წასაკითხად საამო ყოვლის კაცის პირისა,
ამბავი განმარტებით ლხინისა და კირისა.

ყოვლნი წამკითხველნი შეგაქციოთ ამანა,
ღლეგრძელობა მიბრძანეთ, მოგახსენებთ ანანა,
თქვენცა მოგეთ სიციცხლე მაცხოვარმა მამამა;
თუ რამ შეცდომა ნახოთ ამ წიგნისა თავზედა,
მოხუცობაში გახლდით, სათვალე მქონდა თვალზედა.⁴⁵⁰

როგორც ანდერძიდან ჩანს, ანა (ანანა) ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა მოხუცებულობის ფამსაც.

ანას მიაკუთვნებენ აგრეთვე მის მიერ გადაწერილი „ვის-წამიანის“ ტექსტში ჩართულ ორ ლექსს⁴⁵¹:

ალი ცად აღვალს, სახმელი რომე მუნ დაეგზნებოდა,
მიკვირს, მთიები უზაღო მისგან ვით იგზაუბოდა,
ვით დასთმო შარომ ვისი და გული ვისითა კვდებოდა,
მას არა ევნო და თვითვე გლახ კაცად გაიძებოდა.

მე ვარ უმოყვრო მოყვარე, კირთაგან მოყვარიანად,
ვერ დამეთვალნეს სევდანი. ვერ ამილია სიღნად.
მოკრბით ყოველნ/ო/ ტრფილნ/ო/, ბაგე ლალ-მინა-სათისა,
კაეშანთ რახში იტვირთეთ თქვენ, მზისა მოკამათისად,
სული შესწირეთ, ვინადგან დაგამხობთ შორ-ქმნა მათისად,
და გული უძღვენით, გასკერიტეთ, რა გეგზნათ ცეცხლთა მათისად.⁴⁵²

⁴⁵⁰ იქვე.

⁴⁵¹ გ. მიქაძე, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, IV, გვ. 47.

⁴⁵² S № 172მ, 223რ; ხელნაწერთა აღწერილობა (S), III, გვ. 155; გ. მიქაძე, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, IV, გვ. 47.

თუმცა ანას ლექსებს აკლია მხატვრულობა და სისადაე, მათ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმეში. ანას ლექსებს ატყვია სალხური პოეზიის გავლენა.

როგორც ჩანს, ანას ღვაწლს სათანადოდ აფასებდნენ ჯერ კიდევ მისი თანამედროვენი. ამ მხრივ საყურადღებოა მის მიერ გადაწერილ „ვეფხისტყაოსანზე“ დართული მინაწერი დავით თუმანიშვილისა:

დაწერილ ესე შენ მიერ აღმიჩნდა ამო კმნილებად,
ამად, რომელ მდედრმან ესე ნაღაწ შენნი შენდა ხსენებად,
ვითარ წარწერე და დაშვერ, ნათქვამი მზეთა მათ საქებად,
ითქვასცა ქება სხვათაგან ავად არსადა ხსენებად.⁴⁵³

Varia

§ 1. ძველ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ბევრი სხვა ქალის სახელი შეგვხვდა, მაგრამ მასალის სიმცირის გამო ამ ქალებზე საგანგებო საუბარი შეუძლებელი აღმოჩნდა. ასეთია, მაგალითად, თამარ ბატონიშვილი, ვისთვისაც გადაიწერა (XVI ს.) ლოცვანი (A № 632), „პატრონი მზექალი“, ვისთვისაც გადაიწერა (XVI ს.) სამოციქულო (A № 4), თეოდოსია, რომელმაც შეკრა და დაკაზმა ცნობილი ჭელიშური ხელნაწერი (H № 600), ხანუმზე ჯაიანი, რომელმაც აღადგინა „დაძველებული და დაშლილი“ მეტაფრასი XVI საუკუნისა (Q № 39), ანა და ანასტასია მკაზმელები⁴⁵⁴ და მრავალი სხვა.

⁴⁵³ S № 1727, 133v; ხელნაწერთა აღწერილობა (S), III, გვ. 153; გ. მიქაძე, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, IV, გვ. 43.

⁴⁵⁴ ნ. მარი, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცაეის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, გვ. 52, 83.

§ 2. ძველ საქართველოში მდივნები და მდივან-მწიგნობრები, ძირითადად, მამაკაცები იყვნენ, მაგრამ სიგელ-გუჯრებს ზოგჯერ ქალებიც წერდნენ. მაგალითად, სითარხნის წიგნი დაუწერია ციციშვილის ქალს⁴⁵⁵, ფიცის წიგნი იაშვილის ქალს⁴⁵⁶ და ა. შ. მარიამ-მაკრინე ბაგრატიონზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

§ 3. რუსეთში მცხოვრებ ქართველ ქალთაგან ზოგიერთი მოღვაწეობდა კულტურულ-საგანმანათლებლო სარბიელზე და შეძლებისდაგვარად წვლილი შეჰქონდა რუსული მწიგნობრობის განვითარებაში. აქ უნდა მოვიხსენიოთ თამარ ირაკლის ასული გრუზინსკაია და ეკატერინე გრუზინსკაია, რომლებიც თანამშრომლობდნენ რუსულ ჟურნალებში (XVIII ს.)⁴⁵⁷, აგრეთვე ილია ბატონიშვილის (1795—1855) ასული ოლღა (1846—1913), რომელიც გულბათის ფსევდონიმით აქვეყნებდა მასალებს⁴⁵⁸ და სხვ.

§ 4. ძველი ქართული წიგნების გადაწერა და ახალი ნუსხების დამზადება გრძელდებოდა XIX საუკუნეშიც. ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების შესწავლა ნათელყოფს, რომ ქართველი ქალები ამ პერიოდშიც ნაყოფიერად განაგრძობდნენ ძველი ქართული ტექსტების შემცველი ხელნაწერების გამ-

⁴⁵⁵ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონიშვილი ურთიერთობა (XV—XIX სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 34.

⁴⁵⁶ ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 141.

⁴⁵⁷ ტ. რ. ხ. ა. ძ. ე., ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 77, 100. ხომ შეიძლება ეს ქალი იყოს ალ. ჭავჭავაძის შვილიშვილი, დავით ჭავჭავაძის ასული თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონი (გრუზინსკაია), მეუღლე ალ. ბატონიშვილის შვილიშვილის ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკისა, ხოლო ეკატერინე — მისი ქალიშვილი (ამ მანდილოსნის შესახებ იხ. ნინო ჩიხლაძე, თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონი (გრუზინსკაია), „საქართველოს ქალი“, სექტემბერი, № 9, 1963, გვ. 19-20).

⁴⁵⁸ ს. ცაიშვილი, გულბათი, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 11. VIII. 1955, № 96 (6044).

რავლებას. ცნობილია რამდენიმე ათეული გადამწერი ქალი. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს. მაგალითად, სინო მაყა-შვილმა გადაწერა ბასილი კესარიელის „მიცვალება ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა“ (არქ. ხელნ. № 517), კონია ერისთავმა — სასულიერო-საეკლესიო შინაარსის კრებული (H № 208); ანალოგიური ხასიათის კრებულები გადაწერეს სინო ზედგენიძემ (H № 831), მანანა ჩოლოყაშვილმა (არქ. ხელნაწ. № 165), ეფემია ავალიშვილმა (S № 1498), სალომემ (H № 1434), მართა ეგნატაშვილმა (H № 896), ბარბარე მა-ჭავარიანმა (H № 500), ნინო კანდელაკმა H № 2886), ანას-ტასია ჩოლოყაშვილმა (S № 2452), ანა მაყაშვილმა⁴⁵⁹ (H №№ 168, 169) და სხვ. სასულიერო-საეკლესიო შინაარსის ცალკეული ძეგლები გადაწერეს აგრეთვე ეკატერინე ამილახვარმა (H № 1136 ა-ბ), უფემია ავალიშვილმა (S № 1501), სალომემ (არხ. ხელნ. № 356), გაიანე კარგარეთელმა (S № 1230), ელისაბედმა (S № 1229), მარინე კობიაშვილმა (H № 1077), ეკატერინე აბაშიძემ (H № 189), მინადორა მონა-ზონმა (H № 3015), ლისა თავდგირიძემ (S № 2309) და სხვ.

§ 5. ძველ საქართველოში ქალებს ჰქონდათ მდიდარი წიგნსაცავები, პირადი ბიბლიოთეკები. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა მზითვის წიგნებში შემონახული ცნობები. შეგვიძლია მოვიგონოთ მზითვის წიგნები ქსნის ერისთავის ასულის ანასი (რომელიც მიათხოვეს ლუარსაბ ორბელიანს), ანუკა ბატონიშვილისა (რომელიც მიათხოვეს ვასუშტი აბა-შიძეს), ელისაბედ ბატონიშვილისა (რომელიც მიათხოვეს კაცია დადიანს) და სხვ. ამ წიგნების შესწავლით ირკვევა, რომ ძველი ქართული განათლებული ოჯახი თავის ასულს მზითვში ატანდა როგორც სასულიერო-საეკლესიო შინაარ-სის ძეგლებს (დავითნი, სახარება, ჟამნი და სხვ.), ისე საერო-მხატვრულ თხზულებებს („ვეფხისტყაოსანი“, „ლეილმაჯნუ-ნიანი“, „ვარდბულბულიანი“, „სარკე თქმულთა“ და სხვ.),

⁴⁵⁹ ამ მანდილოსანთან დაკავშირებით იხ. ი. გაჩეჩილაძე. ქარ-თველ გადამწერთა ერთი ოჯახი და მათი საქმიანობა, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1973, № 1, გვ. 170-172.

აგრეთვე საისტორიო ნაწარმოებებს („ქართლის ცხოვრება“) და სამეცნიერო შრომებსაც (გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა და სხვ.)⁴⁶⁰. ყოველივე ეს ქმნიდა ქართველი მანდილოსნის პირადი ბიბლიოთეკის საფუძველს.

ქართველ ქალთა პირადი ბიბლიოთეკების არსებობას აღსტურებს აგრეთვე ხელნაწერთა ყდებზე, ფურცლების კედზე თუ ტექსტის ბოლოს შესრულებული მინაწერები, რომელთა ამოკითხვით ნათელი ხდება, თუ ვის საკუთრებას წარმოადგენდა ესა თუ ის წიგნი. მინაწერის მიხედვით შეიძლება დავსახელოთ მრავალი ქალი – მფლობელი ქართული ხელნაწერებისა. მაგალითად, წიგნსაცავებისა თუ ცალკეული წიგნების მფლობელები იყვნენ დარეჯან ციციშვილი (არქ. ხელნ. № 318), თინათინ ჩოლოყაშვილი (არქ. ხელნ. № 356), მკრინე მარაბელი (A № 1123), ქეთევან აბაშიძე (S №№ 406, 1211), ნინო ანდრონიკაშვილი (S № 1145), ელენე ორბელიანი (არქ. ხელნ. № 241), მარიამ ჯავახიშვილი (Q № 644), ნატალია აბაშიძე (Q № 622), ელენე ამირეჯიბი (S № 85), ქეთევან ქობულაშვილი (A № 517), ანა მყავიშვილი (A №№ 1042, 1043, 1046), მარიამ ბატონიშვილი (H № 267), ეფემია ჯორჯაძე (არქ. ხელნ. № 124), რიფსიმე ბატონიშვილი (S № 3640), მაკა ქობულაშვილი (H № 3083), თებრონია თარხან-მოურავი (H №№ 2900, 2987), მზესათუნ ბატონიშვილი (Q № 229) და სხვ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა (ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, კ. ლორთქიფანიძემ და სხვ.) პროფ. დ. ჩუბინაშვილისაგან მიიღეს სალომე ბატონიშვილის წიგნსაცავი, რომელშიც მრავალი ძვირფასი ძეგლი იყო („ვეფხისტყაოსანი“, „ქილილა და დამანა“, „სიბრძნე სიცრუისა“, „ღავითიანი“ და ა. შ.)⁴⁶¹.

⁴⁶⁰ ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კვრები, ტ. I, ნაკვ. I, გვ. 116-118.

⁴⁶¹ А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, ტ. I, ნაკვ. III. СПб., 1894. გვ. 185-187.

§ 6. ძველ ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში იხსენიება მრავალი ქალი, მაგრამ ყოველთვის ნათლად არ ჩანს, თუ რა წვლილი შეუტანია ამა თუ იმ ქალს ხელნაწერის დამზადებაში. კალიგრაფები ხშირად პატივისცემით იხსენებენ თავიანთ პატრონებს — მეფე-დიდებულებს და მათ მეუღლეებს, ზოგჯერ გვაწვდიან საინტერესო ცნობებს ქართველ ქალთა ბიოგრაფიიდან და ა. შ. მაგრამ ამჯერად ეს არ გვაინტერესებს. ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ზოგიერთ ხელნაწერს აქვს ქალის მინაწერი, რაც საფიქრებელს ხდის, რომ ამ მინაწერის ავტორი წიგნის მკითხველი უნდა იყოს. არაა გამორიცხული, რომ ზოგიერთი მინაწერის შესრულება რაიმე სხვა მიზეზით აიხსნებოდეს, მაგრამ ვფიქრობთ, ასეთი მინაწერი მეტწილად იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ აქ ჩვენ საკმე გვაქვს მკითხველ ქალებთან. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველ საჭარტველოში წიგნების კითხვით ბევრი ქალი იყო გატაცებული. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ის მინაწერები, რომლებშიც იხსენებიან მთვარისახარი (H № 1730), მანანა (H № 1667), სვარამზე (არქ. ხელნ. № 12), ნინო ბატონიშვილი (S № 353), თამარ ერისთავი (Q № 632), თეკლე მონაზონი (Q № 630), სამფერმ ბატონიშვილი (A № 71), თამარ ჩიქოვანი (Q № 68), ბარბარე ბატონიშვილი (S № 1103), ელენე ბარათაშვილი (Q № 269), მარინე (H № 882), სიღონია (H № 2061), ანა (Q № 641) და ა. შ.

მართალია, ყველა დასახელებული ქალის ავტოგრაფული მინაწერები არ მოგვეპოვება, ზოგიერთი ქალი სხვათა მინაწერებშიც იხსენიება, მაგრამ ეს ვითარებას მაინცდამაინც არ ცვლის; სხვათა მინაწერებიც საფიქრებელს ხდიან, რომ საკმე ეხება მკითხველ ქალებს.

1. ძველი ქართული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის შექმნაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქალები, რომლებიც ეწეოდნენ მრავალმხრივ მწიგნობრულ-შემოქმედებით მუშაობას — თხზავდნენ ორიგინალურ ნაწარმოებებს, ამრავლებდნენ ხელნაწერებს, თანამემამულეებს მოუწოდებდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისაკენ და ა. შ. ისინი ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდნენ როგორც საქართველოში არსებულ სამწერლო კერებში, ისე საზღვარგარეთის ქართულ საჯანებშიც.

2. ძველი საქართველოს კულტურულ-ლიტერატურულ სარბიელზე მოღვაწე ქალთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა 70 მწიგნობარი, მათგან XII საუკუნის მოღვაწეა სამი (თამარ ბაგრატიონი, მანა მანატილის ასული, თამარ მეფე), XIII—XIV საუკუნეებისა ორი (სევდაოზ ჭარმაულის ასული, ეკატერინე შტროის ასული), XV საუკუნისა — ორი (შვენიერი, ანა დედოფალი), XV—XVI საუკუნეებისა — 6 (გულქანი, ანა რჩეულაშვილი, თუმიან გოჯიშვილი, შაჰაბანი სულთანი, თამარ დედოფალი, ქეთევან ბაგრატიონი), XVI საუკუნისა — 8 (თამარ ამილახორი, თინათინ დედოფალი, გულდამ შალიკაშვილი-ფანასკერტელი, ქეთევან ბენაშვილი, რუთი კობაძე, ღანია ლიპარტიანი, დედისიმედი, ასთანდარი), XVI—XVII საუკუნეებისა — 4 (ქეთევან დედოფალი, ლელა ჯიბრიანიშვილი, რებეკა, თამარ დედოფალი), XVII საუკუნისა — 9 (მარიამ დედოფალი, ელენე ბაგრატიონი-დადიანი, ელენე დედოფალი, მარიამ ერისთავი-ბაგრატიონი, ზილიხან ბატონიშვილი, მარიამ დაყუდებული, დარეჯან მაჩაბელი, ანახანუმ ერისთავი, მარიამ ციციშვილი), XVII—XVIII საუკუნეებისა — 4 (ელენე ბატონიშვილი, როდამ ციციშვილი-ამილახორი, დარეჯან ბაგრატიონი, მარიამ-მაკრინე ბაგრატიონი), XVIII საუკუნისა — 16 (ხვარამზე ბაგრატიონი, ანუკა ბაგრატიონი, ანა ბაგრატიონი, გულქან ლორთქიფანიძე, მარია გაბაშვილი, მარიამ გაწერელია, მარიამი, ქეთევან დიასამიძე, თეკლე ბოლქვაძე, გულქან დედოფალი, თინათინი, სალო-

მე, მანანა, ანა აბაშიძე-ბაგრატიონი, ანასტასია ბარათაშვილი, ბარბარე ერისთავი-ბაგრატიონი), XVIII—XIX საუკუნეებისა — 14 (დარეჯან დედოფალი, მარიამ ბაგრატიონი-ციციშვილი, ქეთევან ბაგრატიონი, თეკლე ბაგრატიონი, ბარბარე ბარათაშვილი, მარიამ ბატონიშვილი, მარიამ დედოფალი, ქეთევან ბაგრატიონი, ქეთევან წერეთელი-ბაგრატიონი, მარცა წერეთელი-დადიანი, სოფიო, ანა დედოფალი, მაია ჩიქოვანი, ანა თუმანიშვილი-ამილახვარი).

3. ქართველი ქალები ნაყოფიერ მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ ქართლში (თამარ დედოფალი, თამარ ამილახორი, მარიამ დედოფალი, მარიამ ერისთავი-ბაგრატიონი, დარეჯან მანახელი, ანახანუმ ერისთავი, მარიამ ციციშვილი, როდამ ციციშვილი-ამილახორი, ანუკა ბაგრატიონი და სხვ.), კახეთში (ანა დედოფალი, თინათინ დედოფალი, ქეთევან დედოფალი, მარიამ-მაკრინე ბაგრატიონი და სხვ.), მესხეთში (ვანის ქვაბთა მონასტრის პოეტი ქალები, ქეთევან ბაგრატიონი, გულდამ შალიკაშვილი-ფანასკერტელი, ქეთევან ბენაშვილი, რუთი კობაძე, დედისიმედი და სხვ.), იმერეთში (გულქან ლორთქიფანიძე, მარიამ ბაგრატიონი და სხვ.), გურიაში (თამარ დედოფალი), ოდიშში (მანია ლიპარტიანი, ელენე დედოფალი, მარიამ გაწერელია, გულქან დედოფალი და სხვ.) და ა. შ. ასევე ნაყოფიერად ეწეოდნენ ისინი ლიტერატურულ საქმიანობას რუსეთშიც (დარეჯან ბაგრატიონი, ანა ბაგრატიონი, ანა დედოფალი, მაია ჩიქოვანი და სხვ.).

4. შემოდასახელებული 70 მწიგნობარი ქალისაგან რამდენიმე ცნობილია თავისი მეცენატობით (თამარ მეფე, მარიამ დედოფალი, ელენე დედოფალი, დარეჯან ბაგრატიონი და სხვ.), ბევრი კი თავისი ორიგინალური შემოქმედებით. პოეტურ ქმნილებებს თხზავდნენ ბორენა, თამარ ბაგრატიონი, გულქანი, ანა რჩეულაშვილი, თუმიან გოჯიშვილი, ქეთევან დედოფალი, მარიამ-მაკრინე ბაგრატიონი, ანუკა ბაგრატიონი, მაია გაბაშვილი, ქეთევან დიასამიძე, სალომე, მანანა, მარიამ ბაგრატიონი-ციციშვილი, ქეთევან ბაგრატიონი,

აქვე ბაგრატიონი, პარბარე ბარათაშვილი, ანასტასია ბარათაშვილი, მარიამ ბატონიშვილი, პარბარე ერისთავი-ბაგრატიონი, სოფიო, ანა თემანიშვილი-ამილახვარი და სხვ. მართალია, ძველი ქართველი პოეტი ქალები მეტწილად სასულიერო-საეკლესიო ხასიათის ლექსებისა თუ საგალობლებს წერდნენ, მაგრამ მათთვის არც საერო თემატიკა იყო უცხო (გულქანი, ანა რჩეულაშვილი, თუმიან გოჯიშვილი, მაია გაბაშვილი, სალომე, მანანა, მარიამ ბაგრატიონი-ციციშვილი და სხვ.). ჩვენთვის ცნობილმა ერთმა ქართველმა მანდილოსანმა (დედისიმედმა) საისტორიო ხასიათის ძეგლიც კი შექმნა.

5. ძველ საქართველოში ქალები ხშირად გამოდიოდნენ ხელნაწერთა გამრავლების ინიციატორების როლში, ცნობილია ქალთა დაკვეთით დამზადებული მრავალი ხელნაწერი. ხელნაწერთა მომგებლები იყვნენ მანა მახატლის ასული, ეკატერინე შტროის ასული, ანა დედოფალი, თამარ დედოფალი, თამარ ამილახორი, თინათინ დედოფალი, ქეთევან ბენაშვილი, ქეთევან დედოფალი, მარიამ დედოფალი, ელენე დედოფალი, მარიამ ერისთავი-ბაგრატიონი, ზილიხან ბატონიშვილი, ანასანუმ ერისთავი, როდამ ციციშვილი-ამილახორი, მარიამ-მაკრინე ბაგრატიონი, გულქან ლორთქიფანიძე, მარიამ დედოფალი, ქეთევან წერეთელი-ბაგრატიონი, ანა დედოფალი და სხვ. მათი ინიციატივით დამზადდა არა მხოლოდ სასულიერო-საეკლესიო ძეგლების შემცველი ხელნაწერები, არამედ „ქართლის ცხოვრების“ ძვირფასი ნუსხები (ანა დედოფალი, მარიამ დედოფალი), სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის პირები (გულქან დედოფალი, ქეთევან წერეთელი-ბაგრატიონი), საერო-მხატვრული თხზულებების შემცველი კრებული (მარიამ დედოფალი) და ა. შ.

6. ქართველ მწიგნობარ ქალთა შორის მრავლად იყვნენ კალიგრაფები (რუთი კობაძე, მარიამ-მაკრინე ბაგრატიონი, მარიამ გაწერელია, ქეთევან დიასამიძე, თეკლე ბოლქვაძე, მანანა, მაია ჩიქოვანი და სხვ.). ისინი ძირითადად ამრავლებდნენ სასულიერო-საეკლესიო შინაარსის ძეგლებს, ზოგ-

ჯერ — საეროსაც (მარიაში, მანანა, ანა თუმანიშვილი-ამილახვარი და სხვ.). ყურადღებას იმსახურებს მწიგნობარ ქალთა მიერ ხელნაწერთა ცალკეულ ფურცლებზე თუ ტაძრის კედელზე შესრულებული მისაწერებიც (შვენიერი, გულქანი, ანა რჩეულაშვილი, თემიან გოჯიშვილი და სხვ.). ცნობილი არიან აგრეთვე ხელნაწერთა შემამკობელი (გულდამ შალიკაშვილი-ფანასკერტელი), განმაახლებელი (რუთი კობაძე, მარიამ დედოფალი, დარეჯან მაჩაბელი და სხვ.), ტყვეობიდან დამხსნელი (ლელა ჯიბრიაშვილი, მარიამ დედოფალი) ქალები. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ქალთა მონაწილეობა საბუთების წერაში (მარიამ-მაკრინე ბაგრატიონი) და ეროვნული კარტოგრაფიის განვითარებაში (მაია ჩიჭოვანი).

7. XIX საუკუნეში ვადამწერ ქალთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. მათ მიერ დამზადებულ ხელნაწერებში საერო თემატიკას მეტი ადგილი დაეთმო.

8. ძველი მზითვის წიგნებითა და ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებით დასტურდება, რომ ქართველ ქალებს მდიდარი ბიბლიოთეკები ჰქონდათ. ეს კი მათი გონებრივი ჰორიზონტის სიფართოვესა და ლიტერატურულ ინტერესთა მრავალმხრივობას წარმოაჩენს.

ღ ა მ ა ტ მ ბ ა

მ ა ი ა გ ა ბ ა ზ ვ ი ლ ი

თ ე მ ე ლ ი ზ ა ზ ა გ ა ბ ა ო ვ ი ს ა ს უ ლ ი ს მ ა ი ა ს ი გ ა მ ო ც ა ნ ა ა ნ ბ ა ნ ზ ა

S 16 1592

აწ ასე მიწდა ანბანის გამოცანა ეთქვა ენითა:

1 v

ვის ემონებ. ანუ სით წავალთ, სახელად რა გვიხმენითა,
მშვილდი რისა გვაქეს, ისარი ან რისა იხმარენითა;
და ნადირს რას მოვკლავთ, რაში ვკრავთ, ქვეითად სდევთ თუ ცხენითა?

აღმასხანისა მოყმე ვარ, ანდრია მეწოდებისა.
ანდრით წამოსული ვარ, ამლევს მავალი ნებისა,
ალეჩის მშვილდი ხელთა მაქეს, ატმის ისარი ეწვისა,
და ალალს ვეარ, ასო მოვტებე, იგი უმალვე კედებისა.

ბაგრატიონთა ყმობითა, ბარამს თაჲი მაქეს ქებულად,
ბარალეთიდამ წამოველ, ბახტრიონს გზა მოვლებულად.
ბალამწარისა მშვილდი მაქეს, ბალის ისარზე წებულად,
და ბატსა ბარკალს ვეარ, მოვტებე, სისხლით შეიქნა ლებულად.

2 r

გარსევანისა მოყმე ვარ, გურგენ არს ჩემი სახელი.
განჯით წამოველ, ვიარე, განძლომით ვიქმენ მნახველი.
გუნდისა მშვილდი ხელთა მაქეს, გრაკლის ისარი მახული,
და გარიელს გვერდსა ვესროლე, ისარი იქმნა მარხული.

დავით სარდლისა ყმაჲ ვარ, დომენტი მქეიან სახელად,
დამშლუტით მგზაერი-მამურალი, მივალ დრესისა მნახველად.
დაფნისა მშვილდი ხელთა მაქეს და სნტაბოლისა ისარი...
და დათვისა ვეარ. დაყვი მოვტებე, მე /ე/ს მეყოფის სახელად.

ერეკლეს ყმა ვარ, ერასტი, ერთგულად ნამსახურები,
ერეენით მოვალ ერტისას, მრავლად მახლავან ყულები,
ეკალ-მეხისა მშვილდი მაქს, ეკლის ისარზე სხმულები.
და ერეკემალსა ვეარ ენასა, მტერთა მით ეწივე გულები...

ვახტანგის განაზარდი ვარ, ვახუშტი მეწოდებისა,
ვახანით ენათს მავალსა ბელადათ მახლავს გზებისა.
ვაშლისა მშვილდით ვარდისა ისარი მარჯვედ ხედებისა,
და ვეფხვსა ვეარ, /ბ/ეკი მოვტებე, უმალ შიგ გავარდებისა.

2 v

187

ზურაბის ყმა ვარ, სახელი ჩემი სახლი არისა,
'ხელისტანით წამოვალ, ზღუდრს ჩემი სახლი არისა,
ზეთისხილისა მშვილდი მაქვს, ზღმარტლის ისარი არისა,
და ზაქსა ზურგში ვარ, მოვტებე, მისთვის დღე მწარე არისა.

მენუქს ვემოხე, მელისა, დავჭერდი, შემწედ მეყოფა,
მალაბით მარშტახანს მიველ, მგზავრობა მუნაც მეყოფა,
მშვილდი ისრითურთ დავკარგე, საწუხრად ესეც მეყოფა,
და მეთიარალოდ ვინც ნადირს მოპყლავს, სახელად ეყოფა.

თამაზის მოყმეს სახელად თამაი მეწოდებისა,
თამარგვალით მივალ თავუთსა, მრავალი კაცი კედებისა,
ორიმლის ისარი ხელთა მაქვს. თბილისა მშვილდს ეგებვისა,
და თახსა ვარ, თავი გავუბე, ის ფეხზე ვეღარ დგებვისა.

ივლინისა მოყმე ვარ, იოანე მძის სახელი.
იმერეთს მივალ მამრალი. ისპანისა მნახველი,
იფნისა მშვილდი ხელთა მაქვს, ილისა ისრის მნახველი.
და იოემს იდაყვს ვარ, მოვტებე. მე შემრჩა მხარი და ხელი.

კვიციანს ვემოხე. სახელად კოწილიცე მეწოდების,
კონდოლით მოვალ კოდაზედ, ცოტა რამ საქმე მედების.
კაკლისა მშვილდი ხელთა მაქვს. კუნდის ისარზე ეწევის,
და კატის ვარ, კუდი მოვწყვიტე. ვგონებ ჭერისცა ეწევის.

3 r

ლუარსაბისა ვარ მოყმე, ლო/ი/ძე მეწოდებისა,
ლორიო წამოვალ ლუკუნში. სად ირმის ჯოგი დგებვისა,
ლიმანის ხელთ მაქვს ისარი, ლელვის მშვილდს დაეგებვისა,
და ლაკლავს ვარ. ლაში გავუბე, ერთს ალაგს გაშემდებვისა.

მიტკვირი მწყალობელი მყავს, მანუჩარს სახელოვანსა.
მარაბდით მოვალ მანგლისსა, ამბობენ დიდათ მთოვანსა,
მუხისა მშვილდი კუშოვი, მერყუნის ისარსა ფრთოვანსა.
და მიბმენსა ვარ მეტელსა, იგ შეიხვეწა კლდოვანსა.

ნარიმანმა ღვაწლი დამღვა, ნოდარსაცა მივებარე,
ნორიო-ნინოწმინდიდამ ცეცხლი დაეავსე მგზნებარე.
ნარინჯის მშვილდი ვიშოვე, ვარ ნაძვის ისრის მქებარე.
და ნარაქლემას ვარ ნაჩერსა, მუნ მკედარი იქნა მღებარე.

ოზანის ყმა ვარ, სახელად ოთარი მეწოდებისა,
ოსეთით მოვალ ოდიშსა, მათ არ იციან მცნებისა,

ოტურის მშვილდი ხელთა მკეცს, ოფის ისარი ხმებისა,
და ირბსა ვეარ, ორად გავაპე, ეს იქნა თქვენის ნებისა.

3 v

პეტრეს ვემონე. პავლესა არს დიახ დიდათ ქებელი,
პონტოთ შეეხვედი ვაქართა, პეტრებრუნს ვიქმენ რებელი,
პანტისა მშვილდი ვიქონე. პილპილის ისარს ხებელი,
და პილოს უმარჯვე პირშია ხორთუმში იქნა სეებელი.

ვამეტა მქვიან სახელად, ვერელსა ვეყმო მე ვითა,
ვანგისილამ მე მოვედი, ვინვარს კაისა ქევეთა,
ვოლოს შვილდის თლა მამწყინდა, ვოლოს ისრისა წეკითა,
და ვრუნს ვამად ისარს ვერ ესვრიოთ. მითა ხართ ცნობა რეკითა.

რომანოზს ვმონებ როსტომი, ერთგულად ნამახურია,
რეისით რესეთს წავედი, მეზაურობა მოსასურია,
რტოს მშვილდად ვპოე ისარი, შიგან მუტელში ვრია,
და როქო მან უნიშნოთ მოყლას. ვითა ირემი ფერია.

სოლომონ ბრძინისა ქებასა, სვიმონ ვერ ვიტყვი ვერთა,
სასირეთიდან სერამსა გზა შევიმოყლე ცხენითა,
საროსა მშვილდი ვიქონე. სხლისა ისარი ფრენითა
და სარსარაყსა ვეარ სასასა, უკან გაუღექ რბენითა.

ტარიელ ტეტიას ვმონებ. მისგან ვარ განაზარდია,
ტინისხილიდან ტბას მიველ. გზას ვერ ვიხილე ბარდია,
ტირიფის მშვილდი ტივისა ისარს არ აუჩქარდია,
და ტურას ტანში ვეარ, მოცავეალ, მით მომწონს თავი მარდია.

4 r

ურბნელს მივემხრე უთრუფი, მან უნდა მამიაროსა.
ულუნბით ვგვალე უსანგთს, ამათ რა შეეჯაროსა?
ურთხლისა მშვილდი ვიქონე. უნაბი მსგავსი საროსა.
და უზანბარს უკეს გაუპობ. ვგონებ. მასცა უმწაროსა.

ფირანს ვეახელ ფარსადან, მისგან წყალობას მოვედი,
ფხვენისით მივალ ფიტარეთს, მით გაეახარე ყოველი,
ფისტისა მშვილდსა ვიხელთებ, ფინიკის ისრის მთხოველი,
და ფოცხვერს ფაშეშიგან გაეავლე. დაუმწარე დღე ყოველი.

ქევეოზს ვფიცამ ქაქუცა, მიმოვრბი მისად მოვინელად,
ქარელით ქალაქს საეპროდ მივუღივარ დაუყოვნელად,
ქაცვისა მშვილდი ხელთა მკეცს. ისრად ქლიაფის მხოვინელად,
და ქურციკს ქეჩოსა ვაწვიე, დაეცა დაუყოვნელად.

139

ლონენას ვმონებ ჯარება, მორჩილობს სხვადა მრავალი.
ლოუნით ლომელამდისინ არის ერთი დღის სავალი,
ლოლნოში მშვილდათ შეემზადო, ისრაჟ ღვიოა მრავალი,
და ღორსა ვკარ ღაწვეში, გავარდა, ველარვინ ნახა მავალი.

ყაფლანიათა ყმობითა ყოინიძე ვარ ქებული,
ყუნჩო ქალაქად მოვედი, ყანდაარადამ რებული,
ყამბროლის მშვილდი ხელთა მაქვს, ყურძნის ისარსა წებული,
და ყარყუმს ყბაში ვკარ, მოვტებე. სისხლით შეიქმნა ღებული.

4 v

შანშეს დია ვყმობ, სახელ მძეს შაბური მოსასურეო,
შინდისსა ვაქებ. მაგრამე მას შირვანი სჯობს თურეო,
შინდ-ლარწის მშვილდი ვიქონე, შინდის ისარსა ვხურეო,
და შევლს შებღსა შიგან ვაწვიე, ყელსაც უმღერა თურეო.

ჩაჩიქას ვმონებ, სახელად ჩივაძე მეწოდებისა,
ჩაჩანით ჩილდირსა მივალ, კაცი მყოღნე ვარ გზებისა,
ჩათლყუჩისა მშვილდი მაქვს, ჩხონის ისარი ყვეებისა,
და ჩიტსა ჩინჩახესა უმარჯვე, მსწრაფლად შიგ გავარდებისა.

ციცის ვიაზელ ცხინვართ, ცოგოლა სახელდებული,
ციხედლიდამ ციბირსა წაველ დაკარწახებული,
ცაცხვისა მშვილდი ხელთა მაქვს, ცარცის ისარსა წებული,
და ციხესა ვესროლე, ცხვირსა ვკარ, სისხლითა იქნა ღებული.

ძალუყა, ძაბილას ყმა ვარ, ერთგული მოსამსახურე,
ძელქვეშით ძევერას მივალ, მგზავრს, ღმერთო, მადლი წამხურე,
ძერწისა მშვილდსა ძეძვისა ისარი უჩახმახურე,
და ძღარბი მოყვალ ძილად მწოლი, მისი ტყავი ცხენს წავხურე.

5 r

წულუკიძესა წაუველ, წერეთელს ვეახელია,
წრთაუთით წილკანს წავედი, მისგან წყალობას ველია,
წიფლისა მშვილდი ვიქონე, წაბლის ისარი გრძელია,
და წვაესა წელშიგან ვესროლე, სისხლით შევღებე ველია.

ქარუა გავიმეგობრე, კიკუა მეწოდებისა,
ქოტორით ქარში გავედი, სად ბევრი ღეკი დგებისა,
ქანდრისა მშვილდი ვიქონე, ისარი ვთალე ქერმისა,
და კიეკავს მოფრინვალს კიპსა ვკარ, უმაღვე გავარდებისა.

ხოსრო ხუნძახს ვყმობ, იმისი ოჯახი სრულად დიქცა,
ხიდისთავიდამ ხატავეთს მრავალი კაცი გაიქცა,

სართუთის მშვილდი მაგარი, ისრად ხეველა წაიქცა,
და ხარსა ხაჯასა უმარჯვე, მით მისი სისხლი დაიქცა.

წელმწიფეს ვახლდი წიშშია, სისხლი მასთანა ეღვარეო,
წვედურეთილამ წასულმან წვეიცა გავიარეო,
წიოფა მშვიდ წით შევემზადე. ისარი მასთან ეარეო,
და წიწობს წაწაში შევესტყორცნე, მსწრაფლად წერწემალს ევარეო.

5 v

ქანდიერს ემონებ ჯაჯანა, მიბრძანე რა ეყო აწა მე,
ქავახეთილამ ჯოჯოხეთს მივალ, მუნ თავი ეაწამე,
ქავზისა მშვილდი ვიქონე. ისრად ჯღარღლა წაეწამე.
და ჯიხლა ჯიგარსა ეაწვიე, სუქიცა მწვადათ შეეწვა მე.

ჰაბრაჰამისა ტომი ვარ, ჰარონ არს ჩემი სახელი,
ჰალჰაბით ჰაელაბარს შევალ, გავიმეგობრე კახელი,
ჰმშვილდმან ჰისრითურთ მიმუხთლა, შევიქენ მათი მძრახველი,
და ჰნადირი თუ ჰრამ ვიხელთე, ჰეკრენი თვალდაუფახველნი.

შნოფრემ დამხსნა შორესტი, დიადსა შეჭირვებასა,
ში, რომაშნისა მხილველი, შო, ვით შეევასხამ ქებასა,
ში, მშვილდი რვარის, საბელი ლომის კანისა ებასა,
და ში, მინდორსა მხეცნი მოეწყვიტენ, ხმლითა არ აელეებასა.

მელექსე ვინცა იკითხოს, ვინ არის, ვისი გვარისა,
გაბაოვისა ასული მისივე გვარი არისა.
სიყრმისა ეამსა წარმოვსთქვი, ოსტატს არ მიეფარისა,
და ნუვინ მიკიცხამთ ავათ თქმას, ვის შუქი გადგასთ მთვარისა.

(გასრულდა მაიას ნათქვამი, ღმერთო აცხოვნე)

პარი პირველი ამა მცირესა წიბნისა,
რომელსა უხმოზენ სალომიან,
ეწუხარებისასა ამბათ ქებასა.

აღვალე პირსა, დავიწუებ კირსა,
ლთის ქება მინდა, მაგრამ მიკირსა.
აღამ დაიხსნა, ცანი გაიხსნა,
თვით გარდმოვიდა ლთ/ე/ება ძირს/ა/.

წიგნი მი/ი/რთვით, მეთაუხველნო. მცირე რამ ამბათ ქებასა, (1 r)
შესაველია პირველი ნათქვამი ცეცხლთა გზებისა,
ჩემი დარღები ყოველი, ურცხუცხოდ გაცხადებისა,
და მოშორდა ტყბილი მოყვასი, სალომე ამაღ კედებისა.

აღვალე პირსა, უტყვი ვარ, ლთის მშობლის ქებას ებედაო, (IV)
აღამ დაიხსნა წყვეისგან, ჩვენ გამოგვიჩნდა მწუდლო,
აბრა/ა/მს მისცა წიალი, თვითაც და/ა/დგრა ზედლო,
და ამას მეც ვიღებ იმედსა, მეც წილი მიგდოს ზედლო.

ბნელი განათლდა ოდესა, ლთაება ძირს გარდმოვიდა,
ბრუნვა შექნეს ეშმაკებმა, ჰე აღსასრული მოვიდა,
ბქენი განგვიხენა საშოთხის ნათლისა წილი დაგვიღ/ე/ა,
და ბნელისგან მიხსენ ცოდვილი, სული ამ სოფლით გაივდა.

გარდმამხედე მეუფეო, მეც გეკედრები უღირსა,
განა არ ვიცი, არა ვარ მე საშოთხის ყოფას ღირსი,
გაბრიელ მცველად მოვიღეს, მაშოროს სატანა მქისი,
და გადიდო შეუძლებელმა, ღდღის ნახვა ოდეს მღირსი.

დაისაჯა პირველ აღამ. მე რაღათ მიკვირს ვაება,
დამაკლდა თვალსა სინათლე. ვაი გული ღაზიარს დაება,
დაეწერო წიგნი სევდისა, მივაპყრა ჩემი გონება,
და დამიგდო წ/ვ/რილი შეიღები ღდღელმა დამიყო გონება.

ერთო ღმერთო, გეკედრები, არვინ ვიცი შენგან კიდე, (2 r)
ერთმა არავინ შეგცოდა უაღრესად ჩემგან კიდე,
ეკლის გვირგვინი შეგებედეს, კვართზე იგდეს წილი კიდე,
და ეკლესიას შემოსილი ღდღელი მაჩვენე მე კიდე.

ვაქო ღმერთი. მე ვითხოვე შეცოდების მოტეება,
ვიცი გაწყალვის ცოდვილი შენგან ყველა. იპოება,
ვადიდებ შენსა მშობელსა, სული ოდეს გეამს ეყობა,
და ვფიცამ, სოფელი არ მინდა, მე სანუეგეშო მეყრება.

ზეცას მოვა ჩემი სული, რა მადლი მაქვს დამიფაროს,
ზრიალით მოვლენ ჩემზედა ოდეს სული ამაგეაროს,
ხარ ტეხილი შევიქნები, თუ ღმერთმან არ შემე ბრალოს,
და ზრდელსა სამბოთსა ცოდნითა მე პატრონის თაეს შემყაროს.

ყერიდების კაცი ცოდოს, მაგრამ ბოლოს ეშმაკი სძლევს,
ყე მე შეგცოდე მარტომან, ჩემებრ ცოდოს არცინ დასდევს,
ყე ცოდოს აო მოი.სეს/ე/ბს, ღთის მშობელი მადლათ დასდებს,
და ყე ამასაც მოისესნებს, ვიცი ოხრად არ დამაგვება.

თვინიერ, ღმერთო, შენ გესავ და მერმე ყველა წმინდაო,
თვალისა ჩემის ნათელსა ნუგეში მიეც წმინდაო,
თათართა ხელისგან იხსენ, ნახეას გეაჯი წმინდაო,
და თუ ცოცხალმა ველარ ვნახო, სულსა შემყარე წმინდაო.

2 v

იადვილე, ღმერთო, ჩემთვის ძნელის ცეცხლის განქარება,
იხაკლი მეფეს დამართე ბატონს ჩვენზე მოწყალება,
ისევე მიხდეს სამკვიდროსა, უადგილოს ნუ დაშთება,
და იყავ შემწვედ, ღთის მშობელო, მეც შემხდება ნეტარება.

კვალად ღმერთო შენ გადიდებ, შენ ხარ ჩემი მუდამ შემწე,
კვერთხი შენი მოაელინე, განაბნინე ეშმაკთ შემწე,
კარსა სამოთხისას დგას პეტრე, ბრძანე ჩემთვის შემწე,
და კმარა ჩემგან შენი ხმობა, ნუ შემრისხავ, იყავ შემწე.

ლამის ღონე მამიძავოს, მეორედ ცეცხლი მამიღვას,
ლახვრით გუნება დამიჭრას, იმელი არსით დამიღვას,
ლაყაფსაც მალე მოვიკვეთ, თუ ღმერთი წყალობას მიზამს,
და ლამის უფრო შორ/ს/ წახვიდე, ღღელო, იმელი ეს გიგავს.

მანამ მშვიდობით არ გნახამ, სიმწარეს ვეთესამ გულშია,
მატირე სამს წელიწადსა, სევლა გახშირდა გულშია,
მიძრახვენ ყოვლთვის მსმენელნი, მაგრამ არ შედის ყურშია,
და მე თუ შენთვის არ ვინაულვო. დარდი რისა მაქვს გულშია.

ნურცინ მიძრახამთ, ამაზე ვისაც ღმერთი მოგაგონდეთ,
ნაკლებობა აღასრულებთ, ვისაც კარგი მოგაგონდეთ.
ნაწერიც დიალ ცუდია, მაგრამ კარგათ მოგაგონდეთ.
და ნახად ზრდილნო, ღმერთს ახევეთ, ვისაც ღღელი მოგაგონდეთ.

ოხვრა გახშირდა გულშია, ღღელო, არ ვიცი, ვის უყვირს,
ოდესაც ნაწერს მიბოძებ. მოსვლას არა მწერ, ეს მიყვირს,

3 r

ორი ნარინჯი გებოდა, არ ვიცი, რის სული უდის,
და ორგულს არ გავხარ მეც ვიცი, ბატონი შენი გვერთ გიზის.

პატარა შევიყარენით მე და ღღელი. ყველამ იცით,
პირსა ყველა წმინდისასა გაფიცებთ, ვინცა იკითხით,
პირს ნუ დამიყობთ ძრახვითა, ვიცი. ყველამ უკეთ იცით,
ღა პატარას შვილებს ვეუბნი, მამის ანბავი იკითხით.

ვეშთა არსო გვეედრები, რას ვიტყვი, არ გამეგება,
ერილით სეედა წამოვა, გული ამით დამეყობა,
ეთინს შეიქს წ/ვ/რილი შვილი, თვალსა ცრემლი დამეტყობა,
ღა ჟამითგან აქამომდინა, გულსა ცეცხლი დამეტყობა.

რალას ვაგრძელებ ბაასსა, ცუდსა ყველანი მიძრახვენ,
რადა სწუხართო ცუდად/ა/, მაზლები კარგათ გინახვენ,
რადგან ღმერთმან გააჩინა, პატრონს ყმანი გვერდს უნდა ყვენს,
ღა როდეს ღმერთი გარდმოხედავს, წყალობასაც დიდსა ნახვენ.

სათუთად მზრდიდა პატრონი, მაგრამ ვარ მცირეთ გაზრდილი,
სალომე დამდევს სახელად, შემრთეს ღღლობაში გაზრდილი,
სიმწარემ სულ დამაეიწყა, მცირე და კარგათ გაზრდილი,
ღა სვიმონაც ველარა ვნახე, ჩემს ქვეშაგებში გაზრდილი.

ტვირთი ვარ ღმერთო მე შენი, მოწყალეზაც შეგიძლია,
ტირილს ახოც ვიცი ჩემსას, მე ქება არ შემიძლია,
ტყუილს არ ვფიცამ, პატრონის სიშორე არ შემიძლია,
ღა ტარარისგ ვეაჯი, ყოვლისა განკურნება შეუძლია.

3 v

უნდა გადიდო, უფალო, სანამ ვიყო მე ცოცხალი,
უნატრელს სიხარულს ვითხოვ, სანამ ვიყო მე ცოცხალი,
უკლებლად ტურფა დებისგან, რადგან მე დავრჩი ცოცხალი,
ღა უქირისუფლოს ნუ გამხდი, ღღელი მაჩვენე ცოცხალი.

ფრიად, ღმერთო, გვეედრები, არ გიკვირს მოწყალეზაო,
ფუქად ნუ გამაროინებ, გამიადვილე ქებაო,
ფინათ ნაწერი შევაწყე, დიდი არ ვიცი ქებაო,
ღა ფათერაკისგან დაიხსენ, ვინც იცის შენი ქებაო.

ქრისტე ღმერთო ოდეს ეციე ჩვენის ხსნისთვის ჭვარსა ზედა,
ქათმის სმობას ვინ უარს გყო, შემიწყალოს ამაზედა,
ქვრივთა თანა ნუ შემრაცხამთ, სანამ ვლიდე მიწაზედა,
ღა ქრისტიანობაში ვნახო, ვისაც სპვრეტდეს თვალი მზედა.

ღმერთო, შენ გიცი მოწყალედ. სხვა არცინ გვიდა შენს მებტი,
ღონე დამაკლდა სიმწარით სიყრბით, ახლა შემხვდა მებტი,
ღარბისა ღა ობლისა შენ ხარ შემწე სხვაზედ მებტი,
ღა ღღელს თუ არ ვნახამ, ეს მიმჯობს, სიყდილი ქმნა ჩემზედ მებტი.

4 r

ყოველი სული გვედრება, ღმერთო, დამშრებო აღისა,
ყოვად იღე ჩემი ცრებლი სუსტის მიმცემა ძალისა,
ყოველთვის შენმა მშობელმა წყალობა მიყო თავისა,
ღა ყოელად მოწყალევი მიჩენენ სინათლე ორის თვალისა.

შეგესმის ღმერთო ვედრება, ჩემიცი ისმინე ვაია,
შთავარდი ძნელსა ნალველსა ბევრი სხვა მიხმობს ვაია,
შემა ბედის საწერელმა რადგან მამიკლა მათა,
ღა შემწე არავენი დამიგდე, ამით მაყრია ვაია.

ჩემთვის მუდამ სასოება, ღმერთო. შენ ხარ ჩემი შემწე,
ჩემი ვედრება ისმინე, წუთს სოფელს მიბოძე შემწე,
ჩრდილი მიბოძე პატრონის, მარლიც გახდეს ჩემი შემწე,
ღა ჩამიარა ქირანახულმა, კოლაც არ მყავს ჩემი შემწე.

ცუდად ნუ გამარონებ, ღმერთო ისმინე ვედრება,
ცრუსა სოფელს მამარჩინე, სულით არ შემხვდეს ვაება,
ცარიელ ვიქმენ, შემექნა კეთილი ყოლგნით ვაება,
ღა ცათა მფლობელი ამორე, ვისაც გავედრებ ვაება.

ძირადგან ღმერთო გადიდებ, შენ გინდა ჩემთვის კეთილი,
ძვირი გახშირდა ჩემზედა, არ მყავს მოყვასი კეთილი,
ძმა არ მამეც მოსწრებული, მენახა მათში კეთილი,
ღა ძითურთ ღთის მშობელს ვაწუხებ, შვილებით მამცეს კეთილი.

4 v

წესი არ არის ჩემგანა, ღმერთო, ვაწუხებ მრავლად მე,
წინწილით უწყვი, უფალო, რაც დარდი მიძეს გულსა მე,
წამიხდა ქირანახულები, ვინც/ა/ მიყვარდა გულსა მე,
ღა წასულსა მგზავრებს ვახვეწებ, ყოვლნი მიძრახვენ გულსა მე.

ქვერტას ვინატრი ცოდვილი, მაგრამ რას ეღირს ვარ ღთისასა,
ქეშმარტება მადირსებს მკვიდრობას სამოთხისასა,
ქვეუსაც მამცემს გადიდო, აღმოსავლეთსა მზისასა,
ღა ქირისგან მიხსნის მოყვასსა, სუფევას მისცემს გზისასა.

ხანი არ მინდა, უფალო, სიციცხლე მაქს საძაგელი,
ხატსა შენსა თაყვანის ვეცე, აღმისრულოს საწადელი,
ხანა ვსტირი, ხან ვინადლი, ვაგხდი ყველას საძაგელი,
ღა ხანი სიშორის მადლობ შენ, სუფევით ყვენ საყვარელი.

გარ, უფალო, შემძლებელი, მცირედ ვიცი ყოველისავე.
განდაზმულსა ნუ დამაგდებ, ფონა მიჯობს სულისავე,
ჭრინვა შეექნა სასიკვდინე. მიმაბარე პატრონსავე,
და გვთისა დედავ, გვეედრები, შე/ე/წიე მგზავრებსავე.

ჯვარსა შენსა თაყვანის ვცე. ცოდვილი ვარ. შემიწყალოს,
ჯერ მაჩვენოს სანუგეშო, მერმე სულით შემობრალოს,
ჯაერი დიდი განაქაროს, სიხარულად გარდასცვალოს,
და ჯდეს მეუფე მარჯვნივ კერძო, სამართალი კარგი ცვალოს.

ჰაე, რას ცუდად ვაღამებ მე დღესა უიმედოთა,
ჰკრთები, გული ამას იტყვის, ვაი, გავხდი უიმედოთა,
ჰაე, ვინა მყავს სოფელსა შევხედო საიმედოთა,
და ჰაე თუ მოკვდე სნეული, პატრონის უიმედოთა.

5 r

ში, ჩემო სასურველნო, რამდენი ცეცხლი მიღვევით,
ში, დავკარგე ორი ძმა, სულითა მაინც მარგვევით,
ში, დედას ვევედრები, სული დანერგოს მარჯვენით,
და ში, მკითხველნო, ნუ მძახხამთ, სულთა ნუცა იტანჯვით.

აჟა გათავდა პირველი ჩემი დარდები ყველაო,
ვადიდე ღმერთი უცნობმა, იმისგან მინდა შეველაო,
ახლა დავიწყე მეორე გულისა ცეცხლთა მწველაო,
და ესეც მინდა აღეასრულო თუ მოიხსენებთ ყველაო.

• • •

აწ რა ქება მოვიგონო, რა შევასხა ღთისმშობელსა,
აღმისრულო საწადელი, ამად ვებედამ ქებას თქვენსა.
აღით სავსეს გულის ნუგეშს მერმე ველი შენგან სევსა,
და ადამის სულის დამხსნელსა, უაღრესი ქება შეენსა.

ბაგეს აღძვრენ შენთვის ქებად, რიტორნი განცვიფრდებიან,
ბეთლემს ყრმანი და მსახურნი ქებასა შეგასწმიდიან.
ბედით უკუღმა მბრუნენი შენგანვე იხარებდიან,
და ბოლოს იშოეს სამოთხე, ვეჰ, ხორციით იარებდიან.

გაბრიელსაც შევეხვეწნეთ, მოდი, ღ/ვ/დგელო, მე და შენა,
გავვითაოს ერთგან ყოფნა, აღარ მიგვხდეს სულთა ქშენა,
გული ბნელი გაგვინათლოს, თვალს მოშორდეს ცრემლის დენა,
და გნატრი გაბრიელ სულითა, ოდეს შემხვდეს აღმოქშენა.

5 v

დავით წინასწარმეტყველო, შენ გვედრები ცრემლითა,
დამსენ სოფელსა მაცდურსა, სული სუფევდეს ლხენითა,
დაგვირდე, ვერ შემძლებელ ვარ, ქება შეგასხა ენითა,
და დაშორდა სულთა წამლები, ნახვას ვინატრი შენითა.

ეკლესი/ი/სა მნათობსა ნიკოლოზს ხელი მიეყაო,
ერთხელ ვნახე, ჩემად ჩემწედ გული ბნელი არ დამიყო,
ევანგოლის სატანამა სული ჩემი არ გაუყო,
და ერთს ამასაც გვედრები, შეერთება არ გამიყო.

ვაი თუ მოვკ/ვ/დე სულ მოკლე, ველარ ვნახო საყვარელი,
ვალამებ დღესა ცრემლითა, მაქს გული ცეცხლით დამწველი,
ვიარო, ესე ვინა მყავს შემწედ, თუ არ ღთისმშობელი,
და ვაქებ სულისა დამსხნელსა, წყალობას მისგან მოველი.

ზარი მაქს ცოდვის ტვირთისა, სულთ ბრძოლის ეამს შემობრალოს,
ზაქარიას მეოხებამ ედემს ახლოს მიმავანოს,
ზღვისა მგზავსი ცრემლისდენა სიხარულად გარდასცვალოს,
და ზენა არსსა ვეაჭები. სამოთხესა მიმაბაროს.

ჭე, თუმცა ცუდად ვილაყებ, მოეჩმახე ცუდი ბა/ა/სი,
ჭე, თუმცა სულის ამოსვლას ელოდეს სატანას დასი,
ჭე, თუ არავინ შემწევდეს მიმიცეს სულისა ფასი,
და ჭე, თუ უღემს ვერ მივიღე, ვნახო ჭოჭოხეთის ფლასი.

6r

თავს ვბედავ ღთისა ქებასა, მერმე ანგელოზთ ვახსენებ,
თმენა მიბოძონ ცოდვისა, სატანას ქიქით ვალამებ,
თვალს მოშორდეს ცრემლის დენა, დღესა სიმწარით ვალამებ,
და თავი მაშცეს ბოლომდინა, სულსა და ზორცსა ვაბარებ.

იღუმალ გიხმობ ღთის დედას, უსიტყვი ვბეღამ ამასო.
ინდოეთიღამ მოიყვან. შეილსა უჩვენებ მამასო.
იფიქროს ჩვენმა ბატონმა, შენ რა მოაგე რა მასო,
და ირაკლი მეფეს ჩაუღე, ვით გული შეილზე მამასო.

კლდე არის შეურყეველი, ვისაც გესმით, გწამდეთ ქრისტე,
კვლავ მე ვესავ იესოსა. ეშმაკთ შემწე მე გაქრისტე,
კვიპაროზი განმამორე, სამოელი გამიკიცხე.
და კილო ნემამრე ცრემლისა, სოფლურათ/ა/ გამიკითხე.

ლაყაფი ბევრი ვისწავლე, ღღელო, შენის სიშორისა.
ლამავს გულსა სისხლის ცრემლი, ვინ მყავს მცემი ნუგეშისა,

ლუარსაბ შენი ძმა არის, ერთგულია ბატონისა,
და ლამის თავი მოეძაგო, ასე ცოდვილი ვარ ხეთისა.

მე ვიცი, ბძანეთ თქვენ ჩემსას, ცუდი რამ უპრელებია,
მე თქვენის მოშორებითა სიცოცხლე დამწარებია,
მართალს ბრძანებ. თუ მიძრახამ, არც არა მიაშებია,
და მაგრამ ვაი ბატონისაგან ვექ თავი გინაზებია.

6 v

ნუ იფიქრებ ცუდსა ფიქსა. რომ უშენოდ მე ვიცოცხლო,
ნუგვეს მამცემ მოსვლისასა. ლეთისგან ვითხომ კიდევ გაეძლო,
ნაკდულს გულსა ნუ ჩაიდებ, რაც გაწყინე, მოგიახლო,
და ნაწერი მაინც მიბოძე, ჩვეულებრივ მოგიახლო.

ოდეს ვიფიქრო, რამე ვიცი, სიშორის აღმა დამიპყრას,
ობლის მამას ვევედრები, იმედი მანვე დამიღვას,
ოხრობის ცეცხლი მაშოროს, დამწვარს ცეცხლი არ მამიღვას,
და ობლობას არ შეუფარდოს, სამოთხის წელი დამიღვას.

პირველ ღთის მშობელს ვეაჭე. მაგრამ ენამ ვერ დაუყო,
პირი დამიყო ქებაჲა შეუძლებელს თავს რა უყო.
პასუხს ვერ შივსემ მე იმას, ვინც შენი საბაზი იყო,
და პალანტსა კარგსა ახლავხარ, მე თუ გინდა აღარ ვიყო.

ჟამი არს ჩემი სიკედელი. თუ ველარ გნახამ მე შენა,
ჟამიდან თქვენთვის სიმწარე ვერ მოგახსენე მე შენა,
ჟინი მამივლის ფიცისა, აღარ გაწყინო მე შენა,
და ჟანგი გახშირდა გულისა, ჟერ არ გიცივია ვექ შენა.

რად გაწყინე უბადრუკმან. თავი ჩემი შეგაძულე.
რად არ იფიქრე, შენ მაინც ვშმაკის შურს მოგაძულე.
რალა ვილაყბო შორიდამ. თავი რაზე შეგაძულე.
და რალას გეხვეწო წიგნითა. მაინც აღარ მამიძულე.

7 r

სანამ არ გნახამ, იცოდე. თვალს არ მიქსემ ფონებასა,
სიშორე ღმერთსა მიმადლე. თავს ნუ მისცემ ღონებასა,
სული ჩვენი ღმერთს ვახვეწოთ, საუკუნოდ ფონებასა,
და სხვასა ნულარას იურვი, ეცადე ლ/ვ/თის მონებასა.

ტყუილს მეტყვი, შენ ჩემგანა. დარიგება არ გინდოდეს,
ტრფილი ხარ ლ/ვ/თისმშობლისა, სხვა კეთილი რა გინდოდეს,
ტირილით გეტყვი ამასა. ჩემი ცოდო მოგაგონდეს,
და ტვირთს ნუ ინდომებ უბრალოს, თუ ჩემი თავი გინდოდეს.

უნდა ვტიროდე მედამა. რას ეხელამ საიმედოსა,
უთუოდ თვალი არ მინდა, ვის შეეხელამ უშენოსა,
უნდა ვიკენესო მარტომა, ვის მიუთხრა უშენოსა,
და ეტევანი სეველა მართებს, ეს მცირეა უშენოსა.

ფიქრმა თავი მამაძაგა. ვზივარ შინ ბაგე გამშრალი.
ფარდი არა მყავს სევდისა, მიუთხრა კირი მრავალი,
ფაშა ვახსენო, არ ძალ მიცს, ქება შევასხა მართალი,
და ფარდი არა ყავს ქებისა, მე რით შევიძლო მრავალი.

ქადაგება არ ეიცოდი, შემინდევით. ვინც ვერ ვაქე.
ქართველ მეფე და ფადიშა, ვერ შევიძელ მით ვერ ვაქე.
ქაღილში ჩამამართმევდნენ. შენ იმიტომ ველაო გაქე,
და ქალაღი მცირედა მქონდა. შენი მათა ვერ ვაქე.

71

ღ/ვ/დელ. რაღა მოგახსენო. კმარა ამთენი ღონება.
ღალტი ღვთისა არ ვაოგა. შენვე გამხილებს გონება,
ღმერთს მიანდე თავი შენი. იმანვე მოგცეს ფონება,
და ღონე მის მეტი არ არის, ბატონსა უნდა მონება.

ყოველსავე მოგახსენებ, შენ უკეთ იცი კრებუღი.
ყმანი უფალმა დაბადა, ბატონი მისცა ქებუღი.
ყური ნუ გინდა სასმენად. თუ გყავს ბატონი გრებუღი,
და ყოვლად მოწყალე დაგიცავს. იყავ ბატონის გრებუღი.

შენ ამას უნდა ეცადო. ჩემგან რიგება არ გინდა,
შორიღამ წიგნს ნუ დამაკლებ. მე სხვა კეთილი არ მინდა.
შავი ზღვრაკენ თუ წახვიდე. ღ/ვ/თის ვედრება დიად გინდა.
და შერს ნუ იგდებ ბატონისას, ჩემი თავი ნულარ გინდა.

ჩემთვის ღმერთსა ეს უნდოდა. ეს მოილო ჩემზე კიდე.
ჩრდილი მოგცეს ბატონისა, მოგახსენო სხვა რა კიდე,
ჩქარა წასვლას ნუ ინებებთ, წიგნი მაინც ვნახო კიდე.
და ჩამიფუჭდა სიხარული, შენი ნახვა მერმე კიდე.

ტრე ყოფილა ეს სოფელი, ნეტამც მე არ შემესწავლა,
ცა დაბნელდა ჩემთვის ხედვად, ვა/ი/, თუ ძვირი დაგესწავლა,
ცარიელი ვყოფილიყავ შენი ცეცხლი არ შესწავლა,
და ცელი ვინმე ვყოფილიყავ. სამლო/ო/ბა არ ვესწავლა.

81

ძალს ვახსენებ ჭვარისასა, კიდეც იმას ვეაჭებო,
ძმაცა მაშოროს სოფლისა, სულის ხსნასა ვევედრებო,

129

ქელისაგან გარდამხსნელო, იოსებ, შენ გეხვეწები,
და ძე მყავს ორი საცოდავი, ამათ დარდას გვეედრები.

წიგნი მოვიღო მცირე რამ. შეწუხება მოვახსენო,
წელწადი სამი არის, მუდამ მატირებ მე შენო.
წახვიდე მანდილამაყა. ცოცხალს აღარ გამაგონო,
და წიგნი გებოძა ფრანგული, წაიკითხე ყველა ვსცანო.

ქეშმარიტად ასი არის, რაც გადამხდება მე თავსა,
ჭირი უმეტესი მართებს, რადგან მოვშორდი შენს თავსა,
ჭკუა არა მაქვს სველითა, ვიცი, მიძრახვენ ბევრს ავსა,
და ჭირსა მოვითმენ უზომოს, თუ კიდე ვნახავ შენს თავსა.

ხილი სადმე ბევრი არის, ახალციხეს გასაყიდი,
ხვალ წამოვა ჩემი სიძე, მოგერთმევა წიგნი დიდი,
სლათი არა გაივლო რა, მანდ ბევრია ენა ფლიდი,
და ხანი დაყოვნდა ნახვისა, ახლა მართებს ევნესა დიდი.

ჭარას არ გავსცევთ, იცოდე, მე შენსა გამოგზავნილსა,
ჭატის ბუდე შეგიყერე პატარა, მცირე ფარჩისა,
ჭათია არა მქონდა, არც დასადები მაჯისა,
და ჭელი რა-ს კაჯრო. აიღო, მადლი მიბძანე გარჯისა.

8 v

ჭერ ღთის ქება მოვინდომე, ვერ შევიძელ მოსწავლობით,
ჭავრმა გუნება დამიყო, ვერა ვთქვი ლექსი კონობით.
ჭურღმულსა ვზივარ, სევდა მაქვს, მივიღებ ღთისგან მადლობით,
და ჭერ ვიცი. არა მგონია, თუ სხვაგან მიხვალ მგზავრობით.

ჭაე. რათ ვვინდა სოფელი, დღე ყოფილა მუდამ მწარე,
ჭაიღებს კაცი ცოდვასა, ელის ჭოჭობეთი მწარე,
ჭარ დაუებადე, მიჯობდა, არცა მენახა სიმწარე,
და ჭივსო გული ცეცხლითა, ძლივს ესე ლექსი დაწერე.

ჭოი, სულა უბადრუკო და ხორცო უამებელო,
მხრისგან მიხსენ მწარისა, მამავ, დაუბადებელო,
მრთქლსა ჭოჭობეთისასა მარიდე, დამბადებელო.
და ში, ისევე ნახვას ვიტყვი, პატრონისას ღთისმშობელო.

ეს ორი ლექსი დასრულდა. მესამეს მიეყო ხელია,
დავსწერე მოთქმა მოყვასთა, თვალი გაჩვენოთ სველია.
ამდონის კარგის სიკვდილმა სინათლე გამამილია,
და როდესაც მნახოთ მოკვდავი, ყველამ მადირსეთ ცრემლია.

• • •

ახლა შევერიბო ბა/ა/სი, მკირე რამ ჩემის თავისა, /9 r/
აღვიღად ვიტყვი ძნელს ცეცხლებს, ფონა თუ შემხვდა თვალისა,
ადამის ტომსა ჩემს ტოლსა არ მოუნახავს თავისა.
და ატირდა თვალი სიყრმითგან მოჩივარი ვარ თავისა.

ბა/ასი ესე ისმინეთ, ვინც იყვნეთ კარგათ გაზრდილი,
ბიძა მამიკვდა, ძლივს მახსოვს ჭერ მტირე ვიყავ გაზრდილი,
ბროლისა მგზავსად შეენოდა, კეკლუცად იყო გაზრდილი,
და ბნელს ჩაჭდა ჩემი მშობელი, მე დავრჩი აუად გაზრდილი.

გამზარდა ერთმა მხლებელმა, ჩვენ სამნი დანი ვიყავით,
გულს არ გვედვა მწუხარება, ვხარობდით, კარგათ ვიყავით,
გაგვიჩინა ღმერთმა ძმაცა, საფიცრათ მკირეთ ვიყავით,
და გაფიცებთ ღმერთსა, ნუ მძრახავთ, მკითხველნო, ყურად იღვეით.

დამავიწყდა ყოველივე, რაც ვიცოდი მე სიყრმისა,
დაიყოვნებთ, მოგახსენო სახელი მე დედამამისა,
დარეჯან ერქვა დედასა, ასული ვარ ფარსადნისა,
და დამშორდა დედა ყმაწვილსა, წლისა ვიყავ თორმეტისა.

ერთი და დამარჩა უფროსი, მეორე ჩემი უმცროსი,
ელვა კრთებოდა მათზედა, ქება მოვილი უმცროსი,
ეკრძაღვის ჩემი გონება, ზეზედ რად დავრჩი მე მქისი,
და ერთმანეთზე უმჯობესი უები დავმარბე უღირსი.

ვაი, ამათ მამგონესა, რომ მე ამათ ზეზედ დავრჩი, /9 v/
ვაუჯალი ნამა არ მყვანდა? მაგრამ პირშავათ მე დავრჩი,
ვაუის შევილსა მე მარჩევდა, მკვდარსა უნახავი დავრჩი,
და, ვაი, ამდონის კარგისგან ეჭირისუფლოთ მე დავრჩი.

ზარი დამეცა პირველად მამამთილი გამეყარა,
ზნე სრული ყოვლის ცოდნითა სიტკბოებით გამეყარა,
ზნე დატანებით მამიკვდა, მამამ ობლად ჩვენ დავეყარა,
და ზღვისა მზგავსი ცრემლი ვღვარე, არც კარგი მე დამეყარა.

მე, თუ მიძრახოთ, მკითხველნო, ცუდათ დაწერე შენაო,
მეკლის ლახვარი გულსა სკრის, გამოადვილდა ქმენაო,
მე, უტურფესი დებისგან მითხარით ვაი, შენაო,
და მე, ნეტამც სიკვდილის ღლეხა ვინ შექნას ჩემზე ქმენაო.

თუ მოიხსენებთ, გაუწყოთ, სიტურჟე ჩემის დებისა,
თვალ-პრელი შაეის წამწამით, შუქი აღგა სითეთრისა,
თეთრსა პირსა ყირმიზობა, ტუჩი ლალსა უგვანდისა,
და თავით ფერხამდინ უკლები ქება ვერა/ თუქვი ნათლისა.

იყო კეკლუცი მნათობი, მე დამეწვა გული ამით,
ეწვის გული ახლაც კიდევ, ვერა ვნახე მკვდარი თვალით,
იანვარში მიფთვარა სიღონია კარგის თავით,
და მიტომ უფრო დავიჩაგრე, გამიმელა/ვ/ნეს მკვდარი ღამით.

კარი დამეხშო გულისა, რა სიღონია მამიკედა,
კეკლუცი ჩემი ტრფიალი, ნუგეში მისი მფარვიდა,
კარგისა სიღონიასი ქმარიც დაეკარგე, წავიდა,
და კმა უყავ თავსა ვითმინე, მაგრამ გული კი წაიდა.

/10 r/

ლამახათ მოკიკიკესა, ვაი, ვიგონებ პა/ა/ტას,
ლაცაფი ეს მამივიდა, შეილსა დავარქვი პატარას.
ლახვარი გულსა მეცემა, ვინც ეტყვის, მოდი, პა/ა/ტას,
და ღამის ისეე გადავარქვა, ვერ დაუძახებ პა/ა/ტას.

მე პა/ა/ტას მამგონესა რაღათ მიდგია სულია,
მუდამ თვალ-ცრემლი ჩამამდის, მან დამიკოლა გულია,
მანამდინ დაეინახემდი, მე ვიყავ სულ წასულია,
და მთიბათეის წყალმა დამინთქა ხორცი და კარგი სულია.

ნაკლებობა არა ჰქონდა, საესე იყო სრულის ცოდნით,
ნათელი ჩემის თვალისა ვერა ვნახე მძიმე წოლით,
ნიადაგ ვიწვი მას აქეთ, მოვიგონებ ოდეს ძრწოლით,
და ნახეთ ჩემი ღ/ე/თის გაწყრომა გამიფუქდა წყლისა ბრძოლით.

ოდეს ვისმინე ყურითა, პა/ა/ტა წყალმა დაგინთქო,
ორივე დადგა სინათლე, გული, გონება დამიხშო,
ოსრა არ აკლდათ უცხოთა, კარი და ბანი დამიხშო,
და ორკერძი ცეცხლი მევიდა, გამიხალა მე და პირმშო.

პა/ა/ტას აღარ ვახსენებ, ქებას ვერ ვკადრებ ცოტასა,
პირ-მთვარე დაჯიას ვსტირი, ცრემლი დანამამს ლოყასა,
პაწაწას ტუჩებს ვკოცნიდი, გულს დაუწყებელი კონასა,
და პირზედა ფეხი დამაღგა, გამამასალმა ყველასა.

/10 v/

ჟანგი გამშორდა, გულისა მე ქმარი შევრთე დაჯიას,
ეშთა მპყრობელსა ვევედრე, სიცოცხლე მიე დაჯიას,

ყამი არ მისცა უფალმა, დღე მოუსწრაფა დაჯიას,
და ენათ ჩაყვა მამაკედაესა, ქრმის სურვილება დაჯიას.

რალათ მამასწარ, უფალო, სიკედილსა დაჯიასასა,
რით შესძლებს ჩემი გონება, ქებას მოგიყუეთ მისიასა,
რატომ არ ვიკვიროთ, უყურებ მე სინათლესა მისიასა,
და რალათ მეყრება მე ხელი უქირისეფლოს დისასა.

სიკედილო. შე მეხანათო, რამღენი კარგი მამიკალ,
სურვილი არ და/ა/ცალე. დაჯია პატრონს მოუკალ,
საკუთრად მეგულებოდა, სიკეჟის ღროს და მამიკალ,
და საწუთო/რ/ოს დამწარებულო, მაია რალათ მამიკალ.

ტირილიც აღარ დამცალდა, კარს მამადგა განსაცდელი,
ტყვედ წამიყვანეს ქალაქსა, თვალს მხოოდა მეღამ ცრემლი,
ტირალ მინჯორში დავდექით, ღამე იყო დილ ძნელი,
და ტყუილს არ ვიტყვი, ღმერთს ვფიცამ, აღარა მაქვს გული მთელი.

უნდა მეტირე. დაო, შენ, მაგრამ დრო აღარა მქონდა,
უბედურათ აღიზარდე, ობლობისა ცეცხლი გქონდა,
უკლებლად მისთვის შეენადი, თურმე დღე მცირეთა გქონდა,
და უქირისეფლოდ დამაგდეე, იმედი შენგანა მქონდა.

11 r

ფრთეს გიგვანდა ყორნისასა, დაო, წარბი ამოსული,
ფუჭი იყო შენთან მზეცა, აღმოსავლით აღმოსული,
ფარშავანგსა კეკლუცობა, ყელი ბროლად ამოსული,
და ფერობს შენსა სალომესა, სული მქონდეს ამოსული.

ქალო, რა ქება შეგასხა, ვერა თქვი ქება ყოვლისა,
ქალადის მსგავსო პირადა, გმირობა გქონდა ღომისა,
ქალობაში მოხდენილო, ბედი არ გქონდა რძლობისა,
და ქვეყნად შენ მინდა გეცოცხლა. იმედი მქონდა გლოვისა?!

ღამის/ა/ ფერსა გიგვანდა. დაო, თმა, — ბექზე გეყარა,
ღრუბლისა წვიმას გვანდიყო, თუ ცრემლი გადმოგეყარა,
ღაწვი ვარდსა, ტუჩი ღალსა, კბილი ბროლისა გეყარა,
და ღამე მოველ საალერსოთ, ნათელს გულს მიწა გეყარა.

ყველა ვერ შეეძელ შენზედა ტირილი ველარ მოვილე,
ყველა ხვეენა დამიძვირე, თვლიდამ ჩინი მიმიღე,
ყოვლისფრითა შემეკობილო, ცოდნაცა კარგი მი/ი/ღე.
და ყური რატომ არ დამიღვა. რაღესაც მიწას მიგიღე.

შენგან იყო, ქალო, რიგი უფროსი და დაგეტირე,
 შექმენ ჩემთვის ცეცხლის ალი, ნახვა შენი დამიძვირე,
 შუკი შენი მაცოცხლებდა, საუკუნოდ დაგამკვიდრე.
 და შვარდნის მგზავსი თვალითა ცრემლი გულსა აღარ მჰკერე.

ჩემო მოყვასო, ყოველნო, ამ ცეცხლისთვის შემობრალეთ,
 ჩემი მცირე ანაწერი კარგის მცნებით მი/ი/თვალეთ,
 ჩაიფიქრეთ, ნუ დამძრახავთ სვინილისი განიერძალეთ,
 და ჩემ/მ/ა ღარდმა ამაყებდა, ყველამ თვალი განისველეთ.

ცუდი არის ჩემი მოთქმა. მაგრამ გული აღარ მიძლებს,
 ცვილებ დნება ჩემი გული, იმედსაც არავინ მიდებს,
 ცუდი ვინმე წაშეითხავი, კარგს მოლექსეთ გა/ა/ცუდებს,
 და ცათა მფლობი კარგათ ისმენს, ღ/ვ/ღლისა ხელით დამიტირებს.

ძველსა ცეცხლსა არ ვახსენებ, მე ვიტირებ მაიასა,
 ძირით არ ვაქებ მცირესა. ქებას ვაძღვებ მაიასა,
 ძმებისგან უმჯობესათა, მე /ვ/უყვარდი მაიასა,
 და ძვირად იწინდა მე სიცოცხლე. რომ ვიგონებ მაიასა.

წუთის სოფელს ჰირისუფლად დობილიც აღარსადა მყავს,
 წრაფის სიკვდილით გათავდა, მაიას ცეცხლი მითა მწვეავს,
 წ/ვ/რილი შეილები და/ა/გლო, არ იციან, ცეცხლი დაგწვეავს,
 და წავიდა გაუხარელი, მისი ალი ყველას დასწვეავს.

ქაბუკობა მამატური გქონდა, მაიავ, თავისა,
 ჰიკჰიკობა შენი მსურდა, სინათლევ ჩემის თვალისა,
 ჰევიანო და ცოდნა სრულო, უმჯობეს იყავ გვარისა,
 და ჰირსა შენსა თავს ვაძლევდი, ხათრი არჩიე მამისა.

/12 r/

ხანსა შენსა ღმერთსა ვთხოვდი, დათ გიყურებდი ბოლომდი,
 ხელი გქონდა ცოდნით სავსე, სიღარიბესა ფერობდი,
 ხლება შენი დედათ მსურდა, ჰირისუფლათა მყოლოდი,
 და ხუთის თვის უნახავს ძმასა გამოესალმე ბოლომდი.

წელს ავიღებ შენზედაცა, მეც ასე გამოგაჭაერებ.
 ზან დას ვებეწე, ზან მულსა, ცოცხლებსა თქვენზე ვახარებ,
 ზუთის წლისა დამკვიდრებულს, სიღონიას შენ გაბარებ.
 და წელს მივაპყრობ შენს ობლებსა, გუნებას მათზე ვახარებ.

ჯერ თქვენ დამჩაგრეთ სოფელსა. ახლა მე დაგწვამთ გულებსა,
 ჯერ ზუას შეერთამ კაის ცოლს, საზანდრებს უგდებ ყურებსა,

ჭვარს დაუწერ გოგოასაჲ, იმათ შვეატკობ სულესა,
და ჭვარისათჳინ მეც აჲას ვიქ, არ დაუიჩაგრამ გულესა.

ჰასრე ვიცხოვრებ სოფელსა, სანამ კიდევ სული მეღვას,
ჰალარაჲის მოგიგონებ, ნეტამც ცოცხლებს სული ეღვას,
ჰარც ეახსენებ სამშობლოსა, არც ვიტირებთ კიდევ მე დას,
და ჰამდენს თავს ვაწყენ უფალსა, ნუ მამიშლის ლ/ვ/დლისა ხელჲას.

ში, მკედარნო, დაგიეიწყეთ, სიტყვით დავიამე გული.
ში, ღმერთსა შემახვეწეთ, მარჯვნით დადგეს ჩემი სული,
ში, ნეტამც სული განახოთ, გარდგიოცნოთ თეთრი გული,
და ჰხრა არ შემხვდეს ტან/ჭ/ვისა, ერთგან იყოს ჩენნი სული.

/12 v/

აჲაც გათავდა მესამე ლექსი, მკედართა ტირილისა,
ლექსითაც ვერ მოვიქარე კენესა მათის ტყივილისა,
ისევ ლ/ვ/დლის ნახვას ვინატრი შემხვეწელი ვარ უფლისა,
და ეს მეოთხეცა დავიწყე, მღულარი მართებს გულისა.

• • •

ადიდე, სულო ცოდვილო, სამისა დლისა აღდგომა,
ადვილად ბრძანოს ჩემთვისა სასუფეველის კარს წარდგომა,
ახოცოს ცრემლი თვალთაგან გულსა უჩინოს მალამა,
და აჩვენოს საიმედოსა, კიდევ იცოცხლოს სანამა.

ბეთლემს ქებასა ოდეს იშვე ქალწულისგან, ღმერთო, ჩვენო,
ბუღით აფხვერ ცოდვა ჩემი, გეაჭები მსხნელო ჩვენო,
ბნელი გული განმინათლე, წყლული მკურნე ისევ შენო,
და ბა/სი კარგად აღმოვთქვა, არეინ მიხმოს ლახვარ შენო.

/19 r/

გაქვს უფსკრული მოწყალება, ღმერთო. ამით გვეედრები,
გული მიეც შეფეს ჩვენსა, შეიირიგოს თავადები,
განიშოროს ორგულობა, გა/ა/ცუდოს მათი მტრები,
და გამიცუდებს ვედრებასა, დიდსა ნალევს შთავარდები.

ღედავ ლ/ვ/თისავ, გვეედრები, შენ მოგითბობ ჩემსა დარდსა,
ღამითგუნე სულის მტრები, მოგაბარებ ცოდვილს თავსა,
ღაფიქრდები მწუხარებით, მეღამ ვემსებ ცრემლით თვალსა,
და ღამდევ ხელი წყალობისა, ოდეს შიშვლავს ცეცხლი ძვალსა

გვრეთვე გესავ ცოდვილი, მი/ი/თვალე მოწყალებით,
ერთხელ ბ/რ/ძანე, ლ/ვ/თის მშობელო, სასუფეველს ვიყო ფლობიო,

ეკმანოილს შემავედრე, გავხდე სოფელს ცოდვის თმობით,
და ერთი ამით გვედრები, ცოცხალ ვიყო, არ ოხრობით.

ვითარმედ მსურის ვედრება, ღ/ვ/თის მშობელო, შენი მეტად,
ვარდის მგზავსად, სურნელებავ; მე ღირს გავხდე შორის ჰერეტად,
ვაი, ჩემო სულო, ცუდად რას ინატრი მგზავს ვით რეტად,
და ვარ უღები ლოცვაშიგან, ეშმაკი არს ჩემზედ მწვეტად.

ზეპირად მე ვით გავბედო, ღ/ვ/თის მშობელო, შენი ხმობა, /13 v/
ზრუნვა განმრავლდა ჩემზედა, აღარა მაქვს სევდის თმობა,
ზაკვას დამხსენ სოფლისასა, სულს უბოძე მცირე ფლობა,
და ზეცის მადლით ამას ვიპხოვ, მე მეღირსოს ღ/ვ/დლისა ხლება.

შე, დედაო, მოწყალე ხარ შენ ცოდვილის დედაკაცის,
შე, შენ უწყი ცოდვა ჩემი, ვკრთები მე მგზავს ვითა ვაცის,
შე, ცოდვას ვიცი ამიხოც, მაგრამ დარდი გამაოცის,
და შე, მოყვისსა სიშორემან ლამის სოფლით აღმამხოცოს.

თვითეულად შენ მი/ი/თვლი, ღ/ვ/თის მშობელო, ვედრებასა,
თვლით ტკბილით გარდამახედე, დამხსენ ჭავრით ვეებასა,
თიხა დასდვა ძემან შენმან, აღუხილნა თვალი ბრმასა,
